კვირის პალიტრა

# გზა

N5 (347)

ფასი 60 თ.



## უნაყოფო — ამ დიაგნოზით შეძრული გოგონა სამი შვილის დედა და დიდი მსახიობი გახდა

## რატომ ჩააკითხა ქეთა თოფურიას აჩი ფურცელაძემ მოსკოვში

„ქეთა ჩემია და მორჩა! თმაც მე შევაღებინე ქერად...“



## „მის ბიკინით“ მოხიბლული ქართველი ბიზნესმენი

## რა მსხვერპლი გაიღო ჯაბა ქარსელაძემ



## ვისზე იეჭვიანა ირაკლი მარხულიამ

„ქალი უზომოდ მიყვარს...“



## „სვანურმა ვენდეტამ“ უცხოელები აღაფრთოვანა

# როდის დადგამენ ასლან აბაშიძის ძეგლს ბათუმში




საბა SABA

კანდელაკის ქ.65 0160 თბილისი, საქართველო. (+995 32) 38 44 54 www.saba.ge E.mail: sabaco@caucasus.net

# მცენარე, რომელიც მთლიანად უმად იჭმევა,



მზარეულს მაგიდაზე ცოცხალი ნიანგი დაუწვინეს და უთხრეს — დაკალი და შეგვიწვიო. საბრალო მზარეულს, იმ დღის შემდეგ, ორი კვირა ეძებდნენ თურმე, სამსახურში რომ დაებრუნებინათ...

18

# „სახიფათოდ მოთამაშეებთან“ მებრძოლი



„ადრე უფრო ხშირად ყლაპავდნენ — ბრილიანტის ბეჭედს თუ საყურეს. ფულს დღესაც ყლაპავენ, ოღონდ უმეტესად, ოცთეთრიანებს ამოგვაქვს, რადგან 10 და 50-თეთრიანები კუჭში გადის...“

20

# ჯაბა ქარსელაძე „მის ბიკინით“ მოიხიბლა



„ჩემი მიზანი ამერიკას, მანჰეტენს უკავშირდება. ხომ იცი, რომ იქ 100-სართულიანი კორპორაციებია?! ერთ მშვენიერ დღეს, ერთ-ერთ ასეთ კორპორაციაში, მე-100 სართულზე უნდა ვიჯდე.“

22

# ირაკლი მარხულიას გულის „გაჩერებით“ ემუქრებიან



„მე მიყვარს შენი ლამაზი თვალები/ თვალები, რომელზეც მე ვიტანჯები/ მე მიყვარს უბანი, სადაც შენ ცხოვრობ/ და ვისაც ჰქვია შენი სახელი. სამტრედიელი სოფო, თაკო და თეო“.

30


გზა

№5 (347)

1 - 7 თებერვალი, 2007

ფასი 60 თეთრი



■ მინიატურები

„არწივი ვნახე დაჭრილი“ ანუ როდის დაიდგმება ასლან აბაშიძის ძეგლი ბათუმში 3

■ ერთი კითხვა 4

■ დაიჯესტი 6

■ მეგაპოლისში

აჩი ფურცელაძის მოსკოვური თავგადასავალი 10

■ რეალური

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში 13

■ სამშობლო

ორკილომეტრიან ზოლს შეწირული სიცოცხლე ანუ ფიჭვნი ჩვენია თუ სხვისია? 17

■ საგანძური

მცენარე, რომელიც მთლიანად უმად იჭმევა და ვინ ასწავლა ლუჩანო პავაროტის ჩაით თამადობა 18

■ პროფესია

„სახიფათოდ მოთამაშეებთან“ მებრძოლი, სახედრებს ჩახუტებული ექიმი და მატყუარა პარლამენტარი 20

■ ჟურნალისტის როლში

დაკარგული ჯაბა ქარსელაძე „მის ბიკინით“ მოიხიბლა 22

■ კრიმინალი

✓ მკვლელმა საზარელი დანაშაული „საკონტროლო“ გასროლით დაასრულა 24

✓ წვრილშვილის პატრონებმა ოჯახის რჩენა ქურდობით გადაწყვიტეს 25

✓ რუსეთის პროკურატურა ქართველ სამართალდამცველებს საქმის ასლებს სთხოვს 26

■ სცენა

„ქორწილებში ვარსკვლავები მღერიან“... და ნუგზარ კვაშალის საოცნებო სკოლა 27

■ ანტიდეპრესანტი 30





— კოკნარს ვადულებთ, ძმებო? — საკუთარი ყნოსვის სისწორე შეამოწმა ლერიმ.

— ჰოო, კოკნარზე გადავედით. თუ დალევ, დავადგამ... — ჩაიქირქილა სოსომ.

მამუკა ისევ კართან იდგა, უნდოდა ალბათ, რომ ჩქარა გასულიყო გამომძიებელი.

— გმადლობთ, — გაეცინა ლერის, — სხვა საქმეზე ვარ მოსული... — მიიხედ-მოიხედა და სკამი რომ ვერსად შენიშნა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

38

M K

■ სასიძო

ირაკლი მარხულიას გულის
„გაჩერებით“ ემუქრებიან 30

■ საკითხავი ქალებისთვის

✓ რას ურჩევენ ქალები მამაკაცებს 32

✓ მამაკაცისთვის აუცილებელი და
არააუცილებელი ატრიბუტები 33

■ ჯანმრთელობა

✓ როდის არის ქალი უნაყოფო 34

✓ ლაპაროსკოპია — ოპერაცია უკვალოდ 35

■ ტაიმ-აუტი 36

■ რომანი

ზაზა ვაჩნაძე. ნოკაუტი (გაგრძელება) 38

■ ვარსკვლავები

უნაყოფო ქალი — ასეთი დიაგნოზით შეძრული
20 წლის სიუზენი დღეს 3 შვილის დედაა... 42

■ ფავორიტები

მოცეკვავეც, ექსტრემალიც, სამოქალაქო
მშვიდობის დამმყარებელიც... 45

■ ისტორიის ფურცლები

ლიტერატურა, რომელიც ბელადს უყვარდა... 47

■ წმინდანები

მამა ალექსი შუშანია 48

■ ქართული დეტექტივი

გოჩა მანველიძე.
თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50

■ ცხოვრების წესი

დავით ზურაბიშვილის მავნე ჩვევა
და პრივილეგიები 54

■ თინეიჯერული პონტები

რა საერთო აქვს თავქარიან
სოფიას რეპერ ძვალთან... 55

■ გზავნილები

იმედგაცრუება 58

■ ავტო 62

■ ჰოროსკოპი 63

■ ბომონდური მოზაიკა 64

■ მესიჯომანია 66

■ ტესტი 70

■ სკანვორდი 71

■ ...და ბოლოს 72


## ინტელექტუალებს ბოსტნეული უყვართ



ბრიტანელ მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მაღალი ინტელექტუალური მაჩვენებლების მქონე ბავშვები ხშირად ვეგეტარიანელები ხდებიან.

სპეციალისტები ჯერჯერობით ვერ ხსნიან ბოსტნეულსა და გონებრივ მაჩვენებლებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს.

34

## უნაყოფო ქალი



„მაგრამ 20 წლის ასაკში უდიდესი კრიზისი გადავიტანე: ექიმებმა მითხრეს, რომ შვილი არასდროს მეყოლებოდა... ეს ყველა ქალისთვის საშინელი ტრაგედიაა. მტანჯველი ფიქრებისგან თავდასაღწევად, ჩემმა ქმარმა, მსახიობმა კრის სარანდონმა კასტინგზე წასვლა შემომთავაზა.“

42

## ლიტერატურა, რომელიც ბელადს უყვარდა...



რა მიზეზებმა აიძულა სტალინი, რომ დაბადების თარიღი 1879 წლის 21 დეკემბრით შეეცვალა, დღემდე არ არის დადგენილი. სხვათა შორის, ეს ერთადერთი შავი ლაქა როდია მის ბიოგრაფიაში.

47

## თეთრი სიკვდილი



— შენ გგონია, მესხი ფულს მიხდიდა?

— არ ვიცი და ამიტომაც გეკითხები.

— არა, მას არასოდეს გადაუხდია ჩემთვის ფული. ჩემი ანაზღაურება, თავისუფლებაზე ყოფნა და წამალი იყო.

— წამლით გამარაგებდა?

— ჰო... — უპასუხა ბიბილურმა პაუზის შემდეგ. — ადრე — ჰეროინით, ბოლო დროს კი, „სუბოზე“ გადამიყვანა...

— დავიწყოთ წერეთლით... — თქვა ნიკამ, მაგრამ ბიბილურმა არ დაასრულებინა. მისი გვარის გაგონებაზე, კბილების ხრჭიალით წარმოთქვა:

— ნაბიჭვარი!

50

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com


M K



# „არწივი ვნახე დაჭრილი" ანუ როდის დაიდგმება ახლიან აბაშიძის ძეგლი ბათუმში

ჩვენი ახალი ხელისუფლება რომ აშენებს, კი გვიხარია, მაგრამ რომ ანგრევს, გული მოგვდის. ყრუ და ბრმა ვართ ხალხი, თორემ, რა უნდა იმის მიხვედრას, რომ არაა ამდენი ასაშენებელი ადგილი, რაღაც თუ არ დაანგრიეს. ჰოდა, რაც ძველი მთავრობის თუ მთავრობების მიერ გაცემული ნებართვებით აშენებულა, ანგრევენ. უფრო სწორად (დანგრევა უხეშად ჟღერს), დემონტაჟს უკეთებენ. ის კი არა და, მგონი, „ქართვლის დედის" ძეგლსაც დაადგეს თვალი, მაგრამ ხალხის ეშინიათ და იმ ილუზიონისტს ათქმევინებენ — გავაქრობ და მაგარს ვიხალისებთო... კი, ბატონო, ვიხალისოთ, მაგრამ რომ ვეღარ გააჩინოს, მერე, რა ვქნათ?! სად გინდა სდიო „ფოკუსნიკს", გაქრება თვითონაც და უყარე კაკალი.

მონტაჟ-დემონტაჟის „არქიტექტურული რეფორმა", რა თქმა უნდა, აჭარამაც აიტაცა, უბრალოდ, ადგილობრივი ილუზიონისტი ვერ იპოვეს, თბილისიდან მიწვევა ძვირი დაუჯდებოდათ, ამიტომ, ჩაუბეს ბულდოზერი და იმ ვეებერთელა



არწივს, ბათუმის მთავარ მოედანს რომ დაჰყურებდა ზემოდან, ძირს გაადენინეს ზღართანი.

შურიანი არ ვარ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მაინც გამიხარდა. ამ ხნის კაცი ვარ, კალამი არ გამიგდია ხელიდან, დამატყდა თითები პროვოკაციების წერით და ძეგლი ჩემთვის არავის დაუდგამს... იმ არწივმა კი რა გააკეთა ვითომ ასეთი, ჩემზე მეტი წილილა აქვს შეჭმული თუ მწყერ-კურდღელი?!

მერე, რა, რომ აჭარას „აღორძინების კავშირი" მართავდა და არწივი ამ პარტიის სიმბოლო იყო?! დიდ ბრიტანეთს ლეიბორისტული პარტია მართავს, მაგრამ დგას ლონდონის რომელიმე მოედანზე ნათელაშვილს ძეგლი?! — არ დგას... ჰოდა, ძალიანაც კარგი ქნეს, ის ბრინჯაოს არწივი რომ ჩამოაგდეს და ჯართში ჩასაბარებლად დაჭრეს... მოკლედ, ბრძენ და წინასწარმეტყველ ვაჟას ამ დღისთვის დაუწერია — არწივი ვნახე დაჭრილიო...

ეს არ იკმარა აჭარის ხელისუფლებამ და სასტუმროების დემონტაჟსაც მიჰყო ხელი. აბა, ვის რად უნდა კომუნისტების დროინდელი შენობები?! დაიქირავეს ინგლისელი სპეციალისტები და 70-მეტრიანი სასტუმრო — „მესხეთი" ისე დანაღმეს ბომბებით, რომ 17 წამში მიწასთან გაასწორეს. აი, დემონტაჟიც ამას ჰქვია! ახლა მთავარია, მონტაჟის სპეციალისტებიც ჭკვიანურად შეარჩიონ და კარგი სასტუმროებიც ისევე სწრაფად ააშენონ, როგორც დაანგრიეს. ფული არაა პრობლემა — რამდენიც გინდათ!..

იმ ევროპის მოედანზე, არწივის ნაობელისკარზე რაც უნდა აღიმართოს, უკვე გარკვეულია: სულ მიკვირდა, რატომ არ იდგა საქართველოს არც ერთ ქალაქში მედეას ძეგლი და აი, როგორც იქნა, იმ ღვაწლმოსილ კოლხ ქალ-მისანსაც დაუფასდა ამაგი. მისი მამის — კოლხეთის მეფის სახელობის ამოდენა საკაბელო ტელევიზია გვაქვს და ასულის უკვდავსაყოფიც ხომ უნდა გვქონდეს რაიმე?! ახლა ბათუმის ევროპის მოედანზე დაიდგმება მედეას ძეგლი. მაგრამ ერთი რამ აქაც მიკვირს: ჩაატარეს ხარჯთაღრიცხვა და დაადგინეს, რომ 1,2 მლნ ლარს გამოყოფენ ძეგლისთვის. რა ამბავია, ამდენი ფული?! „მილიონ სჩემტო" ის ოქროს საწმისი არ დაგვჯდომია, იმ ქალბატონმა რომ ამოუკეცა იდლიაში იაზონს, მშვიდობაში მოიხმარეო.

ან საერთოდ, რად უნდა ძეგლი ქალს, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ისტორიის მანძილზე საუკეთესო შეიარაღება — რკინის ხარი, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული და ნახნავიდან ამოსული მოხმალავე ჩონჩხები სულ გააულეტინა ვიღაც ბერძენ არგონავტს, ბოლოს, ცოლადაც გაჰყვა და ოქროს საწმისიც მზითევში წაიღო, მერე დეპრესიაში ჩავარდა და შვილებიც დახოცა...

რა ვიცი, იმ კაცს, 3 წლის წინ რომ გააგდეთ ბათუმიდან, დღემდე დაეძებთ, ოქრო და სიმდიდრე გაიტანაო და მედეას თუ უდგამთ ძეგლს, ბარემ იმას დაუდგით ძეგლი მის მშობლიურ ქალაქში — მედეამ რა ქნა იმაზე მეტი?! მაგრამ ასეა, გავა საუკუნეები და მერე დააფასებთ...

*P.S. 2 წლის შემდეგ, ბერძენი ტურისტები ბათუმში:*

*გიდი:*

*— ეს მედეს ძეგლია, რომელსაც მითის თანახმად, ისე შეუყვარდა არგონავტების მეთაური იაზონი, რომ ოქროს საწმისი მოაპარვინა, თვითონაც გაჰყვა საბერძნეთში და უამრავი სასწაულმოქმედი წამლის საიდუმლოც წაიღო.*

*ტურისტი:*

*— ჰოდა, ბარემ ეს ძეგლიც გაგვატანეთ; თუ სადმე სამართალია, მედეას ძეგლი, საბერძნეთში უნდა იდგას და არა — საქართველოში...*

**პროვოკატორი**

## ვის სინდისზეა ოს მილიციელთა დაჭრა?

რამდენიმე დღეა, რაც სამხრეთ ოსეთში ვითარება ისევ დაიძაბა. მოგეხსენებათ, რომ 15 იანვარს ცხინვალში ორი რუსი ჯარისკაცი ნაღმზე აფეთქდა. 28 იანვარს კი, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მილიციის საგუშაგოზე შეიარაღებული შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც, სამი მილიციელი მძიმედ დაიჭრა. ოსურმა მხარემ ამ შეტაკებაში ქართველები დაადანაშაულა და შედეგმაც არ დააყოვნა: რამდენიმე დღეში, მათ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ ერგნეთის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს... ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიგელ ანხელ მორატინოსი შეშფოთებას გამოთქვამს იმ ფაქტების გამო, რომლებიც ბოლო რამდენიმე დღეში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოხდა. მისი აზრით, რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღდგეს პოლიტიკური დიალოგი, რათა დაძაბულობის შესუსტების ეფექტური გზა გამოინახოს. მან მხარეებს მოუწოდა, მაქსიმალურად შეიკავონ თავი ისეთი ქმედებებისა და განცხადებებისგან, რომლებიც კიდევ უფრო დაძაბავს სიტუაციას.



სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების საკითხებში, მერაბ ანთაძემ კი, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ედუარდ კოკოითს მოუწოდა, რომ ორივე მხარე კონსტრუქციული დიალოგის გზით შეუდგეს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მხარდაჭერილი სამშვიდობო ინიციატივების განხილვას. მისივე აზრით, ოსური მხარის მტკიცება, რომ სროლა ქართველების სინდისზეა და სწორედ მათ დაჭრეს ოსი მილიციელები, დეზინფორმაციაა და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად. ფაქტია — ცხინვალში კრიმინალური ვითარება უკიდურესად დაძაბულია და გამორიცხული არ არის, 28 იანვრის ინციდენტი კრიმინალურ გარჩევას უკავშირდებოდესო, — დასძინა მინისტრმა. ანთაძე მიიჩნევს, რომ კოკოითის დე ფაქტო ხელისუფლება ხშირად მიმართავს პროვოკაციულ ქმედებას, რათა შემდგომ, ამაში ქართული მხარე დაადანაშაულოს.



## ბაბლუანების კიდევ ერთი დიდი წარმატება

სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოში ქართული კონოსტუდია აღარ არსებობს და ფილმის გადაღება საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა, ამიტომ ქართველები ამ ფუფუნებით მაინცდამაინც განებივრებული არ ვართ. საბედნიეროდ, ნიჭი უკვალოდ არ იკარგება და თუ საქართველოში დღეს რეჟისორობა არცთუ ისე სახარბიელო პროფესიაა, ქართველი კინემატოგრაფისტები საზღვარგარეთ იხვეჭენ სახელს. მაგალითად, ყველასათვის საყვარელი ფილმის — „უძინართა მზის“ რეჟისორი, თემურ ბაბლუანი და მისი ვაჟიშვილი და კოლეგა გელა ბაბლუანი მთელ მსოფლიოში საკმაოდ ცნობილი და პოპულარული რეჟისორები არიან. შარშან, ბაბლუანი-უმცროსის ფილმი — „13“, ე.წ. თავისუფალი კინოს მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ფესტივალის — Sundance film festival გრან-პრით აღინიშნა. წელს, იმავე ფესტივალზე, იუტას შტატის (აშშ) ქალაქ პარკ-სიტიში, რომელიც 18-დან 28 იანვრამდე მიმდინარეობდა, მაყურებელმა 120 ფილმი იხილა და გრან-პრი რეჟისორ კრისტოფერ სალის ფილმს — „მამაო ჩვენო“ მიენიჭა, ხოლო თემურ და გელა ბაბლუანების ფილმი — „სვანური ვენდეტა“ („მემკვიდრეობა“), ჟიურის სპეციალური პრიზით აღინიშნა...

ცნობილი ამერიკელი მსახიობის რობერტ რედფორდის მიერ 1981 წელს დაარსებული. ფესტივალის მიზანია, გამოავლინოს ნიჭიერი ახალგაზრდა კინემატოგრაფისტები და გზის გაკვლევაში დაეხმაროს მათ. თავის დროზე, სწორედ სანდენსის აღმოჩენად მოგვევლინენ: რეჟისორი კვენტინ ტარანტინო, მსახიობები ჯონი დეპი, შონ პენი და სხვები.

რაც შეეხება ქართველ მამა-შვილს, — ამერიკიდან მოსული აღნიშნული ინფორმაციის გარდა გაცნობებთ, რომ უკრაინის ქალაქ ოდესაში, წინასაპრემიერო ფესტივალის — „ფრანგული კინოს საღამოები“ — ფარგლებში 7-10 თებერვალს გელა ბაბლუანის ფილმის „13“-ის ჩვენება გაიმართება. უკრაინული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, პროგრამაში სულ 5 ახალი ფილმია ჩართული, რომელთაგან მაყურებელი, მის შესახებ წაკითხული პუბლიკაციების გამო, ყველაზე დიდი ინტერესით სწორედ გელა ბაბლუანის სურათის პრემიერას ელოდება. ■

ერთი კითხვა

## ფრანგები ქართველი პიანისტის ცხოვრებით დაინტერესდნენ

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ფრანგი ტელეკინემატოგრაფისტები ელისო ბოლქვაძეზე ფილმს იღებენ. რა ინფორმაცია შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამის შესახებ და როგორ მიმდინარეობს ფილმის გადაღება?**

**ნანა ბოლქვაძე,** *ელისო ბოლქვაძის დედა:*

— საფრანგეთის ერთ-ერთი პოპულარული ტელეკომპანიის მთავარმა რედაქტორმა, ჟაკ კოლემ გადაწყვიტა, რომ ელისოზე დოკუმენტური ფილმი გადაეღო. ავსტრიასა და საფრანგეთში გამართულ კონცერტებს დასწრებიან და ჩანაწერებიც გაუკეთებიათ, რომლებიც ამ ფილმში უნდა გამოიყენონ. მერე საქართველოში ჩამოვიდნენ, ელისოსთან ერთად. აქ კადრები ჩვენს ოჯახში, ელისოს როიალთან, სადაც იგი მეცადინეობს ხოლმე და მცხეთაში, ჯვარზე გადაიღეს. იმდენად აღფრთოვანდნენ აქაურობით, გადაწყვიტეს, რაც შეიძლება მეტი სიუჟეტი გადაეღოთ. სხვათა შორის, სტუმრები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს და ქვეყნის პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსაც შეხვდნენ. ისინი საქართველოდან 30 იანვარს გაემგზავრნენ. 3 თებერვალს კი, პარიზში უკვე ამ ფილმის პრემიერა გაიმართება. სიმართლე გითხრათ, ფილმის სახელწოდება არ ვიცი, მის სამუშაო ვარიანტს კი გეტყვით — „პიანისტის პორტრეტი“. ■



ცენტრ პოინტი ჯგუფი

# გამდიდრდით ჩვენთან ერთად

ხარისხის საერთაშორისო ოქროს ვარსკვლავის მფლობელი!



**ხოშარაული-ელიავას მიმდებარე ტერიტორია**

•პირველი გრანდიოზული მასშტაბის 3-სართულიანი სავაჭრო მოლი საქართველოში
•მტკვრის მარჯვენა სანაპირო, მარტივად მისადგომი ტერიტორია, პარკინგის განუსაზღვრელი რაოდენობა;
•სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე იცხოვრებს 3500 ადამიანი, სადაც შესანიშნავი პირობებია ნებისმიერი ბიზნესის განვითარებისათვის;
•სავაჭრო მოლი 600 სავაჭრო ფართით, მინიმალური კომერციული ფართი - 25 კვ.მ.
•იმ დროს, როდესაც მიმდებარე ტერიტორიაზე მაღაზიების ღირებულებაა 5000-8000 დოლარი, ''ცენტრ პოინტი ჯგუფი'' გთავაზობთ ფართებს ნახევარ ფასში, უმაღლესი დონის დაგეგმარებით

**ნინოშვილის ქუჩა-დაუბრუნდით თქვენს უბანს!**

•ერთ-ერთი უძველესი და პრესტიჟული უბანი თბილისში, მჭიდროდ დასახლებული რაიონი, ულამაზესი არქიტექტურული ძეგლებით;
•იდეალური გარემო საცხოვრებლად და ბიზნესურთიერთობებისთვის;
•დღევანდელ საბაზრო ფასებთან შედარებით, ''ცენტრ პოინტი ჯგუფი'', ნინოშვილის ქუჩაზე მშენებარე სახლსა და სავაჭრო ფართს, ნახევარ ფასში გთავაზობთ



შეიძინეთ დღეს და გქონდეთ უზრუნველი მომავალი!



**სამოთხე საბურთალოზე**

•ჯიქიას ქუჩა - ყველაზე მყუდრო ადგილი საბურთალოზე;
•იდეალური გარემო მყუდრო ოჯახური ცხოვრებისათვის;
•დახურული ეზოები და 4-სართულიანი კომფორტული სახლები;
•წელიწადნახევარში გბარდებათ აშენებული სახლი თეთრი კარკასით, ორიწლიანი უპროცენტო განვადების პირობებით

**საკაძის მოედანი-იდეალური ბიზნესგარემო**

•საკაძის მოედანი, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი და მოძრავი ტერიტორია;
•იდეალური გარემო თქვენი ბიზნესის განვითარებისათვის
•600 კვ.მ. სავაჭრო ფართი

## დაისვენეთ და მიიღეთ შემოსავალი მთელი წლის განმავლობაში!



**ქობულეთი**

•ქობულეთის ფიჭვნარში სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსი;
•არაჩვეულებრივი არქიტექტურა, ზღვის ულამაზესი ხედი, ჯანსაღი გარემო, იოდით გაჯერებული ჰაერი;
•თანამედროვე სავაჭრო ცენტრი;
•იდეალური გარემო თქვენი ბიზნესისათვის



**ლიკანი-რეალობად ქცეული ოცნება**

•ულამაზესი და ჯანსაღი ბორჯომის ხეობა;
•თანამედროვე ტიპის სასტუმრო კომპლექსი;
•ბორჯომის მინერალური წყალი თქვენს ონკანებში;
•სულ 56 აპარტამენტი

**იცხოვრეთ, ან გააქირავეთ წელიწადის ნებისმიერ სეზონზე, ნახეთ მოგება და გახდით მდიდარი**



**ბაკურიანი- ''თანამგზავრი''**

•ბაკურიანის პრესტიჟული სასტუმრო კომპლექსი ''თანამგზავრი'', თქვენს სამსახურში;
•უმშვენიერესი ხედები, ჯანსაღი გარემო, სათხილამურო ტრასები თქვენს განკარგულებაში;
•სასტუმროს რეკონსტრუქცია მთავრდება წელიწადნახევარში
**იჩქარეთ, დარჩა მხოლოდ 60 აპარტამენტი!**

**მისამართი: თბილისი, მელიქიშვილის 21**

**საკონტაქტო ტელეფონები : 25 26 26, 8 99 613 613**

# „სახელმწიფო მათთან დავას წააგებს“

**— თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტა სახელმწიფომ კერძო მესაკუთრეებისთვის ობიექტების ჩამორთმევა და კანონიერების თვალსაზრისით, რას ეფუძნებით მას?**

**ლაშა ჩხარტიშვილი,** *თანასწორობის ინსტიტუტის წარმომადგენელი:*

— ალბათ ყველასთვის გასაგებია, რომ ხელისუფლებას ფინანსური ინტერესი აქვს და აქედან გამომდინარე მოქმედებს ასე. დარწმუნებული ვარ, ქალაქის იერი მათ ნაკლებად აინტერესებთ, იქიდან გამომდინარე, რომ მათაც არაერთი ობიექტი აქვთ უადგილო ადგილას ჩადგმული — მაგალითად, „სახალხო ბანკის“ ჯიხურები, რომლებიც ტროტუარებზეა განთავსებული. ხელისუფლებას უნდა, რომ მოქალაქეებს ქონება უკანონოდ წაართვას. შესაძლოა, ზოგიერთი ობიექტი მართლაც, კანონდარღვევით იყო შექმნილი, მაგრამ ამ შემთხვევაში, სამართალი სასამართლოს წესით უნდა დადგინდეს და არა მერიის გადაწყვეტილებით, რომელიც ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე ანგრევს და ართმევს ქონებას ადამიანებს. ე.ი. რეკეტის ფორმით აკეთებს ამას. ამ ყველაფერს ერთადერთი საფუძველი აქვს: ხელისუფალთ სხვის ხარჯზე გამდიდრება და ბიუჯეტის შევსება უნდათ. წესით, ბიუჯეტი ბიზნესის ხელშეწყობით უნდა შეივსოს და არა მისი ნგრევით. ჩვენ ნებისმიერი მოქალაქის საკუთრების უფლებებს დავიცავთ და დარწმუნებულები ვართ, რომ ამ ადამიანების უმრავლესობა, ადრე თუ გვიან (სამწუხაროდ, ამას დრო სჭირდება), ამ საქმეს აუცილებლად მოიგებს, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე მათგანს ნაგებობა უკანონოდ აქვს აშენებული, ისეთი ფორმით მოხდა ამ ნაგებობის დანგრევა ან ქონების ჩამორთმევა, რომ ისინი დაზარალებულები გახდნენ და სახელმწიფო მათთან დავას წააგებს. ეს იქნება ჩვენი ხელისუფლების აღსასრული. მიხეილ სააკაშვილი ფიქრობს, რომ ყველაფერი მისია და ადამიანს შეიძლება, რომ ქონებაც კი წაართვას. ეს, რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის მიუღებელია და საერთო შედეგი ის იქნება, რომ ხელისუფლება ნამდვილად შეიცვლება, ოღონდ — მშვიდობიანი გზით — და ჩვენ ამას მივაღწევთ. ■

*მოამზადა ნათია ქვიძემ*

*სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მასალების გამოყენებით*



# მსოფლიოს ყველაზე არაპოპულარულ პოლიტიკოსთა სამეული გარკვეულია

**საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა საერთაშორისო ინსტიტუტმა — Harris — ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. გამოკითხვა ტელეარხ France 24-ის შეკვეთით ჩატარდა და მასში სქესის, ასაკის, რასისა და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით შერჩეულმა დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთისა და გერმანიის 4 ათასმა მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა. ანგარიშის ავტორების ცნობით, გამოკითხვის ცდომილება დაახლოებით 1,5%-ს შეადგენს.**







გამოკითხულთა უმეტესობამ მსოფლიო სახელმწიფო ლიდერებს შორის საუკეთესოდ, გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი დაასახელა. ყველაზე არაპოპულარულ პოლიტიკოსთა სამეული ასე გამოიყურება: ჯორჯ ბუში, ვლადიმირ პუტინი და მაჰმუდ აჰმადინეჯადი.

გამოკითხულ ამერიკელთა 56, ფრანგთა და გერმანელთა 87 და ესპანელთა 88 პროცენტის აზრით, მსოფლიოში ყველაზე ცუდი პოლიტიკოსი ჯორჯ ბუში გახლავთ. მას კვალში უდგანან ირანისა და რუსეთის პრეზიდენტები. ირანის ლიდერის პოპულარობის რეიტინგი ამერიკაში სულ 6%-ს, ხოლო ევროპაში — კიდევ უფრო ნაკლებს შეადგენს. ვლადიმირ პუტინს დასავლეთში ბევრად მეტი მომხრე ჰყავს. მათგან ყველაზე მეტი — გერმანიაში — 21% და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამერიკაში — 18%. სამაგიეროდ, ანტირეიტინგების მიხედვით, ყოველ გამოკითხულ ქვეყანაში (აშშ-ის გარდა) ვლადიმირ პუტინი მაჰმუდ აჰმადინეჯადზე მეტად როდი უყვართ. კერძოდ, რუსეთის პრეზიდენტს უარყოფითად ახასიათებს გამოკითხულ ფრანგთა 73% (ირანის ლიდერს კი — მხოლოდ 60%), ბრიტანელთა 60% (აჰმადინეჯადს — 53%) და ესპანელთა 81% (აჰმადინეჯადს — 70%).

მართალია, დასავლელი თაყვანისმცემლების რაოდენობით ვლადიმირ პუტინი ჯორჯ ბუშს ნამდვილად სჯაბნის, მაგრამ ყველა სხვა ლიდერს (მათ შორის, თვით უგო ჩავესსა და ფიდელ კასტროსაც კი) საგრძნობლად ჩამორჩება.

სამაგიეროდ, რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რეიტინგში — „წლის ადამიანი“ ვლადიმირ პუტინმა პირველი ადგილი დაიკავა; მეორე ადგილზე ალა პუგაჩოვა, მესამეზე კი — ვიცე-პრემიერი დმიტრი მედვედევი გავიდნენ.

*(Коммерсантъ, რუსეთი)* ■

# სტივენ სპილბერგმა ჰილარი კლინტონს „უღალატა“

სახელგანთქმულმა სტივენ სპილბერგმა და მისმა საქმიანმა პარტნიორებმა აშშ-ის პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატის, სენატორ ბარაკ ობამას მხარდაჭერა გადაწყვიტეს.

20 თებერვალს, ჰოლივუდის სასტუმრო Beverly Hilton-ში, სპილბერგი მოაწყობს მიღებას, რომლის მიზანიც, ობამას წინასაარჩევნო კამპანიისთვის სახსრების შეგროვება იქნება. ამ მიღებაზე მიწვევა უკვე ჰოლივუდის არაერთმა ცნობილმა ვარსკვლავმა მიიღო.

მას შემდეგ, რაც ჰოლივუდის ესა თუ ის ვარსკვლავი 23.000-დოლარიან ბილეთს შეიძენს, მას სალამოს ექვსის ნახევრიდან რვის ნახევრამდე, სასტუმროს ჰოლში სენატორთან შეხვედრის საშუალება მიეცემა. ხოლო მათ, ვინც 20-ზე მეტ ბილეთს შეუკვეთეს, ობამასთან იმ ვახშამზეც მიიწვევენ, რომელიც მალიბუში, სპილბერგის ერთ-ერთი საქმიანი პარტნიორის — დევიდ გეფენის ვილაში გაიმართება.

უნდა აღინიშნოს, რომ სპილბერგმა სერიოზული ფინანსური დახმარება ამერიკის ყოფილ პირველ ლედის — ჰილარი კლინტონსაც არაერთხელ აღმოუჩინა. მაგალითად, 2000 წელს, როცა ჰილარი კლინტონი სენატორის პოსტისთვის იბრძოდა, სპილბერგის კომპანიამ — Dreamworks SKG მის წინასაარჩევნო ფონდს 50 ათას დოლარამდე თანხა გადაურიცხა.

სპილბერგისა და მისი პარტნიორების ამჟამინდელი ინიციატივის კომენტირებისას, რეჟისორის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ენდი სპანმა განაცხადა, რომ თავად სპილბერგს ჯერ ბოლომდე მაინც არ გადაუწყვეტია, თუ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს ვის დაუჭერს.

რაც შეეხება ობამასთან შეხვედრას, მასში ჯორჯ კლუნი, ოპრა უინფრი, ოლივერ სტოუნი, ბენ აფლეკი და სხვები მიიღებენ მონაწილეობას.

*(Lenta.ru, რუსეთი)* ■

# შალვა რჩეულიშვილის ეპოქა გრძელდება

**მეოცე საუკუნის საუკეთესო ადვოკატი, შალვა რჩეულიშვილი გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებს ხალხის ინტერესების დაცვას. მისი სახელობის ფონდი, რომელიც ვახტანგ და მაია რჩეულიშვილების ინიციატივით იქმნება, იურიდიული სახის კონსულტაციებს გაუწევს უცხოეთში, სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ ქართველებს, რომელთაც მშობლიური ქვეყნის კანონმდებლობის არცოდნის გამო, ხშირად ექმნებათ პრობლემები. ფონდის ფილიალები გაიხსნება მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში, სადაც კი ბევრი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს. ასევე, რჩეულიშვილის სახელობის ფონდი დაეხმარება მომავალ ადვოკატებს, სტიპენდიით დააჯილდოებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს.**

*რჩეულიშვილების ოჯახის მიზანია დიდი წინაპრის სახელის, ღვაწლის პოპულარიზაციით ხელი შეუწყოს ადვოკატთა პრესტიჟის ამაღლებას საქართველოში. შალვა რჩეულიშვილის სახელის უკვდავყოფა ფაქტობრივად, მისი გარდაცვალებისთანავე დაიწყო. მისი ოჯახის წევრები და საქართველოს ადვოკატთა კოლეგია უბრალოდ, უფრო მასშტაბურად აგრძელებენ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. ამის მიზეზი ისიც გახლავთ, რომ წელს, დიდ იურისტს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდებოდა.*

*შალვა რჩეულიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ახალგაზრდა კოლეგამ, ზვიად კორძაძემ თქვა, რომ მისი ამ ქვეყნიდან წასვლით, ქართულ ადვოკატურაში მთელი ეპოქა დამთავრდა. ვახტანგ რჩეულიშვილის თქმით, მან მხოლოდ მამა და მეგობარი კი არა, დიდი დამცავი და საყრდენი კედელიც დაკარგა.*

*იმის გამო, რომ შალვა რჩეულიშვილი მხოლოდ საუკეთესო ადვოკატი არ იყო და ადამიანურ ურთიერთობებშიც ყველას თავს ამახსოვრებდა თბილი, მზრუნველი და უშუალო დამოკიდებულებით, მრავალმხრივად დააკლდა ყველას — ოჯახს, კოლეგებს და იმ ხალხსაც, რომელსაც მისი დაცვა სჭირდებოდა. მართალია, დიდი ადვოკატი თავისი განსწავლულობისა და პროფესიონალიზმის წყალობით დიდ თავსატეხს უჩენდა ოპონენტებს, მაგრამ დღეს, სწორედ ამის გამო, ბევრი მათგანი განსაკუთრებულ პატივს სცემს მის ხსოვნას და მადლობასაც უხდის, რადგან საკუთარი მოქმედებით მოწინააღმდეგესაც აიძულებდა, უფრო მეტი ემუშავა კვალიფიკაციის ასამაღლებლად...*

*შალვა რჩეულიშვილის რძალი,* **მაია რჩეულიშვილი:**

— მეგონა, დიდი ადვოკატი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერ მოასწრო თავისი სკოლის შექმნა. თურმე, ვცდებოდი: მას პრაქტიკოსი იურისტების მთელი თაობა აღიარებს თავის მასწავლებლად, რადგან შალვა რჩეულიშვილმა საბჭოთა ეპოქაში შეუძლებელი შეძლო — უდიდესი პროფესიონალიზმით, უკომპრომისობითა და წინააღმდეგობის გაწევის უნარით აიძულა პროკურორები, მოსამართლეები თუ გამომძიებლები, ანგარიში გაეწიათ ადვოკატისთვის და ამავე დროს ეზრუნათ იმაზე, რომ დაეხვეწათ, გაეღრმავებინათ თავიანთი პროფესიონალური ცოდნა... პოლიტიკაში იგი იმ უკომპრომისო ოპოზიციონერს შეიძლება შევადაროთ, რომლისაც ხელისუფლებას ეშინია და ამიტომ ცდილობს, მაქსიმალურად აკონტროლოს თავისი ყველა ნაბიჯი. ბიზნესში ასეთი ადამიანები კონკურენტებს აიძულებენ, მიიღონ და დაიცვან წესიერი თამაშის წესები...

*საინტერესოა შალვა რჩეულიშვილის უმცროსი კოლეგის მოგონება. ადვოკატი ზვიად კორძაძე თურმე, მაშინ ცოცხალი ლეგენდის საწინააღმდეგო მხარეს იდგა:* „ბატონი შალვა მისი ვაჟის, ვახტანგის ინტერესებს იცავდა, როგორც მისი წარმომადგენელი და არა, როგორც მამა. მეორე მხარის ინტერესებს მე ვიცავდი პატივისა და ღირსების შელახვაზე. ამ პროცესმა თავი დამამახსოვრა ძალიან მწვავე გამოთქმებით, შეფასებებით, მაგრამ მთელი პროცესის მანძილზე, არ მახსოვს, ჩვენ შორის ერთხელ მაინც დარღვეულიყოს ეთიკის ნორმა, რაც ჩემი აზრით, მისაბაძი უნდა იყოს ადვოკატებში. პროცესის სიმწვავის მიუხედავად, ჩვენი ურთიერთობა არ გასცდენია პროფესიული ურთიერთობის ფარგლებს. თუმცა, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო მხარის წარმომადგენლებს, როგორც ეთიკური, ისე პროფესიული კუთხით, არსენალში რაც გვქონდა, ყველაფრის გამოყენება დაგვჭირდა. ეს პროცესი, იურიდიული თვალსაზრისით, წააგავდა საჭადრაკო ვერსიას, როცა ერთმანეთის სამი-ოთხი სვლა წინასწარ უნდა გამოგვეცნო.

ხშირად აღფრთოვანებულები ვამბობთ, რომ შალვა რჩეულიშვილს არც ერთი საქმე არ წაუგია: მოგება-წაგების მიხედვით, ამ სასამართლო სისტემაშიც კი არ შეიძლება შევაფასოთ ადვოკატი, არათუ იმ სასამართლო სისტემაში. პროცესის წაგება არაპროფესიონალიზმის პირდაპირადეკ ვატური ვერ იქნება. ამიტომ, წაგებულიც რომ ჰქონოდა ბატონ შალვას რომელიმე პროცესი, ეს არ მეტყველებს იმაზე, რომ მას პროფესიონალიზმი აკლდა ან საქმეს დააკლო რაიმე. ადვოკატის შეფასებისას, ჩემთვის ეს კრიტერიუმი არ არის. თუმცა, რა თქმა უნდა, იდეალურია, როცა მოგება და პროფესიონალიზმი პირდაპირადეკვატურია, როგორც რჩეულიშვილის შემთხვევაში“.

*ამ საოცარი ადამიანის პიროვნულ ხასიათს შესანიშნავად გამოხატავს გამოსათხოვარი წერილი, რომელიც შალვა რჩეულიშვილის გარდაცვალების შემდეგ, აწ განსვენებულ ზაზა დარასელს დაუწერია:* „ლონდონიდან ვეღარ ჩამოგისწარით ცოცხალს, ჩვენო დიდო იმედო! 13 აპრილს, ბრიტანეთის თვითმფრინავს ასაფრენ ბილიკზე სირბილით გამოეკიდე, ხელს ისე გამწარებული გვიქნევდი, რომ ინგლისის უშიშროების თანამშრომლებმაც ვერ შეგაჩერეს — შენ ხომ შენთვის უძვირფასეს ადამიანებს გვამხნევებდი, მხოლოდ შენთვის დამახასიათებელი შეუპოვრობით. მერე, მთელი გზა შენზე ვფიქრობდით, ვიხსენებდით, ასევე რომ გააცილე მრავალი წლის წინ შენი ოჯახი ტალინში და ჩასულებს აეროპორტში დახვდი; ვიხსენებდით, პატარა გოგონამ მარჯანიშვილზე მაღაზიაში კაბა რომ მოიპარა, გასასვლელში დაიჭირეს და შენ გამოესარჩლე, ჩემი შვილია, ჩემთვის უნდა ეჩვენებინაო და სამი კაბა უყიდე; ვიხსენებდით, ჩვენს ოჯახურ წვეულებაზე ერთ-ერთ რესტორანში სრულიად უცხო პიროვნებას რომ შეხვდი და მთელი საღამო თბილად ესაუბრებოდი, შემდეგ ერთად წახვედით. მეორე დღეს გავიგეთ — შენს მეუღლეს გაუსამართლებია და შვიდი წელი მიუსჯია. თურმე, მის ოჯახს უჭირდა, ხუთი შვილი ჰყოლია, მაშინ თქვენც გიჭირდათ, იკლებდით და ეხმარებოდით. ის კაცი იმ დღეს გამოვიდა ციხიდან...

1989 წლის 26 მაისს საქართველოს ტელევიზიის ეკრანზე, „მოამბეში“ პირველად რომ დაიწერა: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ ჩემ გვერდით იდექი, მთელი ქვეყნის დაცვა რომ დამჭირვებოდა, გადამეფარებოდი“.

*შალვა რჩეულიშვილზე იმდენია გასახსენებელი და სათქმელი... ფაქტია, მისი ეპოქა გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება.*



შალვა რჩეულიშვილი და ზაზა დარასელი



# „სექსმონები“... უკრაინიდან

ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან ბრძოლის დონეცკის სამმართველოს თანამშრომლებმა გადაკეტეს არხი, რომლითაც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში უკრაინიდან „ცოცხალი საქონელი“ იგზავნებოდა. ოპერატიულმა მუშაკებმა დონეცკის აეროპორტში ახალგაზრდა ქალებით მოვაჭრე და მისი პოტენციური მსხვერპლი დააკავეს. როგორც გაირკვა, ეჭვმიტანილი გოგონებს სხვადასხვა გზით (მათ შორის, საინფორმაციო საშუალებების მეშვეობითაც) არჩევდა და იბირებდა, შემდეგ დოკუმენტების გაფორმებაში ეხმარებოდა და თვითმფრინავის ბილეთებსაც მათთვის თავად ყიდულობდა. ბოლოს კი, ამ გზით გადაგზავნილ თითოეულ „ერთეულ საქონელში“ 1.000 დოლარსაც იჯიბავდა და საბრალო მსხვერპლის გარდა, ყველა კმაყოფილი რჩებოდა.

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ჩასული, უდოკუმენტებოდ დარჩენილი, გაბრიყვებული გოგონები მთლიანად სუტენიორებზე დამოკიდებულნი ხდებოდნენ და ხშირად იძულებულნი იყვნენ, თავიანთი საქმე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშეც კი შეესრულებინათ.

ამჟამად, ადამიანებით მოვაჭრის მიერ გადაბირებულ გოგონათა ზუსტი რაოდენობა დგინდება. უკვე ცნობილია, რომ ეჭვმიტანილი „სექსმონებს“ მარტო დონეცკის ოლქში კი არა, უკრაინის სხვა რეგიონებშიც ადვილად პოულობდა.

*(news.com.ua, უკრაინა)*

# „მონა ლიზა“ დარდს გადაჰყოლია

მართალია, უკვე ხუთი საუკუნე გვაშორებს იმ დროს, როცა ლეგენდარულმა ლეონარდო და ვინჩიმ თავისი უკვდავი „მონა ლიზა“ დაასრულა, მაგრამ ის, ვინც მისთვის პოზირებდა, დღემდე მაინც ყველა დროის ყველაზე იდუმალ და ამოუცნობ ქალად რჩება.

ლეონარდოს ქმნილების მკვლევართა თავგამოდების წყალობით, უკვე ვიციით, რომ მხატვრის მუზას ლიზა გერარდინი ერქვა და ის ფლორენციული აბრეშუმით მოვაჭრის, ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს მეუღლე იყო. ქალს დაბალი ხმა ჰქონდა და მხატვრის წინ ფეხმძიმე პოზირებდა, ხოლო იმ მომენტში, როცა ლეონარდო მის განუმეორებელ ღიმილს ქმნიდა, მთლად კარგ განწყობილებაზეც არ გახლდათ.

თუმცა, მრავალთა აზრით, ასეთი დეტალიზების მიუხედავადაც კი, ლეონარდოს მიერ შექმნილი პორტრეტის ცხოვრებისეულ კონტექსტს რაღაც მაინც აკლდა. ამ „რაღაცას“ იტალიელმა პროფესორმა, ჯუზეპე პალანტიმ მიაგნო. როგორც თავად მკვლევარი ირწმუნება, ისტორიულ ცნობებზე დაყრდნობით, მან „მონა ლიზას“ ყველაზე სრული და რაც კიდევ უფრო მთავარია, ყველაზე გამართულ-დალაგებული ბიოგრაფია შექმნა.

მას შემდეგ, რაც ფლორენციის არქივებში დაცული ტონობით დოკუმენტი გადააქოთა, ბოლოს და ბოლოს, ამ კირკიტა მკვლევარმაც დაადასტურა, რომ „ჯოკონდა“ ნამდვილად არსებობდა, მას მართლაც ლიზა გერარდინი ერქვა და სწორედ დელ ჯოკონდოს ჰყავდა ცოლად.

მართალია, ლიზას ყმაწვილობის პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციას ვერც პალანტიმ მიაკვლია, მაგრამ მისი გარდაცვალების თარიღის დადგენა ნამდვილად შეძლო. მკვლევრის თქმით, ქალბატონი დელ ჯოკონდო 1542 წელს, 63 წლის ასაკში გარდაიცვალა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ იგი ლეონარდოსთვის სხვადასხვა მონაცემით 1503-1506 წლებში პოზირებდა, პალანტიმ მარტივი გამოთვლების წყალობით ისიც დაადგინა, რომ იმ დროს, ლიზა გერარდინი 24-27 წლის უნდა ყოფილიყო.

ლიზასა და ლეონარდოს ერთმანეთი შემთხვევით ნამდვილად არ გაუცნიათ. როგორც კვლევებით დადგინდა, დელ ჯოკონდოსა და გერარდინის ოჯახები მეზობელ სახლებში ცხოვრობდნენ და ერთმანეთთან შესანიშნავი ურთიერთობაც ჰქონდათ.

თავად ლიზა ჯოკონდო კი დიდად ბედნიერი ქალი როდი გახლდათ. პალანტის მტკიცებით, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მძიმე სენშეყრილი ჯოკონდა ლოგინად ჩავარდნილა. სიცოცხლის ბოლო წლები კი, წმინდა ურსულას მონასტერში გაუტარებია. ის 1542 წლის ზაფხულში გარდაცვლილა. მთელ ფლორენციაში ცნობილი და პატივცემული ქალბატონის ბოლო გზაზე გასაცილებლად თურმე, მონასტრის მთელი მრევლი შეკრებილა.

*(strana.ru, რუსეთი)*

# „ჰარი პოტერი 7“-ში ორი საკვანძო პერსონაჟი მოკვდება

ბრიტანელმა მწერალმა ქალმა — ჯოან როულინგმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჰარი პოტერზე დაწერილ თავის მე-7 წიგნში ორი საკვანძო პერსონაჟის „მოკვლას“ აპირებს.

„დასკვნითი თავი ჯერ კიდევ 1990 წელს დაიწერა, — განაცხადა მწერალმა, — ამიტომაც შესანიშნავად მომეხსენება, თუ რით დამთავრდება ყველაფერი. თუმცა, სამართლიანობისთვის იმასაც გეტყვით, რომ ერთ-ერთ პერსონაჟს სიცოცხლეს აუცილებლად შევუნარჩუნებ, აი, დანარჩენ ორს კი, ნაკლებად გაუმართლებს. თანაც, ისინი აუცილებლად მთავარი გმირები იქნებიან. ჩვენ ხომ წმინდა წყლის ბოროტებასთან გვაქვს საქმე! ჰოდა, საერთო გამარჯვებისთვის დიდი საფასურის გადახდაც მოგვიწევს“.

კითხვაზე — მთავარი გმირი, ჰარი პოტერი თუ გადარჩებაო? — მწერალმა ქალმა პასუხი არაფრით გასცა, თქმით კი, შემდეგი თქვა: „მე შვიდწიგნიანი სერიის დაწერა მქონდა დაგეგმილი, ამიტომ, ადრეულ ნაწარმოებებში ჰარის მოკვლაზე არც კი მიფიქრია. თუმცა, კარგად მესმის ჩემი იმ კოლეგებისა, რომლებიც თავიანთ მთავარ გმირებს მხოლოდ იმიტომ კლავენ, რომ თავიდან აიცილონ სხვა მწერლების ნაწარმოებებში მათი შესაძლო გამოჩენის თაობაზე შემოთავაზებული ნებისმიერი წინადადება...“

ამასობაში კი, ლონდონის ერთ-ერთ ბუკმეკერულ კანტორაში უკვე ფსონებსაც კი ჩადიან იმაზე, თუ როგორ მოკვდება ჰარი პოტერი. იმ შემთხვევაში, თუ „ჰარი პოტერის“ უმთავრესი პერსონაჟი ცოცხალი დარჩება, ფსონი გაუქმდება და დახარჯული ფული მათ პატრონებს დაუბრუნდება.



ფილმი — „ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი“ გაქირავებაში 2007 წლის ივლისში გამოვა. შესაძლოა, ბოლო წიგნიც დაახლოებით ამ დროისთვის გამოვიდეს და ციფრ 7-ს დაუკავშირდეს. ამიტომაც, ვარაუდობენ, რომ ეს 2007 წლის 7 ივლისი იქნება.

*(news.ru, რუსეთი)*



M K

# ნიტრომინტი®

ნიტროგლიცერინი აეროზოლი

## სწრაფი და საიმედო დახმარება სტენოკარდიული შეტევის დროს!

აგერ უკვე 100 წელზე მეტია,რაც სტენოკარდიული შეტევის მოსახსნელად ნიტროგლიცერინი გამოიყენება. დღემდე არ არის ცნობილი სხვა ნივთირება, რომელსაც ასე სწრაფად და საიმედოდ შეეძლოს პირველი დახმარების გაწევა და კატასტროფის თავიდან აცილება.

ნიტროგლიცერინის თვისებებიდან გამომდინარე აბები არც ისე საიმედონი აღმოჩნდნენ: ნიტროგლიცერინი არამდგრადი ნივთიერებაა, ჰაერზე და მზის სხივების ზემოქმედების შედეგად კარგავს თავის აქტიურ თვისებებს. იმისათვის, რომ პაციენტი დარწმუნებული იყოს აბების ეფექტურობაში და საჭიროების შემთხვევაში არ აღმოჩნდეს უმოქმედო აბების ამარა, მან ხშირად უნდა შეცვალოს ნიტროგლიცერინის აბების მარაგი.

ამ უდიდესი პრობლემის თავიდან ასაცილებლად შექმნილია ნიტროგლიცერინის აეროზოლური ფორმა – ნიტრომინტის აეროზოლი.

აქტიური ნივთიერება ნიტროგლიცერინი სითხის სახით მოთავსებულია მეტალის გაუმჭვირვალე ფლაკონში:

- ფლაკონში პრეპარატის 180 დოზაა.
- გააჩნია ზუსტი დოზირების სარქველი, ანუ სარქველზე თითის ერთი დაჭერით გამოიყოფა 0,4მგ ნიტროგლიცერინი, არც მეტი და არც ნაკლები.
- ნიტრომინტის აეროზოლი ნიტროგლიცერინის აბებზე 2-ჯერ მეტად ეფექტური და საიმედოა.
- ვარგისიანია 3 წლის განმავლობაში.
- შეიწოვება მშრალი ლორწოვანი გარსიდანაც კი.
- გააჩნია კარგი ამტანობა.

### როგორ იმოქმედოთ?







## ნიტრომინტი®, აეროზოლი- როცა წამები წყვეტენ ყველაფერს!

გაითვალისწინეთ აბების ხშირად შეცვლის აუცილებლობა და შეადარეთ ნიტრომინტ აეროზოლის ერთი ფლაკონის (180 დოზა) და ნიტროგლიცერინის აბების (180 აბი) ფასი და თქვენ უდაოდ შეაფასებთ ნიტრომინტ აეროზოლის ეკონომიურ უპირატესობასაც.

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალებების გამოყენების ინსტრუქციას

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი
ალმაშენებლის გამზ. 148/II

ს.ს ფარმაცევტული ქარხანა "ეგისი" (უნგრეთი).
წარმომადგენლობა საქართველოში
ალმაშენებლის გამზ. 154, ტელ.: 55 99 06;
ფაქსი: 55 99 07



ის სამსახურიდან, კერძოდ — ერთ-ერთი რადიოდან ხმაურიანად წავიდა. იყო გულისტკენა, იმედგაცრუება... ამასობაში, ჩვენში შოუბიზნესიც „ჩაქრა“. მომღერლები კონცერტებს ველარ მართავდნენ, შესაბამისად, წამყვანიც აღარავის სჭირდებოდა... მან უფუნქციოდ იგრძნო თავი. თან, მატერიალური პრობლემებიც გაუჩნდა. ამიტომ, ცხოვრების ახალი ეტაპის საძებნელად, თავისი გუდა-ნაბდით (ინსტრუმენტებით, ფონოგრამებით, სიმღერებით), დიდი რუსეთისკენ სავალ გზას დაადგა. სიძნელეებთან შესაჭიდებლად მზად იყო და როგორც შეძლო, ისე გაუმკლავდა ცხოვრებისეულ სიურპრიზებს.

ახლა აჩი ფურცელაძე თბილისში ავადმყოფი დედის სანახავად ჩამოვიდა, რომელმაც შვილის აქ არყოფნაში სერიოზული ოპერაცია გადაიტანა. ამ შემთხვევით ვისარგებლე და აჩის მოსკოვური შთაბეჭდილებების ჩვენთვის გაზიარება ვთხოვე...

# „რუსმა მილიციელებმა „აბიზიანნიკში“ ჩამსვეს და „გამამაიმუნეს“...

## აჩი ფურცელაძის მოსკოვური თავგადასავალი

ლალი ფაცია

— სამი დღეა, რაც ჩამოვედი და ამ ხნის განმავლობაში რასაც ვხედავ და მიყვებიან, ვგრძნობ, რომ აქ ისევ ისეთი სიტუაციაა, როგორიც 9 თვის წინ იყო.

**— 9 თვეში ბავშვი იბადება და ახალი სიცოცხლე იწყება...**

— კი, მაგრამ აქ არაფერი მსგავსი არ მომხდარა. მაგრამ მე ამ პერიოდში რაღაც ახალი იდეები, აზრები დამებადა, იმედი ჩამესახა და გზებიც გამოჩნდა. ეს ყველაფერი მოსკოვს უკავშირდება.

**— რა ხდება მოსკოვში შოუბიზნესის სფეროში?**

— იქ ეს სფერო დიდი ხანია, არსებობს და ძალიან მაღალ დონეზეა. აქ რაც იყო, პატარა ჩანასახი, რაღაც გაელვება, ისიც მოკვდა. გასაგებია, რომ მოსკოვი მეგაპოლისია, იქ უდიდესი ფული ტრიალებს და მას ვერასდროს შევედრებით. მაგრამ მუსიკალური თვალსაზრისით, ჩვენ ძალიან წინ ვართ, მაგრები ვართ. ამიტომაც ხელოვანი ქართველები დიდ რუსეთში ყოველთვის ფასობდნენ და დღესაც ასეა.

**— მეგაპოლისში გზა როგორ გაიკვლიე?**

— იქ წასვლა ჩემმა მეგობარმა, უნიჭიერესმა მევიოლინემ, ზვიად გვალიამ მირჩია. მითხრა — ჩამოდი ჩვენთან, რესტორანში იმუშავებო. ზვიადი დიდი ხანია, იქ არის. მაგრამ როცა ჩავედი, კურიოზს მაინც ვერ ავცდი, რადგან მოსკოვის ნაცვლად, „პადმასკოვიეში“, ქალაქ აპრელევკაში აღმოვჩნდი. ის მოსკოვიდან 30 კილომეტრით არის დაშორებული.

**— როგორ რესტორანში მოხვდი?**

— მას „ლესნოე“ ჰქვია, სახელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ტყიური“ სიტუაცია სულაც არ იყო. შენობა ქართული ორნამენტებით გაფორმებული აღმოჩნდა, იქ უამრავი ქართველი დამხვდა. ქართული სამზარეულო, ქართველი მიმტანები გახლდნენ, რადგან მფლობელი აჭარელია... აპრელევკაში ჩემი მოხვედრა სიმბოლური აღმოჩნდა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ აპრელევკაში 26 აპრილს ჩავედი. ჩემს ცხოვრებაში 26 აპრილი მეორე დაბადების დღეა.

**— რას გულისხმობ?**

— იმას, რომ 1986 წლის 26 აპრილს ხევში გადავიჩეხე და ორი სერიოზული ოპერაცია გადავიტანე, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ღვიძლი გამიკერეს. 26 აპრილს მიღებული ტრავმის შემდეგ, ჩემი ორგანიზმის აღდგენა, მისი ახალი სიცოცხლე დაიწყო. ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მაშინ ცნობილი პაციენტი ვიყავი. 6 თვე ვიწექი და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან კეთილი ადამიანები წამლებს მიგზავნიდნენ. ერთხელ ნანა ალექსანდრიამაც მომამარაგა წამლებით. ასე რომ, ბევრმა ადამიანმა მიიღო ჩემს გადარჩენაში მონაწილეობა და გადავრჩი. რადგან 26 აპრილს აპრელევკაში მოვხვდი, ჩემს თავს ვუთხარი — ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი.

**— მართლაც,ააწყვე იქ საქმეები?**

— კი, წაღებული მქონდა ჩემი საქსოფონები, რეპერტუარი და ჩემებურად ვმღეროდი და ვუკრავდი. მაგრამ მერე, თვენახევარში, რატომღაც, რესტორნის მეპატრონემ ქართული ხალხური სიმღერები მოითხოვა. ამ მხრივ, ცოტა მოვისუსტებ, ამიტომ იქიდან წამოვედი და ისევ „პადმასკოვიეში“ აღმოვჩნდი, საკმაოდ ცნობილ ადგილას, რომელსაც ხიმკი ჰქვია. იქ დისკოთეკა-რესტორანი იყო, სადაც მუშაობა დავიწყე. სხვათა შორის, იმავე შენობაში ვცხოვრობდი, რადგან სახლის ქირას სხვაგან ვერ მოვერიე. მაგრამ დისკოთეკა-რესტორნის შენობაში ცხოვრებაც ველარ შევძელი, რადგან საშინელი ხმაური იყო.

**— და იქიდანაც წახვედი?**

— წავედი, ოღონდ — უკვე მოსკოვში. მეგაპოლისს ნელ-ნელა „მივუჩოჩდი“. ჯერ ერთ რესტორანში ვმღეროდი, ბოლოს — „ტიფლისში“, რომელიც საკმაოდ განთქმულია. იქ ბევრი ქართველი მუსიკოსი ვნახე, თბილისიდან, ქუთაისიდან ჩასულები: ელგა ფორჩხიძე, გიორგი წიკლაური, ნიკა ადიკაშვილი... ელგამ რომ დამინახა, იმ მომენტში სცენაზე იდგა; მიკროფონი სხვას მიაჩეჩა და მე გაოცებული მომიბრუნდა. მკითხა — აქ სტუმრად ხარ ჩამოსული თუ სამუშაოდო? — რა თქმა უნდა, სამუშაოდ-მეთქი, — ვუპასუხე. — რაკი შენც აქ ჩამოხვედი, ე.ი. საქართველოში მართლაც არაფერი აღარ ხდებაო.

**— სექტემბერში საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური სიტუაცია სერიოზულად დაიძაბა. დეპორტაციის მსხვერპლი არაერთი ქართველი გახდა და ისინი მოსკოვიდან თბილისში გამოუშვეს. შენ თუ შეგეხო ეს პრობლემა?**

— ამასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემა არ მქონია. ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც გამაჩერეს და საბუთები მომთხოვეს. არადა, ყველაფერი წესრიგში მქონდა მაშინაც და ახლაც. ერთწლიანი სამუშაო ვიზა მაქვს, კომერციულს ეძახიან. მაგრამ რადგან შავგვრემანი ვარ, მაინც არ მომეშვნენ, მითხრეს — „ოტდელენიეში“ წამოდიო. — წავიდეთ-მეთქი, — ვუპასუხე და თამამად წავყევი, რადგან ვიცოდი, ვერაფერს მიზამდნენ.

**— რატომ?**

გაგრძელება იხ. გვ. 12



MK

# უკვდავების წყალი არ არის, მაგრამ სასწაულებს ახდენს...

**დღეს ხალხის ერთ ნაწილს უკვირს, სად დაიკარგა მედეასეული უდიდესი სამედიცინო ხელოვნება, რომელმაც მსოფლიო მედიცინის განვითარებას დაუდო სათავე. საზოგადოებას მიაჩნია, რომ შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს მას შემდეგ, რაც საქართველოში მრავლად გაიხსნა უცხოური არატრადიციული მედიცინის სამკურნალო კაბინეტი და ბაზარი ათასნაირმა, ხშირ შემთხვევაში, ჩინური და ინდური წარმოშობის ფიტოსამკურნალო საშუალებებმა წალეკა. ექიმების უმრავლესობა პაციენტებს რეკომენდაციებს თითქმის არ აძლევს ქართული სამკურნალო საშუალებების გამოყენების შესახებ, ანალოგიური ტექნოლოგიით დამზადებულ უცხოურ პრეპარატებს კი, ისე უწევენ პოპულარიზაციას, თითქოს, წლების განმავლობაში გამოეცადოთ, რომელი რა დადებით ან უკუჩვენებას იძლევა.**

*რატომღაც, ქართველ ექიმებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ ხალხში ძალიან პოპულარული რუსუდან ლომიძის ფიტოსამკურნალო საშუალების მიმართაც, რომელიც დამზადებულია საქართველოს ალპურ ზონებში, უდაბნოსა და სხვა ადგილებში შეგროვებული 110 სახის ბიოლოგიურად სუფთა მცენარისგან, რაზეც დღეს განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ცივილიზებული მსოფლიო. ამასთან, ლომიძის სახელით წარმოებული სამკურნალო საშუალება, მრავალი წელია, ოფიციალურ სამედიცინო კვლევას გადის და 2006 წლიდან ხარისხის სერტიფიკატიც აქვს მინიჭებული.*

*აღნიშნულ სამკურნალო საშუალებას 1984 წლიდან ანუ მას შემდეგ იკვლევენ, რაც ექიმმა ლომიძემ საქართველოს ჯანდაცვის უმაღლეს უწყებას პირველად აცნობა წამლის შექმნის შესახებ. კვლევის პირველი დადებითი შედეგები ჯერ კიდევ 1987 წელს დაფიქსირდა, შემდეგ კი — 1993, 1997 და 2003 წლებში. ამ ხნის განმავლობაში, ლომიძის სამკურნალო საშუალების ექსპერიმენტულ კვლევებში მონაწილეობას იღებდნენ ქართული და რუსული მედიცინის უმაღლესი კლასის ექსპერტები, ლაბორატორიები და სხვა სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები.*

*ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მიერ გაცემულ სერტიფიკატში აღნიშნულია, რომ პრეპარატები „ლომიძე1“ და „ლომიძე2“ აკმაყოფილებს დფს-ების მოთხოვნებს და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებაა.*

*სამეცნიერო კვლევითი დასკვნის შედეგად დგინდება, რომ პარასამედიცინო საშუალება — „ლომიძე1“ მიეკუთვნება დაბალ ტოქსიკურ ნაერთებს. ექსპერიმენტის დროს, ცხოველებში არ იწვევს სისტემურ გვერდით ეფექტებს, არ ავლენს კუმულაციურ ტოქსიკურობას; კონიუქტიური სინჯის დროს, ადგილობრივად გამაღიზიანებლად არ მოქმედებს; ხანგრძლივი გამოყენებისას არ იწვევს ალერგიულ რეაქციებს, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, არ არის გამორიცხული ინდივიდუალური ჰიპერმგრძნობელობის გამოვლინება „ლომიძე1“-ში შემავალი კომპონენტების მიმართ.*

*1993 წელს საქართველოს ონკოცენტრის ჰემობლასტოზებისა და რბილი ქსოვილების, ძვლების განყოფილების ხელმძღვანელებმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებმა — ფირადაშვილმა და ნადირაძემ ოფიციალურად გაუწიეს რეკომენდაცია სპეციფიკური მკურნალობისას ექიმ ლომიძის მიერ მომზადებული ფიტოექსტრაქტებით მკურნალობას.*

*1997 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო უსაფრთხოების ცენტრმა წარმოადგინა ლომიძის წამლის ონკოპროტექტორული მოქმედების, სიმსივნის საწინააღმდეგო ექსპერიმენტალური კვლევის ანგარიში, რომელშიც ნათქვამია, რომ კვლევა საჭირო აღარ არის, პრეპარატი კლინიკური გამოცდისთვის საჭიროებს აქტიურ მეცნიერულ მხარდაჭერას, რაც სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ფიქსირდება. არადა, ლომიძის სამკურნალო საშუალებებმა უკვე უამრავი ადამიანი წამოაყენა ფეხზე.*

„პაციენტმა, გივი მეტივიშვილმა 2006 წლის მაისში მიმართა ვაჟა-ფშაველას №30-ში მდებარე, რუსუდან ლომიძისეულ ფიტოთერაპიულ კაბინეტს, რომელსაც დიდი მკურნალის გარდაცვალების შემდეგ მისი ქალიშვილი, ექიმი მარინა წულუკიძე ღირსეულად ხელმძღვანელობს. მეტივიშვილს უმძიმესი დიაგნოზი ჰქონდა: პანკრეასის თავის სიმსივნე, მეტასტაზური სითხე პლევრაში, მუცლის ღრუში. ჰემოგლობინი 36, ბილირუბინი-265, ნორმა 20-მდეა. ონკოლოგებმა უარი თქვეს მის მკურნალობაზე... 2007 წლის 10 იანვრის მონაცემებით, მეტივიშვილი პრაქტიკულად ჯანმრთელია.

37 წლის ავთანდილ ღლონტს 2002 წელს, გაუვალობის განვითარების შემდეგ, გაუკეთეს ოპერაცია მსხვილი ნაწლავის სიმსივნის გამო. მეტასტაზები უკვე ღვიძლში იყო წასული. 2002 წლის ოქტომბრიდან, პაციენტმა დაიწყო ფიტოთერაპიულ კაბინეტში მკურნალობა და ოთხი წელია, პერიოდულად იღებს დანიშნულებას. ამჟამად, იგი მოხსნილია ონკოცენტრის აღრიცხვიდან (გამოჯანმრთელების გამო).

55 წლის ეთერ კვიჟინაძეს მარცხენა სარძევე ჯირკვლის სიმსივნის დადგენის შემდეგ, ონკოლოგებმა უარი უთხრეს მკურნალობაზე. მეტასტაზები წასული იყო იღლიისა და ლავიწის ფოსოში, ფილტვებში. განვითარებული იყო ექსუდაციური პლევრიტი. 2006 წლის თებერვალში, პაციენტი იყო უმძიმესი, მწოლიარე. ამჟამად, იგი აქტიურია, თავს პრაქტიკულად ჯანმრთელად გრძნობს. აგრძელებს მკურნალობას.

55 წლის ციალა გონაშვილმა 2006 წლის აპრილში ფიტოთერაპიულ კაბინეტში დაიწყო მკურნალობა — მეოთხე ხარისხის კვანძოვანი ტოქსიკური გიგანტური ჩიყვის დიაგნოზით. ჩიყვის მოცულობა იყო სამოცდაცხრამეტი კბ.სმ. 2006 წლის მეათე თვეში მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესებულია, მოცულობა შემცირებულია 27 კბ.სმ-მდე.

გულნაზ ცინცაძეს ჰქონდა C ჰეპატიტის უმძიმესი ფორმა, ციროზი, ასციტი. იწვა, მოძრაობა არ შეეძლო. 2006 წლის იანვარში დაიწყო მკურნალობა. ნოემბერში ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის მიხედვით, იგი პრაქტიკულად ჯანმრთელია და ლომიძის დანიშნულების მიღებას მხოლოდ პროფილაქტიკის მიზნით აგრძელებს.

39 წლის ავთანდილ ცინცაძე უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ჰქონდა C ვირუსული ჰეპატიტის აქტიური ფაზა, ასციტი, პლევრიტი, წოლაც კი არ შეეძლო. სააქციო საზოგადოება „ვერე 21“-ში ჩვენი ერთ-ერთი პაციენტის, ემზარ ჭიბოშვილის მსგავსად, ავთანდილიც აყვანილია აღრიცხვაზე, როგორც პირველი ჯგუფის ინვალიდი. ჩვენთან მკურნალობის შემდეგ, იგი თავს შესანიშნავად გრძნობს, მოძრაობს და ეძებს სამსახურს. აღარც ასციტი აქვს და არც პლევრიტი, — ამბობს **მარინა წულუკიძე**, — ეს არ არის პანაცეა და უკვდავების წყალი, მაგრამ არის წამალი, რომელსაც დაავადება მწვავე სტადიიდან სწრაფად გადაჰყავს რემისიაში და ინარჩუნებს ხანგრძლივ რემისს. ნებისმიერი დაავადებისთვის შექმნილია ათობით ქიმიური პრეპარატი, თუმცა, ყოველი მათგანი თითოეულ პაციენტზე ერთნაირად ვერ მოქმედებს. ეს კი ვერ აკნინებს ამ წამლების თვისებას და ფუნქციას. ვიღაცას თუ კლოფელინმა ვერ დაუწია წნევა და ენაპი მოუხდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ წამლებიდან ერთი კარგია, მეორე კი — ცუდი. ჩვენი წამალიც, სხვა სამკურნალო საშუალებების მსგავსად, პაციენტებზე ინდივიდუალურად მოქმედებს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სენსაციურ შედეგებს იძლევა“.

■

*დასაწყისი იხ. გვ. 10*

— იმიტომ, რომ საბუთის ქსეროასლი გავაკეთებინე და ნოტარიუსში დავამტკიცებინე, რადგან უამრავი შემთხვევა იყო, როცა მილიციელები კავკასიელებს პასპორტში ჩაკრულ ვიზებს უხევდნენ. სხვათა შორის, ეს დათო ხუჯაძემ მირჩია. თვითონაც ქსეროასლი ჰქონდა გაკეთებული. მოკლედ, ხუჯაძის რჩევამ გაამართლა.

**— დათო სად ნახე?**

— დათოს თითქმის ვერ ვნახულობ. ერთადერთხელ მას დაბადების დღეზე შევხვდი, თან დისკის პრეზენტაცია ჰქონდა, სადაც ნატამ, ქეთა თოფურიას დედამ წამიყვანა. იქ ლევან შენგელიაც მოვიდა და ქართველები რომ შევიკრიბეთ, თავზე დავიმხეთ ბარი, სადაც ვიყავით. ქართულად მაგრად „გავახურეთ"...

**— განყოფილებაში შენი ვიზიტი რით დამთავრდა?**

— რამდენიმე საათით „აბიზიანნიკში" ჩამსვეს — „გამამაიმუნეს", რა... სამ საათში უნდა გაერკვიათ — ვინ და რა მისიით




ვიყავი მოსკოვში ჩასული. მე სამი საათის განმავლობაში მეძინა, მერე სიმღერა დავიწყე, თან გისოსებზე რიტმს ვაყოლებდი. რას შვრებიო? — მეკითხებოდნენ. — მუსიკოსი ვარ, ეს ჩემი საქმეა, რა უნდა ვქნა, ვერთობი-მეთქი. 4 საათი რომ გავიდა, შევახსენე — მითხარით, აბა, რა გაარკვიეთ-მეთქი. არაფერსაც არ არკვევდნენ. გადასარევად იცოდნენ, რომ ყველაფერი წესრიგში მქონდა. ისინი ჩემგან ფულს ელოდებოდნენ, დაახლოებით 50 დოლარს და მერე გამიშვებდნენ. ვუთხარი — ფულს ჩემგან ვერ მიიღებთ, რეგისტრაცია მაქვს გავლილი და ყველაფერი წესრიგშია-მეთქი. მოვიდნენ, თითის ანაბეჭდები ამიღეს და თავისებურად „მიხურებდნენ": ახლა, შენს საქართველოში გაგიშვებთო, — მემუქრებოდნენ. მეც არ ვეპუებოდი. მერე, რამდენიმე საათი რომ მაყურყუტეს, როგორც იქნა, გამიშვეს. ბოლოს, გული მოვიოხე, იმდენი ვაგინე და ვლანძღე „ძვირფასი" მილიციელები, რომ...

**— ეი. მილიციელებთან კონფლიქტის სხვა შემთხვევა აღარ გქონია?**

— არა. კიდევ იცი, რამ მიშველა?.. თავიდან, რესტორან „ლესნოიში" ერთი გენერალი გავიცანი — მიხეილ ბერაძე, რომელმაც თავისი „ვიზიტკა" მაჩუქა (სხვათა შორის, იქ რამდენიმე ქართველი გენერალი მაგრად „გრიმიტობს"). ჰოდა, ავდექი და ის „ვიზიტკა" ჩემს დოკუმენტებში ჩავდე. რომ მაჩერებდნენ, მეკითხებოდნენ — შენი ვინ არისო? ვეუბნებოდი — ДЯДЯ-მეთქი... ისე, ქართველები იმ პერიოდში იქ საშინელ მდგომარეობაში ჩაყარეს. ამის მომსწრე ნამდვილად ვიყავი. ბევრს უფუჭებდნენ საქმეს. მე ამ ყველაფერს „გენაცვალეს გენოციდი" დავარქვი.

**— აჩი, წელან, ქეთა თოფურიას დედა — ქალბატონი ნატა ახსენე. ქეთასა და დედამისთან მოსკოვშიც აგრძელებ მეგობრობას?**

— რასაკვირველია. ჩვენი მეგობრობა მოსკოვშიც გრძელდება. ძალიან მიყვარს ქეთა, ჩემი გიჟი გოგო. ის ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და მეც მნიშვნელოვანი ადგილი მიკავია მის ცხოვრებაში. ქეთა ჩემია და მორჩა!

**— მოსკოვში ძალიან პოპულარულია?**

— ძალიან. საერთოდ, „А-სტუდიო" ისეთი პოპულარული, როგორიც ახლაა, ჯერ არ ყოფილა. ამას მე კი არა, მთელი რუსეთი ამბობს და მათი ხელმძღვანელი, კომპოზიტორი ბორიაც.

**— ქეთამ ბოლოს, იმიჯი შეიცვალა — თმა ქერად შეიღება. მოგწონს?**

— თმა ქერად რომ შეიღება, ჩემი ბრალია. ერთხელ მითხრა, ქერა უნდა გავხდეო. მეც მხარი დავუჭირე: მოგიხდება-მეთქი. კარგია, როცა იმიჯს რადიკალურად იცვლი. ვიღაც რომ შემოგხედავს, იტყვის — რა სხვანაირიაო! ეს უკვე კარგია!.. ასე რომ, ჩემი რჩევა გაიზიარა, თუმცა დედამისს, ნატას არ უნდოდა, ეუბნებოდა — თმა გაგიფუჭდებაო, რადგან აქამდე შენაღები არ ჰქონდა. დედა-შვილს სერიოზული კონფლიქტი მოუვიდა...

**— ვინ იმოქმედა ქალბატონ ნატაზე?**

— ქეთამ დამირეკა და მთხოვა — მოდი, დედაჩემი დააწყნარე და დაარწმუნე, რომ ქერა თმა მომიხდებაო. ასე რომ, დედა-შვილს შორის უთანხმოება ბოლოს, მარტივად გადაწყდა — ნატამ დამიჯერა... ნატას სულ ვეკონტაქტები, ხშირად მირეკავს, ვურეკავ. ქეთა კი, თითქმის სულ დაფრინავს, ხან სად არის, ხან — სად. ერთხელ მაგარი სიურპრიზი მოვუწყვე. დილის 7 საათზე უნდა ჩამოფრენილიყო მოსკოვში. წინა საღამოს მათთან სახლში მივედი და დავრჩი. რომ ჩამოვიდა დაღლილ-დაქანცული და კარზე ზარი დარეკა, მე გავუღე. სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდა. ისე ყვიროდა, ნატამ სახლში სულ ძალით შემოაგდო — მეზობლები არ გააღვიძოო!.. რომ გამოეღვიძა და კალთაში ჩამიხტა, ისე, როგორც ადრე ხდებოდა, მივხვდი, რომ არანაირად არ შეცვლილა, ვარსკვლავური დაავადება არ დასწყებია, როგორი „დებილიც" იყო, ისეთივე დარჩა. „დებილს" სიყვარულით ვამბობ... ცხვირი არ აუწევია, დიდი შრომა უწევს, სულ გაწამაწიაშია და მაგრად იღლება. ის 2006 წელს, რადიო „ევროპა+"-ის გამოკითხვის შედეგად, ქალის საუკეთესო ხმად დაასახელეს.

**— შეყვარებული არ ჰყავს?**

— ნებისმიერი ჭორი, რომელიც მასზეა გავრცელებული — თითქოს ვიღაც ჰყავს თუ პლასტიკური ოპერაციები გაიკეთა, — ტყუილია. სხვათა შორის, ვგრძნობ — უნდა, რომ შეყვარებული იყოს, მაგრამ არავინ ჰყავს. ამბობს რუსი — შეყვარებული რად მინდაო?!.

**— გავიგე, ძალიან მაგარი მანქანა უყიდია და თვითონ ზის საჭესთანო, მართალია?**

— კი. მაგრად მაწვალა მაგ მანქანის ყიდვისას. „ნისან-ტიურანია". ჯერ „პეჟო 407" უნდოდა, მერე — „ბეემვე X5". ახლა რაც ჰყავს, საქართველოში პირველად, ლეილა მესხს ჰყავდა. ერთხელ სამსახურში მანქანით მომაკითხა. გავგიჟდი. ჩემს თავს ვუთხარი — რა დრო მოვიდა, ქეთა თოფურიამ მანქანით მომაკითხა-მეთქი!.. თბილისში მანქანით სულ მე დამყავდა. ქეთა საჭესთან რუკით დადის: საშინელი საცობებია, პიკის საათში თუ მოხვდი, საათობით გაჭედვა გარანტირებული გაქვს. დედამისს ეშინოდა მისი საჭესთან დასმა, მაგრამ ამასაც შეეგუა. ისე, მანქანის ყიდვა ვერ მოასწრო და სულ მალე, ცოტათი გაახახუნა კიდეც...

**— შენი პირადი ცხოვრების შესახებ რას გვეტყვი?**

— რატომღაც, როცა აქ ვიყავი, მექალთანის იმიჯი მქონდა. გოგოს გვერდით თუ გავივლიდი, ან ჩემს საცოლედ ნათლავდნენ, ან შეყვარებულად, ან საყვარლად... ასეთი ტიპი — ალბათ, ხვდები — მოსკოვშიც თავს არ დავიჩაგრავდი...

**— ცოლს როდის მოიყვან?**

— ჯერ არა. თუმცა, ის ერთადერთი და განუმეორებელი ჩემს ცხოვრებაშიც აუცილებლად იქნება...

**— ამჯერად თბილისში შენი ჩამოსვლის მიზეზი დედის ავადმყოფობა იყო?**

— თავზე ოპერაცია გაუკეთეს, კისტა ამოჰკვეთეს. საბედნიეროდ, ტრეპანაციას გადაავურჩით... უამრავი ადამიანი დამიდგა გვერდით. ჩემმა მეგობრებმა, მომღერლებმა კონცერტი სპეციალურად იმისთვის გამართეს, რომ სამკურნალო თანხა შეეგროვებინათ. მე-9 საავადმყოფოს ექიმებმა სასწაული გააკეთეს... ახლა ორი კვირით ვარ ჩამოსული.

**— ეი. მოსკოვში მუშაობის გაგრძელებას აპირებ?**

— დიახ. რაღაც პროექტები გამოჩნდა, ახალი სიმღერები მაქვს ჩასაწერი. სიმღერებისთვის ლექსების რუსულ ენაზე წერა დავიწყე. ვნახოთ. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. ერთი ვიცი, რომ მუშაობას მოსკოვში აუცილებლად გავაგრძელებ. ■

# შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

## ქსელში დაწყებული სიყვარულის ამბავი

### გაგრძელებებით

*დასაწყისი იხ. №35-52('06) - 4('07)*



**უკვე ერთი კვირაა, რაც ნატალი გაემგზავრა. მისგან ახალ ინფორმაციას უახლოეს დღეებში ველოდები და რა თქმა უნდა, თქვენც აუცილებლად გაგაცნობთ. მანამდე კი თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებსა და ამბის გაგრძელებას გთავაზობთ, სადაც ნინოს პირად ცხოვრებაზე საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას მიიღებთ. მისი ამბის მოყოლისა და დაწერის თაობაზე ნინოს თანხმობა წინასწარ მივიღეთ.**

*მარი ჯაფარიძე*

„რა ხდება, ხალხო? საქართველოში პატიოსანი ქალის დეფიციტია? მრუშ ქალს ენამოჩლექით რომ აქებთ, დაფიქრდით! მგონი, ტვინი გვაქვს „მოჩლექილი“. ღმერთის გეშინოდეთ. ვალერი“.

„ნატა, მართლაც ძალიან კარგები ხართ შენც და ზურაც. თქვენ რომ ერთმანეთს დაშორდეთ, ძალიან დამწყდება გული. სიბოროტით დაბრმავებულ ხალხს არ მოუსმინოთ“.

„აუ, ნატ, მაგრად მაბრაზებ, რა! გაგვაგებინე, რამდენი ხნით მიემგზავრები? გაიხარე, კარგი გოგო ხარ. პუსკა“.

„ღმერთის სახელით რომ ლაპარაკობთ, 10 მცნება გავიწყდებათ, სადაც წერია, რომ სხვას ნუ განიკითხავთო. რატომ აძლევთ თავს სხვისი განსჯისა და დამცირების უფლებას? წმინდანები ხართ? წინა ნომერში ერთმა თავქარიანმა მკითხველმა ხათუნას ნატალის თმით თრევისკენ მოუწოდა. რამ გაგაბოროტათ, ხალხნო? ეძიეთ და თქვენც იპოვით ჭეშმარიტ სიყვარულს. ვფიქრობ, რომ ასეთ ადამიანებს სულიერება და გრძნობები არ გააჩნიათ. ვიდრე სხვას განსჯით, საკუთარ გულებში ჩაიხედეთ. ნატა, ბედნიერებას გისურვებ, ზურასთან ერთად. თეო“.

„ეს 2 ადამიანი მართლაც გულით შევიყვარე. ძალიან დამწყდა გული, ნატა ამერიკაში რომ მიდის და ისიც ძალიან მაინტერესებს, რა რეაქცია ექნება ამაზე ზურას. თუმცა, ვიცი, რომ გაბრაზდება. კიდევ ერთხელ ვურჩევ, რომ ყურადღებას ნუ მიაქცევენ მათი მისამართით გამოგზავნილ უარყოფით მესიჯებს. კუსკუსა“.

„მარი, ნატა რომ მიდის, ძალიან გული მწყდება. იმედია, აუცილებლად გაგვაგებინებ, როგორ შეხვდა სონა, გააცილა თუ არა ზურამ და როგორ გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. აუცილებლად მოგვიყევი, კარგი?“

„მინდა, ნატას ვურჩიო, ნუ წავა ამერიკაში. ის არ უნდა წავიდეს, თუ ზურა მართლა უყვარს, რადგან ვიცი, რაც არის შეყვარებულთან განშორების სიმწარე. ამ ხალხს კი მინდა, ვკითხო: ამდენი „ბოლმა“ ერთად რამ შეგყარათ? ამ 2 ადამიანს ჭეშმარიტი სიყვარული შეუძლია და ეს სასიხარულოა. ნატა, ზურა მაგარი კაცია და არ დაკარგო. იკა“.

„ნატალის და ზურას სხვისი აზრის მოსმენა რომ სურდეთ, გარშემო უამრავი ჭკუის დამრიგებელი ეყოლებათ. ხალხო, რა ქადაგად დავარდებით ხოლმე, ზურაც და ნატალიც ზრდასრული ადამიანები არიან და როგორმე თვითონ გადაწყვეტენ, თავის პირად ცხოვრებას. ნატ, ამერიკაში უნდა წახვიდე და დარწმუნებული ვარ, თუ სონას დასჭირდები, იქ დიდხანსაც დარჩები. ისე, ხათუნაც არ იქნება ცუდი ადამიანი. უბრალოდ, ერთი საცოდავი ქალია, რომლის ცხოვრების მიზანიც, ფულთან არის დაკავშირებული. ნინო და სონაც საყვარელი ტიპები არიან“.

„ნატალი და ზურა, ბედნიერებას გისურვებთ. თქვენს ამბავს რომ ვკითხულობ, ჩემი თავი მახსენდება და ცრემლებს ვერ ვიკავებ. ინტერნეტით არა, მაგრამ ტელეფონით გაცნობილი ადამიანი კი შემიყვარდა. ბევრი ღამე გაგვითენებია მესიჯების წერაში, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი სიყვარული ცუდად დამთავრდა. თუმცა, კაცი იმედით ცოცხლობს და მეც მაქვს მისი დაბრუნების იმედი“.

„მარი, ჩვენ ამ ამბის გაფართოებას გთხოვთ და შენ სულ შეამცირე? კარგი, რა! ყველაფერს საზღვარი აქვს. ნატალი, ზურას გარეშე ფეხი არ გაადგა ამერიკაში. ხომ იცი, ძალიან გაგიჭირდება. თავს რატომ ართმევ ბედნიერების უფლებას? შენ იმსახურებ დიდ სიყვარულს. გკოცნი, პახუცანა“.

„ხალხო, ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ნატალი ამერიკაში მიდის? მას მოჰბეზრდა თავისი პირადი ცხოვრების საქვეყნოდ გამომზეურება და ამიტომ მოიგონა წასვლა. თანაც, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ზურას დაჟინებული მოთხოვნაც არის. მათ მარისთან ერთად შეადგინეს ასეთი გეგმა. მანამდე მარი სხვა რომანით შეგვაქცევინებს თავს და ნელ-ნელა ნატალისადმი ინტერესიც ჩაცხრება. მარი, თუ არ გინდა, რომ მართლაც ასე ვიფიქრო, გამომიქვეყნე ეს მესიჯი. ნინია“.

„ძალიან მინდა, ზურას და ნატალის ვუთხრა, რომ მათ ბევრ ადამიანს შეაყვარეს თავი. მეც ძალიან მიყვარს ეს 2 ადამიანი და დიდ ბედნიერებას ვუსურვებ. ბასტი“.

„საქმე იმაშია, რომ პირველსავე დღიდან ვგულშემატკივრობ ნატალის და ზურას, მაგრამ ხანდახან ვიფიქრებ ხოლმე, აღარ წავიკითხავ-მეთქი. ხან ერთი მიშლის ნერვებს, ხან — მეორე. რა იყო, რა გჭირთ, ხალხნო? ერთმანეთი რომ გიყვართ, ეგ ხომ ცხადზე ცხადია და რატომ აწყვეტთ ერთმანეთს ნერვებს? არ სჯობია, რომ ტკბილად და გემრიელად გალიოთ წუთისოფელი?“

„ნატა ძალიან მიყვარს, მაგრამ არ იქცევა სწორად, ზურას რომ არ ეუბნება, ამერიკაში რომ მიდის. ზურა ისეთი ტიპია, არ დაუშლის სონასთან წასვლას. ის კი არა და, ხელსაც კი შეუწყობს. ნატ, რა გჭირს?“

„იცით, რა? რომ დავფიქრდები, ნატას არ ვამართლებ ხოლმე, რომ ცოლშვილიან კაცთან აქვს ურთიერთობა, მაგრამ მერე ვხვდები, რომ სიყვარული ისეთი რამ არის, ვერ გაიგებ, ვინ შეგიყვარდება“.

„მოკლედ, იცით, რა მოხდა? როდესაც ნატას და ზურას რომანი დაიწყო, მე ნატაზე ვბრაზობდი. თანაც, ძალიან. იმის მერე დიდი დრო გავიდა და ისე მოხდა, რომ ჩემს ცხოვრებაშიც შეიცვალა რაღაცები. მეც ნატას დღეში აღმოვჩნდი და ცოლიანი კაცი შემიყვარდა. ჰოდა... ახლა აღარ ვამტყუნებ ნა-

## მეც ნატას დღეში აღმოვჩნდი და ცოლიანი კაცი შემიყვარდა. ჰოდა... ახლა აღარ ვამტყუნებ ნატას...

ტას... ხომ სასაცილოა, არა? თურმე საკუთარ თავზე უნდა გამოცადო ყველაფერი და მერე გაიგებ, როგორია. მით უმეტეს, რომ ჩემი საყვარელი ზურასთან ახლოსაც ვერ მოვა. ზურასნაირი რომ იყოს, რა მიჭირს? ჰოდა, აბა, ნატას რომ ასეთი კარგი ტიპი შეუყვარდა, რატომ გიკვირთ? სიმართლე რომ გითხრათ, ახლა მრცხვენია იმ უარყოფითი მესიჯების, რომელიც რამდენჯერმე ნატას მისამართით გამოვგზავნე... კარგად!“

„მარი, ყველაფერი — ყველაფერი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემსავით ბევრს აინტერესებს შენი აზრი ამ წყვილისა და მათი სიყვარულის შესახებ. იქნებ გვითხრა, რას ფიქრობ? გიო“.

„მარი, ამდენი გონებაშეზღუდული და გამწარებული ხალხი სად შეკრიბე? ერთი კითხვა მაქვს შენთან: შენ მოგწონს ნატალის და ზურას საქციელი? თუნდაც, ზურას დის? შენთვის მისაღებია, ეს ყველაფერი? პირადად ჩემთვის, გულის ამრევია თქვენი პერსონაჟებიც და ის ხალხიც, ვინც მათ ფანებად იქცნენ. ეს არის 2 არასტაბილური, არამყარი ადამიანი, რომლებმაც ერთგულებისა და სიყვარულის ფასი არ იციან. ჩემი აზრით, ძალიან სასაცილოები არიან. დიდად დამავალებ, თუ ჩემს დასმულ შეკითხვაზე პასუხს გამცემ. ანი, 20 წლის“.

*საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩემი აზრი ალბათ ძალზე სუბიექტური იქნება. სულ სხვა საქმეა, მისაღებია თუ არა ჩემთვის მათი საქციელი. ვფიქრობ, ყველა ადამიანს აქვს უფლება, აირჩიოს ისეთი ცხოვრების წესი, როგორიც თავად სურს. ჩემთვის შესაძლოა, ხშირად არც იმ ცნობილი რესპონდენტების ცხოვრების წესი იყოს მისაღები, ვისთანაც ინტერვიუებს ვაკეთებ ხოლმე, მაგრამ მაინც ვწერ და თქვენც კითხულობთ. არსებით განსხვავებას ამ შემთხვევაში ვერ ვხედავ. მე მხოლოდ გადმოგცემთ იმას, რაც ამ 2 ადამიანის ცხოვრებაში ხდება. თუმცა, თქვენგან განსხვავებით, მე ორივეს პირადად ვიცნობ. სწორედ ამიტომ, ალბათ უფრო ლოიალური ვარ მათ მიმართ. თქვენ არ გინახავთ ნატას განცდები, ცრემლი, ზურას მომუჭული მუშტი, როცა ნატასთან სიტუაცია იძაბება, მათი თვალები, როდესაც ერთმანეთს უყურებენ... ამ ყველაფრის გადმოცემა ძნელია. ერთმა მკითხველმა, რომელსაც ამბის რეალურობაში ეჭვი ეპარება, მკითხა: საიდან იცი მათი ამბები? ნატას დღიური ხომ არ ჩაგივარდა ხელშიო? ამბავი, რომელსაც მე გადმოგცემთ, თვითონ ნატასგან ვიცი. ალბათ თითოეულ თქვენგანს ხშირად მოუსმენია საკუთარი მეგობრისგან რაიმე ამბავი. სწორედ ასე მიამბობს ნატა, მე კი მას სულ მცირე დოზით „ვამხატვრულებ“ და ისე გადმოგცემთ, რომ საინტერესოდ იკითხებოდეს. ეს არის და ეს. ახლა კი ამბავს განვაგრძობ, რომელიც წინა ნომერში იქ შევწყვიტეთ, როდესაც ზურას ნატალი და ნინო ბაკურიანში მიჰყავს, უკანა სავარძელზე მოკალათებული გოგონები ერთმანეთს ეჩურჩულებიან და ზურა ინტერესდება, რაზე ჭორაობენ ისინი.*

— თუ ჭორიკანა არ ხარ, ქალების საქმეში რატომ ერევი? — შეთქმულივით გამკრა იდაყვი ნინომ. აქაოდა, ხომ კარგად ვუთხარიო. ზურამ თავი გადააქნია, კიდევ ერთხელ გამოგვხედა სარკეში და სიჩქარეს მოუმატა.

— ძურიკო, გენაცალე, არსად გადაგვყარო, მშვიდობით მიგვიყვანე, რააა! — ენა მოვუჩლიქე მე.

— რა იყო, ბიჭო, გვიმეტებ? — ამყვა ნინოც.

— მტერი ჩავარდა თქვენს ხელში. დიდი სისულელე გავაკეთე, როცა თქვენ ერთმანეთი გაგაცანით. — აბუზღუნდა ზურა.

— ისე, ცნობისთვის, ნუ გავიწყდება, რომ ჩვენ ერთმანეთს დიდი ხანია ვიცნობთ. რამდენი ხანია, ნატ? — მომიბრუნდა მე.

— 10 ან 12 წელია.

— გაიგე? — ახლა ზურას მიუბრუნდა.

— ჰოდა, თუ არ გაჩუმდებით, ჩამოგსვამთ ამ შუა გზაში ძველ ნაცნობებს და „პაპუტკას“ გაჰყევით მერე. — დაგვემუქრა დიდი ამბით ზურა.

— უფფ, დიდი ამბავი... ახალი ნაცნობობა კარგია. გამოივლის ვინმე 2 ძმაკაცი, ვინც დასასვენებლად მიდის ბაკურიანში და გაგვაყოლებს... — ნინო აშკარად ანგლობის ხასიათზე იყო.

— ჰო, იქნებ, როგორმე გეღირსოს, გათხოვდე, პატრონს ჩაჰბარდე, კლიმაქსიც „გადააგორო“, შინაბერას სიავემაც გაგიაროს და მეც დამანებო თავი — არ დაინდო ზურამ. ორივემ გადავიკისკისეთ ზურას სიტყვებზე. — ისე, შინაბერას სიმპტომები შენც გქონდა დაწყებული, დროზე გიშველე... მადლობელიც არ ხარ. — ახლა მე გადმომწვდა.

— ჰო, ჰო, შენ ცნობილი „კლიმაქსოლოგი“ და შინაბერობის დიდი მკურნალი ხარ... თუ სადმე გასასაღებელი ქალია, შენ უნდა გაასაღო... — არ დამაცადა პასუხი ნინომ.

— მე ვარ გასასაღებელი? — აღვშფოთდი მე.

— ეგეც შენ! ეგეც შენი ნაქები და საყვარელი ნინო, — გახალისდა ზურა.

— არა, არა, შენ არა! ვაღიარებ, რომ ამ ბოლო დროს, ზურას გემოვნება დაეხვეწა, — ისევ გადაიკისკისა ნინომ. — ხომ არ გეწყინა, გოგო?

— მეწყინა... — გავბერე ტუჩები.

— არა უშავს, გაგივლის. — ხელი ჩაიქნია ნინომ. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. თითოეული ჩვენგანი თავის ფიქრებში ჩაიძირა. ამასობაში ადგილზეც მივედით. ბაკურიანში მზიანი ამინდი იდგა და ძალიან ცოტა თოვლი იყო. ზურამ ერთ-ერთ სასტუმროში მიგვიყვანა, სადაც, როგორც გაირკვა, წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი ნომერი. იმ დღეს ცოტა გავისეირნეთ და სასტუმროში დავბრუნდით. გვიანობამდე ვისხედით ტელევიზორთან და კარტიც ვითამაშეთ.

— მეძინება, — გამოაცხადა ბოლოს ნინომ.

— წამოდი, შენს ნომერში გაგაცილებ. — წამოდგა ზურა.

— რა, მარტომ უნდა დავიძინო? — გაპროტესტება სცადა ნინომ.

— თუ გინდა, შენ დარჩი ნატასთან და მე დავიძინებ მარტო. — არ გაუტეხა ხათრი ძმამ.

— არა, წავალ. თქვენ აქ დარჩით. შენ რომ წახვალ, მერე გადმოვბარგდები ნატასთან. ჩანთიდან სალამური და საჭირო ნივთები ამოალაგა, იღლიაში ამოიჩარა და ოთახიდან გავიდა. ზურაც უკან მიჰყვა.

დილით კარზე ბრახუნმა გაგვაღვიძა. ნინო იყო. უკვე ჩაცმული გახლდათ. ქაქანით შემოიჭრა ოთახში.

— ადექით, საუზმე აქ 9-დან 11-ის ნახევრამდეა, თუ დროზე არ ჩაიცვით, სასადილოს დაკეტავენ და დავრჩებით მშივრები.

— ჰო... რაღა გვეშველება მერე? თუ აქ არ ვისაუზმეთ, მოვკვდებით შიმშილით. — დასცინა ზურამ.

— აქ ძილისთვის ჩამოხვედით? თბილისში გძინებოდათ, ამხელა გზა რომ არ გამოგევლოთ.

— აქ სუფთა ჰაერზე გვძინავს. — ახლა მე გავეპასუხე და წამოვდექი.

— ჰო, მე რომ არ წამოგყაროთ ფეხზე, თქვენ მთელი დღე ინებივრებთ, რა გიჭირთ, რა! — მანამდე იბუზღუნა, სანამ ორივე არ ავდექით და ჩაცმა არ დავიწყეთ.

სალამო ხანს ზურა გავაცილეთ თბილისში და ჩვენ სასტუმროში დავბრუნდით. ნინო ჩემს ოთახში გადმობარგდა და თავისი ნივთების დალაგებას შეუდგა. ვატყობდი, რომ მოუსვენრად იყო. მობილურის თითოეულ ზარზე არაბუნებრივი რეაქცია ჰქონდა. არ ვიმჩნევდი და არაფერს ვეკითხებოდი. გამახსენდა, გზაში რომ მითხრა, სიურპრიზი გე-

ლისო და მივხვდი, რომ ეს ღელვა და ფორიაქი სწორედ ამ სიურპრიზთან იყო დაკავშირებული. ველოდი, თავად როდის ამოიღებდა ხმას. ძილის წინ აბაზანაში შევედი. იქიდან გამოსულმა ნინოს სატელეფონო საუბრის ბოლო ფრაზებს მოვკარი ყური.

— კარგი, დილით დაგირეკავ... გკოცნი... შევთანხმდით... — ნინომ გამომხედა და ყურმილი დაკიდა.

— ვინ იყო? — ვკითხე, რადგან მინდოდა, ბიძგი მიმეცა, საუბრის დასაწყებად.

— მოგიყვები. — მოკლედ მომიჭრა და საბნის ქვეშ შეძვრა. მეც ჩემს საბანში გავეხვიე, მისკენ გადავბრუნდი და ამბის მოსასმენად მოვემზადე.

— რასაც ახლა მოგიყვები, ჩვენ შორის უნდა დარჩეს. ზურამ არ უნდა გაიგოს.

— კარგი, გპირდები.

— 17 წლის ვიყავი, როდესაც ერთი ბიჭი შემიყვარდა. ის ჩემზე 4 წლით უფროსი და ზურას მეგობარი იყო. მთელი 4 წელი გვიყვარდა ერთმანეთი. მერე ისე მოხდა, რომ მის შესახებ ჩემმა ოჯახმა გაიგო. ერთადერთი, რასაც გარდაცვლილ დედას ვერ ვაპატიებ, ის არის, რომ ირაკლისთან დამაშორა. დედაჩემი მშვიდი, მუდამ ქმრის მორჩილი ქალი იყო, მაგრამ ჩემს შეყვარებულთან დაკავშირებით ისეთი სიმტკიცე გამოიჩინა, რომ მამაჩემიც კი გაოცებული დარჩა. მამა ამბობდა, როგორც უნდა, ისე მოიქცეს, თუ უყვარს, მე არ შევეწინააღმდეგები, მერე რა, თუ ღარიბი ოჯახიდან არის, ჩვენ საკმარისი ქონება გვაქვს, გვერდით დავუდგები სიძეს, გზაზე დავაყენებ, გარეგნობით ნამდვილად არ დაიწუნება და მომავლის შექმნაში მე დავეხმარებიო. დედა კი ამის გამო სულ ცოფებს ყრიდა. ცალკე მამაჩემს ეჩხუბებოდა, ცალკე — მე. მაშინ ზურას უკვე ჰყავდა ცოლი. დედა ამბობდა: — ჯერ იყო და ისეთი რძალი შემომივიდა ოჯახში, რომელიც არ მომწონდა, ახლა კიდევ, სიძეც ჩემი დაწუნებული უნდა იყოსო? დედაჩემის აზრი რძლის შესახებ ხათუნამაც იცოდა და შესაძლოა, ამიტომაც აიცრუა ოჯახზე გული. ალბათ ფიქრობდა, აქ დიდხანს მაინც არ გამაჩერებენ და სანამ დროა, რაც შეიძლება, მეტი გამოვძალოო. მერე კი ეს თვისება ჩვევაში გადაეზარდა.

— და დედაშენმა იმდენი ქნა, რომ შენ და ირაკლი ერთმანეთს დაგაშორათ? — არ მომეწონა, ხათუნაზე რომ ჩამოაგდო სიტყვა და ძველ კალაპოტში დავაბრუნე საუბარი.

— კი, ირაკლი ისე დაიბარა, რომ არავინ არაფერი იცოდა და დიდი ლექცია ჩაუტარა. შეურაცხყოფა არ მიუყენებია, თბილად და ტკბილად აუხსნია, რომ ჩემზე არ უნდა ეოცნება იმიტომ, რომ მე საქმრო მყავდა და გათხოვებას სხვაზე ვაპირებდი. ამის დასტურად, იმ ბიჭის ფოტოც უჩვენებია, რომელიც მართლა მოსწონდა სასიძოდ.

— და ირაკლიმ დაიჯერა?

— ჰო... სამწუხაროდ, დაიჯერა. ის ნელ-ნელა ჩამომშორდა, შეიცვალა, დამცინავი და ირონიული გახდა ჩემ მიმართ. ზურასაც ჩამოშორდა.

— ზურა რა აზრის იყო თქვენს ქორწინებაზე?

— ზურა იყო ჩემი მესაიდუმლე. მან თავიდანვე იცოდა ყველაფერი და არც არჩევანს მიწუნებდა, რადგან ირაკლისთან დიდი ხნის განმავლობაში ძმაკაცობდა; იცოდა, რომ ძალიან კარგი ადამიანი იყო და მართლა ვუყვარდი. თუმცა, ვერც ზურა გახდა ვერაფერს დედაჩემთან ბრძოლაში.

— მერე? გააგრძელე, ძალიან მაინტერესებს, რა მოხდა...

— მერე ირაკლიმ უნივერსიტეტი დაამთავრა და დისერტაციის დასაცავად მოსკოვში გაემგზავრა. ამას საერთო ნაცნობებიდან ვიგებდი, თორემ ჩვენ ერთმანეთთან კავშირი აღარ გვქონდა და არც ის ვიცოდი, რომ ამ ყველაფერში დედაჩემის ხელი ერია. წლები ისე გავიდა, რომ ირაკლის შესახებ არაფერი გამიგია. ზურაც ერიდებოდა ჩემთან მასზე ლაპარაკს. დედაჩემის მოწონებულ სასიძოზე, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი. იმის გარდა კიდევ ბევრი მამაკაცი დავიწუნე. ჩემი გაუთხოვრობის რეალური მიზეზი, მხოლოდ ზურამ იცოდა და ყოველთვის თანამიგრძნობდა. — ერთხელაც ვინმე შეგიყვარდება, აი, ნახავ, თუ ასე არ იქნებაო, მეტყოდა ხოლმე. ამ 2 წლის წინ, ერთ მშვენიერ დღეს შინიდან გამოვედი და ჩემი კორპუსის გვერდით მდგარი მანქანა შევნიშნე, საიდანაც ვილაც კაცი დაკვირვებით მათვალიერებდა. ძალიან დავიბენი, რადგან ეს კაცი ძალიან ჰგავდა ირაკლის. ლამის გული მკერდიდან ამომიხტა, მაგრამ თან თავს ვიმშვიდებდი — ირაკლი არ იქნება, რადგან ამ სახლში სულ 3 წელია, ვცხოვრობ და მისამართს ვერ დაადგენდა-მეთქი. შინაგანად კი მჯეროდა და მინდოდა კიდეც, რომ ეს კაცი ირაკლი ყოფილიყო. გაჩერებაზე დავდექი. მინდოდა, უკან მომეხედა, მაგრამ ვერ ვბედავდი. ამ დროს ის მანქანა ჩემ წინ გაჩერდა, იქიდან მამაკაცი გადმოვიდა, მომიახლოვდა და სანამ რამეს მეტყოდა, კისერზე ჩამოვეკიდე. — „ირაკლი, შენ? აქ რა გინდა? როდის ჩამოხვედი?“ — დავაყარე კითხვები. ის კი იდგა და მიცინოდა. მის მანქანაში მოვკალათდი, სულ დავიწყებული მქონდა, რომ მასზე გაბრაზებული ვიყავი და როდესაც გონებაში ჩვენს შესაძლო შეხვედრას წარმოვიდგენდი ხოლმე, ვფიქრობდი, რომ გულისწყრომას აუცილებლად გამოვხატავდი და არც კი გავუღიმებდი. ახლა კი გაბადრული ვიჯექი მის გვერდით და ენას არ ვაჩერებდი. როცა შეყვარებულები ვიყავით, სულ ვიმალებოდით ხოლმე. ამიტომ, ერთი მყუდრო ეზო გვქონდა ამორჩეული, სადაც სკამზე ვისხედით ხოლმე და ვჩურჩულებდით. ახლა ირაკლიმ სწორედ იმ ეზოში შეიყვანა მანქანა. ჩვენი სკამი ისევ იქ იდგა. მისი მიპატიჟება არ დამჭირვებია, მანქანიდან გადავედი და სკამისკენ გავემართე. ირაკლიც გვერდით მომიჯდა. ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით. მერე პირველმა მან ამოიღო ხმა.

— რატომ არ გათხოვდი, ნინო? მე რომ მგონია, იმიტომ, თუ სხვა მიზეზი გქონდა?

— შენ რა გგონია?

— მე მგონია, რომ ისევ მე გიყვარვარ და იმიტომ არ გათხოვდი.

— შენ სწორად გგონია... ჭკვიანი ბიჭი ყოფილხარ, — მაინც ვუკბინე.

— ჰო, ჭკვიანი რომ ვარ, იმიტომ მივხვდი მაშინვე, რომ დედაშენმა მომატყუა და არავითარი საქმრო არ გყავდა, მაგრამ იმასაც მივხვდი, რატომ მატყუებდა. არასასურველი სიძე ძალიან ძნელი ასატანია... ამიტომ, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო და... — ძალიან გამაბრაზა მისმა მსჯელობამ. იმ საღამოს ბევრი ვიკამათეთ. ერთმანეთს ვუმტკიცებდით, რომ დამნაშავე არ ვიყავით, რომ ყველაფერი ბედისწერის ბრალია და ა. შ. იმავე საღამოს ერთმანეთს კვლავ ავუხსენით სიყვარული და ირაკლიმ გადაწყვიტა, რომ მოსკოვიდან საბოლოოდ გადმობარგდებოდა თბილისში და ჩვენ ერთად ვიცხოვრებდით ანუ დავქორწინდებოდით.

— არც მას მოუყვანია ცოლი?

— არა... არც მას... — მითხრა და გაჩუმდა. ცოტა ხანს ვაცალე ფიქრი, მერე კი ისევ ვკითხე:

— ახლა, ზურას აქ ყოფნა-არყოფნა რას წყვეტდა?

— ზურამ ყველაფერი იცოდა, მანამ, ვიდრე ირაკლი მოსკოვში გაემგზავრებოდა. ის ამბავი, რომ ჩვენ ამდენი წლის შემდეგ ერთმანეთს შევხვდით, არ მითქვამს. ახლა, უკვე 1 კვირაა, რაც ირაკლი სულ დაბრუნდა. როდესაც გაიგო, რომ ბაკურიანში მოვდიოდით, მითხრა, რომ

**გამახსენდა, გზაში რომ მითხრა, სიურპრიზი გელისო და მივხვდი, რომ ეს ღელვა და ფორიაქი სწორედ ამ სიურპრიზთან იყო დაკავშირებული**

თვითონაც ჩამოვიდოდა. ზურასთან შეხვედრა კი ჯერ არ უნდა და არც მე მინდა... ახლა გზაშია, აქ მოდის, მაგრამ ამაღამ არ შეგვაწუხებს. დილით კი, აუცილებლად გაგაცნობ. ზურას ირაკლი ჯერ კიდევ მოსკოვში ჰგონია და წარმოდგენა არა აქვს, რომ ის სამუდამოდ ჩამოვიდა თბილისში, სამსახურიც იშოვა და საკუთარი საქმის დაწყებასაც გეგმავს. — მე თავს ვუქნევდი და მის ნაამბობზე ვფიქრობდი. ძალიან მაინტერესებდა, როგორი იყო ირაკლი და ვცდილობდი, ჩემს წარმოდგენაში მისი პორტრეტი დამეხატა.

დილით ნინოს საუბარმა გამაღვიძა. ტელეფონზე ლაპარაკობდა. როდესაც მობილური გათიშა, მე მომიბრუნდა:

— წამოდი, ვისაუზმოთ, ირაკლიც იქ არის. ჩვენს სასტუმროში დაბინავებულა და გველოდება.

უცებ გავემზადე და ორივენი სასადილოსკენ დავირაზმეთ. შევედი თუ არა, მაშინვე მოვავლე თვალი იქ მყოფთ. ერთი მაღალი, სიმპათიური მამაკაცი წამოდგა და ჩვენკენ გამოემართა. ჯერ მე ჩამომართვა ხელი, მერე ნინო გადაკოცნა და მაგიდისკენ გაგვიძღვა. სასადილოში შვედური მაგიდა ჰქონდათ. საჭმელ-სასმელი კედელთან მიდგმულ მაგიდაზე იყო გაწყობილი და შენ თვითონ უნდა ამოგერჩია, რას შეჭამდი. იქ ცოტა ხანს დავყავით, მერე ირაკლი ყავაზე დავპატიჟეთ ჩვენს ნომერში. თითქოს დაძაბულები იყვნენ. ვგრძნობდი, რომ ჩემი იქ ყოფნა აკომპლექსებდათ. ნინომ საუბარი ჩემსა და ზურაზე ჩამოაგდო და ირაკლის ლამის დაწვრილებით მოუყვა ჩვენი რომანის შესახებ. ზურას ხსენებაზე ირაკლი თითქოს დაიძაბა.

— მოდი, გავისეირნოთ. — ისე თქვა, რომ მივხვდი, თემის შეცვლა უნდოდა. უკვე დილის 11 საათი იყო. გარეთ გასულს ძალიან მესიამოვნა თოვლის თავისებური სუნი და ზამთრის სუსხი. ირაკლი კომპლექსებისგან გათავისუფლდა, ხუმრობდა, იცინოდა, მეც მეხუმრებოდა და ძალიან კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა ჩემზე. ცოტა ხანში ზურამ დარეკა.

— როგორ ხართ?

— კარგად. შენ როგორ იმგზავრე?

— მშვენივრად ჩამოვედი. ახლა დავამთავრე თათბირი და დავრეკე. წუხელ ხომ არავინ შეგაწუხათ?

— არა, ვის უნდა შევეწუხებინეთ?

— რა ვიცი, ათასი გიჟი და გადარეული დადის. ნატ, ირაკლი დამალაპარაკე...

— რაა? ვინ? — პირი დამრჩა ღია, მაგრამ მაინც არ შევიმჩნიე.

— ირაკლი...

— ეგ ვინღაა? — პირველ ჩვენებას ვაწვებოდი მე. — შენ მგონი ეჭვიანობისგან გაგიჟდები, ხომ იცი...

— კარგი, მაშინ ნინო დამალაპარაკე. — ტელეფონი ნინოს მივაწოდე და თან თვალით ვანიშნე, რომ რაღაც ხდებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნინო ვერ მიხვდა, რა ვანიშნე.

— ჰოოოუ! — მხიარულად ჩასძახა ყურმილში და უცებ შეეცვალა სახე. — შშშენ ვინ გითხრა? საიდან იცი? — ბრინჯივით დაიბნა ნინო. — ირა, შენთან უნდა ლაპარაკი. — უთხრა შეშფოთებულმა და ტელეფონი მიაწოდა. ირაკლიმ მშვიდი სახით გამოართვა, მოშორებით გავიდა და კარგა ხანს ელაპარაკა ზურას. ჩვენ არ გვესმოდა მისი საუბარი. ნინო კი ძალიან ნერვიულობდა.

— გოგო, ხედავ, რა ოხერია? საიდან გაიგო, ნეტავ? აუუუუ... როგორ არ მინდოდა, რომ ჯერ მის ყურამდე მისულიყო ეს ამბავი. — ოხრავდა გამწარებული — მოკლედ, ვერაფერს გამოაპარებ. ნამდვილი სატანაა...

— კარგი, ნუ ნერვიულობ. დარწმუნებული ვარ, ზურა არ იქნება თქვენი შეხვედრის წინააღმდეგი. — ვამშვიდებდი მე და მართლა ძალიან მიკვირდა, საიდან უნდა გაეგო ზურას ირაკლის აქ ყოფნის ამბავი.

— ელაპარაკე, შენთან უნდა საუბარი. — მომიახლოვდა ირაკლი ცოტა ხნის შემდეგ და ტელეფონი მომაწოდა. სახე უცინოდა და განწყობილების გაფუჭება არ ეტყობოდა. ამიტომ მეც უცებ დავმშვიდდი.

— გისმენ, ზურა. — ისე ჩავძახე ტელეფონში, რომ ირაკლისთვის თვალი არ მომიცილებია.

— დარჩით მარტო და ფრთები გაშალეთ, არა? ჩამოვალ 3 დღეში და ჩემს კანონებს დაგიმყარებთ. უყურე ამათ! — ბობოქრობდა ზურა, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, რომ გაბრაზებული არ იყო.

— ჩემს თავს გაფიცებ, მითხარი, საიდან მიხვდი, რომ ირაკლი ჩვენთან ერთად იყო?

— თქვენ მე რა უნდა გამომაპაროთ? გუშინ, თბილისში რომ ვბრუნდებოდი, გზაში მანქანა შემომხვდა. საჭესთან კი ეგ ვაჟბატონი იჯდა. მერე გამახსენდა ნინო დაჟინებით რომ მეკითხებოდა, როდის დავბრუნდებოდი უკან. ისიც გამახსენდა, როგორ უყვარდათ ერთმანეთი და ყოველგვარი შემთხვევითობა გამოვრიცხე. მივხვდი, ირაკლის და ნინოს პაემანი ჰქონდათ დათქმული. მე იმის გამო ვბრაზობ, რომ დამიმალეს. ნუთუ ნინოს ეგონა, რომ მე ვერ გავუგებდი?

— აპირებდნენ თქმას, მაგრამ ვერ მოასწრეს. — ვცადე მათი გამართლება...

— კარგი, კარგი, შენც კარგი ოხერი ხარ... გკოცნი და ყურადღება მიაქციე... მაგ პროფესორამ ჩემი და მანდ რომ გაჟიმოს, პასუხს შენ მოგთხოვ... — გულიანად გამეცინა. წინ წასულმა წყვილმა ჩემკენ მოიხედა. რა ხდებაო? — ხელით მანიშნა ნინომ. ზურას დავემშვიდობე და ტელეფონი გავთიშე. მერე ისევ გადავრეკე.

— კი, მაგრამ, რომ არ გითქვამს, რომ გენატრები? — ვკითხე ზურას.

— მენატრები, პატარავ, ძალიან მენატრები... მალე გნახავ... — ტელეფონი დამშვიდებულმა გავთიშე და ნინოს და ირაკლის წამოვეწიე. რა თქმა უნდა, კითხვები დამაყარეს. მე მათი ცნობისმოყვარეობა ბოლომდე დავაკმაყოფილე.

— ისე, სიმართლე რომ გითხრათ, შვებით ამოვისუნთქე — თქვა ირაკლიმ.

— ზურამ რომ ყველაფერი გაიგო, იმიტომ, ხომ? — შესცინა ნინომ, — მეც, მეც ამოვისუნთქე. — დაამატა მერე.

მშვენიერი წყვილი იყო. ერთმანეთს უხდებოდნენ და მეც მათთან ერთად მიხაროდა, რომ ყველაფერი ასე კარგად აეწყო.

რამდენიმე დღემ უცებ გაირბინა. თითქმის დღედაღამ ერთად ვიყავით. მე, ნინო და ირაკლი. მათ რომ ვუყურებდი, ჩემი და ზურას ურთიერთობა მახსენდებოდა და ხშირად მეღიმებოდა ამის გამო.

როგორც იქნა, დადგა ის დღე, როცა ზურა უნდა ჩამოსულიყო. იმ დილით წყვილს ნერვიულობა ეტყობოდა. მე კი ძალიან მიხაროდა, რომ სულ მალე ვნახავდი. ჩვენი ურთიერთობის დაწყებიდან პირველი შემთხვევა იყო, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ზურა არ მენახა. მთელი 4 დღე იყო გასული და ისე მენატრებოდა, ლამის მეტირა. მახსენდებოდა, რომ სულ მალე სონასთან ვაპირებდი წასვლას და ვხვდებოდი, რომ ძალიან გამიჭირდებოდა ზურას გარეშე. როცა წასვლაზე ვფიქრობდი, გული მიმძიმდებოდა, რადგან წინ მძიმე დღე მელოდა — ის დღე, როცა ზურას ვეტყოდი, რომ ცოტა ხნით მარტო უნდა დამეტოვებინა. შუადღისთვის ზურა ჩამოვიდა. ამ დროს მე და ნინო მარტო ვიყავით ოთახში. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, ზურამ ირაკლი მოიკითხა:

— სად არის ის ყაჩაღი?

— დავუძახო? — ჰკითხა ნინომ და პასუხს არ დაელოდა, ტელეფონს დასწვდა და ირაკლის დაურეკა. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და ირაკლი შემოვიდა. არასოდეს მინახავს მამაკაცების ასეთი შეხვედრა, ჩახუტება, ერთურთის ნახვით გამოწვეული სიხარული. უცებ შექმნეს თავისი სამყარო ოთახში. ვერავის ამჩნევდნენ. ხარბად ეკითხებოდნენ ერთმანეთს ამბებს და ჩვენი არსებობა დაავიწყდათ კიდეც.

— წამოდი, ნატალი, სადმე ყავა დავლიოთ. ესენი ჩვენთვის კარგა ხანს ვერ მოიცლიან. — ორივემ პალტოები შემოვიცვით და დაბლა ჩავედით. სასტუმროს წინ პატარა, მყუდრო კაფე იყო და იქ შევედით. ის იყო, მაგიდასთან დავსხედით, რომ ნინომ იდაყვი გამკრა და თავით გზისკენ მანიშნა:

— შეხედე, ვინ მოდის... აქ დიდი ამბავი ატყდებააა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ორკილომეტრიან ზოლს შეწირული სიცოცხლე ანუ ფიჭვნი ჩვენია თუ სხვისია?

ეთერ თარიმანი

თითქოს გუშინ იყო — არადა, მას შემდეგ ექვსი წელი გაილია. ასეა: როცა სხეულის ნაწილს კარგავ, დრო ჩერდება, ტკივილი მუდამ თან გდევს...

ცალკე ხევსურები და ცალკე მთელი საქართველო მაშინ დიდად აღაშფოთა რუსეთის მხრიდან ხევსურეთის უბანზე საზღვრის 2 კილომეტრით გადმოწევამ. საზღვრის შეცვლა არც მესაზღვრის კომპეტენციაა და არც ორი, თუნდაც ათი კაცის გადასაწყვეტი. ეს სახელმწიფოებრივი საკითხია და ქართველ ხალხს იმის ათასნაირი საბუთი აქვს, რომ ხევსურეთის უკიდურესი ჩრდილო ნაწილი — ფიჭვნი ოდითგანვე მისი განუყოფელი ნაწილი იყო. ჩეჩნეთის ომის დროს კი, ცისფერჩაფხუტიანებს მოეპრიანათ და ათიოდე ქართველი მესაზღვრე მშობლიური მიწიდან ისე დაიფრინეს, არც რუსთ „ხელმწიფეს“ შეჰკითხვიან, არც საქართველოს ხელისუფლებას.

ატყდა ერთი ალიაქოთი. თავად რომ ვერაფერს გახდნენ, ჩვენმა სამხედრო ჩინოსნებმა საზღვრის „ლაჩრულად“ მიტოვება ჯარისკაცებს გადააბრალეს. შატილის თემის იმჟამინდელმა გამგებელმა, რომელმაც ვითომ უკან დახევის ბრძანება გასცა, ბევრი იფიცა, მაგრამ მის კაცურ სიტყვას ყური არავინ დაუგდო. სიმართლე რომ ვერ იპოვა, სირცხვილს სიკვდილი ამჯობინა...

რუსეთ-საქართველოს ამ მონაკვეთზე საზღვრის გამო ატეხილი აურზაური უკვე მინელდა. ფიჭვნში კი რუსი ცისფერჩაფხუტიანები დღესაც „ბაირამობენ“. თუმცა, მაინც გაიჟღერებს ხოლმე ინფორმაცია, რომ ფიჭვნი თურმე, რუსეთის ნაწილი ყოფილა და იგი ქისტებსა თუ ჩეჩნებს მთის დაუწერელი კანონით, საძოვრებად დაუთმიათ მეზობელი ხევსურებისთვის. თანაც, სამხედრო და ტოპოგრაფიულ რუკებზე, ეს დაფიქსირებულიც კი ყოფილა. ამ ფაქტის გასაბათილებლად თავის დროზე გამოცხადდა ძველი რუკების ძებნა, რითიც სამართლიანობა უნდა დადგენილიყო. რუკებს ეძებდნენ ყველგან — არქივებში, რუსეთშიც კი... გაცხადდა თუ არა ეს ამბავი, ამ წერილის ავტორმა ორი რუკა მოიძია: ერთ-ერთი — შემუშავებული საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო დაგეგმვისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს მიერ, რომელზეც დატანილა საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციული საზღვრები 1938 წლის 1-ელი იანვრისათვის. აღნიშნული რუკა, 1929 წელს გამოცემული, საქართველოს ადმინისტრაციული რუკის ანალოგია, რომელიც სამამულო ომის პერიოდში აიკრძალა და დახურულად გამოცხადდა; მეორე — 1931 წელს გამოცემული რუკა, თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. იქ სხვა, უფრო ადრინდელი — თიანეთის მაზრის რუკაც არსებობს, რომელიც ასახავს იმ პერიოდს, როცა მთელი ფშავ-ხევსურეთი თიანეთის მაზრაში შედიოდა. ასე რომ, დაინტერესებული პირი ბევრ სხვა დოკუმენტსაც იოლად მიაგნებდა, მაგრამ როგორც ჩანს, რუკის საძებნელად ატეხილი აყიოტაჟი იმჟამინდელ ხელისუფლებას პიარისთვის უფრო სჭირდებოდა, ვიდრე რეალური საქმის გასაკეთებლად...

თუკი ზემოთ მოხსენიებული რუკები ჩვენს ინტერესებს მოემსახურება, ბუნებრივია, არქივის მტვერს მისი სამზეოზე გამოტანა სჯობს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაირკვეს, ფიჭვნი ჩვენია თუ სხვისი!

რუკების გარდა, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიიდან“ მოყოლებული — ხევსურეთის საზღვრები მოცემული 1929 წელს გამოცემულ „საქართველოს გეოგრაფიაში“, გ. თედორაძის ნაშრომში — „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“ (1930 წ.). ეს მხარე უფრო დეტალურად 1933 წელს აღწერა სერგი მაკალათიამ. ამ თემაზე აურაცხელი მასალაა თავმოყრილი ბევრი ქართველი და უცხოელი მკვლევრის ნაშრომებში. მათი შეჯერებით მეტად მოეფინება ნათელი ხევსურეთის ისტორიულ გეოგრაფიას და მისი ახლო წარსულის დეტალებსაც.

ხევსურეთი ოდითგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ძველქართულ მატიანეში იგი „ფხოვის“ სახელწოდებით მოიხსენიება. IV საუკუნიდან „მოქცევაი ქართლისაი“ გვამცნობს, თუ როგორ „წარვიდა წმინდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე და მათ თანა წარიტანა მეფემან ერისთავი ერთი... მივიდეს და დადგეს წობენს და მოუწოდეს მთეულთა... მათ კაცთა ჭართალელთა, ფხოელთა და უქადაგეს მათ ჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი... ხოლო მათ არ ინებეს ნათლისღება“. ხოლო ვახუშტი თავის „გეოგრაფიაში“ ამ მხარის აღწერისას ამბობს: „...არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურსა, რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი“.

ამ მაღალმთიან, ღრმა ხევებით დაფარულ ადგილს — ხევსურეთს ისტორიულად კავკასიონის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარე ეჭირა და მისი ამაყი, ქედუდრეკი ხალხი თავისი ადათ-წესებით, იქ საუკუნიდან ცხოვრობდა. მოსაზღვრე ქისტები ხევსურებს დღესაც „ფხიას“ უწოდებენ, რაც ფხოველს ნიშნავს.

ხევსურეთი მუდამ იყო ქართველ მეფეთა თვალყურისა და ზრუნვის საგანი. XI საუკუნეში ხევსურეთი (ფხოვი) ქისტებ-ჩეჩნებთან ერთად (ღლიღვი და ძურძუკი) ადმინისტრაციულად, კახეთში შედიოდა და კვეტარის საერისთავოს ემორჩილებოდა. გადიოდა დრო. საქართველოს რუკაზე ბევრი რამ იცვლებოდა. იკარგებოდა ძირძველი ადგილები და ჩვენს ბედკრულ ქვეყანას ბევრი მათგანი უკან აღარასოდეს უბრუნდებოდა. თურქებმა წარიტაცეს ტაო-კლარჯეთი; ირან-სეფიანთა მოდგმამ შთანთქა საინგილო; თვალწინ



გამოგვეცალა ხელიდან აფხაზეთი და სამაჩაბლო. ბოლოს, ხევსურეთზეც მიდგა ჯერი. ორი კილომეტრი ვითომ არაფერია?! ასე, მუჭა-მუჭა გატანილი საქართველოს სხეული თანდათან, შაგრენის ტყავივით სულ პატარავდება და პატარავდება...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა საქართველოში მკვეთრად გაიმიჯნა რაიონების საზღვრები, ხევსურეთი თავის ისტორიულ ფარგლებში დარჩა და ადმინისტრაციულად დუშეთის რაიონს დაექვემდებარა. მისი მთლიანი ტერიტორია 1050 კილომეტრია. კავკასიონის ქედი ხევსურეთს ორ ნაწილად ყოფს: ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს — პირიქით ხევსურეთს ეძახიან, სამხრეთ-დასავლეთისას — პირაქეთს. პირიქითა ხევსურეთი სამი ხეობისგან შედგება: არხოტის, შატილისა და არდოტის. „აღმოსავლეთ ხევსურეთს საზღვრავს ჩეჩნეთი და თუშეთი. დასავლეთის მხრიდან ხევი და მთიულეთ-გუდამაყარი, ჩრდილოეთი ქისტეთი (ღილღო) და სამხრეთით ფშავი.

ქისტეთ-ჩეჩნეთისგან ხევსურეთს ყოფს მითხოსა და მაისტის მაღალი მთები, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიემართებიან ბისნის მთებიდან დაწყებული, თებულოს მთამდის“ (სერგი მაკალათია, „ხევსურეთი“). ამის წამკითხველს რაღად უნდა რუკის ძებნა?! პირიქითელი ხევსურები შატილიონებად და არხოტიონებად იწოდებიან.

„არხოტის ხეობა შემოზღუდულია მაღალი მთებითა და მყინვარებით. ამ მთების ძირში სათავეს იღებს არხოტის წყალი და იგი სოფელ ახიელიდან ჩრდილოეთისკენ მიემართება, ახიელ-ამღიდან 25 კილომეტრის დაშორებით, ეს მდინარე შედის ქისტეთში და სოფელ ფეციდან ხევსურები მას უკვე



გოშტიგაურს უწოდებენ. აქვეა არხოტისა და ქისტეთის საზღვარი — სახარის მაღალი“ (სერგი მაკალათია, „ხევსურეთი“). შატილის წყალი და არდოტის წყალი ანატორთან ერთდება და არღუნის სახელით შედის ჩეჩნეთში.

ეს არის სულ ხევსურეთის ანატომიური გეოგრაფია! ანატორიდან ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვრამდე სულ რამდენიმე კილომეტრია და მისი გადაზომვა ისე როგორ უნდა გაუჭირდეს სახელმწიფოს, რომ რუკების ძებნა დაიწყოს? თანაც, თუ „ვერსად მიაკვლია“, ხელი ჩაიქნიოს და ქართული მიწის ნაგლეჯი სხვას უპრობლემოდ დაუთმოს?!.

რაც შეეხება კონკრეტულად ფიჭვნის წარმომავლობას, მისი ტოპონიმიც კი მიგვანიშნებს, რომ ის ჩვენია, ქართული, ხევსურეთის განუყოფელი ნაწილი. ამის დასტურად ისევ ფაქტებს მოვუხმოთ.

1926 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის სტატისტიკური მონაცემებით, ხევსურეთის მოსახლეობა 3472 კაცს შეადგენდა და 1929 წლისათვის 4 თემად იყოფოდა: ბარისახოს თემი, ბაცალიგოს თემი, შატილის და არხოტის თემები. შატილის თემში შედიოდა: ანდაქი, არდოტი, არჭილო, გიორგიწმინდა, გურო, ლებაის კარი, მუცო, კისტანი, შატილი, ხახაბო, ხონიჭალა, ხონე. არხოტის თემში — ამღა, ახიელი, ჭიმღა. ამ დასახლებული პუნქტებიდან დღეს ბევრი დაცლილია და იქ აღარავინ ცხოვრობს. ხევსურთა ნასოფლარებით ამ სტრიქონების ავტორი პირადად დაინტერესდა ხევსურეთში მოგზაურობისას — 1968 წელს. მაშინ შატილელმა უხუცესმა აბა ჭინჭარაულმა გულისტკივილით გაიხსენა ხევსურეთიდან წასული მოსახლეობით დასახლებული სოფლები: გუდამაყარში — საკერპო და გორული, ხევში — ჯუთა და ართხმო, კახეთის მხარეს — გომბორი, ყუდრო, ფიჭვიანი; ივრის ხეობაში — ბაჩალი, საჭურე და სხვა. ამათგან ბევრი, ახლა თიანეთისა და საგარეჯოს რაიონებშია მოქცეული. აბა ჭინჭარაულის გადმოცემით, ფიჭვნი ადრე დასახლებული ადგილი ყოფილა. იქიდან წასულები დასახლდნენ სწორედ ფიჭვიანში, ფიჭვნი კი, საზაფხულო საძოვრებად დარჩენიათ ხევსურებს, რომელთა ეკონომიკური ცხოვრება იმათავითვე თემურ მიწათმფლობელობაზე იყო დაფუძნებული. თითოეული თემი ფლობდა ხევსურეთის განსაზღვრულ ნაწილს. XIX საუკუნიდან კი, იქ მიწათმფლობელობის ინდივიდუალური სისტემა დამკვიდრდა. მცირემიწიანობის გამო, ისინი სასარგებლო ფართობებს სამ ნაწილად ყოფდნენ: კარის პირ (ეზო-მიდამო), ბარის მიწა და მთა (სათიბ-საძოვარი) ყველა ნაკვეთს ერთმანეთისაგან მიჯნა ყოფდა. ერთმანეთის მიჯნას ხევსურები პირუტყვსაც არ გადააცილებდნენ. ეს ტრადიცია მტკიცედ იყო დაცული მეზობელ ქისტებშიც და ახლა იმის მტკიცება, რომ მთის ადათების გამო, ქისტებმა თავიანთ საიალაღო საძოვრებზე შეუშვეს ხევსურები, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი იყო ყიზლარის საძოვრები, რომლებიც სტალინის უშუალო განკარგულებით, ქართველებს გრძელვადიანი იჯარით ჰქონდათ გადაცემული. იჯარის ვადა 1982 წელს ამოიწურა და მას შემდეგ, ქართველ მეცხვარეებს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე ფეხი აღარ დაუბიჯებიათ.

ისე, თუ საზღვრის გადაწევაა, სწორედ ხევსურებს — ანუ საქართველოს უფრო ჰქონდა მორალური უფლება ის ჩეჩეთისაკენ გადაეწია, რადგან ქისტეთ-ჩეჩნეთი და ლეკეთი VII-XVI საუკუნეებში ადმინისტრაციულად და კულტურულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის გავლენის სფეროში იმყოფებოდა.

„ძურძუკ-ღილღვეთში, ასას ხეობაში მდებარეობს თხაბა-ერდის ძველი ქართული ტაძარი, IX საუკუნის ასომთავრული წარწერით. ტაძარში ნაპოვნია ქართული ფსალმუნის XI-XII ს-ის ხელნაწერი — დაღესტანში კი ცნობილია ხუანძახის ქართული წარწერა და „დათუნია“-ს ნიში (ექვთიმე თაყაიშვილი: „ქართული არქეოლოგიური ნაშთები და წარწერები“. 1904 წ.)“.

„ქისტნი და ღილღვნი და ძურძუკნი პირველ იყვნენ ენითა ქართულითა მომზრახნი და ქრისტიანი. ლეკნი იყვენ ქრისტიანნი და სცვლიდნენ ენასა ქართულსა, ვიდრე თემურლენგამდე (XIV ს.); ა. ნ. გენკო, „ინგუშეთის კულტურის წარსულიდან.

ერეკლეს მეფობის დროს, ხევსურები გუდანის ხატში ფიცს დებდნენ და ქართველი ერის სამსახურში იდგნენ. შატილის მხარე თავის სათიბ-საძოვრებით დედოფლის გამგებლობაში შედიოდა. შატილის თემში რამდენიმე ხატია დღესაც. მთაში ყველაზე ძლიერად მიიჩნევა ანატორის ჯვარი, რომელსაც მთავარანგელოზობით ლოცულობენ. ანატორის ჯვარიც, როგორც სერგი მაკალათია მიგვითითებს — „შატილიდან სამი კილომეტრით არის დაშორებული და ქისტების საზღვართან მოთავსებული“.

ასე რომ, ხევსურებს არაფერი ეშლებათ. ფიჭვნი და მისი მიმდებარე იალაღები რუკითაც მათი იყო და ურუკოდაც. მთავარია, ვიზრუნოთ იმაზე, რომ მცხეთა-მთიანეთის მხარის ხუთი სასაზღვრო სოფლის სკოლაში დაწყებითი სამხედრო სწავლების პედაგოგთა დეფიციტია და კარგა ხანია, ეს საგანი აღარ ისწავლება. მესაზღვრე კი, პირველ რიგში, სასაზღვრო სოფელში უნდა გაიზარდოს, რომელმაც სხვაზე უკეთ უწყის ყოველი გოჯი მიწის ფასი და კუთვნილება.

ხევსურს იოლად ადგილიდან ფეხს ვერ მოაცვლევინებ. ძალად გამოძევებულ-ამოწყვეტილი, მაგრამ მუდამ იმედიანი ხევსურის სულიდან არის წამოსული სტრიქონები:

გამაგრდით არხოტიონნო,
გატეხით რა იქნებისა.
ვისაც მოგვიკვლენ, დავმარხოთ,
სხვა კიდევ გაიზრდებისა!

■



# მცენარე, რომელიც მთლიანად უმად იჭმევა, რომელ ყანას ჰქვია ქარასხა და ვინ ასწავლა ლუჩანო პავაროტის ჩაით თამადობა

**ლელა ჭანკოტაძე**

*ქართული სამზარეულოს მარგალიტების პოპულარიზაცია ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. ამის დასტურია ახალ წელს გაკეთებული საცივი, გოზინაყი და ხაჭაპური, რომლებიც გინესის რეკორდების წიგნისკენ მიიკვლევს გზას. მართალია, ხაჭაპურის გათბობა ვერ მოხერხდა და გოზინაყიც ისეთი მაგარი გამოვიდა, რომ მის დასაჭრელად ნაჯახების მოტანა გახდა საჭირო, მაგრამ როგორც კომპეტენტური ადამიანები ამბობენ, მაინც სახელმწიფო მნიშვნელობის აქცია ჩატარდა. დროა, მთელმა მსოფლიომ დააგემოვნოს ქართული კერძები. საამისოდ, სხვებისთვის ისეთი კურიოზების მოწყობა არ მოგვიწევს, როგორიც ზოგიერთი ერის წარმომადგენელს ჩვენში მოუწყვია.*

*ხშირად ჩამოჰყავთ ცოცხალი რეპტილიები, გველები, ხვლიკები, ლოკოკინები და ნიანგიც კი. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის წინ მზარეულს მაგიდაზე ცოცხალი ნიანგი დაუწვინეს და უთხრეს — დაკალი და შეგვიწვიო. საბრალო მზარეულს, იმ დღის შემდეგ, ორი კვირა ეძებდნენ თურმე, სამსახურში რომ დაებრუნებინათ... უამრავი მსგავსი ამბის გაგება შეიძლება ჩემი რესპონდენტისგან — ეროვნული აკადემიის ხალხური რეწვისა და ყოფითი კულტურის ცენტრის დირექტორის, ბატონი* **შალვა ლობჟანიძისაგან**...

— 2004 წლის 5 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილმა დაამტკიცა ქართული ჯარის ყოფითი პარამეტრები. არსებობს ასეთი მეცნიერი — ევენშტეინი. მოსკოვში გავიცანი. მას წიგნში „პოპულარული დიეტოლოგია“ უწერია: გიორგი სააკაძის მეომრებს გულით მხალი დაჰქონდათო. მხალი მხნეობას მატებდა. ქართველი მეფეებიდან დავით აღმაშენებელი იყო ერთადერთი, რომელმაც შექმნა ბრძოლის წინა კვება — ბრძოლის დაწყების წინ მეომრებს აძლევდა ქუმელს. ქუმელი — მოხალული და დაფქული ხორბალი გახლავთ, რომელიც 20 წუთში ადამიანს ენერგიით ავსებს. იფქლი, ხულუგო, მახა, დიკა, თავთუხი — ქართული ხორბლის სახეობებია. ამ ხუთიდან რომელს მოხალავდნენ, მნიშვნელობა არ ჰქონდა. საომარი მოქმედებების დროს კვების სა-

კითხის სწორად გადაჭრა უმნიშვნელოვანესია. თავდაცვის სამინისტროში დევს ჩვენი პროექტი — თავის გადარჩენის პროგრამა. მასში ჩამოთვლილია ტყის იმ ნობათის სახელწოდებები, რომლის ფოთოლი, ნაყოფი, ქერქი, ღერო თუ ფესვი ანუ მთელი მიცელიუმი იჭმევა. საქართველოში 83 დასახელების ასეთი მცენარეა. გავაკეთეთ კონტურული რუკა, სადაც წერტილებით არის აღნიშნული, თუ სად რომელი მათგანი ხარობს. ჯარისკაცი დახედავს რუკას და შეჭამს ხის ნაყოფს. მას არც მოხარშვა სჭირდება და არც შეწვა. ერთადერთი სოკოა — მჭადა, რომელიც უმად იჭმება. ძახველი, მოცვი, ხაჭიჭორა და სხვა უამრავი მცენარე მთლიანად იჭმება. ირაკლი ოქრუაშვილი, გაეცნო თუ არა ამ პროექტს, მაშინვე დადებითი რეზოლუცია დაადო... მეფეს საცივს უკეთებდნენ — ქათმის ან ინდაურის მკერდისგან. ჩახოხბილიც ამ ნაწილებისგან მზადდებოდა. ქათმის მკერდში და ნიგვზის ზეთში არის ნივთიერება, რომელსაც ჰქვია სიტოსტერინი. ის ორგანიზმში ქოლესტერინს არეგულირებს. საუკუნეების წინაც კი ფლობდნენ ამ ცოდნას ჩვენი მეფეები. როცა ახალ წელს თბილისში უზარმაზარი საცივი და გოზინაყი გაკეთდა, ამას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მაგრამ კარგიც უნდა ვთქვათ: ამით, ჩვენი ცივილიზაციის ერთ-ერთი ნაწილის საუკეთესო რეკლამირება მოხდა მთელ მსოფლიოში. ხაჭაპურს ყველა იცნობს. კალიფორნიაში, ავსტრიაში, იაპონიასა და სხვა მრავალ ქვეყანაში ხაჭაპური დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჩემი სპეციალისტი ზურაბ დვალიძე ავსტრიაში იყო, სადაც ნახა ხაჭაპურის სახეობები, ოღონდ, სხვა სახელწოდებებით... ხაჭაპური ძალზე სასარგებლოა. მოგეხსენებათ, ყველი კარიესის საწინააღმდეგო საშუალებაა. მასში არსებული ცხიმი ორგანიზმში სხვა ცხიმებს თრგუნავს და წვავს. ყველისგან გასუქებული კაცი ჯერ არავის უნახავს. ამასთან, ყველი მხნეობის მისაღწევად ნამდვილი ელექსირია. გოზინაყი ნიგვზისა და თაფლისგან შედგება. თაფლი სხვა მრავალ სასიკეთო თვისებასთან ერთად, ძილის საუკეთესო საშუალებაცაა. გასული საუკუნის 50-იან წლებიდან, იაპონელებმა დაიწყეს ქართული კვების საკითხების შესწავლა. მათ ყველაფერი ქართული მოსწონთ. არ დაიჯერებთ, მაგრამ რესტორნებში ერთმანეთისთვის ღვინის გაგზავნაც კი ისწავლეს. ჩვენს მოჭიდავეებს იაპონელ მოჭიდავეებთან ხშირად უქეიფიათ ქართულად. ცხადია, სვამდნენ იმხელა ჭიქებით, როგორითაც შეეძლოთ. ლევან თედიაშვილს უნდა დაუდგათ დიდი ჭიქა — გიორგი სააკაძეზე ნაკლები კი არ არის ჩვენი ლევანი. იაპონელებმა ისე შეიყვარეს ქართული ლხინი, რომ ჩემპიონატების წინ ჩვენებს ურეკავდნენ და სთხოვდნენ, — ჩამოიტანეთ დედას პური და გუდის ყველი, ისე არ ჩამოხვიდეთო. მათ ჰყავდათ უდიდესი გერონტოლოგი, პროფესორი კეიტი მორისიტი. ის ეძებდა სიცოცხლის გახანგრძლივების გზას. კოლეგებთან ერთად, ჩავიდა დელეგაციით ტიბეტში. იქაურობა მოეწონათ, მაგრამ ტიბეტელებისგან არაფერი გადაიღეს. ჩვენთან რომ ჩამოვიდნენ, გაოცდნენ. ვერ წარმოიდგინეს, რომ ყველს ამოიყვანდნენ და შრატისგან კიდევ რაიმე გაკეთდებოდა. არადა, შრატში არის სრულფასოვანი ცილა — ალბუმინი. ბევრი რამე გადაიღეს და 1961 წელს ტოკიოში გახსნეს რესტორანი „ქართული გემოვნება“, რომელსაც პირველი იოსებ ნონეშვილი ეწვია. ფული არ დაინანა და იქეიფა ქართულად — ბუხართან, „მუკუზნით“. დღეს იაპონიაში ქართული მაწვნის ბუმია. მასაც იოგურტს ეძახიან.

— **ლევან თედიაშვილისა და „შეჭმას გადარჩენილი“ იაპონელების ამბავი სიმართლეა?**

— მან ისე შეაყვარა თავი იაპონელებს, რომ ახლაც კავშირი და მისვლა-მოსვლა აქვთ. წლების წინ ლევანთან იაპონელთა 15-კაციანი ჯგუფი ჩამოვიდა. ლევანმა ისურვა, რომ სუფრასთან კიმონოებით დამსხდარიყვნენ. წარმოიდგინეთ — ახოვანი თედიაშვილი სუფრის თავში და აქეთ-იქით — პატარ-პატარა იაპონელები. მოიტანეს ხაშლამა, ლევანმა დააყარა მარილი, შეჭამა. მოიტანეს დედალი, დააყარა მარილი, შეჭამა; მოიტანეს „საფერავი“. ერთ პატარა იაპონელს კიმონოზე დაეწვეთა. შეწუხდა მასპინძელი, აიღო მარილი და ლაქაზე მოაყარა. ეს 15 კაცი იქიდან წამში გაქრა, თავი ვენახს შეაფარეს. დიდი ხვეწნის შემდეგ დაბრუნდნენ სუფრასთან. თქვეს: რასაც ლევანმა მარილი დააყარა, ყველაფერი შეჭამა და ჩვენც არ გადაგვყლაპოსო...

— **რით ხიბლავს ქართული სუფრა უცხოელებს?**

— არც რეპი მინდა დავამცირო, არც როკი და არც სხვა ჟანრები, მაგრამ სუფრასთან ჩაკრული რომ აჟღერდება, შეუდარებელია. ამის მოსასმენად და სანახავად ხალხი მთელი მსოფლიოდან ჩამოდის!.. კახურად რომ დამისხა მასპინძელმა ღვინო, ის ღვინო უნდა შევირგო მეორე სადღეგრძელომდე, ამიტომაც ხშირად, სიმღერა ცოტა გაწელილია. ამას ემატება: ცეკვა, იუმორი, საინტერესო ამბების თხრობა, ბავშვების ჟრიამული. ეს გახლავთ ქართული სუფრის სასწაული, თორემ, მლიქვნელობა და პირფერობა რა თამადობაა?!. ეს ვის მოეწონება?! 1892 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა, რომ ბრწყინვალე პიროვნებას — კოტე ბახუტაშვილს გადაუხადეს თამადობის დაწყებიდან 50 წლისთავი. კოტე ბახუტაშვილი ცოტას ლაპარაკობდა და ხალხს აძლევდა მოლხენის საშუალებას. სიღერა, ცეკვა, იუმორი, კაფია, ლექსი, შაირი იყო ქართული სუფრის მშვენება. ბერძენმა რეჟისორმა მარმარინოსმა სპექტაკლი მიუძღვნა ქართულ სუფრას. სკანდინავიიდან ჩვენთან ცოლ-ქმარი ჩამოვიდა. მოხვდა სუფრასთან, რომელსაც „ქართული ხმები“ მასპინძლობდა. ქეიფი რომ დასრულდა, სტუმრებმა თქვეს — ჩვენში ცოლ-ქმარს კანონიერი გზით ისე არ გაყრიან, თუ მანამდე, შორეულ მოგზაურობაში არ წავიდნენ, ჩვენც ამიტომ ჩამოვედით საქართველოში, მაგრამ აღარ გავიყრებითო. აი, ქართული სუფრის მადლი, რომელსაც სულ ახლახან ერთ-ერთმა ტელევიზიამ „გადაუარა“, საცემები იყვნენ!..

— **მაგრამ ქართული სუფრის ნაკლი ხომ არის გადამეტებული სმა?**

— მე ვიცი, რომ უნდა დავლიო ნახევარი ჭიქა — მორჩა! ნებისმიერმა ასე უნდა დაინახოს საკუთარი თავი ღვინოში. ნახევარლიტრიანი სასმისია ყანწი, ხოლო იმაზე დიდ ყანწებს ჰქვია ქარასხები. ვახტანგ გორგასალი და დავით აღმაშენებელი ფიზიკურად ისეთი დიდები იყვნენ, პატარა ყანწით როგორ დალევდნენ, წარმოუდგენელია! ახლა რომ სადღეგრძელოებია, მლიქვნელური და „ფალსიფიცირებული“, მაშინ ვინ იტყოდა ასეთს?! მაშინ ითქმებოდა მოკლე, ლაკონიური და ომახიანი სადღეგრძელო. ქართველი კაცი ყოველთვის ილოცება. სადღეგრძელოც ერთგვარი ლოცვა იყო. უცხოელისთვის ჩვენი ახლანდელი ქეიფი გაუგებარია. კაცი, რომელთანაც შვილი თავისი საჭმლით მოდის, გაიგებს რას ნიშავს ერთი სუფრიდან მეორეზე ერთი ყუთი სასმლის გაგზავნა?! კაცი, რომელიც ბუტერბროდზე ცხოვრობს, ქართულ სუფრასთან დაიბნევა. სხვათა შორის, ბუტერბროდის შესატყვისი ქართული სიტყვაა „ხემსპური“... მთელი ყუთი სასმლის გაგზავნა, მართლა, ველურობაა. უწინ, როცა სოფელი სალოცავზე იყრიდა თავს, ყველას თავისი ღვინო — ზედაშე, ნამცხვარი, ხაჭაპური და ნაზუქი მიჰქონდა. კეთილგანწყობილების



ნიშნად, ქართველი კაცი ღვინის ჭიქას დაადებდა ხაჭაპურის ნაჭერს ან მთელ ხაჭაურს და ვაჟიშვილს ეტყოდა: ეს მიუტანე ლევან ბიძიას ან ამას და ამასო... ეს იყო მოკითხვა და დალოცვა.

— **თამადობა დღემდე, საპატიო**

**მისიას წარმოადგენს. ვინ არის ჩვენი დროის ყველაზე კარგი თამადა?**

— „ამ პატარა სასმისით და დიდი გულით გაუმარჯოს"... რომ იტყვის თამადა, ეს თამადობა არ არის... თამადები არიან: გივი სიხარულიძე, ზურაბ ქაფიანიძე, ჯამბულ კობახიძე. ისინი გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებს არ ამბობენ.. სიმონ სხირტლაძე იყო ლიტერატორი, ცნობილი პედაგოგი, ბუმბერაზი კაცი. შევხვედრივარ სუფრასთანაც და ისეც. „სიტყვას ვიტყვი, ბუმბულს დავსვამ ენაზე", — მისი ეს ცნობილი ფრაზა აფორიზმად დარჩა. სუფრას ისე უძღვებოდა, მე და თქვენ მონატრებულები რომ შევხვედროდით, საუბარს ვერ დავიწყებდით. ამბროლაურისა და ონის ადმინისტრაციულ საზღვართან სალ კლდეზე დადგეს მისი ძეგლი, კაკუნიკა მდივნიშვილმა და ოტია მემანიშვილმა. გამოიარა ვაჟა ქურდიანმა — ბრწყინვალე პიროვნება გახლდათ, მაგრამ რაიკომის მდივნად მუშაობდა... შეხედა ძეგლს და გაშრა, რადგან არც რევოლუციონერს ჰგავდა და არც კოლმეურნეს. ეს სიმონ სხირტლაძეა, თამადაო, — უთხრეს ბიჭებმა. ქურდიანმა იფიქრა — იქნებ, როგორც მასწავლებელს, ისე დაუდგეს ძეგლიო, მაგრამ ბიჭებმა იუარეს — არა, ბატონო, რის მასწავლებელი, რა მასწავლებელი, თამადის ძეგლიაო! გაშრა ქურდიანი. რა ექნა?! დარეკა „ცეკაში". მდივანი გადაირია — თამადის ძეგლს მანდ რა უნდაო? ბიჭებმა აიღეს ძეგლი და ციმ-ციმ გადაიტანეს მრავალძალის სკოლის ეზოში. ეს არის მსოფლიოში ერთადერთი ძეგლი, რომელიც თამადას დაუდგეს.

**— დღევანდელმა ახალგაზრდა კაცმა სად უნდა ისწავლოს თამადობა ან ქალმა — ხაჭაპურის ცხობა?**

— მალე გამოვა ქართული კვების კულტურის 700-გვერდიანი ენციკლოპედია — ქართულ და ინგლისურ ენებზე. აქამდე, ჩინური და ფრანგული სამზარეულო იყო წინა პლანზე. ბოლო პერიოდში კი, ქართულმა სამზარეულომ წაიწია წინ. ჩვენი სასიქადულო მომღერალი პაატა ბურჭულაძე ლუჩანო პავაროტის ოჯახში იყო თამადად. ლუჩანო ისეთი მოხიბლული დარჩა, რომ ახლა, ჩაის რომ სვამს, მაშინაც კი თამადობს!.. უდიდესი ყოფითი კულტურა გვაქვს ქართველებს. ჟურნალ „ივერიაში" წერია, რომ XIX საუკუნის ბოლოს, თელავში ფუნქციონირებდა თამადების სკოლა. 1905 წლამდე არსებობდა კომერციული ტექნიკუმი, სადაც კვების ტექნოლოგიას ასწავლიდნენ. ამჟამად არსად არ ამზადებენ ტექნოლოგებს — მაშინ, როცა საბერძნეთში 33 ასეთი სკოლაა. ადამიანმა შეიძლება ნამცხვრის ცხობა იცის, მაგრამ თუ ამის დამადასტურებელი საბუთი არ აქვს, მას ნამცხვრის გაყიდვა უნდა აეკრძალოს. ვინ რას აცხობს და აკეთებს, არავინ აკონტროლებს. არადა, სარეველასავით მოედო ქალაქს კვების ობიექტები. დროა, რომ კვების საკითხი და ქართული ყოფითი კულტურის დაცვა სახელმწიფო დონეზე გადაწყდეს. ■



# „სახიფათო მოთამაშეებთან" მებრძოლი, სასუნთქში ჩახრჩობილი ექიმი და მაღვიძარას ჭანჭიკები



**ერთხელ ერთ ძალიან პატარა და ლამაზ გოგონას დედამ იმ დროის მიუსწრო, როცა თავით ნაგვის ყუთში იყო გადაშვებული და კაცმა არ იცის, რას ეძებდა. დედის ყვირილზე თავი რომ ასწია, ათასგვარი „უბედურება" მოუჩანდა პირიდან, თვითონ კი ბედნიერად იღიმებოდა...**

**პატარები სამყაროს სხვადასხვა ნივთის ხელის შევლებითა და პირთან მიტანით ეცნობიანო, — ამბობს ექიმი-პედიატრი ზურაბ ასტახიშვილი და გვიხსნის, რომ ეს მათი ბუნებრივი რეფლექსია და ის განსაკუთრებით მაშინ ამოქმედდება ხოლმე, როცა პატარა ადამიანები თუნდაც წუთიერად, მშობლების ყურადღების გარეშე რჩებიან.**

*ირმა ხარშილაძე*

**— თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, რას უფრო ხშირად ეტანებიან ბავშვები?**

— ყველაზე ხშირად ლითონის ფულს ყლაპავენ. ადრე 5-კაპიკიანები იყო, იმით „მეტროობანას" თამაშობდნენ და ხშირადაც ეყლაპებოდათ, ასევე ხშირად ყლაპავდნენ ქინძისთავებს და კომკავშირელის სამკერდე ნიშნებს.

**— ძირითადად, რა ასაკის ბავშვები ყლაპავენ ამ ნივთებს?**

— 3-5 წლამდე ასაკის. ნაწილს ყლაპავენ, ნაწილი საყლაპავში ეჩხირებათ, როგორც მაგალითად, ეს რკინა — საათის მექანიზმის ნაწილი. ამას წინათ კიდევ, 7 წლის ბავშვი მოიყვანეს, რომელსაც ნემსი ჰქონდა გადაყლაპული. ძალიან სახიფათოა, პირში თავთავის ჩადება: ის თუ გადასცდა ბავშვს, იწვევს ხველას, ყოველი დახველებისას კი, სულ უფრო ქვევით ჩადის. თუ დროზე ვერ მივუსწარით, ხვრეტს ფილტვის ქსოვილს და პლევრაშიც გადის. მაშინ ოპერაციას ვუკეთებთ ხოლმე.

ასევე ძალიან საშიშია ლობიოს მარცვლის გადაყლაპვა, რადგან ის კუჭში ფუვდება და დიდ გართულებებს იწვევს.

**— აქ დიდი სტენდი გაქვთ, გადაყლაპულ-ამოღებული ნივთების...**

— ბევრი გვიტოვებს ნიმუშად, მაგრამ თუ ძვირად ღირებული ნივთია, რა თქმა უნდა, მიაქვთ.

**— ხშირად ყლაპავენ ძვირად ღირებულ ნივთებს?**

— ადრე უფრო ხშირად ყლაპავდნენ — ბრილიანტის ბეჭედს თუ საყურეს. ფულს დღესაც ყლაპავენ, ოღონდ უმეტესად, ოცთეთრიანები ამოგვაქვს, რადგან 10 და 50-თეთრიანები კუჭში გადის...

**— განმეორებითი შემთხვევები თუ ხდება?**

— ძალიან იშვიათად. საერთოდ, თუ მშობელი იქვე არ არის და ვერ დაინახა, რა აიღო ბავშვმა, შეიძლება კარგა ხანს ვერც გაარკვიონ, რა მიზეზითაა გამოწვეული ხველა, არადა, ბავშვი თუ თხილს ან ნიგოზს ყლაპავს, მაშინვე შეტევითი ხველა ეწყება, მიჰყავთ ექიმთან და მკურნალობენ, როგორც ბრონქიტს.

**— რა იყო ყველაზე უცნაური ნივთი, რომელიც ბავშვებს გადაუყლაპავთ?**

— წურბელა, დამირეკეს ღამით, ბავშ-





ეს ნივთები პატარების მუცლიდანაა ამოღებული

ვმა წურბელა გადაყლაპაო: წყალი დალია და წყალს გამოჰყვაო.

— **როგორ მიხვდნენ, რომ წურბელა იყო?**

— ვინც დამირეკა, იმ ექიმს გახსენებია, რომ სტუდენტობისას, ვიღაც პროფესორი მოუყვა ლექციაზე, ჭის წყლის დალევისას როგორ გადაყლაპა ადამიანმა წურბელა და სისხლდენა დაეწყო. აქაც იგივე სიმპტომი იყო და ამიტომაც ივარაუდა. მე არ მჯეროდა, სისხლის დაავადება მეგონა, მაგრამ საავადმყოფოში ჩემი თვალით ვნახე, როგორ „დასეირნობდა“ საყლაპავ მილსა და კუჭს შორის ის წურბელა. რომ არ ემოძრავა, ვერც შევამჩნევდი. ამას წინათ კიდევ, გახსნილი პატარა „ბულავკა“ გადაუყლაპავს ბავშვს და საყლაპავში გასჩხერია წვერით. ერთი კვირა უტარებია ასე. ბავშვს აწუხებდა, ტიროდა, მაგრამ მიზეზს ვერ ხვდებოდნენ. ბოლოს, ჩვენ აღმოვუჩინეთ.

— **მშობლები როგორ იქცევიან ასეთ დროს? ბავშვს ხომ არ ეჩხუბიან — რატომ გადაყლაპეო?**

— ხშირია ოჯახური კონფლიქტი: ვთქვათ, ბებია, რომელთანაც დატოვებული იყო ბავშვი, მომხდარს უმალავს სიძეს ან რძალი უმალავს დედამთილს და როცა ამბავი „სკდება“, ჩვენც ამ კონფლიქტის შემსწრე ვხდებით.

— **ბატონო ზურაბ, გარდა ამ ძალზე მნიშვნელოვანი და კეთილშობილური საქმიანობისა, ვიცი, რომ დიდი გატაცება გაქვთ: ალპინიზმი. მგონი, იაპონელიც კი გადაგირჩენიათ ერთ-ერთ ექსპედიციაში...**

— აა, ეს ნეპალში მოხდა. მაშინ, ზღვის დონიდან 6004 მეტრის სიმაღლეზე ერთი იაპონელი გაგვიხდა ცუდად: კუჭის წყლული ჰქონია, სისხლდენა დაეწყო და ამას ტვინის შეშუპებაც მოჰყვა. მე და გია თორთლაძე კარავში გადასხმებს ვუკეთებდით. იმ იაპონელს ძალიან კარგი, ჟანგბადის მიმწოდებელი პირადი აპარატი ჰქონდა, ასანთის კოლოფისხელა. ჰოდა, ამ აპარატს შევციცინებდით მე და გია — იქნებ დაგვიტოვოს საჩუქრად-თქო. დილის 5 საათი იქნებოდა, როცა საბაზო ბანაკში მანქანამ მოაკითხა. ჩვენ გაყუჩებულები ვიყავით. წაიყვანეს, ჩასვეს მანქანაში, დაიქოქა მანქანა და ამოვისუნთქე: ვიფიქრე, დაგვრჩა აპარატი და ეგაამეთქი, მაგრამ უეცრად მანქანა გაჩერდა, ვიღაც გადმოვიდა (მოკეთებულმა იაპონელმა გამოგზავნა) და აპარატი წაიღო. ექსპედიციიდან რომ დავბრუნდით, კატმანდუში დაგვახვედრეს ამბავი: ის იაპონელი ჩამოდის, თქვენთან შეხვედრა და მადლობის თქმა უნდაო. აუ, ვიფიქრეთ — ავშენდით-თქო. იაპონელი მოვიდა. ბანკეტი გვქონდა. ჩვენს პურმარილზე იქეიფა, კარგად მოილხინა, სურათები გადაგვიღო და წავიდა. ასე დავრჩით გაწბილებულები... 1995 წელს ჰიმალაებში, უკან დაბრუნებისას, უღელტეხილზე დავიკარგე. ცუდი ამინდი დაგვემთხვა. მე თითქმის ბოლო მივდიოდი, რადგან ჩემ უკან მომავალს მოყინულობის გამო, სიარული უჭირდა და მეშინოდა, ძალიან არ ჩამომრჩენოდა. უეცრად, წუთებში ისე გაუარესდა ამინდი და ქარბუქი დაიწყო, რომ სულ დავიფანტეთ, ხმასაც ვერ ვაწვდენდით ერთმანეთს. ამ მოყინულფეხებიანი ბელორუსის მიტოვებაც არ მინდოდა, ველარც ვერაფერს ვხედავდი, ნახევარ საათში მუხლამდე დადო თოვლი. ვიფიქრე: ზურა, თვითგადარჩენის ინსტინქტი უნდა აამუშაო-მეთქი... უეცრად, შორიახლოს ბუნდოვნად გავარჩიე სახედრები და შვებით ამოვისუნთქე: როგორც რომი გადაარჩინეს ბატებმა, ისე გადამარჩინეს იმ სახედრებმა. ნეტავ, გენახათ, როგორ ჩავეხუტე და ვეფერებოდი. მერე მოვიდნენ ვიღაცები და გამომიყვანეს. რა თქმა უნდა, ყველანი გადავრჩით.

— **ყველაზე მეტად, რა დაგამახსოვრდათ ამ ექსპედიციებიდან?**

— გია თორთლაძემ ქათმები რომ დაკლა... ტიბეტში ვიყავით, სადაც ცხოველის დაკვლა არ შეიძლება. მოგვშივდა და მოგვბეზრდა ერთფეროვანი საჭმელი. გიამ ვიღაცას ქათმები მოაყვანინა და დაკლა. იქაურებმა დაინახეს და გაგიჟდნენ. მეორე დღიდან, ამინდი გაფუჭდა, ესეც — ქათმების დაკვლას დააბრალეს და დიდი ამბავი აგვიტეხეს... ერთი ამბავიც გამახსენდა: ძალიან მიყვარს ლუდი. ერთ-ერთი ექსპედიცია უსაშველოდ გაგვიწელა, ფაქტობრივად, 10 დღე გადავაცილეთ დაგეგმილს, საჭმლის მარაგიც შემოგველია. სოფლებს შორის მანძილი 20-25 კილომეტრი იყო. ექსპედიციის წევრები წინ მირბოდნენ, რომ ჩქარა მისულიყვნენ და რაიმე ეჭამათ სოფელში — იქაც მხოლოდ საფანტივით წვრილი კარტოფილი თუ დახვდებოდათ. მთაში პოპულარულია ასეთი გამონათქვამი: ближе к кухне. მე ავირჩიე — ближе к Гие, რადგან გიას ფეხი სტკიოდა, სწრაფად ვერ მორბოდა და მას ჰქონდა ფული, ასე რომ, მე და გია ნელ-ნელა მოვდიოდით, ყველა სოფელში ცოტ-ცოტა ლუდს — იგივე „თხევად პურს“ ვსვამდით, რაც ენერგიას გვმატებდა და როცა ჩვენს ბიჭებს წავაწყდებოდით, ისინი უკვე დესერტსაც გვახვედრებდნენ.



გია თორთლაძესა (მარცხნივ) და იაპონელ კოლეგასთან ერთად

— **იმათ რატომ არ ურჩიეთ იმავეს გაკეთება?**

— აბა, რას ამბობთ?! ფული არ გვეყოფოდა?

— **ისე, როგორია პარლამენტარი გია თორთლაძე მთაში?**

— ერთ ამბავს მოგიყვებით. 2001 წელს გია ევერესტზე ავიდა, ჩამოვიდა და კატმანდუში ვართ. გის დასვენება სჭირდება, თანაც, დათვალიერებული აქვს ნეპალი, 20-ჯერ მაინც არის იქ ნამყოფი. ჯუნგლებში 3-დღიანი ტურები ეწყობოდა, ჩვენ იქ ერთი კვირა კიდევ უნდა გავჩერებულიყავით, საქმეც არაფერი გვქონდა და გიას ვთხოვე, ამ ტურში წავიდეთ-მეთქი. — არა, ბიჭო, არაფერია საინტერესო, იქ არც ვეფხვია, არც — არაფერი, დიდი-დიდი, ერთი სპილო დაგანახვონ, თან ფულის ეკონომიას გავაკეთებთ, თუ დავრჩებითო. დავითვალეთ და კატმანდუში დარჩენის შემთხვევაში, განსხვავება 100-150 დოლარი იქნებოდა (დაიმახსოვრეთ ეს თანხა). გავიდა ორი დღე, გია მოღონიერდა და მთხოვა: კაზინოში წავიდეთო. დიდი ხვეწნის შემდეგ დამიყოლია. ფული ამ დროს მე მქონდა — იაპონელებმა ხელფასი გადამიხადეს, გიას კი „კაპიკიც“ არ ედო ჯიბეში.

— **თქვენი ფულით გეპატიჟებოდათ?**

— იქ — კი, თბილისში დამიბრუნებდა, რასაკვირველია. ვუთხარი: მარტო 100 დოლარს წამოვიღებ-მეთქი. არა, ბიჭო, სასტუმროში ფულს ნუ დატოვებ, მოიპარავენო. მეც გავბრიყვდი, შევედით კაზინოში. სხვათა შორის, თავიდან იგებდა, მერე ვიღაც კორეელი გამოელაპარაკა და წაგებაც იმას დააბრალა. მთელი ფული წააგო. კიდევ კარგი, გამოსამგზავრებელი ბილეთები წინასწარ გვქონდა აღებული. მე კი დამტოვა ჯუნგლების გარეშე...

— **როგორც პედიატრს, ბავშვების „სისაძაგლეებთან“ ბრძოლა გიწევთ. მოგზაურობისას უფროსებისთვისაც ხომ არ შეგიმჩნევიათ მსგავსი უცნაურობები ან თქვენი პროფესია თუ დასჭირვებიათ დიდებს?**

— ახლავე გეტყვით. მანასუზე ვიყავით მე და გია და ერთ სუფრაზე მიგვიპატიჟეს. თურქი იჯდა იქვე. უეცრად ჭინთვებისმაგვარი რაღაც დაეწყო, თითქოს აზიდებდა კიდეც და მივხვდი: უეჭველად რაღაც ჩაიდო პირში და ვერ ყლაპავს-მეთქი. სასწრაფოდ გავიყვანე გარეთ და პირველადი დახმარება გავუწიე: მუცლის ზედა ნაწილში მოვუჭირე ხელი, ამ დროს გულმკერდის ნაწილში წნევა მატულობს და შეიძლება, ადამიანმა ამოაგდოს, რაც ყელში გაეჩხირა. იმანაც, კარგა მოზრდილი ხორცის ნაჭერი ამოაგდო. ასე გამომადგა ჩემი პროფესია. მაგრამ უფრო დიდი კურიოზი ის იყო, რომ ჩამოვედი თბილისში და მე დამემართა იგივე, რესტორანში... ■

ლალი ფაცია

# დაკარგული ჯაბა ქარსელაძე



## „მის ბიკინით“ მოიხიბლა და მისი ნოკაუტში ჩაგდება გადაწყვიტა...

**თინეიჯერი, ერთი პირტიტველა ყმაწვილი — ჯაბა ქარსელაძე ქართულ შოუბიზნესში რამდენიმე წლის წინ ისე ენერგიულად შემოიჭრა, შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ამ სფეროში სერიოზული კარიერის გაკეთებას აპირებდა. მაგრამ მალე მან შოუბიზნესზე წინ, სწავლა-განათლება დააყენა და საფრანგეთში სასწავლებლად გაემგზავრა. თუმცა როგორც ამბობენ, ფრანგებმა მისი პროვოცირება შეძლეს და ერთჯერად პროექტზე დაითანხმეს. თუ რა პროექტია, ამაზე ჯაბა ჯერ არ ლაპარაკობს, მხოლოდ ერთ ფაქტს გვიმხელს — 14 თებერვლისთვის, თბილისში შოკის მომგვრელი პრეზენტაციის ჩასატარებლად ვემზადებიო... ის ჩვენს რუბრიკაში მოდელ თიკო ჩხეიძეს — „მის ბიკინის“ შეხვდა, რომელიც ცოტა ხნის წინ, ტაივანში, როგორც „საქართველოს მის ბიკინიზე“ გამარჯვებული, ისე მოხვდა და წარმატებასაც მიაღწია — „მის მსოფლიოს სახე“ გახდა.**

ჟურნალისტი – ჯაბა ქარსელაძე
რესპონდენტი – თიკო ჩხეიძე

— **გილოცავ წარმატებას! გავიგე, ინტერნეტგამოკითხვით „მის მსოფლიოს სახე“ გახდი. გამოგიტყდები და მეც ძალიან მომეწონე. რა ხდებოდა ტაივანში კონკურსზე?**

— მასში 60 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ერთი თვის განმავლობაში 7 ქალაქში მოგვიწია ცხოვრებამ.

— **როგორი გოგონები იყვნენ კონკურსანტები?**

— საკმაოდ დახვეწილები...

— **რა კრიტერიუმებით შეარჩიეს ისინი?**

— მთავარი იყო, ყოფილიყვნენ სასიამოვნო გარეგნობის, არ უნდა ყოფილიყვნენ მსუბუქი ყოფაქცევის. თითოეულ მათგანს ინტელექტიც უნდა გამოემჟღავნებინა, საკუთარი ქვეყანა წარმოეჩინა.

— **მტრული დამოკიდებულება ხომ არ იგრძნობოდა? აქ, როგორც ვიცი, მოდელებს სილამაზის კონკურსებზე ერთმანეთის მიმართ გარკვეული აგრესია ახასიათებთ ხოლმე.**

— მსგავსი არაფერი მიგრძნია. თითოეული კონკურსანტი გოგონა ცდილობდა, თბილი და მეგობრული ყოფილიყო, რადგან არსებობდა ნომინაცია — „მის მეგობრობა“ და მისი მოპოვებაც სურდათ.

— **7 ქალაქი მოგივლიათ. რას აკეთებდით იმ ქალაქებში, დრო როგორ გადიოდა?**

— იმ ქალაქებს ვათვალიერებდით, იყო ღონისძიებები, შეხვედრები, რომლებშიც ვმონაწილეობდით. ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა ეს ყველაფერი. ოღონდ იქაური სამზარეულოს საჭმელი არ მომეწონა. ვერ ვჭამდი.

— **გეტყობა: ძალიან გამხდარხარ.**

— საერთოდ გამხდარი ვარ, იქ კიდევ, 4 კილო დავიკელი.

— **გარდა იმისა, რომ სააგენტო „ნატალის“ მოდელი ხარ, რას საქმიანობ? მომიყევი შენზე.**

— მოდელობას სტუდენტობას ვუთავსებ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვსწავლობ.

— **რას გინდა მომავალში მიაღწიო, რა მიზანი გაქვს?**

— სულ მოდელი ვერ ვიქნები, რადგან წლები რომ მომემატება, პოდიუმზე გასვლას ველარ შევძლებ. ამიტომ, უნდა ვისწავლო და დავეუფლო სხვა პროფესიას.

— **შეგიძლია შენს მაგალითზე მითხრა, როგორია მოდელის ცხოვრება საქართველოში?**

— დილით უნივერსიტეტში ლექციებზე მივდივარ. მერე შეიძლება დამირეკონ და მითხრან, რომ სადღაც ფოტოგადაღებაზე, ჩვენებაზე ან პრეზენტაციაზე ვარ დაბარებული. ამას წინათ, სახლში მივედი, მეგობარს დავურეკე და ვუთხარი — შინ ვარ, გამოდი-მეთქი. ცოტა ხანში, „ნატალის“ ხელმძღვანელმა დამირეკა და მითხრა — სასწრაფოდ ამა და ამ ადგილზე გადაღებაზე უნდა წახვიდეო.

— **ეი. შენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრი მოულოდნელობაა, ხომ?**

— კი, დაუგეგმავი გრაფიკი მაქვს.

— **რა გიტაცებს?**

— ცხენი და ჯირითი. მიყვარს ზღვა, ზაფხული. შეიძლება, უცბად კითხვის ხასიათზე დავდგე და იმდენ ხანს ვიკითხო, წიგნს ვერ მოვწყდე. თავისუფალ დროს მუსიკის მოსმენაც მსიამოვნებს.

— **ვინ არიან შენი მეგობრები? მათზეც მოგვიყევი.**

— მოდელები ვმეგობრობთ, ბევრ დროს ვტარებთ ერთად. ერთმანეთის ცუდიც ვიცით და კარგიც. მეგობრებს არ ვუჩივი, თუმცა დღეს საკმაოდ რთულია, აირჩიო კარგი მეგობარი. მე ამაში გამიმართლა.

— **დიეტის დაცვა თუ გიწევს?**

— ცხოვრებაში არ დამიცავს დიეტა, რადგან არ მჭირდება.

— **რა ოცნება გაქვს?**

— წლების წინ, ძალიან მინდოდა, მოდელი გავმხდარიყავი და ვფიქრობ, რომ ამას ნაწილობრივ მივაღწიე. რაიმე განსაკუთრებული ოცნება არ მაქვს. მინდა, ჩემი პროფესიით ვიმუშაო ბანკში ან ბიზნესლედი გავხდე. რაც მთავარია, ვიყო, ჩემი საქმის პროფესიონალი.

— **რამდენი წლის ხარ?**

— 21-ის.

— **ჩემზე ერთი წლით უფროსი ყოფილხარ *(იცინის)*... ტაივანში საქმიანი წინადადებები, შემოთავაზებები არ მიგიღია?**

— კი, როგორ არა?! კორეაში, გერმანიასა და ლონდონში მოდის კვირეულებზე მიიწვიეს.

— **არ გინდა კარიერა უცხოეთში გააგრძელო?**

— საქართველოსგან შორს ვერ ვიცხოვრებ, გამიჭირდება.

— **ვინ არიან შენი ოჯახის წევრები?**

— მყავს დედა, მამა და ორი ძმა. ტრადიციული ქართული ოჯახი გვაქვს. საკმაოდ მკაცრად ვარ აღზრდილი, თუმცა ჩემი მოდელობა არ გაუპროტესტებიათ.

— **მამაც არ შეგწინააღმდეგებია?**

— თავიდან — კი, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ამ საქმეში ცუდი არაფერია. ცუდს არაფერს ჩაიდენ, თუ ამისკენ მიდრეკილი არ ხარ. ტაივანში კონკურსზე წასვლის წინ მითხრეს — წადი და შანსი გამოიყენეო.

**— შეყვარებული არ ხარ?**

— არა, ნამდვილად არავინ მიყვარს. გატაცებული ვყოფილვარ.

**— თაყვანისმცემლებზე რას იტყვი?**

— თაყვანისმცემლებს არასდროს ვუჩიოდი და არც ახლა ვუჩივი *(იღიმება)*...

**— მადლობა ინტერვიუსთვის! წარმატებებს გისურვებ. გირჩევ, საქართველოს გარეთ, რაღაც პერიოდი მაინც მოსინჯო ძალები, რომ შენს შესაძლებლობებში დარწმუნდე.**

— გმადლობ!

## ჟურნალისტი – თიკო ჩხეიძე
## რესპონდენტი – ჯაბა ქარსელაძე

**— ჯაბა, საზოგადოებამ სიმღერით გაგიცნო, ქართულ შოუბიზნესში აქტიურად იყავი ჩაბმული. რატომ წახვედი ამ სფეროდან?**

— ყველაფერი ჩემი სწავლა-განათლების ბრალია, კერძოდ კი — კავკასიის ბიზნესსკოლის. საშინელი გრაფიკი მაქვს. ამიტომ ჩემ წინაშე დადგა საკითხი — ან შოუბიზნესში უნდა დავრჩენილიყავი და მთელი დატვირთვით მემუშავა, ან ჩემს მომავალ პროფესიას დავუფლებოდი. მე მეორე ვარჩიე — ანუ ბიზნესი და შოუბიზნესიდან წავედი.

**— საფრანგეთში სასწავლებლად იყავი წასული, არა?**

— დიახ. თუ კავკასიის ბიზნესსკოლაში კარგი სტუდენტი ხარ, ერთი სემესტრით სასწავლებლად უცხოეთში გიშვებენ. მე ეს პატივი მერგო, ჩემს სკოლას წარმატება მოვუტანე და ვასახელე. იქ საქართველოს არც იცნობდნენ, ცრუინფორმაცია ჰქონდათ ქართველებზე. ვცდილობდი, მათთვის საქართველო გამეცნო, ამეხსნა ბევრი რამ, რეალური სურათი დამეხატა. ამისთვის არაერთი პრეზენტაცია მოვაწყვე. იქაურებს ძალიან მოეწონათ, როდესაც ვიმღერე კიდეც. აი, სად გამომადგა სიმღერა! გაოცდნენ, როდესაც ჩემი კლიპებიც ნახეს, მეკითხებოდნენ — სწავლის პარალელურად როდის მოასწარი ამდენიო?

**— სად ცხოვრობდი საფრანგეთში?**

— ეს არის დიდი სტუდენტური ქალაქი — დანკერკი, პარიზიდან ორი საათის სავალზე. სუფთა ფრანგული ქალაქია, თავისი ტრადიციებით, კულტურით, ისტორიით. 6 თვის განმავლობაში ზღაპრული დრო გავატარე.

**— ისევ აპირებ უცხოეთში სასწავლებლად გამგზავრებას?**

— დიახ. ლონდონში მინდა წასვლა, რადგან ფრანგული სასწავლო სისტემა მაინცდამაინც არ მომეწონა. ამერიკულ სასწავლო მეთოდს ვარ შეჩვეული, რადგან კავკასიის ბიზნესსკოლაში ამერიკული სწავლების მეთოდია დანერგილი.

**— ეი. მთლიანად ხარ სწავლა-განათლების მიღებაზე გადართული, ხომ?**

— მთლიანად. შეიძლება ითქვას, რომ ორი წლის განმავლობაში სახლიდან გარეთ არ გავსულვარ, ამის გამო არაერთი მეგობარიც მოვიმდურე. ასე რომ, სწავლის გამო დიდი მსხვერპლი გავიღე. ბევრ რამეზე ვთქვი უარი, თუნდაც — შოუბიზნესზე, თან მაშინ, როდესაც ჩემი კარიერა პიკში იყო, გეგმები კი, მოსკოვს უკავშირდებოდა...

**— რატომ გააკეთე ასეთი არჩევანი?**

— ცხოვრებამ მიკარნახა! სიმღერა ჩემთვის მაინც ჰობია, ხოლო ის საქმე, რომელსაც სერიოზულად შევეჭიდე, ვიცი, რომ დიდ წარმატებას მომიტანს.

**— მაინც რა მიზანი გაქვს? ამდენი სწავლის შემდეგ, რას მოიმოქმედებ?**

— ჩემი მიზანი ამერიკას, მანჰეტენს უკავშირდება. ხომ იცი, რომ იქ 100-სართულიანი კორპორაციებია?! ერთ მშვენიერ დღეს, ერთ-ერთ ასეთ კორპორაციაში მე-100 სართულზე უნდა ვიჯდე.

**— რამდენ ხანში?**

— 5 წელიწადში. ახლა ლონდონში ვაპირებ წასვლას, მაგისტრატურაში ჩასაბარებლად, მისი დამთავრების შემდეგ, იქაური დიპლომით თავისუფლად შევძლებ ჩემთვის სასურველ ადგილზე მუშაობის დაწყებას. მაგრამ მანამდე, ბევრი შრომა მომიწევს, თავი უნდა გადავდო. ამასთან საჭიროა, ვიღაც პიროვნება, ვინც ბიზნესში გზაზე დამაყენებს. თუ მოვინდომე, ასეთი ადამიანიც გამოჩნდება... ფინანსების განხრით ვსწავლობ. კორპორაციაში საერთოდ, მთავარია, ფინანსები. როცა იცი, შენ ხარ თავი, ყველა შენ გემორჩილება. ჩემმა პედაგოგმა მირჩია, ამ განხრით წავსულიყავი. მეც დავუჯერე.

**— ფრანგებს სიმღერა ვუმღერე და მოეწონათო, — თქვი. რა სიმღერა იყო?**

— რეზო ლაღიძის „თბილისო“.

**— თბილისში ჭორია გავრცელებული, რომ ფრანგებმა კლიპი გადაგიღეს და ცოტა ხანში რაღაც შოკის მომგვრელ პრეზენტაციას აპირებ, მართალია?**

— არაფერს უარვყოფ, თუმცა კომენტარს ამაზე ჯერ ვერ გავაკეთებ; უფლება არა მაქვს ამ თემაზე საუბრის. ის, რაც თქვი, ჭორი არ არის. შოკის მომგვრელი პრეზენტაციისთვის ვემზადები, მაგრამ ეს შოუბიზნესში ჩემს დაბრუნებას არ ნიშნავს.

**— ბიზნესის კუთხით, პრაქტიკულად, ძალები ხომ არ მოგისინჯავს?**

— ჯერ არა, რადგან ვსწავლობთ, თუმცა, დავწერე რამდენიმე წარმატებული პროექტი. საერთოდ, 12 წლის ასაკიდან ვმუშაობ: ოჯახის ბიზნესში ჩავები, ვისწავლე ბუღალტერია, თვის ბოლო ანგარიშებს მე ვაკეთებდი ხოლმე. ვიცი, როგორ კეთდება „შავი“ და „თეთრი“ ბუღალტერია.

**— ჯაბა შეყვარებული არ ხარ?**

— არა.

**— რატომ? თავს უბრძანებ, რომ შეყვარებული არ იყო, რადგან ამისთვის ახლა არ გცალია?..**

— ისეთ რეჟიმში ვცხოვრობ, რომ ვინმესთვის დროის გამოყოფას ვერ შევძლებ: დილიდან საღამომდე ჩემი საქმით ვარ დაკავებული.

**— ქართველ გოგონებზე რას იტყვი?**

— სიმართლე რომ ვთქვა, ქართველი გოგონები ძალიან არ მიზიდავენ. ფრანგებით უფრო ვიყავი გატაცებული, ისე, არც ქართული კერძები მიყვარს ძალიან. მაგალითად, გოჭის ხორცი, მწვადი და ხინკალი არ მიჭამია.

**— აბა, რას ჭამ?**

— კარტოფილს და პიცას. რის გამოც, კუჭთან დაკავშირებული პრობლემები მაქვს... ისე, არც იტალიელი გოგონები არიან ცუდები. ჩემზე უფროსებთან უფრო მომწონს ურთიერთობა.

**— უცხოეთში ცხოვრებისას რას მიხვდი?**

— ჩემი ოჯახი ჩემთვის უპირველესია: უცხოეთში ყოფნისას ყველანი მენატრებოდნენ, მაგრამ მარტო ცხოვრებას რაღაც სხვა ხიბლი აქვს — თავისუფალი ხარ, დამოუკიდებელი. უვლი საკუთარ თავს და თვითონ ზრუნავ ყველაფერზე. თბილისში ასე ცხოვრებას მიჩვეული არ ვარ. არაერთხელ გამოვცადე საკუთარი თავი რთულ სიტუაციაში.

**— კონფლიქტი ვინმესთან ხომ არ მოგსვლია?**

— უკონფლიქტო ადამიანი ვარ. როცა საკონფლიქტოა რამე, მაშინაც კი ვჩერდები, უკან ვიხევ. მაგრამ წონასწორობიდან თუ გამოვედი, ო-ო!..

**— შოკის მომგვრელ პრეზენტაციას ვაპირებო, რომ თქვი, ნოკაუტში ჩაგდებას ხომ არ გვიპირებ?..**

— როდესაც ამ ყველაფრის შესახებ ტელეეთერით ანონსი გავა, ჯერ ნოკდაუნში ჩაცვივდებიან, და მერე, ალბათ ნოკაუტიც იქნება *(იცინის)*.

**— როგორი შთაბეჭდილება შეგექმნა ჩემზე?**

— მშვენიერი, თუმცა ჯერ კიდევ, ვფიქრობ, ბევრი სამუშაო გაქვს, რომ აქაურ შოუბიზნესურ ხრიკებს ფეხი აუწყო. წარმატებას გისურვებ.

**— გმადლობ!** ■



# მკვლელმა საზარელი დანაშაული „საკონტროლო" გასროლით დაასრულა

## ბრალდების თანახმად, სამჯერ ნასამართლევმა მეოთხე დანაშაული ყოფილ ცოლზე ეჭვიანობის გამო ჩაიდინა



**წარსულში სამჯერ ნასამართლევი პირი, მეოთხედ უმძიმესი დანაშაულისთვის დააპატიმრეს. ამჯერად, სამართალდამცველებმა დაკავებულს, რომელიც, სხვათა შორის, ციხიდან სულ ახალი გათავისუფლებული იყო, განზრახ მკვლელობაში დასდეს ბრალი. გამოძიების ინფორმაციით, მან 34 წლის მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით გამოასალმა სიცოცხლეს. ბრალდების თანახმად, დანაშაულის მოტივი, შურისძიება გახლდათ, მკვლელობა კი, ბრალდებულმა ყოფილ ცოლზე ეჭვიანობის ნიადაგზე ჩაიდინა. სამართალდამცველები აცხადებენ, რომ სავარაუდოდ, დანაშაულში, გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირებიც მონაწილეობდნენ. თუმცა, ეს საკითხი დღემდე გაურკვეველი რჩება, რადგან თავად ბრალდებულმა თანამონაწილეები არ დაასახელა და თუმცა დაზარალებულის მხარე რამდენიმე ადამიანზე ეჭვობს, მათ, მტკიცებულებების უქონლობის გამო, ხელს ვერ ადებს...**

*მეგი ცანავა*

1974 წელს დაბადებული პაატა ღუდუშაური ოჯახთან ერთად, თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში ცხოვრობდა. ოფიციალური ცნობის თანახმად, პირველად ციხეში ის 19 წლის ასაკში, ძარცვისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-ტარებისთვის მოხვდა. სასჯელი ბოლომდე არ მოუხდია, რადგან პირობით, ვადამდე ადრე გაათავისუფლეს. ციხეში გატარებული რამდენიმე წლის მიუხედავად, ღუდუშაური, როგორც სამართალდამცველები ამბობენ, არ დაადგა გამოსწორების გზას და მალე კვლავ საკანში აღმოჩნდა. მეორედ ის ხულიგნობისა და ადამიანის დაჭრისთვის დააპატიმრეს. შეფარდებული სასჯელი მსჯავრდებულს სრულად არც ამჯერად მოუხდია, ის ისევ ვადამდე ადრე გაათავისუფლეს. მესამედ, ღუდუშაური ისევ ძარცვისთვის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს.

ასე ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით სასჯელის მოხდის მიუხედავად, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ღუდუშაურმა დაოჯახებაც მოასწრო და განქორწინებაც. ცოლს ის ჯერ კიდევ მესამე პატიმრობამდე გაეყარა, თუმცა, გამოძიების ინფორმაციით, ამ ფაქტთან შეგუება ძალზე უჭირდა და ცდილობდა, ყოფილ მეუღლეზე გავლენა მოეხდინა: მას ციხიდან უთვლიდა, ოჯახს დაჰბრუნებოდა და კვლავ მის მითითებებს დამორჩილებოდა...

თათია გულიაშვილი წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მისი გადაწყვეტილება მტკიცე იყო და ქმართან დაბრუნებას არ აპირებდა. მისი ჩვენების მიხედვით, ახალგაზრდა ქალს, ქმრის არასწორი ცხოვრების წესისა და „ქუჩური მენტალიტეტის" გამო, მუდმივ დაძაბულობასა და სტრესში უხდებოდა ყოფნა; უჭირდათ მატერიალურადაც, რადგან ღუდუშაური არსად მუშაობდა და არც ცოლს აძლევდა ამის უფლებას; ოჯახი დედამთილისა და თავად გულიაშვილის მშობლების კისერზე იყო, მაგრამ მათი მცირე შემოსავალი ნორმალური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად არ კმაროდა. გულიაშვილი ჩვენებაში წერს, რომ ამ ყველაფრის ატანა მას წლების მანძილზე უხდებოდა და შესაძლოა, ბევრი რამ კიდევ დაეთმო, რომ არა ქმრის დაუსრულებელი პატიმრობა და ციხიდან შემოთვლილი არაერთი თხოვნა ვალების გასტუმრების შესახებ... გულიაშვილის თქმით, ღუდუშაური, თავისი ცხოვრების წესის გამო, მძიმე ტვირთად აწვებოდა ისედაც შეჭირვებულ ოჯახს...

ცოლი ქმრის სახლიდან წავიდა და გარკვეული ხნით, დის ოჯახში გადავიდა საცხოვრებლად, სამსახურის პოვნის შემდეგ კი, ბინა დაიქირავა. სწორედ ამ პერიოდში, ღუდუშაური, ჯგუფთან ერთად ჩადენილი ძარცვისთვის ისევ დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, ციხიდან გამოსულმა ღუდუშაურმა შეიტყო, რომ მისი ყოფილი ცოლი სხვა მამაკაცს ხვდებოდა...

თავად გულიაშვილმა გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ეს ფაქტი კატეგორიულად უარყო და აღნიშნა, რომ საშინელი დანაშაული მისმა ყოფილმა ქმარმა ან უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო ჩაიდინა, ან ადამიანი სულ სხვა მიზეზით მოკლა და ამ შეთხზულ მოტივს უბრალოდ, ამოეფარა.

შემზარავი დანაშაულის მიზეზთან დაკავშირებით, გამოძიებას თავიდანვე, ზემოთ აღნიშნული ვერსია ჰქონდა, სხვა მოტივი საქმის მასალებში არ იკვეთება. თავად ბრალდებულმა წინასწარ გამოძიებას ერთადერთი ჩვენება მისცა, ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, სადაც ჩადენილი დანაშაული აღიარა და მიზეზად, აწ გარდაცვლილის — 34 წლის ბესარიონ დოლაბერიძისგან მიყენებული შეურაცხყოფა დაასახელა. ამის შემდეგ, ბრალდებულს სამართალდამცველებისთვის ჩვენება არ მიუცია, მან დუმილის უფლება გამოიყენა...

აღიარებითი ჩვენების მიხედვით, მკვლელობა მარტომ ჩაიდინა, თუმცა გამოძიება დანაშაულში მონაწილე რამდენიმე, დაუდგენელ პირზეც ლაპარაკობს. ბრალდების თანახმად, ღუდუშაურმა ნაშუადღევს, მეგობრებთან ერთად, ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ სასადილოში ისადილა და დაახლოებით ნახევარი ლიტრი არაყიც დალია. ნასვამმა, იმ უბანში წასვლა მოისურვა, სადაც მისი ყოფილი ცოლის მშობლები ცხოვრობდნენ. მან კარგად იცოდა, რომ იმავე უბანში ცხოვრობდა დოლაბერიძე. საღამოს, დაახლოებით 6 საათისთვის, ღუდუშაურმა ნათესავს მანქანა გამოართვა და უბანში მარტო წავიდა. ავტომანქანა კორპუსებთან ახლოს გააჩერა და დოლაბერიძის გამოჩენას დაელოდა. დაახლოებით ერთ საათში, სახლისკენ საკუთარი მანქანით მიმავალი დოლაბერიძე მართლაც, დაინახა. ღუდუშაურმა სიგნალი მისცა და ანიშნა, გაჩერებულიყო. არც ეჭვმიტანილის ჩვენებაში, არც საქმის სხვა მასალებში დაწვრილებით არ არის გადმოცემული დოლაბერიძისა და ღუდუშაურის დიალოგი, მაგრამ წერია, რომ მათ თათია გულიაშვილთან დაკავშირებით, შელაპარაკება მოუხდათ. ჩვენების მიხედვით, ღუდუშაურმა დოლაბერიძეს კატეგორიულად მოსთხოვა, მისი ყოფილი ცოლის სიახლოვესაც არ გამოჩენილიყო, თორემ, ამას მწარედ ანანებდა. დოლაბერიძემ პასუხად ჯერ — „დაახვიე!" — მიაძახა, შემდეგ კი — შეაგინა...

ჩვენების მიხედვით, მთელი ამ შელაპარაკების მანძილზე, მანქანიდან არც ერთი არ გადასულა.

შეაგინა თუ არა, დოლაბერიძემ მანქანა დაძრა და წავიდა. ადგილს დიდი სიჩქარით მოსწყდა უკიდურესად გაბრაზებული და შეურაცხყოფილი ღუდუშაურიც. მომხდარით განაწყენებული, რამდენიმე მეგობარს იმავე საღამოს დაუკავშირდა და მათ დოლაბერიძესთან შელაპარაკებისა და მისი მხრიდან შეურაცხყოფის შესახებ აცნობა. გადაწყვიტეს, რომ მეორე დღეს გაარჩევდნენ საქმეს...

ბრალდების თანახმად, კვლავ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ღუდუშაუმა დოლაბერიძეზე შურისძიება — მისი მოკვლა განიზრახა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მან უკანონო, დაურეგისტრირებელი ცეცხლსასროლი იარაღი — „მაკაროვის" პისტოლეტი ერთ-ერთ ნაცნობს გამოართვა, შემდეგ კი, როგორც მოლაპარაკებულები იყვნენ, მეგობრებს შეხვდა და მათთან ერთად, ისევ ნათესავის ავტომანქანით დოლაბერიძის საცხოვრებელი სახლისკენ წავიდა... საქმის მასალების მიხედვით, ღუდუშაური მსხვერპლს საღამოს 6 საათიდან ჩაუსაფრდა,

რადგან ვარაუდობდა, რომ წინა დღის მსგავსად, დოლაბერიძე შინ დაახლოებით ამ დროისთვის დაბრუნდებოდა. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებიათ. ერთ საათში დოლაბერიძის მანქანაც გამოჩნდა. ბრალდების თანახმად, არსებობენ მოწმეები — კორპუსის მცხოვრებლები, ასევე, იქვე მდებარე, პურის საცხობის თანამშრომლები, რომლებიც ამბობენ, რომ შავი „ოპელი" დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში იყო გაჩერებული ჩიხში. პურის საცხობის ერთ-ერთი თანამშრომელი ჩვენებაში აფიქსირებს, რომ მან საჭესთან მჯდომი, გულიაშვილების ყოფილი სიძე კარგად დაინახა, მას ადრეც იცნობდა და არავისში შეეშლებოდა. მოწმეები იმასაც ამბობენ, რომ მანქანაში, ღუდუშაურის გარდა, კიდევ რამდენიმე — ალბათ 3 — მათთვის უცნობი ახალგაზრდა იჯდა. დაინახეს ისიც, თუ როგორ გაჩერდა აღნიშნული „ოპელის" გვერდით დოლაბერიძის მანქანა.

*„...ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს. შემდეგ, ბესიკი მანქანიდან გადმოვიდა, „ოპელის" კარი გაიღო და ისიც იმ მანქანაში ჩაჯდა. „ოპელი" მაშინვე არ დაძრულა, დაახლოებით ერთი წუთით შეყოვნდნენ, შემდეგ დიდი სიჩქარით მოსწყდნენ ადგილს და წავიდნენ... საეჭვო არაფერი შეგვინიშნავს, ბესიკს არც აღელვება ეტყობოდა, არც სიბრაზე, ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. ეს ყველაფერი მამაკაცების საქმიან შეხვედრას უფრო ჰგავდა, ვიდრე რაიმე კონფლიქტს ან საქმის გარჩევას... ცუდს ვერაფერს ვიფიქრებდით, ერთადერთმა ეჭვმა მაშინ გამიელვა თავში, როცა ბესიკის მანქანა ისევ ბორდიურთან გაჩერებული დავინახე. უკვე გვიანი იყო, ჩვენ მუშაობა დავამთავრეთ, ის კი ისევ არ დაბრუნებული იყო. გულში გავივლე — მართალია, აქვე ცხოვრობს და ყველა იცნობს, მაგრამ მაინც უბედური უბანია, მანქანა ამდენ ხანს ასე უპატრონოდ როგორ მიატოვა-მეთქი?.. ამის შემდეგ, სახლში წავედი. ამ უბედურების შესახებ მეორე დღეს შევიტყვე..."* — წერს ჩვენებაში **კლარა ბალოიანი**, საცხობის თანამშრომელი...

ბრალდების თანახმად, ღუდუშაურმა და მისმა თანმხლებმა, გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა, დოლაბერიძე „საქმის გასარჩევად", შედარებით დაუსახლებელი და მივარდნილი ადგილისკენ — ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიისკენ წაიყვანეს. მანქანა გააჩერეს თუ არა, გადავიდნენ. ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, ღუდუშაურმა განაცხადა, რომ დოლაბერიძე უხეშად ეპასუხებოდა — არავინ გეკითხება ჩემს პირად ცხოვრებას და ურთიერთობებსო! — და შეგინებისთვის ბოდიშის მოხდაზეც უარს ამბობდა. გამოძიების ინფორმაციით, ამის გამო, დოლაბერიძეს ჯერ წიხლები ურტყეს, შემდეგ კი, ღუდუშაურმა პისტოლეტიც დაუმიზნა. ორი ტყვია დოლაბერიძეს გულმკერდის არეში მოხვდა, ერთიც — ბრალდების თანახმად, „საკონტროლო" — თავში... ის ადგილზევე გარდაიცვალა.

მკვლელობის შესახებ პოლიციამ იმავე ღამეს შეიტყო, რადგან სამართალდამცველებს სროლების თაობაზე ერთ-ერთმა მოსახლემ აცნობა. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს იქ უკვე დოლაბერიძის ცხედარი დახვდათ. დამნაშავეები, ისევე, როგორც მათი ავტომანქანა, აღარსად ჩანდნენ, ისინი დანაშაულის ადგილიდან კარგა ხნის მიმალულები იყვნენ.

ღუდუშაური პოლიციამ მეორე დღესვე, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში დააკავა. როგორც ბრალდების მხარე აღნიშნავს, რატომღაც დაიმედებული იმით, რომ დანაშაულში მისი მონაწილეობა არ გამჟღავნდებოდა, მკვლელობის შემდეგ, პირდაპირ სახლში წასულა და დასაძინებლადაც დაწოლილა...

გამოძიებამ მას განზრახ მკვლელობის მუხლი წაუყენა, თუმცა დაზარალებულმა მხარემ ბრალდებულისთვის 109-ე (დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა) მუხლით მისი გასამართლება მოითხოვა, რადგან მიიჩნია, რომ ღუდუშაურმა სრულიად უდანაშაულო ადამიანი, ჯგუფთან ერთად, თანაც — განსაკუთრებული სისასტიკით გამოასალმა სიცოცხლეს. დაზარალებულები ყურადღებას ამახვილებენ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაზეც, რომლის თანახმადაც, მოკლულის სხეულზე, ცეცხლნასროლი ჭრილობების გარდა, სიცოცხლისთვის სახიფათო, ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად მიყენებული არაერთი დაზიანება დაფიქსირდა. დაზარალებული მხარის თქმით, მკვლელი ღირსია, რომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ.

მართალია, დანაშაულში მონაწილე პირთა ჯგუფის შესახებ გამოძიებაც ლაპარაკობს, მაგრამ ბრალდების მხარემ, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, მიიჩნია, რომ დაუდგენელმა პირებმა მხოლოდ საქმის გარჩევასა და ცემაში მიიღეს მონაწილეობა, უშუალოდ მკვლელობა კი, ღუდუშაურმა ჩაიდინა... სამართალდამცველები იმასაც აღნიშნავენ, რომ წინასწარი გამოძიების პერიოდში, ღუდუშაურმა მათ არაერთხელ აღუთქვა მომხდართან დაკავშირებით სრულყოფილი ჩვენების მიცემა, მაგრამ დაპირება არ შეასრულა და კვლავ დუმილის უფლება გამოიყენა. ბრალდების მხარე ვარაუდობს, რომ ასეთი ტაქტიკა დამნაშავემ, საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანამდე, სასურველი ვერსიის მოსაფიქრებლად და პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად შეარჩია.

ბრალდების მხარე იმასაც აცხადებს, რომ ბრალის დასადასტურებლად გამოძიებას საკმარისზე მეტი მტკიცებულება აქვს. ამაში სამართალდამცველები გულისხმობენ როგორც მოწმეთა ჩვენებებს, ასევე ეჭვმიტანილის აღიარებასა და ექსპერტიზის დასკვნებს...

■

# წვრილშვილის პატრონებმა ოჯახის რჩენა ქურდობით გადაწყვიტეს

## კრიმინალური სამყაროსკენ პირველი ნაბიჯი მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა

**სამი ცოლშვილიანი მამაკაცი განსასჯელის სკამზე ქურდობისთვის აღმოჩნდა. ჩადენილი დანაშაულისთვის სასამართლომ მათ, კანონით გათვალისწინებული სასჯელიც შეუფარდა და თითოეულ მათგანს დაზარალებულის სასარგებლოდ, ფულადი ჯარიმაც დააკისრა. მართალია, ოჯახის უფროსებმა ცოლ-შვილისა და ნათესავების თანდასწრებით, სასამართლოს წინაშე თავი, როგორც შეეძლოთ, იმართლეს და ბრალდება უარყვეს, მაგრამ — ამაოდ. ბრალდების მხარე, მთელი პროცესის მანძილზე აცხადებდა, რომ გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებებს დამნაშავეები ვერსად გაექცეოდნენ...**

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 40 წელს მიღწეული ჯემალ გახოკიძე და მისი ორი მეგობარი — 32 წლის გიორგი ბებია და 33 წლის მამუკა სებისკვერაძე გახოკიძის ნათესავის ოჯახში, დაბადების დღის წვეულებაზე ქეიფობდნენ. საღამოს, როცა სტუმრები წამოიშალნენ, გვარიანად შეზარხოშებულმა გახოკიძემაც მოისურვა იქიდან წასვლა. ოჯახი მასთან ერთად, მისმა მეგობრებმაც — ბებიამ და სებისკვერაძემაც დატოვეს და ქუჩაში, ტაქსის გასაჩერებლად შეჩერდნენ. გახოკიძემ მეგობრებს სთხოვა, გარკვეული მანძილი ფეხით გაევლოთ და ტაქსი მოგვიანებით გაეჩერებინათ. ბებია და სებისკვერაძეც დათანხმდნენ. ცოტა ხანში, საუბარში, გახოკიძემ მათ თავისი განზრახვაც გაანდო: მეგობრებს უთხრა, რომ იმავე უბანში, მისი ნათესავის მეზობლად, ერთი მარტოხელა ქალბატონი ცხოვრობდა. მის სახლში თავადაც ნამყოფი იყო და იმჟამად ჰქონდა ინფორმაცია, რომ ქალი, ლოგინად ჩავარდნილ დეიდას უვლიდა და დროებით, მასთან ცხოვრობდა. გახოკიძეს აღნიშნული ქალბატონის სახლში რამდენიმე ძვირფასი ნივთი ეგულებოდა, ამის შესახებ მან მეგობრებს უთხრა კიდეც და ბინის გაქურდვაც შესთავაზა.

ბებიამ და სებისკვერაძემ მეგობრის მოულოდნელი წინადადება არ მიიღეს. საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ მათ გახოკიძეს უსაყვედურეს კიდეც ასეთი იდეის გამო და მას დაუყოვნებლივ შინ წასვლა ურჩიეს. თუმცა, როგორც ჩანს, გულის სიღრმეში, გახოკიძის წინადადება მათთვის მაინც მიმზიდველი აღმოჩნდა, რადგან

ბრალდების თანახმად, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა დიდხანს ვერ შეძლეს და ბოლოს, დანაშაულში მონაწილეობის თაობაზე გადაწყვეტილებაც მიიღეს.

დაახლოებით ღამის პირველის ნახევარი იქნებოდა, როცა გახოკიძე და მისი თანამზრახველები კორპუსში შევიდნენ და ნანი ქაშიბაძის საცხოვრებელი ბინის კარი შეათვალიერეს. მიიჩნიეს, რომ ბინის კარის გატეხა დიდ ხმაურს გამოიწვევდა და მეზობლების ყურადღებას მიიპყრობდა, ამიტომაც, ბებიას რჩევა გაითვალისწინეს და მეორე სართულზე მცხოვრები ქაშიბაძის ბინაში აივნიდან შესვლა გადაწყვიტეს. ჯერ პირველი სართულის, იქიდან კი, მეორე სართულის აივანზე აძრომა ბებიამ ითავა. მისი დახმარებით აივანზე გახოკიძეც აძვრა, ხოლო სებისკვერაძე ქვემოთ, სათვალთვალოდ დარჩა.

გახოკიძემ და ბებიამ აივნის კარის მინა ჩაამსხვრიეს და სახლში შეღწევა ასე მოახერხეს. ბინაში მართლაც არავინ დახვდათ, მათაც აღარ დააყოვნეს და სასურველი ნივთების ძებნა დაიწყეს. ბოროტმოქმედებმა ახალთახალი თეთრეული და ძვირფასი გადასაფარებელი იქვე ნაპოვნ ტყავის ჩემოდანში ჩააწყვეს და სებისკვერაძეს პირდაპირ აივნიდან გადაუგდეს. ქურდებმა თვალი სერვანდში დაწყობილ ჭურჭელსა და კედელზე დაკიდებულ, ძვირად ღირებულ, ძველებურ ხალიჩასაც დაადგეს. ამ ყველაფერთან ერთად, ბინიდან მათ „დენვერის“ ფირმის პატარა ფერადი ტელევიზორის გატანაც მოახერხეს...

ფული ან ძვირფასი სამკაული ქურდებს ბინაში არ დახვდათ. ამით იმედგაცრუებულებმა იქურობა დატოვეს და სებისკვერაძესთან ერთად, ნაქურდალი ნივთებით დატენილი ჩანთების გადამალვაზე დაიწყეს ზრუნვა. ბრალდების თანახმად, გახოკიძემ ტაქსი გააჩერა, მეგობრების დახმარებით ნადავლი მანქანაში მოათავსა და მძღოლს თავისი საცხოვრებელი ბინის მისამართი უთხრა. ბრალდების თანახმად, იმ ღამეს მან ყველაფერი თავის სარდაფში შეინახა. მეორე დღეს კი დანაშაულის თანამონაწილეებთან ერთად ნაქურდლის რეალიზაციას შეუდგა.

ოპერატიული ღონისძიების შედეგად, სამართალდამცველებმა ქურდობაში ეჭვმიტანილი გახოკიძე მომხდარი ფაქტიდან მეხუთე დღეს დააკავეს, შემდეგ, გისოსებს მიღმა დანარჩენი ორი ეჭვმიტანილიც — ბებია და სებისკვერაძეც აღმოჩნდნენ.

წინასწარ გამოძიებას სამივე მათგანმა აღიარებითი ჩვენება მისცა. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველად, დანაშაულში თანამონაწილე პირები, ჩვენებაში სწორედ გახოკიძემ დაასახელა...

დაზარალებულის მეზობლებმა დაკითხვისას განაცხადეს, რომ იმ ღამეს საეჭვო არც არაფერი შეუნიშნავთ და არც არაფერი გაუგონიათ. თუმცა, ბრალდების მხარის მიერ დაკითხულ პირთა შორის აღმოჩნდა ერთ-ერთი მოწმე — ახლოს მდებარე ავტოგასამართი სადგურის დარაჯი, რომელმაც აღნიშნა, რომ იმ ღამით, ტრასასთან სამი მამაკაცი შენიშნა.

*„...ჩემი ყურადღება იმით მიიპყრეს, რომ ერთ-ერთი მათგანი აქეთ-იქით მიმოდიოდა, შემდეგ გაჩერდა და რაღაცას დაუწო გახსნა. ოდნავ მოშორებით კიდევ ორი ახალგაზრდა იდგა. ჩაცუცქულები იყვნენ. არ შემინიშნავს, თუ რაიმე ბარგი ჰქონდათ. მე მხოლოდ ერთი ჩანთა დავინახე, რომელსაც ის კაცი ხსნიდა. მათ ქმედებაში საეჭვო არაფერი მომჩვენებია. ცოტა ხანში ისევ რომ გავიხედე იქითკენ, ისინი უკვე თეთრ „ჟიგულიში“ სხდებოდნენ...“* — წერს ჩვენებაში მოწმე **კახაბერ ცხვედიანი**.

ბრალდების მტკიცებულებებს შორის არის თითის ანაბეჭდები და ნივთმტკიცების ამოღების ოქმიც, რომლის თანახმადაც, პოლიციამ გახოკიძის სარდაფში ქაშიბაძის ბინიდან წაღებული მოოქრული დანა-ჩანგალი და თეთრეული აღმოაჩინა. რაც შეეხება ხალიჩასა და ტელევიზორს, ისინი არსად ჩანდა. გამოძიების ინფორმაციით, ბოროტმოქმედებმა ამ ნივთების გაყიდვა დაკავებამდე მოასწრეს.

სასამართლო პროცესზე სამივე განსასჯელმა უარყო წარდგენილი ბრალდებები. თუმცა გამოძიებას მათ, აღიარების შემდეგ, კიდევ რამდენიმე არაერთგვაროვანი და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება მისცეს. *„დანაშაულში მონაწილეობა არ მიმიღია. ჯანომ (ჯემალ გახოკიძე) იმ ღამეს მე და გიორგი ბებიას ბინის გაქურდვა შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენ უარი ვუთხარით. ამის შემდეგ, მე და გიორგიმ ტაქსი გავაჩერეთ და შინ წავედით. ჯანომ კი გზა მარტომ, ფეხით განაგრძო. ის მხოლოდ მეორე დღეს ვნახე. მითხრა, ბინა გავქურდე და ნივთების დამალვასა და გაყიდვაში დამეხმარეო. მე ვუსაყვედურე და ამის შემდეგ ამ თემაზე აღარ გვისაუბრია... მართალია, გამოძიებას თავიდან აღიარებითი ჩვენება მივეცი, მაგრამ ეს ჩემი ნების საწინააღმდეგოდ მოხდა. პოლიციელებმა მაიძულეს, ის დამეწერა, რასაც თავად მიკარნახებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დამემუქრნენ, ბრალს ისე დაგიმძიმებთ, ციხეში მთელი ცხოვრების გატარება მოგიწევსო...“* განაცხადა სასამართლო პროცესზე განსასჯელმა სებისკვერაძემ. მან, ისევე, როგორც ბებიამ და გახოკიძემ, ჩვენება საქმეში ადვოკატების ჩართვის შემდეგ შეცვალა.

რაც შეეხება დაზარალებულს — ნანი ქაშიბაძეს, სასამართლო სხდომას ის არ დასწრებია. წერილის თანახმად, რომლითაც მან მოსამართლეს მიმართა, პროცესზე, მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდებოდა. დაზარალებულმა სასამართლოს ისიც აცნობა, რომ მის მიერ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებას ადასტურებდა და დამნაშავეების მკაცრად დასჯასაც მოითხოვდა... დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, მომხდარი ფაქტის შესახებ, მეორე დილით, მან მეზობლებისგან შეიტყო. მეზობლებს შეუნიშნავთ, რომ აივნის კარის მინა ჩამსხვრეული იყო და ბინის პატრონისთვის დაურეკავთ. *„...ოთახებში ყველაფერი ანგრეული, თავდაყირა დამხვდა. იატაკზე სიგარეტისა და ასანთის ნამწვევებიც ეყარა, როგორც ჩანს, ქურდებს მოუწევიათ...“* — წერს დაზარალებული და გამოძიებას ამავე ჩვენებაში ბინიდან გაუჩინარებული ნივთების სიასაც აწვდის.

განსასჯელთათვის განაჩენის გამოტანისას, სასამართლომ, როგორც განაჩენშია აღნიშნული, ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებებიც გაითვალისწინა. ოფიციალური ცნობით, არც ერთი განსასჯელი წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. ამავე დროს, სამივე მათგანი წვრილშვილის პატრონი და თანაც, უმუშევარი გახლდათ... ჩადენილი ქურდობისთვის მათ 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. გარდა ამისა, განაჩენის თანახმად, მსჯავრდებულებმა ფულადი ჯარიმა — 300 ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ. ■

# რუსეთის პროკურატურა ქართველ სამართალდამცველებს საქმის ასლებს სთხოვს

2007 წლის 25 იანვარს, საქართველოს ხელისუფლებამ გაავრცელა ინფორმაცია რუსეთის მოქალაქის — ოლეგ ხინციგოვის დაკავების შესახებ. მთავრობის წარმომადგენელთა და სამართალდამცველთა თქმით, ხინციგოვი 100 გრამი გამდიდრებული ურანის გაყიდვას ცდილობდა. აღნიშნული ფაქტი 2006 წლის თებერვალში გამოვლინდა, სასამართლო პროცესი კი საქმესთან დაკავშირებით, გასული წლის ზაფხულში გაიმართა. სასამართლომ ჩრდილო-ოსეთის მკვიდრი ხინციგოვი წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.



რუსი სამართალდამცველები ამჟამად, საქართველოს ტერიტორიაზე ურანის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტზე აღძრულ საქმის მასალებს ითხოვენ. ამის თაობაზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურისგან ოფიციალური მოთხოვნა მიიღო. ამის საფუძველი გახდა ის, რომ მანამდე, ქართულმა მხარემ რუს სამართალდამცველებს აღნიშნული საქმის გამოძიებაში დახმარება სთხოვა. რუსული სააგენტოს — „რია-ნოვოსტის“ ცნობით, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართვის განხილვისას, რომელიც აღნიშნულ თხოვნას შეიცავდა, რუსეთის გენპრო-

კურატურის ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა, რომ დახმარების გასაწევად, მათ საქმის გაცნობა დასჭირდებოდათ და ამ მიზეზით, საქმის მასალების ასლები მოითხოვა. „მასალები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე რადიოაქტიური ნივთიერების უკანონოდ მოპოვებისა და შენახვის ფაქტზე სისხლის სამართლის აღძვრისთვისაა საჭირო“, — განაცხადა „რია-ნოვოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რუსეთის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა. მან ასევე განაცხადა, რომ აღნიშნულ მოთხოვნაზე საქართველოს ჯერჯერობით, პასუხი არ გაუცია და მათ მოთხოვნის გამეორება მოუხდათ. ამავე სააგენტოსთვის გაკეთებულ კომენტარში, რუსეთის არაორგანულ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, იგორ შკაბურამ განაცხადა, რომ რუსმა ექსპერტებმა საქართველოში ურანის წარმოშობის ფაქტი ვერ დაადგინეს, რადგან ქართულმა მხარემ მათ ძალზე მცირე რაოდენობის ნიმუში გაუგზავნა. ■

## კალაძის საქმის პროცესზე მოწმეები იკითხებიან

გრძელდება ლევან კალაძის გატაცებისა და განზრახ მკვლელობის საქმის განხილვა. სასამართლო პროცესი ბრალდებულების — დავით ასათიანისა და ლევან ამისულაშვილის ადვოკატის შუამდგომლობებზე მსჯელობით განახლდა.

შუამდგომლობა ამერიკელი და უკრაინელი ექსპერტების დაკითხვას ეხებოდა, მაგრამ ადვოკატის მოთხოვნა მოსამართლემ — ვაჟა ფუხაშვილმა, რომელიც აღნიშნულ საქმეს განიხილავს, არ დააკმაყოფილა. მოსამართლის განმარტებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ იმ ექსპერტთა დაკითხვას ითვალისწინებს, რომლებმაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაატარეს. „ამ კატეგორიაში არიან ექსპერტები — ვოიტენკო და ონსკი, მაგრამ ვინაიდან ისინი საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებიან, მათი დაკითხვის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს“, — განაცხადა პროცესზე მოსამართლემ.

დაცვის მხარეს თავისი შუამდგომლობა არგუმენტირებულად და სამართლიანად მიაჩნია და მისი დაუკმაყოფილებლობის ფაქტს იმით ხსნის, რომ სასამართლო აღნიშნულ საქმეში ჭეშმარიტების დადგენით არ არის დაინტერესებული.

სასამართლო პროცესზე მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს. დასაკითხად დაიბარეს თურქეთის მოქალაქე, რომელიც ზესტაფონთან, თბილისი-სტამბოლის რეისის ავტობუსის დაყაჩაღების მოწმე გახლდათ. შეგახსენებთ, რომ ასათიანი და ამისულაშვილი არა მარტო ლევან კალაძის გატაცებასა და მის განზრახ მკვლელობაში, არამედ ზემოთ აღნიშნული ავტობუსის დაყაჩაღებაშიც არიან ბრალდებულები.

კალაძის გატაცების საქმესთან დაკავშირებით, მათ გარდა, კიდევ ორი ეჭვმიტანილი — ლევან ცინცაძე და თემურ გაგნიძე დააკავეს. ბრალდების თანახმად, ცინცაძე შვეიცარიას აფარებდა თავს, გაგნიძე კი — საფრანგეთს. ■





# „ქორწილებში ვარსკვლავები მღერიან ...

## და ნუგზარ კვაშალის საოცნებო სცენა

**უკვე რამდენიმე წელია, ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ქართველი მომღერლები საკუთარი კარიერის წინ წასაწევად, მოსკოვში მიდიან, სადაც უფრო მეტი აღიარება და ხალხის სიყვარული მოიხვეჭეს, ვიდრე საქართველოში. მათ რიცხვში ცნობილი „ჯუჯა“ და ანსამბლ „ივერიის“ ერთ-ერთი სოლისტი, ნუგზარ კვაშალიც გახლავთ, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდა და ქართულ რესტორანში მღეროდა. სულ რამდენიმე თვეა, რაც ბატონი ნუგზარი სამშობლოში დაბრუნდა, რასაც მისი ქართველი მეგობრები პუტინს უმადლიან...**

ნათია ქივიძე

**— პირველად როდის და რატომ გადაწყვიტეთ მოსკოვში გამგზავრება და იქ დამკვიდრება?**

— საერთოდ, მოსკოვში გასტროლი ხშირად გვქონდა. ბოლოს როცა წავედი, იქ დარჩენას არ ვაპირებდი. 2002 წლის 23 ოქტომბერს, თბილისში, ფილარმონიის წინ, „ივერიის“ ვარსკვლავი ჩაიდო, პირველ ნოემბერს, მოსკოვში გავემგზავრეთ, რადგან ალექსანდრე ბასილაია იქ ჩვენს განთქმულ მიუზიკლს — „ჩხიკვთა ქორწილს“ დგამდა. მიუზიკლის რეჟისორი, ცნობილი შემოქმედი, ევგენი გინზბურგი გახლდათ (გახსოვთ ალბათ, წლების წინ, მან ამ მიუზიკლის კინოვერსია გადაიღო). სხვათა შორის, ევგენი ალექსანდრე ბასილაიას ნათლულია. ისე მოხდა, რომ ჩვენი ანსამბლიდან მხოლოდ მე — ბუ — ვიყავი. ხომ ხედავთ, ყველაზე ჭკვიანი ფრინველი მაინც საქართველოდან წაიყვანეს, ხოლო არწივი, წრუწუნა და ყვავი იქაც საკმარისად ბევრი ჰყავდათ... კასტინგის შედეგად, ყველაზე საუკეთესო მსახიობები შეარჩიეს, მათ შორის, სოფო ნიჟარაძე, რომელიც ძალიან მოეწონათ და მაშინვე დაამტკიცეს ქეთოს როლზე. სპექტაკლი ცირკის არენაზე დაიდგა, სულ 80 მსახიობი მონაწილეობდა. ჩვენს დასში კიდევ ერთი ქართული გვარის მქონე მსახიობი აღმოჩნდა — ეს გახლდათ აწ გარდაცვლილი ირაკლი ჩარკვიანის პირველი მეუღლე, რომელიც რუსია, მაგრამ ყოფილი ქმრის გვარს ატარებს. არაჩვეულებრივი მსახიობია. ციგურებზეც მაგრად დგას და ძალიან ლამაზი ქალია... სულ 124 სპექტაკლი ჩავატარეთ, სრული ანშლაგით... „ჩხიკვთა ქორწილის“ რეპეტიციების პარალელურად, მე ვმუშაობდი ჩემი მეგობრის, გიული კობახიძის რესტორანში, რომელსაც „ბერიკონი“ ჰქვია. ეს რესტორანი მოსკოვის ცენტრში, კრემლის გვერდით მდებარეობს. ანსამბლ „ივერიის“ ეგიდით ვმუშაობდით: მე, ზურა კობეშავიძე, მშვენიერი მომღერალი ტატო გოდერძიშვილი და თამრიკო ქართველიშვილი, რომელიც ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს. „ივერიის“ რეპერტუარი იქ ყველამ გადასარევად იცის. გარდა ამისა, ფოლკლორსაც ვმღეროდით და, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ რესტორნებისა და კლუბების წრეში ერთ-ერთი საუკეთესო ანსამბლი ვიყავით. ნახევარსაათიანი პროგრამა გვქონდა მომზადებული და ყველა კმაყოფილი იყო ჩვენი იქ მუშაობით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემთვის უჩვეულო სამუშაო იყო... მოსკოვში პირველ რიგში, იმიტომ დავრჩი, რომ ჩვენ იმ რესტორანში გამოსვლის გარდა, გვქონდა კონცერტები სხვადასხვა ქალაქში და წვეულებებზეც გვეპატიჟებოდნენ. ახლა ჩვენი მომღერლები რომ ამბობენ ხოლმე — 3 კონცერტი ჩავატარე ამა და ამ ქვეყანაშიო, — და არ აზუსტებენ, სად ჩაატარეს, იცოდეთ — ყველა რესტორანში მღეროდა... რა არის ამაში სამარცხვინო? რეი ჩარლზმა თავისი კარიერა რესტორნიდან დაიწყო და რესტორანში დაამთავრა. მსმენელი და მაყურებელი სადაც გყავს, იქ უნდა იმუშაო. შესაძლოა, ხვალ ვილაცამ დამიძახოს და სამზა-



ძალიან კმაყოფილი ვარ თოვლის ბაბუობით. მომავალ წელს, შესაძლოა, „სნეგუროჩკაც“ გავხდე

რეულოში მამღეროს, მაგრამ იმდენი გადამიხადოს, რომ მთელი ცხოვრება მეყოს. თუ ეს შენი პროფესიაა, გამოსვლა არსად არ არის სათაკილო. მით უმეტეს, რომ იქ ძალიან მაგარი რესტორნებია. ამიტომაც დავრჩი... მაგალითად, შარშან ახალ წელს პეტერბურგში შევხვდით. დაგვპატიჟეს კლუბში — „ტარეოქლაბი“, რომლის მეპატრონეც ქართველია. ჩემი მეუღლეც წავიყვანე იქ. მაგარი კლუბი იყო, ძალიან მდიდრული. ნიკოლოზ მეორის დროინდელ წვეულებებზე როგორი ჩაცმულობაც იყო მიღებული, ისე ეცვათ, გავგიჟდით... იმ საღამოს მხოლოდ ჩვენ და ლარისა დოლინა ვმუშაობდით იმ კლუბში. ბოლოს, ქალაქის მერი მოვიდა და გვითხრა — რადგან „ივერიაა“ ჩამოსული, ცენტრალურ მოედანზეც უნდა ვამღეროო. იქ ცენტრალური მოედანი მდინარის პირას არის. უშველებელი სცენა იყო აგებული. დაახლოებით 50 ათასი ადამიანი იყო გარეთ გამოსული 15-გრადუსიან ყინვაში. უარს ხომ არ ვიტყოდით?! როცა ჩვენი გამოსვლა გამოაცხადეს, ისეთი ამბავი ატყდა, ლამის სცენაზე ამოცვივდნენ, ხელების დასაკოცნად, ისეთი სიყვარული აქვთ ჩვენ მიმართ...

— **მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს საქართველოსა და რუსეთს შორის უკვე გამწვავებული ურთიერთობა იყო?**

— მაგ პრობლემებს პოლიტიკოსები ქმნიან. მერე ისინი მიდიან და ხალხი ხომ რჩება! ის პრობლემები კი, იმ პოლიტიკოსებს მიაქვთ, სადაც მიდიან, იქ... მოსკოვში ისე უყვართ ქართველი მომღერლები, ვერც კი წარმოიდგენთ... მოკლედ, იმ საღამოს კარგად გამოვედით. მეორე დღეს გამოგვაცილეს მოსკოვში და ყველანი კმაყოფილები ვიყავით. ასევე ხდებოდა მოსკოვშიც, სადაც ჩვენ ვმუშაობდით. ძალზე ხშირად გვეპატიჟებოდნენ სხვადასხვა კონცერტზე. ბასილაიას სიმღერაზე — „არგო“, ხალხი ფეხზე დგებოდა. ეს ფაქტობრივად, მათთვის ჰიმნივითაა. ტირიან, ტაშს უკრავენ და ა.შ. ყველას ძალიან უყვარს. იმ 5 წლის განმავლობაში, რაც იქ ვიყავი, ყველას „არგოს“ მოსმენა უნდოდა. ეს ცოტა ნერვების მომშლელიც იყო, რადგან დარბაზში 100 ადამიანი იყო და ასივე „არგოს“ ითხოვდა, მაგრამ — სხვადასხვა დროს. ხანდახან 22-ედ რომ ვიწყებდით ამ სიმღერას, უკვე ვჩხუბობდი — წავიდნენ ახლა აქედან, თორემ გავაარგოებ-მეთქი!..

— **მაგრამ ხომ ძალზე სასიამოვნო შეგრძნებაა, როცა უცხო ხალხს ასე უყვარხარ?!**

— რა თქმა უნდა. ვინც კი „ივერიას“ სახელს გაიგონებდა — ტაქსის მძღოლიდან დაწყებული, — ყველა პატივს გვცემდა. არასოდეს დამავიწყდება, ჩვენი მიუზიკლი — „ფიროსმანი“ საკონცერტო დარბაზ „როსიაში“ დიდი ანშლაგით ჩატარდა. ფოიეში ერთ-ერთმა რუსმა კოლექციონერმა ფიროსმანის ორიგინალები გამოფინა, დარბაზში კი, სპექტაკლი მიმდინარეობდა. ყველაფერი ქართულად მიდიოდა, არც ერთი სიმღერა არ ითარგმნა. მხოლოდ მე, როგორც წამყვანი, რუსულად ვურთავდი მოკლე ანოტაციებს და ერთი სიმღერა ვიმღერე. ყველაზე მეტად მე დავიჩაგრე, რადგან 17-სტროფიანი სიმღერა იყო. კონცერტი რომ დასრულდა, ორი მოხუცი ქალი, იმ საკონცერტო დარბაზის დამლაგებლები მოვიდნენ და მითხრეს — აქ უამრავი კონცერტი გვაქვს ნანახი, მაგრამ თქვენ რომ რუსულად ტექსტი წაიკითხეთ, ეს ყველაზე საუკეთესო იყოო. ეს ჩემთვის ძალზე დიდი შეფასება იყო. კარგად იმიტომ გამომივიდა, რომ ჩემი „ივერია“ მედგა გვერდით და დიდ ძალას ვგრძნობდი ამის გამო. ჩვენი მუშაობა წელსაც სათანადოდ დაფასდა. ანსამბლმა 39 წლის იუბილეს დროს, 7 კონცერტი ჩაატარა ანშლაგით! რამდენი ვარსკვლავი გვყავს საქართველოში?! შეიკრიბონ და ერთი კონცერტი ჩაატარონ ისე, რომ დარბაზი გადაჭედილი იყოს. სიამოვნებით მივულოცავ ამ წარმატებას. ჩვენ ჩვენი მაყურებელი გვყავს. დარბაზში იცით, რა ხალხი იჯდა?.. როცა „ჯუჯები“ პირველად ვიმღერეთ, ისინი მაშინ ბავშვები იყვნენ!

— **მეც ვესწრებოდი წლების წინ თქვენს კონცერტებს და ერთხელ თქვენ შოკოლადიც მაჩუქეთ, სცენაზე ამოსულს...**

— შენ შემოგევლე! აი, ხომ ხედავ! ამიტომაც ხარ ლამაზი *(იცინის)*... ახლა თქვენ უკვე თქვენი შვილები მოგყავთ კონცერტებზე... ის, რომ ჩვენ დღემდე მოვედით, ხალხის დამსახურებაა. მათი სიყვარულის გამო ხდება ასე. ჯემალ ბაღაშვილმა თქვა — მტრების ჯინაზე, 50 წლის იუბილესაც გადავიხდით, თუ მანამდე ყველაფერი კარგად იქნებაო. ღმერთმა ქნას!

— **დღეს ალბათ, ახალი მიუზიკლის დადგმაზე ლაპარაკიც ზედმეტია...**

— „ფიროსმანზე“ 12-13 წელი ვმუშაობდით. ახალ მიუზიკლზე ამ სიტუაციაში ნამდვილად ვერ ვიფიქრებთ. შეუძლებელია, ახლა რაიმე ახალი დაიდგას. ლაპარაკია იმაზე, რომ ახლა „ფიროსმანი“ უნდა განვაახლოთ და კიდევ ერთხელ მივცეთ მაყურებელს მისი ხილვის საშუალება, რადგან ჩვენი აზრით, ხალხს მოენატრა ეს სპექტაკლი.

— **ისევ მოსკოვს დავუბრუნდეთ. „ბერიკონში“ რუსების გარდა, ალბათ ქართველებიც ხშირად გსტუმრობდნენ. როგორც ვიცი, იქ მცხოვრები ქართველები ქორწილებშიც გეპატიჟებოდნენ...**

— ძირითადად, რუსი მსმენელი გვყავდა, რადგან რუსებს ძალიან უყვართ გარ-



ძირითადად, რუსი მსმენელი გვყავდა, რადგან რუსებს ძალიან უყვართ გართობა და მხიარულება

თობა და მხიარულება. დეკემბერში უამრავი კონცერტი გვქონდა ხოლმე. იქ ქუჩაში ხომ საცობებია, ჩვენ კიდევ არ უნდა დაგვეგვიანა. მე, კობეშავიძე და თამრიკო, გიტარაგადაკიდებულები, მეტროთი ვმგზავრობდით. ყოფილა შემთხვევა, როცა 5 კაცი სადღაც ქეიფობდა, ჩვენი მოსმენა მონდომებია და მივუწვევივართ. ხანდახან, 300-კაციან ან 500-კაციან სუფრაზეც დავუპატიჟებივართ... ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც „ივერიელებს“ გვეამაყება. 1977 წელს საბჭოთა სიმღერის საუკეთესო შესრულებისთვის „ივერიამ“ პირველი პრემია აიღო. მაშინ ერთი უზბეკი თუ ტაჯიკი მომღერალი გავიცანით, რომელმაც გვკითხა — თქვენ ქორწილებში დადიხართო? მაშინ „ივერია“ ქორწილში როგორ ივლიდა? სირცხვილად მიგვაჩნდა ასეთი რამ... მას ძალიან გაუკვირდა. გვითხრა — მე წელიწადში 100 ქორწილში მაინც მივდივარ და როცა მეპატიჟებიან, ეს ჩემთვის იცით, რამხელა პატივია, რადგან მე სახალხო არტისტი ვარ, ქორწილი კი, სახალხო დღესასწაულიაო. მაშინ ვერც ბედავდნენ ჩვენს დაპატიჟებას. ახლა, ბოლო რამდენიმე წელია, ფეხი მოიკიდა ამ ტენდენციამ — ქორწილებში ვარსკვლავები მღერიან. ჩვენც მივხვდით, რომ თუ ხალხს უყვარხარ, იქაც უნდა მიხვიდე. არავის უარი არ უნდა უთხრა სიმღერაზე, რადგან ეს შენი პროფესიაა. ოღონდ, რა თქმა უნდა, მომღერლის თავმოყვარეობა არ უნდა შეილახოს და გარკვეული თანხა უნდა გადაუხადონ. აქ სამარცხვინო არაფერია. ზურა სოტკილავასაც კი უმღერია ჩვენთან ერთად ქორწილში.

— **ახლა თბილისში დაბრუნების შესახებ მოგვიყევით...**

— ვიზას ვადა გაუვიდა და გასულ ზაფხულს ჩამოვედი. ვფიქრობდი — ცოტას დავისვენებ, ვიზას გავაგრძელებ და ისევ დავბრუნდები-მეთქი. მაგრამ ვერსადაც ვერ დავბრუნდი. ვინ გამიშვებდა ასეთ დროს იქ?.. ასე დავრჩი. ამას წინათ, ჩემმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა — ახლა პუტინის სადღეგრძელოს ვსვამთ, რადგან ყველა გამოგყარათ იქიდან და ჩვენ გვერდით ხართო...

— **ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი მომღერალი წავიდა მოსკოვში კარიერის გასაგრძელებლად...**

— სოსო პავლიაშვილი ჩვენი ანსამბლის წევრი იყო. ის უკვე კარგა ხანია, მოსკოვშია და საკმაო პოპულარობით სარგებლობს, დიდ პატივს სცემენ რუსები. ღირსიც არის, რომ ასე უყვარდეთ, რადგან მთელი თავისი ცხოვრება სიმღერას შეალია. დღეს ის ერთ-ერთი უძლიერესი მომღერალია მოსკოვში. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელია, მოსკოვში ცხოვრობს, ჩემი იქ ყოფნის პერიოდში დიდ დარბაზში მხოლოდ 3 კონცერტი ჩაატარა. ხომ შეეძლო, ყოველდღე ემღერა?! მაგრამ მან პროგრამა საფუძვლიანად შეადგინა, დახვეწა და ისე გამოვიდა სცენაზე. იგივე შემიძლია ვთქვა თამრიკო გვერდწითელზე. ისიც დაახლოებით მაგ პერიოდში წავიდა იქ... სამშობლოში კი კარგია ცხოვრება, მაგრამ აქ ისე არ ფასდება ყველაფერი. ჩვენი საქმე, სიმღერაა, მაგრამ ამ საქმიანობით საქართველოში ვერავინ ირჩენს თავს. რუსეთში ბევრი ფულია, მომღერალიც სიმღერით ცხოვრობს და ა.შ. ამიტომაც მიდიან ჩვენები აქედან. თუმცა ახლა მე არსად წამსვლელი აღარ ვარ, რადგან უკვე 55 წლის ვარ, მაგრამ ახალგაზრდებმა რა ქნან?.. წავიდნენ და იქ გადასარევად გრძნობენ თავს. ჩემი აზრით, მალე საქართველოშიც იგივე მოხდება. ხომ ხედავთ, ჩვენში უკვე ბევრი ფულიანი ხალხი გაჩნდა. მერე, აღარავინ წავა აქედან... მოსკოვში ახლა ძალიან დიდი ფული ტრიალებს. დათო ხუჯაძე, ხომ ნახეთ, რუსულ „ემტივიზე“ ლიდერობს. ქეთა თოფურია წავიდა, ცნობილ ანსამბლში მოხვდა და ერთიც არ დაუცემინებია, ისე მოერგო მას. ვენაცვალე, ძალიან მიყვარს ეგ ბავშვი. ახლა პოლიტიკოსებმა გაართულეს ყველაფერი, თორემ, მალე




გამოსწორდება მდგომარეობა და ისევ ისე წავლენ ქართველები მოსკოვში, როგორც აქამდე მიდიოდნენ. გოგა დადუნაშვილი, ძალზე ნიჭიერი ქართველი რეჟისორი, მოსკოვში ქუჩაში შეესწრო, როგორ ტენიდნენ ვიღაცები ორ ქართველ ბავშვს მანქანაში. მივიდა და ვიღაცას ხია — რას უშვრები ამ ბავშვებსო?! ასეთი არ უნდაო! — და საწყალი, საშინლად სცემეს და დაიჭირეს. მართალია, როგორც კი მისი ვინაობა გაირკვა, მაშინვე გამოუშვეს, მაგრამ მან თქვა — სანამ ასეთი სიტუაციაა მოსკოვში, მე აქ აღარ ჩამოვალო. ახლა თბილისშია. ბევრი რუსი ჩამოდის ახლა აქ, გოგამ რომ კლიპი გადაუღოს. დიდი სიყვარული და შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებს რუს და ქართველ ხელოვნებს ერთმანეთთან. ასე რომ, ბოლოს, ყველაფერი კარგად იქნება.

— **თქვენ რის გაკეთებას აპირებთ საქართველოში?**

— მე და ზურა დოიჯაშვილს პატარა მუსიკალური ბარი გვქონდა გახსნილი, სადაც საღამოებს ვატარებდით. დავხურეთ და ახლა გვინდა, ცოტა უფრო დიდი ფართის მქონე ბარი გავხსნათ. სულ მალე მოვახერხებთ ამას. ბარს „დეკა“ დავარქვით — ჩემი და ზურას გვარების აბრევიატურების გამოყენებით. გარდა ამისა, „დეკა“ ასეც შეგვიძლია გავშიფროთ: „დვარეც კულტური“, „დომ კულტური“ ან „დებილები-კრეტინები“, — მოკლედ, ვისაც როგორ უნდა, ისე თარგმნოს... ახლა გავფართოვდებით და ყველას დაგპატიჟებთ პრეზენტაციაზე. როგორც უკვე ვთქვი, წასვლით არსად აღარ წავალ, საქართველოში ვრჩები. სხვათა შორის, ამ ახალ წელს მე თოვლის ბაბუაც ვიყავი. ძალიან ძვირფასი ფორმა მაქვს, რომელიც მოსკოვში მაჩუქეს. ის ჩავიცვი და მერიაში შევხვდი, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს. მეორედ რომ მივედი, ქალბატონი სანდრა რულოვსი დამხვდა, თავის პატარა ნიკუშასთან ერთად, რომელთანაც 20 წუთის განმავლობაში ვცეკვავდი. არაჩვეულებრივი ბავშვია. გადამრია. იმსიმძიმეა, კინაღამ ხელები ჩამაწყვიტა. პატარა კაცია... მოკლედ, ძალიან კმაყოფილი ვარ თოვლის ბაბუობით. მომავალ წელს, შესაძლოა, „სნეგუროჩკაც“ გავხდე. მაგრამ საქართველოდან არ წავალ. ხანდახან გასტროლებზე თუ „გავძვრებით“, თორემ ისე, არსადაც აღარ წავალ... კიდევ, პატარა სკოლის გახსნა გვინდა. იცით ალბათ, საქველმოქმედო სკოლის შესახებ, რომელსაც თემურ წიკლაური ხელმძღვანელობს. მსგავსი სკოლის გახსნა გვინდა, ოღონდ — მუსიკალური განხრით, სადაც მასწავლებლებსაც ექნებათ სამსახური და გაჭირვებულ და ნიჭიერ ბავშვებსაც ვასწავლით სიმღერას. ვნახოთ, თუ ვინმე ღვთისნიერი გამოეხმაურება ჩვენს სურვილს, მაგ საშვილიშვილო საქმესაც გავაკეთებთ. დღეს თბილისში ამის საშუალება მხოლოდ სამ ადამიანს აქვს. უკვე შევატყობინეთ ამის შესახებ და ვნახოთ, რა იქნება... ეს არის ჩემი ოცნება... ■

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:

1. ტვიდი ერთგვარი საკოსტიუმე ქსოვილია.
2. ტესლა მაგნიტური ინდუქციის ერთეულია.
3. ველურ ბუნებაში 5000-ზე ნაკლები ვეფხვილა ბინადრობს.
4. პინო ფრანგული ვაზის ჯიშია. იგი საქართველოშიც ხარობს.
5. ამაზონის ჯუნგლებს 13 მილიონი კვადრატული კილომეტრი უკავია.
6. ტერფსიქორა ცეკვისა და გუნდური გალობის მუზაა ბერძნულ მითოლოგიაში.
7. ბილიარდის თამაშის დროს ლუზში შემთხვევით ჩავარდნილ ბურთს ფუქსი ჰქვია.



8. „ჩინური ტელეფონი" — ასე ეძახიან ამერიკელები ტელეფონს, რომელიც არ მუშაობს.
9. მეძავების მფარველი, რომაული ღვთაების, პრიაპის მშობლები — ბახუსი და ვენერა იყვნენ.
10. „ქალების გავლენა ქვეყნის პოლიტიკაზე დღისით ძალზე დაბალია", — ამტკიცებს მიხაილ ჟვანეცკი.
11. „ძაღლის წელიწადში საახალწლო სუფრა შემწვარი ჩინელით ან კორეელით უნდა მორთოთ", — გვირჩევს ევგენი პეტროსიანი.
12. „ნუ გაუთხრი ახლობელს ორმოს, მან შესაძლოა, იგი სანგრად გამოიყენოს", — გვაფრთხილებს მიხაილ ზადორნოვი.
13. „შეხვალ და ველარ გამოხვალ", — ასე ითარგნება ჩინეთში მდებარე უდაბნოს, ტაკლა-მაკანის სახელწოდება. P.S. ელიბოს მარანი გამახსენდა...
14. „ჩემთვის მხოლოდ ორი ტიპის ქალი არსებობს — ქალღმერთი და ფეხის საწმენდი ტილო", — ამბობდა პაბლო პიკასო.
15. „ასიოდე პრაპორშიკს სურს, შეცვალოს რუსეთი..." — მხრებს იჩეჩდა დეკაბრისტების შემხედვარე, ალექსანდრ გრიბოედოვი.
16. ფურია შურისძიების ქალღმერთია რომაულ მითოლოგიაში. ეს სახელი ავი და კაპასი დედაკაცის სინონიმადაც იხმარება.
17. ბორის კრუტიერის თქმით, ზოგიერთი, მთელი ცხოვრება მძიმე ჯვარს დაატარებს, ზოგიც — ჩაქუჩსა და ლურსმნებს.
18. 31 აგვისტოს რუსეთის დიდ ქალაქებში წარმოუდგენელია სილამაზის სალონებში მოხვედრა. მომსახურების საათები საპირველსექტემ-





# ირაკლი მარხულიას გულის „გაჩერებით" ემუქრებიან

**რუბრიკა „სასიძოში" ირაკლი მარხულიას მოწვევის შემდეგ, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მას მართლა ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. მისმა ფანებმა მოსვენება დამაკარგვინეს — მირეკავენ, მიმესიჯებენ, თხოვნით მომმართავენ: იქნებ, ირაკლის გაცნობაში დაგვეხმაროო. მინდა გითხრათ, რომ ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული და თუკი რომელიმე თქვენგანის გზავნილით ირაკლი დაინტერესდება, პირობას გაძლევთ, ამას აუცილებლად შეგატყობინებთ. ახლა კი ირაკლის სახელზე მოსულ „ესემესებს" გაგაცნობთ.**

*სოფო ჭონიშვილი*

„იკა, ძვირფასო, „ჯეობარიდან" შემიყვარდი. 18 წლის ვარ. ჩემს გარეგნობაზე არაფერს გეტყვი, მაგრამ თუ ჩემს ნახვას მოისურვებ, ვიცი, აუცილებლად „მოგეწონები".

„ყოველთვის ირაკლისნაირ ბიჭზე ვოცნებობდი, ის მართლა კარგი „სასიძოა". იმედი არ მაქვს, რომ ირაკლი ჩემით დაინტერესდება, რადგან სიმაღლე არ მიწყობს ხელს. თორემ ისე, არა მიშავს, რა. ირაკლი, ბედნიერებას გისურვებ".

„50 გრამს რომ დავლევ, შენი ნახვა მინდება, 100 გრამზე — შენი მოფერება. 150 გრამზე — შენი ჩახუტება. სიხარულო, ერთად 200 გრამი ხომ არ დაგველია?"

„თუ ამ ცხოვრებამ მახე დაგიგო/ და მეგობარმა ველარ გაგიგო,/ თუ სიყვარულით სულ მთლად გარეკე,/ შენნაირი ვარ, ჩემთან დარეკე".

„ირაკლი, ვერ გამიგია, გოგოები შენზე რატომ გიჟდებიან. ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ხარ, შეიძლება შენში რაღაც საინტერესოც არის, მაგრამ მე ვერ ვამჩნევ. ანა-16".



„ირაკლი, სამი დღეა, რაც საქართველოში ჩამოვედი, უკრაინაში ვცხოვრობ. თბილისში მეგობრებთან ჩამოვედი. ისე, მეც მარხულია ვარ და იქნებ, ნათესავებიც კი აღმოვჩნდეთ. უცნობი ალინა".

„იკა, ძალიან მიყვარხარ, კარგი ადამიანი ხარ, შენი გამარჯვება გამიხარდა. ფინალის დღეს, მე და დედაჩემი დაძაბულები ვისხედით ტელევიზორთან და მთელი გულით გგულშემატკივრობდით. მინდა, ცხოვრებაში კიდევ უფრო დიდი წარმატებები გისურვო. გაიხარე. მიმი".

„ირაკლი, შენი ფანი ვარ, შენთან მეგობრობა ძალიან მინდა. მეც მეგრელი ვარ და მჯერა, რომ ერთმანეთს კარგად გავუგებთ. თუკი ჩემთან მეგობრობას მოისურვებ, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება. ბელა, 17 წლის".

„იკა, დიდი მადლობა, რომ ჩემთვის კვადროციკლის ჩუქება არ დაგენანა. შენ ისეთი კარგი ხარ, საცოლის ძებნა არ უნდა გჭირდებოდეს; პირიქით, გოგოები შენნაირ ბიჭებს აქეთ ეძებენ. კესო".

„18 წლის ვარ. ისე მენატრები, თითქოს მართლა ჩემი იყო. ვიცი, რომ შენი მონატრების უფლება არ მაქვს, მაგრამ მაინც მენატრები".

„სიგიჟემდე მინდა, გაგიცნო. არ წააგებ, იცოდე. არ გინდა, სვანეთში წაგიყვანო? ველი შენს პასუხს. მარიკუნა".

„უმორჩილესად გთხოვთ, ეს მესიჯი დამიბეჭდოთ. ირაკლი, ძალიან მინდა ერთმანეთს პირისპირ შევხვდეთ. ეჰ, ვიცი, რომ ამის შანსი ნაკლებად მაქვს. ისიც ვიცი, რომ უამრავი თაყვანისმცემელი გყავს და უამრავ მესიჯსაც მიიღებ, მაგრამ იცოდე, ჩემი შენდამი სიყვარული ყველას და ყველაფერს გადაწონის. დამიმესიჯე და არ წააგებ. ირმა, ტყიბული".

„დღეს შენთან მოვა ჩემი გზავნილი,/ გულის სიღრმიდან გამოგზავნილი,/ შენ შეიძლება, მე არ გიყვარდე,/ მაგრამ მიფრთხილდი, არ შეგიყვარდე. ნინი".

„მარხულია, ერთ რჩევას მოგცემ, მარტო „გზის" იმედზე ნუ იქნები, თორემ შეიძლება, უცოლოდ დარჩე. ისე, ვლასს თუ ნახავ, გთხოვ, ჩემგან მოკითხვა გადაეცი. ნინი-16".

„სიყვარულს გაუფრთხილდი, მარტო არ დატოვო,/ თუკი შეიყვარებ, აღარ მიატოვო... ირაკლი, მაგარი ხარ. გულით და სულით გეპატიჟები დუშეთში სტუმრად".

„იკა, ძვირფასო, შეიძლება მართლა „დაცემა“ კაცი ხარ, მაგრამ რა ვქნა, მე მელორი მომწონს. 100 ლარი მაჩუქე, რა!.. სოფო, ეს მესიჯი გამომიქვეყნე, ძალიან მიჭირს და ირაკლის იმედიღა მაქვს“.

„ირაკლი, ცოლს რომ მოიყვან, ნაშებში ისევ ივლი? თათკა“.

„იკა, შენს ზარს მოუთმენლად ველი და იმედია, არ დამაღალატებ, ჩემს გაცნობაზე უარს არ იტყვი. მიყვარხარ და გელოდები. ხათო“.

„იკა, იცი, რა მინდა, გითხრა? შენ და ბიგ-თიკო ერთმანეთს ძალიან უხდებით. იქნებ, გაგეცნოთ ერთმანეთი, ჰა?“

„შენზე ფიქრით ღამეები აღარ მძინავს,/ სხვა არავინ აღარ მინდა, სამეგობროდ,/ მეგრელებზე გული შენით მომიბრუნდა,/ გეფერებით მეგრელებს და სამეგრელოს. ნათია სარალიძე“.

„მე ისევ ვრჩები ფიქრებთან მარტო/ და ჩემი ფიქრი შენა ხარ, მარტო./ მინდა, რომ გნახო, გითხრა, რომ გნატრობ,/ ხომ იცი, შენთვის ვარსებობ მარტო. იკა“.

„მე ყოველღამე შენზე ფიქრში არ მეძინება,/ ეს ღამეც ჩემთვის შენ გარეშე მკვდარი იქნება/ და მხოლოდ მაშინ, მხოლოდ მაშინ დამეძინება,/ როცა შენს მკერდზე ჩემი ცრემლი დაედინება. ირაკლი, დამირეკე, რა“.

„ირაკლი, მაგარი ადამიანი ხარ, ძალიან მინდა შენი გაცნობა. მე ნანკა ვარ, ენერგიული, ამბიციური და ორიგინალური, 15 წლის“.

„იკა, შენი გულშემატკივარი ვარ. 3 წლის შვილი მყავს და ძალიან მინდა, რომ შენ მომინათლო. დიანა, ბათუმიდან“.

„ირაკლი, მართალია, ჩემი გული სხვას ეკუთვნის, მაგრამ მაინც სიამოვნებით გაგიცნობდი. „მულატკა“ ვარ, მწვანე თვალებით, თხელი, მაღალი... თუ სურვილი გექნება, აუცილებლად გაგიცნობ. ნათია, 18 წლის“

„გინდა, გაკოცო, მოგეფერო, გულში ჩაგიკრა და ბაგე დაგისველო?/ გინდა, ლამაზი სიტყვებით გული გაგიჩერო? იკუშ! — ძალიან კარგი ხარ, გამეცანი“.

„რისთვის მომენატრე დღეს ასე ძალიან,/ ჩემი ფიქრები სულ შენთან არიან,/ იქნებ, ეს ყველაფერი სიშორის ბრალია?/ ან იქნებ, მიყვარხარ, ჩემს თავზე ძალიან“.

„მე მიყვარს შენი ლამაზი თვალები,/ თვალები, რომელზეც მე ვიტანჯები,/ მე მიყვარს უბანი, სადაც შენ ცხოვრობ/ და ვისაც ჰქვია შენი სახელი. სამტრედიელი სოფო, თაკო და თეო“.

„დაგელოდები, სანამ ხეებს გასცვივათ ფოთოლი,/ დაგელოდები, სანამ ისევ ზამთარი მოვა,/ დაგელოდები, სანამ ყველას დაავიწყდები,/ დაგელოდები, რომ ვიცოდე, ოდესმე მოხვალ. მარი, 14 წლის“.

„მე შენს თვალებში ვხედავ ოცნებას/ და ეს ოცნება თავად შენა ხარ,/ მე მივცემივარ შენზე ოცნებას/ და მესახები წითელ კელაპტრად,/ იქნებ, არ გესმის სიყვარულისა,/ მე კი გამხადე გადარეული,/ ო, როგორ მიყვარს შენი არსება/ და კიდევ უფრო, შენი თვალები. იკა, იცოდე, რომ ჩემზე ძალიან არავის უყვარხარ. ეშმაკუნა“.

„ირაკლი, უმზითვო და უქონებო ანჯელინა ვარ, ისევ იქ გელოდები, რადიო „საქართველოს ხმის“ შენობასთან. „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,/ თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ“. ანჯელინა“.

„მე შენ მიყვარხარ, კარგად იცოდე,/ იცი, რას გეტყვი? დიდხანს იცოცხლე,/ ესეც იცოდე, რომ მე გიწოდე/ ზედმეტ სახელად, ჩემი სიცოცხლე. თქვენი ერთგული მკითხველი, ნინიკო“.

„ლამაზ თვალებში ნაპოვნი სითბო,/ გაყინულ გულს რომ ღიმილით მითბობს,/ მე შენს თვალებში ვიპოვე სითბო,/ არაფერს ვითხოვ, დაუფიქრებლად, სიცოცხლეს გითმობ. ნინო, სენაკიდან“.

„დილის ალიონს მე ვხვდები ლოცვით,/ მსურს გაგაღვიძო თვალებზე კოცნით./ გითხრა — მენატრები, თვალი აგიხილო,/ მე რომ მიყვარხარ, ისიც გაგიმხილო“.

„გინდა, გითხრა, მე ვინ მიყვარს?/ ვინც ამ მესიჯს წაიკითხავს/ და თან მეტყვის, სიხარულო,/ ჩემს პატარა გულში ზიხარ. მგალობელი ჩიტი“.

„გრძნობებს აგიშლი და როგორც ქარი ისე აგაგდებ,/ ჩემი გაცნობის „დილიხორში“ მაინც ჩაგაგდებ. თუ შეგიძლიათ, ჩემი ნომერი ირაკლის გადაეცით“.

„მე ამ „ესემესს“ ვაგზავნი შენთან,/ გამაგებინე, მოვიდეს როცა,/ რადგანაც მე მას გამოვატანე,/ სიყვარული და 1000 კოცნა. ირაკლი, შენთან მინდა ვიმეგობრო და წინააღმდეგი ხომ არ იქნები? ნანა, ზუგდიდი“.

„მოგონება წვიმად მექცა,/ მონატრება ღრუბლის საბნად,/ როგორ მინდა, რომ ამ წუთში,/ ჩაგეხუტო გულში მაგრად. მიყვარხარ“.

„ირაკლი, რას აპირებ? ცოლად არ მომიყვან? უარი არ მითხრა, თორემ დედაჩემი გადაირევა. ნატალი“.

ღამეა, ბნელა, იძინებს ყველა./ რიტმი ცხოვრების იცვლება ნელა,/ ჩემთვის ძვირფასო, უშენოდ ბნელა,/ მიყვარხარ ძლიერ, ჩემი ხომ გჯერა?

„ირაკლი, მინდა გაგიცნო და დაგიახლოვო. ჰოროსკოპით მეც მერწყული ვარ და თან, ჯიუტი. გთხოვ, უარს ნუ მეტყვი. თეკო“.

P.S. *შემდეგ კვირას, რუბრიკა „საპატარძლოს“ სტუმარი „ჯეობარი 3“-ის მონაწილე, სოფო გორდაძეა. მის თაყვანისმცემლებს საშუალება გეძლევათ, დაუსვათ მას კითხვები, რომლებზეც პასუხს (შემდეგ ნომერში) თავად სოფოსგან მიიღებთ. გაგიმხელთ იმასაც, რომ ამჟამად, მისი გული თავისუფალია. და თუკი რომელიმე თქვენგანით დაინტერესდება, აუცილებლად დაგიკავშირდებით. მაშ ასე, იაქტიურეთ სოფოს ფანებო და გამომიგზავნეთ კითხვები ნომერზე: 898.23.09.21.* ■



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი



### ქოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:

ბროდ, ყველა სალონში უფროსკლასელი გოგონების მიერ არის დაჯავშნული.

19. როდესაც 1898 წელს, ქალაქის მესვეურებმა მილანის კონსერვატორიისათვის ჯუზეპე ვერდის სახელის მინიჭება გადაწყვიტეს, 85 წლის კომპოზიტორმა ყველა ღონე იხმარა, რათა მათთვის ხელი შეეშალა. ახალგაზრდობაში ვერდი ამ კონსერვატორიაში არ მიიღეს.

20. „ადამი ღმერთის მებაღე იყო. ამიტომაა, რომ ბაღში სამუშაოების მეტ წილს მუხლებზე დამდგარნი ვასრულებთ“, — ამბობდა რედიარდ კიპლინგი.

21. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლს თავიდან, რომანის მსგავსად, „თეთრი ბაირაღები“ ერქვა, მაგრამ კომუნისტური ცენზურა იმდენად ვერ იტანდა ამ თეთრ დროშებს, რომ სათაური გადააკეთეს და „საბრალდებო დასკვნა“ დაარქვეს.

22. გასული საუკუნის 50-იან წლებში ხაბაროვსკის მახლობლად იაპონელმა სამხედრო ტყვეებმა საკუთარი საცხოვრებელი „ბარაკები“ ააგეს, რომლებიც იმდენად კომფორტული გამოვიდა, რომ რუსებმა მშენებლები შიგ აღარ შეუშვეს. შენობათა კომპლექსში პარტიულ ხელძღვანელთა ოჯახებისთვის პანსიონატი გაიხნა.



23. „ჯაჭვი იმდენად არის მტკიცე, რამდენადაც მტკიცეა მისი ყველაზე სუსტი რგოლი“ (The chain is no stronger than its weakest link.) — ეს ინგლისური ანდაზა დაედო საფუძვლად ცნობილი ტელეშოუს — „სუსტი რგოლის“ სახელწოდებას.

24. როდესაც ავლაბარში, მეტროს წინ 26 კომისრის ძეგლი დადგეს, ხალხი ხუმრობით კითხულობდა — 4 კაცის ძეგლი რომ წამოჭიმეს, დანარჩენენ 22-ს რა ბედი ეწიაო?.. — დანარჩენები ალბათ, მეტროდან ამოდიანო...

25. საფრანგეთის ქალაქ არლში 1888 წლის 23 დეკემბერს, ბორდელის კარი სახედასისხლიანებულმა კაცმა შეაღო, იქაურ მეძავს, სახელად რაშელს კალთაში სისხლიანი ცხვირსახოცი ჩაუდო და უთხრა: „ეს თქვენ, გაუფრთხილდით თვალისჩინივით“... ეს კაცი ვინსენტ ვან გოგი გახლდათ, ცხირსახოცში კი, მისი მოჭრილი ყური იყო გახვეული.



M K

# რას ურჩევენ ქალები მამაკაცებს?..

## დაუგეგმავი დღესასწაული საყვარელი ადამიანისთვის

**ქალი — არსება შეუდარებელი. არავინ და არასდროს იცის, თუ რა უნდა მას. მისი სურვილები იმდენად ხშირად იცვლება, რომ ხანდახან, შეუძლებელია მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მოდი, გავხსნათ რამდენიმე საიდუმლო, რათა „უბედურმა“ მამაკაცებმა ხანდახან მაინც შეძლონ ჩვენი გაგება.**



ორმხრივი სიყვარული — ეს რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ დავფიქრდეთ, რამდენი მწუხარებით ალსავსე სასიყვარულო ამბავი (სანამ შეყვარებული წყვილის ნავი სასურველ ნაპირს მიაღწევდა) მოგვისმენია. ვფიქრობ, ბევრისთვის ნაცნობია სიტუაცია, როცა გრძნობები ხშირად ცივდება და ეს ყველაფერი იმდენად საწყენია, რომ მზად ხართ, მათ მოსაგვარებლად „მგელსაც კი შეებრძოლოთ შიშველი ხელებით“...

ძვირფასო მამაკაცებო! ქალები ძალიან აფასებენ თქვენ მიერ დღესასწაულზე მირთმეულ თაიგულს თუ წაულის მანტოს (ვისაც რის საშუალებას აძლევს მატერიალური მდგომარეობა), მაგრამ ამ ყველაფერს, მათ რატომღაც საყვარელი მამაკაცის ვნებიანი გამოხედვა და იდუმალი ღიმილი ურჩევნიათ. გირჩევთ, გააკეთოთ ისეთი რამ, რასაც საყვარელი ქალი იმდენი ხნის მანძილზე დაიმახსოვრებს, რომ მერე, შვილიშვილებსაც კი მოუყვება. თქვენ მიერ მომზადებული სიურპრიზის შემდეგ, მას თვალები ეშმაკურად აუელვარდება, ხოლო ბაგეებზე — ღიმილი მოეფინება. ასეთი რამ საკმარისია წელიწადში მხოლოდ ერთხელ გააკეთოთ და საყვარელი ადამიანი მთელი წლის განმავლობაში მადლობელი დაგრჩებათ, თანაც თქვენით იამაყებს.

როცა ადამიანი გულწრფელად გიყვარს, მას სიურპრიზები უნდა მოუმზადო არა დაბადების დღისთვის ან 8 მარტისთვის, არამედ, ჩვეულებრივ დღეს, რადგან სასწაულს მაშინ აქვს ხიბლი, როცა არ ელი.

დაიმახსოვრეთ მთავარი წესი: მოულოდნელობა. სიურპრიზის მომზადებამდე, შეგიძლიათ, საყვარელი ადამიანის მიმართ ყურადღება მოადუნოთ, რომ ის მსუბუქად გაგიბრაზდეთ, მაგრამ არ გადააჭარბოთ, თორემ ეფექტი სრულიად საწინააღმდეგო იქნება.

ჩემი აზრით, ძალიან რომანტიკულია, როცა ერთ უქმე დღეს იღვიძებთ და ხედავთ არა საყვარელ ადამიანს, არამედ ახალდაკრეფილი ყვავილების თაიგულს, სასიყვარულო ბარათით. ვიდრე გაიღვიძებს, ოთახში აპკურეთ ვარდის სურნელის მქონე სუნამო, ხოლო ყვავილის ფურცლები საწოლთან დაყარეთ; ან მოიწყვეთ ვახშამი სანთლებით. ის ამას აუცილებლად დაგიფასებთ, მოგეფერებათ და გაგახარებთ.

კარგია, თუ მოაწყობთ სეირნობას თუნდაც, ქუჩაში, პარკში, ან ზღვის, მდინარის პირას, საღამოს, როცა ქალაქის შუქი წყალზე აირეკლება.

მოუწყვეთ საყვარელ ადამიანს რომანტიკული უიკ-ენდი, შესთავაზეთ მოგზაურობა საზღვარგარეთ (რა თქმა უნდა, თუ ამის საშუალება გაქვთ) და თქვენ მისთვის თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინცი იქნებით.

შეიძლება მოაწყოთ შამპანურით ბანაობა. ეს რა თქმა უნდა, ყოველთვის სასიამოვნო არ არის (ცივი, შუშხუნა ღვინით ბანაობა ცხელ ამინდშია სასიამოვნო), სამაგიეროდ, ისეთი რომანტიკულია!.. ყოველ შემთხვევაში, ის ოდესმე გაიხსენებს, რომ ოდესღაც, თქვენთან ერთად შამპანურით იბანავა.

უმღერეთ სერენადა ფანჯრის ქვეშ, გაუკეთეთ წარწერა ფანჯარასთან: დილა მშვიდობისა, საყვარელო. საწოლი აუვსეთ (თუ შესაძლებელია) ვარდის ფურცლებით და ა.შ. გააკეთეთ ყველაფერი ის, რისთვისაც ფანტაზია და ფინანსები გყოფნით. ■

## კლაუდია შიფერის დიეტა „5+”



**საუზმე**

**მიირთვით ფაფა, რომელიც შემდეგნაირად უნდა მოამზადოთ:** 1 ჭ დაქუცმაცებული ხილს და კენკრას (გარდა ბანანის, ყურძნის და ლეღვისა), შეურიეთ 1 ს/კ ნებისმიერი სახეობის დაფქული მარცვლეული (მაგალითად, შვრია, სიმინდი) და 100 გ იოგურტი.

**ლანჩი**

**ბოსტნეულის რაგუ:** აიღეთ ყვავილოვანი კომბოსტოს რამდენიმე ყვავილი, 2 ს/კ ტკბილი პილპილი, 1 წვრილად დაჭრილი სტაფილო, 1 ს/კ ბარდა ან ქორფა ლობიოს მარცვლები, ნახევარი თავი ხახვი, 1 კონა დაჭრილი ნიახური და ოხრახუში. ეს ყველაფერი ერთად მოხარშეთ და მიირთვით.

**შეგიძლიათ მოიმზადოთ სოუსიც:** 1 ს/კ ზეითუნის ზეთი, 100 გ დო, 1 ჩ/კ ლიმონის წვენი.

**სადილი**

სენდვიჩი: 100 გ ქათმის ფილე და 1 ნაჭერი შავი პური.

**ვახშამი**

**ხილის ფლავი:** 50 გ ბრინჯის, ვაშლის და 100 გ ნებისმიერი სახეობის ხილის ან კენკრისგან მოამზადეთ ტკბილი ფლავი.

წყალი შეგიძლიათ ნებისმიერი ოდენობით მიირთვათ, მაგრამ გაზიანი არ უნდა იყოს.

საიდუმლო სიტყვა — „5+“-ი ნიშნავს, რომ დიეტა ხუთი დღის განმავლობაში უნდა დაიცვათ. მეექვსე დღეს, კომპენსაციის სახით უფლება გეძლევათ მიირთვათ რაიმე ტკბილეული, მაგრამ 4 საათამდე, ამის შემდგომ კი, მხოლოდ წყლის დალევა შეგიძლიათ. ამ დიეტის მეშვეობით, დღეში 1200 კკალორიას იღებთ, აუცილებელი საკვები ნივთიერება ბალანსში გექნებათ და არ შეგექმნებათ ჯანმრთელობის გაუარესების საშიშროება, სამაგიეროდ, 5 დღეში წონაში 3 კილოგრამს დაიკლებთ. ■

# მამაკაცისთვის აუცილებელი და არააუცილებელი ატრიბუტები

**იმისთვის, რომ უკეთ გავერკვეთ, რას ფიქრობენ მამაკაცები ამა თუ იმ ნივთზე ან თუნდაც, ქალებზე, უნდა ვიცოდეთ იმ 10 აუცილებელი ატრიბუტის დასახელება თუ მნიშვნელობა, რომელთაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.**



**1. ფული** — თუ ფული გაქვს, მაშინ შეგიძლია იყიდო ყველაფერი — მანქანა, ქალი, კარიბის ზღვის კუნძულები, მაგრამ არა, ჯანმრთელობა.

**2. ჯანმრთელობა** — „ხარივით ჯანმრთელი" — ეს სიტყვები ნამდვილი მამაკაცისთვის ყველაზე სასურველი კომპლიმენტია. კარგი ჯანმრთელობის მქონე ადამიანს ერთი დარტყმით შეუძლია შვიდი მოწინააღმდეგე წააქციოს, წითელკაბიან ქალზე კი, ნამდვილი ომი გამოაცხადოს.

**3. ქალი** — ეს ატრიბუტი კი არა, მამაკაცის მთავარი „ინგრედიენტია". მართალია, ქალი სიამოვნების გარდა პრობლემებსაც ქმნის, მაგრამ მის გარეშე ცხოვრება ყოვლად წარმოუდგენელია. ქალს ერთდროულად შეუძლია საყვარლის, შინამოსამსახურის, მდივანის, ძიძის ან თოჯინის ფუნქცია შეასრულოს.

**4. მანქანა** — ქალის გარდა, მამაკაცის მთავარი ატრიბუტი მანქანაა. იგი თითქმის ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს — სწრაფია, არ წუწუნებს, არ ტირის და არც ყვავილებს ითხოვს.

**5. მობილური ტელეფონი** — ოცდამეერთე საუკუნეში მობილური ტელეფონი საქმიანი მამაკაცის საქმეების 80%-ს აგვარებს.

**6. კოსტიუმი** — შეიძლება, ბევრ მამაკაცს ჯინსი ურჩევნია, მაგრამ მათ კოსტიუმი მამაკაცური იმიჯის განმტკიცებისთვის სჭირდებათ. მამაკაცს ერთი კოსტიუმი მაინც აუცილებლად უნდა ჰქონდეს. იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში მინიმუმ 2-ჯერ გამოადგება — ქორწილსა და დაკრძალვაზე.

**7. სანთებელა** — ერთი შეხედვით ეს წვრილმანია, რომელიც მამაკაცს ყოველთვის ეკარგება, მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენად საჭირო ნივთია, თუნდაც, უკაცრიელ კუნძულზე ან კიდევ, როგორ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება მამაკაცი, თუ ქალმა სანთებელა სთხოვა და მას ის ჯიბეში არ აღმოაჩნდება.

**8. კომპიუტერი** — თუ გაქვთ ფული, კომპიუტერი და ინტერნეტის სამყაროსთან შეხება, სხვა არც არაფერი გჭირდებათ. შეგიძლიათ, კომპიუტერის მეშვეობით იყიდოთ პროდუქტი, ავეჯი, იმუშაოთ, დაისვენოთ, გაძარცვოთ შვეიცარიის ბანკი და დაკავდეთ სექსით.

**9. ლუდი** — ჰომერ სიმპსონი ამბობდა: „გაუმარჯოს ლუდს, რომელიც ყველა პრობლემის მიზეზი და გადაწყვეტაა!"

**10. სინდისი** — მამაკაცების მისამართით ყველაზე ხშირად ისმის ასეთი ფრაზა: ნუთუ, სინდისი არ გაქვს?.! ასე რომ, შეეცადეთ, როგორმე მოახერხოთ, სინდისიანი მამაკაცის იმიჯის მოპოვება.

## ათი არააუცილებელი ატრიბუტი

**1. პატრული** — გზებზე აქტიურად მოძრავი საპატრულო მანქანის დანახვა არც ერთ მძღოლს არ უხარია და ყველა მათგანი ისურვებდა, მათი რაოდენობა მინიმუმამდე დაყვანილიყო.

**2. სიდედრი** — უკომენტაროდ.

**3. უალკოჰოლო ლუდი** — ეს იგივეა, რაც რეზინის გასაბერი ქალი. მამაკაცებს არ ესმით, რა სარგებლობა მოაქვს უალკოჰოლო ლუდს.

**4. უნიტაზის სახეხი მოწყობილობა** — როდესაც ამგვარი საშუალებების რეკლამა ტელევიზიით გადის, მამაკაცთა დიდ ნაწილს ტელეეკრანისკენ გახედვის სურვილი ეკარგება. ჭურჭლის სარეცხი საშუალებების რეკლამის ყურება კი, კიდევ შეიძლება.

**5. სამართებელი** — რომ არა ქალი და პეტრე პირველი, პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველა მამაკაცი წვერგაუპარსავი ივლიდა. არ არსებობს მამაკაცი, რომელსაც წვერის პარსვის პროცესი სიამოვნებდეს.

**6. ტელევიზორი** — მამაკაცი რომ აცნობიერებდეს, ტელევიზორის ყუთი რამდენ დროს ართმევს, მის მიმართ ინტერესს საერთოდ დაკარგავდა.

**7. ცხვირის საპარსი მოწყობილობა** — უკომენტაროდ.

**8. ქვაბები** — სამზარეულოს ნებისმიერი ატრიბუტი მამაკაცისთვის უინტერესოა.

**9. სამსახური** — აბსოლუტურად უაზრო გამოგონებაა, რომელიც მამაკაცის ცხოვრებას ანადგურებს.

**10. სინდისი** — უფრო ხშირად, მამაკაცებისთვის სინდისის არქონა უფრო ბევრისმომცემია. ■

## კარტოფილის ძეხვი

**მოსამზადებლად საჭიროა:** 8 საშუალო ზომის კარტოფილი, 2 თავი ხახვი, 2 კვერცხის გული, ზეთი და 50 გ კარაქი, 2 ს/კ ფქვილი, 100 გ ლორი, 2 კონა ისპანახი, მარილი (გემოვნებით).

**მომზადების წესი:** კარტოფილი გაასუფთავეთ, დაჭერით და ჩაყარეთ მარილიან წყალში. ხარშეთ დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში (წესით, ეს დრო მის მოსახარშად საკმარისი უნდა იყოს). ქვაბიდან გადმოასხით წყალი და ცხელივე აზილეთ, გააკეთეთ პიურე (შეიძლება, დაამატოთ 2 ჩ/კ კარაქი). ლორი დაჭერით წვრილ კუბურებად, დაყარეთ ტაფაზე, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და მოშუშეთ ნელ ცეცხლზე. ისპანახი გარეცხეთ, გააშრეთ, დაჭერით წვრილად და აურიეთ კვერცხის გულში. ეს მასა შეურიეთ პიურეს, რომელშიც ფქვილსაც შეაზელთ და მიიღებთ ერთგვაროვან მასას, რომელიც უნდა გააცივოთ და შემდეგ, დაახვიოთ ძეხვისებურად. ტაფაზე გაადნეთ კარაქი, დაუმატეთ ცოტა ზეთი და როცა წამოდუღდება, კარტოფილის ძეხვი ორივე მხრიდან, შეწითლებამდე შეწვით. სუფრასთან მიტანის წინ თხლად, ძეხვის მსგავსად დაჭერით. ■





## სალათა „მიმოზა"

**მოსამზადებლად საჭიროა:** 1 ქილა „შპროტი", 1 ქილა მაიონეზი, მწვანე ხახვი, 5 კვერცხი, სტაფილო და კარტოფილი.

**მომზადების წესი:** „შპროტი" ამოიღეთ ქილიდან და მოათავსეთ სინზე, გაანაწილეთ ჩანგლით. მოასხით მაიონეზი, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და მოხარშული კვერცხის ცილა, ზემოდან გადაუსვით ისევ მაიონეზი, მოაყარეთ გახეხილი სტაფილო, ისევ მაიონეზი, შემდეგ — წვრილად დაჭრილი კარტოფილი. მოხარშული კვერცხის გული დაჭრილ ხახვთან და მაიონეზთან ერთად კარგად აურიეთ და სალათას ზევიდან მოასხით. შიგადაშიგ, ამ ფენებს გემოვნების მიხედვით მოაყარეთ შავი პილპილი და მარილი, ბოლოს კი, შეგიძლიათ ის გააფორმოთ ოხრახუშით. მომზადებული სალათა 2 საათით მაცივარში შედგით. ■

რუბრიკა მოამზადა ლიკა ქაჯაიამ

*რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი*

# როდის არის ქალი უნაყოფო



**დღეისთვის უნაყოფობის პრობლემა ყოველ მეათე წყვილს აწუხებს. უნაყოფობა საზოგადოდ, იმას ნიშნავს, რომ ადამიანს შვილის გაჩენის უნარი არ შესწევს.**

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილი ნორმის თანახმად, თუ ქალი ერთწლიანი სისტემატური სქესობრივი ცხოვრების შემდეგ არ დაორსულდა, უშვილოდ მიიჩნევა. თუმცა წყვილის უშვილობის მიზეზი არცთუ ისე იშვიათად, მამაკაცშია — შემთხვევათა 40%-ში ქალია უშვილო, 40%-ში — მამაკაცი, ასიდან ოც შემთხვევაში კი, ცოლიც და ქმარიც უნაყოფოა.**

## უნაყოფობის მიზეზები

ქალის უნაყოფობის მიზეზებს შორის, პირველი ადგილი უკავია სასქესო ორგანოთა ანთებით დაავადებებს, რომლებიც სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (ე.წ. ვენერიული დაავადებები) შედეგია. მეორე ადგილზე კი ენდოკრინული ცვლილებებით გამოწვეული უშვილობაა.

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები სასქესო ორგანოთა ანთებას იწვევს, რომლებიც ხშირად ფარულად მიმდინარეობს. პაციენტი ვერ ამჩნევს, რომ ავად არის, რადგან, ვენერიული სნეულებისთვის დამახასიათებელი კლასიკური სიმპტომები — გამონადენი, სიცხე, წვა შარდვის დროს, ტკივილი — არ აქვს, შესაბამისად, არც მკურნალობს. პროცესი კი გრძელდება და დროთა განმავლობაში, საშვილოსნოს მილების ობტურაციას (დაცობას) იწვევს.

საშვილოსნოს მილების გამტარობას განაყოფიერებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. კვერცხუჯრედის განაყოფიერება საშვილოსნოს ღრუში, ფალოპის მილებთან ახლოს ან უშუალოდ მილებში ხდება. განაყოფიერებული კვერცხუჯრედი საშვილოსნოში გადაინაცვლებს და მის კედელს მიემაგრება. ბუნებრივია, თუ მილი გადაკეტილია, კვერცხუჯრედი სპერმატოზოიდს ვერ შეხვდება.

## როგორ სვამენ უშვილობის დიაგნოზს

უშვილობის დიაგნოსტიკის უმარტივესი მეთოდია ჰისტეროსალოპინგოგრაფია — საშვილოსნოს მილების რენტგენოგრაფია: საშვილოსნოს ყელში შეჰყავთ საკონტრასტო ნივთიერება და შემდეგ რენტგენზე ნახულობენ, როგორია მილების გამავლობა. უფრო რთული სადიაგნოსტიკო მეთოდია ლაპაროსკოპია, რომლის დროსაც, ნაჩხვლეტიდან სპეციალური ოპტიკური სისტემით შედიან მუცლის ღრუში და ტელეეკრანზე ხედავენ, თუ რა მდგომარეობაშია საშვილოსნო და მისი მილები.

## როგორ აღადგენენ მილების გამავლობას

არსებობს საშვილოსნოს მილების გამავლობის აღდგენის კონსერვატიული და ქირურგიული მეთოდი. მსუბუქი გაუვალობის დროს, როცა მილი მცირე უბანზეა გადაკეტილი ან შეხორცებები აღინიშნება, მიმართავენ მკურნალობის კონსერვატიულ მეთოდს — არსებობს წამლები, რომლებიც შეჰყავთ საშვილოსნოს მილებში და გამავლობა უმჯობესდება.

რამდენიმე ხნის წინ, მილების გამავლობის აღსადგენად ჩაბერვა ანუ ჰიდროტუბაცია ტარდებოდა. დღეისათვის მკურნალობის ეს მეთოდი აღარ გამოიყენება — მიიჩნევენ, რომ ის არავითარ შედეგს არ იძლევა.

საშვილოსნო მილების კლასიკური პლასტიკა — გამავლობის აღდგენა — ლაპაროტომიის საშუალებით ხდება. თუმცა, დღეს ამ მეთოდსაც ნაკლებად იყენებენ, რადგან მისი ეფექტურობა 30%-ს არ აღემატება და ხშირად დგება საკითხი — ოპერაციის გაკეთება ჯობს თუ პირდაპირ სინჯარაში განაყოფიერების ჩატარება.

## აბორტი და უშვილობა

აბორტი, უხეში მეთოდით ორსულობის შეწყვეტაა. გამოფხეკისას, შეიძლება დაზიანდეს საშვილოსნოს კედელი და განვითარდეს ენდომეტრიტი, რის შედეგადაც, შემდგომში განაყოფიერებული კვერცხუჯრედი საშვილოსნოს კედელს ველარ მიემაგრება. გამოფხეკამ შესაძლოა, დააზიანოს საშვილოსნოს მილები და მათი ანთება და გაუვალობა გამოიწვიოს. აბორტი ხშირად იქცევა რეპროდუქციული ორგანოების ინფიცირებისა და ანთების მიზეზად. გარდა ამისა, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა ენდოკრინულ ცვლილებებსაც იწვევს. ყოველივე ეს კი, საბოლოოდ, უშვილობის მიზეზად იქცევა. ■

## დიაბეტი კვლავაც „ახალგაზრდავდება“

დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პიერ ლეფევრმა კეიპტაუნში (სამხრეთ აფრიკა) გამართულ კონფერენციაზე განაცხადა: მსოფლიო დიაბეტის გლობალური ეპიდემიის წინაშე დგას — ეს დაავადება 400 მილიონ ადამიანს ემუქრება, განსაკუთრებით საგანგაშო ისაა, რომ დიაბეტი საგრძნობლად „გაახალგაზრდავდა“. ეს ბავშვთა და მოზარდთა პროგრესირებადი გასუქების შედეგია. ბოლო 10-20 წლის განმავლობაში, ბავშვებში სიმსუქნისადმი მიდრეკილების მატება სწრაფი კვების პროდუქტების მიღებას, ფიზიკური აქტიურობის შემცირებას და კომპიუტერთან თუ ტელევიზორთან საათობით ჯდომას უკავშირდება.

ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ დიაბეტის ეპიდემია ფაქტობრივად, კონტროლს აღარ ექვემდებარება და მსოფლიოს მასშტაბით, ავადმყოფთა არმია ამჟამად, 246 მილიონს უტოლდება. ეს ციფრი ყველაზე პესიმისტურ პროგნოზზე უარესია.

თუ გადამჭრელ ზომებს არ მივიღებთ, დიაბეტით დაავადებულთა რაოდენობა 20 წელიწადში 380 მილიონს მიაღწევს.

დღეისათვის ეს დაავადება მსოფლიოს მოზრდილი მოსახლეობის 6%-ს აქვს. ყველაზე მეტი დიაბეტიანია ინდოეთში (41 მილიონი) და ჩინეთში (40 მილიონი). ■

## ინტელექტუალებს ბოსტნეული უყვართ

ბრიტანელ მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მაღალი ინტელექტუალური მაჩვენებლების მქონე ბავშვები ხშირად ვეგეტარიანელები ხდებიან.



სპეციალისტები ჯერჯერობით ვერ ხსნიან ბოსტნეულსა და გონებრივ მაჩვენებლებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ვიტამინებით მდიდარი დიეტა ტვინის აქტიურობას ზრდის. კვლევის შედეგი იმასაც გვიჩვენებს, რომ ვეგეტარიანელობისადმი მიდრეკილება აქვეითებს გულის დაავადებათა და სიმსუქნის განვითარების რისკს. ■

# ლაპაროსკოპია — ოპერაცია უკვალოდ



**დღეს უკვე აღარავის უკვირს, რომ ადამიანს რთული ოპერაციის მეორე დღიდანვე აღარ სჭირდება ტკივილგამაყუჩებლები და ადგომის ნებასაც რთავენ, სამი დღის შემდეგ შინ ბრუნდება, ერთი წლის შემდეგ კი, ოპერაციის ნაკვალევს მხოლოდ ლუპით თუ აღმოაჩენთ. ყოველივე ეს ლაპაროსკოპიის წყალობაა, თუმცა სულ ცოტა ხნის წინ ასეთი ოპერაციები იშვიათობას წარმოადგენდა — და ამ მეთოდს უმთავრესად, რთული დიაგნოზის დასაზუსტებლად იყენებდნენ.**

## რით განსხვავდება ლაპაროსკოპიული ოპერაცია ჩვეულებრივისგან

ღია ოპერაციისას ქირურგი სკალპელით კვეთს პაციენტის სხეულს, ლაპაროსკოპიის დროს კი, ეს საჭირო არ გახლავთ. ენდოსკოპისტი მხოლოდ რამდენიმე პატარა ნახვრეტს აკეთებს, საიდანაც მუცლის ღრუში სპეციალური ქირურგიული ინსტრუმენტები და „გონიერი“ მოწყობილობა შეჰყავთ. ამ მოწყობილობის მეშვეობით, ექიმი მისხალ-მისხალ ათვალიერებს მუცლის ღრუს, ავადმყოფ ორგანოს ახლოდან იკვლევს და გადიდებული სურათი, საჭიროებისას, მონიტორზე გამოაქვს.

ლაპაროსკოპიას განსაკუთრებით ფართოდ გინეკოლოგიაში იყენებენ. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მას ასიდან ოთხმოცდაათ შემთხვევაში შეუძლია მუცლის ღრუს ოპერაციების შეცვლა.

ლაპაროსკოპიის მეშვეობით შესაძლებელია:

- საკვერცხის კეთილთვისებიანი სიმსივნის (კისტის) მოცილება;
- შეხორცებების გაკვეთა;
- კვერცხსავალი მილების გადაკვანძვა სტერილიზაციის მიზნით;
- მილების გამავლობის აღდგენა უნაყოფობის შემთხვევაში;
- ანთებითი და ჩირქოვანი პროცესების შესწავლა;
- საშვილოსნოს ამოკვეთა;
- საშვილოსნოსგარე ორსულობის მკურნალობა;
- ენდომეტრიოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ლაპაროსკოპია, გარდა იმისა, რომ გინეკოლოგიურ ოპერაციებს ნაკლებად ტრავმულსა და შედარებით უმტკივნეულოს ხდის, იმ ორგანოთა შენარჩუნების საშუალებასაც გვაძლევს, რომელთა გადარჩენა ჩვეულებრივი ოპერაციის დროს შეუძლებელია. ადრე, საშვილოსნოს გარე ორსულობისას, ქირურგიული ჩარევა მხოლოდ საშვილოსნოს მილების გახეთქვის შემდეგ ხდებოდა. ამ დროს, ნაყოფთან ერთად, მილსაც კვეთდნენ, რის შემდეგაც, ქალს ბუნებრივი გზით დაორსულება (ნაოპერაციები საკვერცხის მხარეს) აღარ შეეძლო. ლაპაროსკოპიის მეშვეობით კი, ექიმს შეუძლია, ასეთი შემთხვევა ადრეულ სტადიაზევე გამოავლინოს, დროულად მოაცილოს „გზააბნეული“ ნაყოფი და პაციენტს მნიშვნელოვანი ორგანო შეუნარჩუნოს.

ლაპაროსკოპიის გარეშე საკმაოდ გაჭირდებოდა ენდომეტრიოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობაც. გასინჯვა და ულტრაბგერითი კვლევა (ექოსკოპია) ამ პათოლოგიაზე, ფაქტობრივად, ვერავითარ ინფორმაციას ვერ იძლევა და ენდოსკოპია რომ არა, მრავალი ქალბატონი ვერასოდეს ეზიარებოდა დედობის ბედნიერებას.

ლაპაროსკოპია, ისევე, როგორც სხვა სახის ქირურგიულ ჩარევათა უმრავლესობა, ზოგადი ნარკოზით ტარდება. საწყის ეტაპზე მუცლის წინა კედელზე კეთდება 3-4 ნახვრეტი, რომელთა დიამეტრი 5-10 მმ-ს არ აღემატება. ამაზე დიდი განაკვეთები საჭირო არ არის, ვინაიდან ინსტრუმენტები ძალზე წვრილია. ამის შემდეგ, სპეციალური მოწყობილობის მეშვეობით, მუცლის ღრუში შეჰყავთ ნახშირმჟავა აირი, რათა მუცლის კედელმა გაიწიოს და ქირურგს სამუშაოდ საჭირო სივრცე მიეცეს. ამავე ნახვრეტიდან შეჰყავთ ოპტიკური მოწყობლობა, რომელზეც სინათლის წყაროა მიმაგრებული. მუცლის ღრუს უკეთ დასათვალიერებლად, ოპტიკური მოწყობილობა მონიტორს უერთდება.

ლაპაროსკოპიის უპირატესობა ჩვეულებრივ ოპერაციებთან შედარებით, აშკარაა: ჯერ ერთი, ნაკლებტრავმულია, მეორეც, მინიმალურია სისხლის დანაკარგი — თუკი ჩვეულებრივი ოპერაციისას პაციენტი 300-400 მლ სისხლის კარგავს, ენდოსკოპიური ჩარევის დროს, სულ 30-40 მლ იკარგება. მესამე ღირსება ის გახლავთ, რომ ოპერაციის მიმდინარეობის დროს, ექიმს შეუძლია, დააზუსტოს უკვე დასმული დიაგნოზი და ამის მიხედვით, მკურნალობის უკეთესი ტაქტიკა შეარჩიოს.

ენდოსკოპიური ჩარევის დროს ძალზე მცირეა ჭრილობის ინფიცირებისა და ოპერაციის შემდგომ შეხორცებათა განვითარების ალბათობა. პაციენტს პრაქტიკულად, არ აწუხებს ოპერაციის შემდგომი ტკივილები, საავადმყოფოში სულ რამდენიმე საათს ატარებს და სხეულზე არავითარი ნაიარევი არ რჩება. ■

## გრეიპფრუტი ებრძვის მავნე ბაქტერიებს

გრეიპფრუტი და მისი კურკები მავნე ბაქტერიებისგან უძლიერესი დამცავი საშუალებაა. ეს ციტრუსი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ააქტიურებს ღვიძლის ფუნქციებს, წვავს ცხიმებს. ამიტომაც, თუ მას სისტემატურად მივირთმევთ, ზედმეტ წონას ადვილად მოვერევით. გრეიპფრუტი აქვეითებს ქოლესტერინის დონეს, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ენერგიით ავსებს ორგანიზმს, ამიტომ, ჯობს ის საუზმეზე მივიღოთ. გრეიპფრუტის ეთერზეთი ხელს უწყობს მადის დაქვეითებას, აუმჯობესებს მეხსიერებას, ამახვილებს ყურადღებას.

რაც შეეხება ავიტამინოზს და გადაღლას — მათ შევებრძოლებით გრეიპფრუტის ახალგამოწურული წვენით. ის შესანიშნავი მატონიზებელი საშუალებაა. ეს ციტრუსი განსაკუთრებით სასარგებლოა გამოჯანმრთელების პერიოდში. ■

## ისინი ტკივილს ვერ გრძნობენ...

ინგლისელ მეცნიერთა მიერ აღმოჩენილია იშვიათი მუტაცია, რომელიც ტკივილის მგრძნობელობის სრულ დაკარგვას იწვევს.

გენეტიკური ანომალიის აღმოჩენა ძალიან იშვიათი მემკვიდრული დაავადების მქონე 6 ადამიანის შესწავლის შედეგად გახდა შესაძლებელი. ამ ადამიანებისთვის საერთოდ უცხოა ტკივილის გრძნობა. ზოგიერთი მათგანი ფულსაც კი შოულობდა ქუჩის წარმოდგენებში მონაწილეობით — ისინი სხეულში დანებსა და ჩხირებს ირჭობდნენ, შუშის ნამსხვრევებზე დადიოდნენ. ტკივილისადმი უგრძნობლობის მიუხედავად, მუტანტური გენის მქონე ადამიანები გრძნობენ შეხებას, სითბოს, სიცივესა და გემოს.

მათი გენომის შესწავლით მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ანომალიის მიზეზი scN9a გენის მუტაციაა.

სამედიცინო ლიტერატურაში აღწერილია ტკივილის მემკვიდრული უგრძნობლობის რამდენიმე შემთხვევა. პირველი ასეთი ინფორმაცია 1932 წლით თარიღდება.

ტკივილის რეფლექსის უქონლობა მნიშვნელოვნად ზრდის მოტეხილობების, მძიმე დამწვრობების და ქრონიკული ანთებითი პროცესების განვითარების ალბათობას. ორ ავადმყოფს არ ჰქონდა ტუჩები და ენის ნაწილები, რომლებიც მათ პატარაობისას, კბილების ამოჭრის პერიოდში მოიჭამეს.

კვლევის ერთ-ერთი ავტორი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ვუდი აღნიშნავს, რომ ამ დაავადების გენეტიკური მექანიზმის აღმოჩენა მომავალში ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების შემუშავების საფუძვლად იქცევა. ■

# გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ „პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. რა არის ბჟა?
2. ვის ეკუთვნის გამოთქმა: „ვერ გაიგებ, ვისი თხლე ვის კასრშია...“?
3. ამ მავნე ჩვევას მარკ ტვენი დიდებულ მანკიერებას ეძახდა.
4. სიცილიაში მოგზაურობის დროს კალიგულა დიდხანს დასცინოდა ადგილობრივ სალოცავებს, სანამ ერთ ღამეს, გრუხუნითა და გრიალით გულგახეთქილს, მესანიდან არ მოუწია გაქცევამ. რა მოხდა იმ ღამეს?
5. დაასახელეთ ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რომლის დედაც უელსის პრინცის საყვარელი იყო.
6. რა არის აგალმატოფილია?
7. ეს მხატვარი მექანიკას მათემატიკურ მეცნიერებათა სამოთხეს ეძახდა.
8. დაასახელეთ ცხოველი, რომელსაც საკუთარ სხეულზე ორჯერ უფრო გრძელი ენა აქვს.
9. მიხეილ გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება (საბჭოთა კავშირის დაშლის წინ) უკანასკნელად ოლეგ იანკოვსკისა და ამ მომღერალ ქალს მიანიჭა. დაასახელეთ იგი.
10. „შეუპოვრობით სავსე მზერა მაკედონელის, ლისიპემ სპილენძს შეადუღა. ცოცხლობს ბრინჯაო. ასე გგონია, ზევსს უყურებს, ამბობს ქანდაკი: გქონდეს ოლიმპო, დედამიწის მე ვარ მფლობელი“, — წერდა ასკლეპიადე სამოსელი. ვინ იყო ლისიპე?
11. „იგი უნდა წაიყვანოს კონსტებლ უილიამ კინგსტონმა სასამართლოდან ტაუერში, საიდანაც უნდა გადაიყვანონ ტაიბერნში. იქ სახრჩობელაზე ჩამოკიდონ, სანამ სანახევროდ არ მოკვდება, შემდეგ თოკი გადაჭრან, სასქესო ორგანოები მოჰკვეთონ, მუცელი გაუფატრონ, გამოჰგლიჯონ და დაწვან შიგნეულობა, შემდეგ ოთხად გაკვეთონ და მისი სხეულის ოთხი ნაწილი დაკიდონ ქალაქის კარიბჭეზე, ხოლო თავი გამოკიდონ ლონდონის ხიდზე,“ — ასეთი განაჩენი გამოუტანა სასამართლომ ამ ინგლისელ განმანათლებელს. მოგვიანებით მეფემ სასჯელი შეამსუბუქა და ბრძანა, დამნაშავისთვის მხოლოდ თავი მოეკვეთათ. დაასახელეთ იგი.
12. ცნობილია, რომ ვიღაც ქალმა სოკრატეს ნარეცხი წყალი გადაასხა თავზე. რისი გულისთვის?
13. ეს ფრინველი ჩინელ ზოოფილთა „სისუსტე“ გახლდათ. სექსუალური აქტის დროს, მას ერთი დაკვრით აგდებინებდნენ თავს, რათა მოფართხალე ფრინველისგან მეტი სიამოვნება მიეღოთ.

# ანეკდოტები

***

ცოლი ეუბნება ქმარს:

— ერთი წუთით მეზობელთან გადავალ, გაზქურაზე ლობიოს ვტოვებ, იხარშება და ყოველ ნახევარ საათში წყალი ჩაამატე.

***

მოსაზრება: დაიბადოს მუნჯი — ეს ყველაზე უფრო დიდი უბედურებაა ქალისათვის.

***

ორი ამერიკელი ტურისტი კოსტარიკაში იმყოფება. ერთი ეუბნება მეორეს:

— იცი, აქაურები ხელთათმანებს როგორ აკეთებენ? კაუჩუკის ხის წვენში ისველებენ ხელებს, მერე იშრობენ, წვენი შრება და ხელთათმანებიც მზადაა.

— ვაა, მაგარია! ნეტა, პრეზერვატივებს როგორღა აკეთებენ?!

***

პატარა ინდიელი ეკითხება დედას:

— დედი, რატომ ეძახი ჩემს დას ამომავალ მზეს?

— იმიტომ, რომ მზის ამოსვლისას ჩაისახა.

— აბა, ჩემს ძმას რატომ ეძახი ცისფერ ყვავილს?

— იმიტომ, რომ მინდორში, ყვავილებში ჩაისახა. დღეს რაღაც ძალიან ბევრ შეკითხვას იძლევი, გახვრეტილო რეზინავ!

***

ნარკუშა ტაქსიში ჩაჯდა და მძღოლს ეუბნება:

— რუსთაველზე გამიყვანე.

— რუსთაველზე ვართ, — უთხრა მძღოლმა.

— ვააა!.. აჰა შენ ათი ლარი და ნელა იარე, თუ ძმა ხარ!

***

ღამის 4 საათზე მიხოს კარზე აკაკუნია. მიხო ნამძინარევი ხმით კითხულობს:

— რომელი ხარ?

— ჟან კლოდ ვან დამი.

— აბა, დავაი აქედან, თორე გამოვალ და ოთხივეს თავყბას დაგისიებთ.

***

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს. ერთი ეუბნება მეორეს:

— გუშინ მეზობელ კაცს დავნებდი.

— სიყვარულით?!

— ჰო, აბა, 100 დოლარი რა ფულია?!

***

ორგანული ქიმიის მთავარი კანონი: თუ 1 კილოგრამ მურაბას და 1 კილოგრამ ნეხვს შევურევთ, მივიღებთ 2 კილოგრამ ნეხვს.

***

ქალის ლოცვა:

— ღმერთო, მომეცი სიბრძნე, რათა მამაკაცს გავუგო, სიყვარული — რათა ვაპატიო და მოთმინება — რათა მის ხუშტურებს გავუძლო. ძალას კი არ გთხოვ, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩება!

***

თვითმფრინავი ვარდება. სალონში ავტომატურად ირთვება ჩანაწერი:

— ძვირფასო მგზავრებო! გთხოვთ, ამოიღეთ პასპორტები, ამოხიეთ ფოტოსურათიანი ფურცელი და მოითავსეთ უკანალში. ამ უხერხულობისათვის წინასწარ გიხდით ბოდიშს, მაგრამ წინა ავარიის შემდეგ, გვამების გარჩევისას ძალიან გავწვალდით.

***

— ბუძგურია, შენ მართლა ერთი ძმა გყავს?

— კი.

— აბა, შენი და რას ახურებს, ორი ძმა მყავსო?!

***

— მოშე, რატომ ხარ მოწყენილი?

— გუშინ დოლარები ვიყიდე და ფული აღარ დამრჩა.

***

ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელი ამბობს:

— აბა, ბავშვებო, ამოიღეთ სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები. დღეს უნდა დავხატოთ ცხენი. ჩვენი ქეთინო კი შეეცდება, გაუნძრევლად იჯდეს.

***

მღვდელი და პოლიციელი მიდიან და ერთმანეთს დროის ძნელბედობაზე ეს-

— ეგ მე არ მეხება. დურგალი ვარ და ექიმმა მითხრა, შეგიძლია, მიხვიდე და ზომები აუღოო.

***

ამონაწერი გინესის რეკორდების წიგნიდან: „ასანთის კოლოფების მსოფლიოში ყველაზე დიდი კოლექცია მარო ქიბროწაშვილს აქვს შეგროვებული. იგი 40 წელი მუშაობდა თელავის პოლიკლინიკაში, სადაც ავადმყოფთა ანალიზებს იბარებდა“.

***

ცოლი სასწორზე შეხტა და ქმარს ახარა:

— ორი კილო დავიკელი.

— მაკიაჟი გაიკეთე და ისე აიწონე! — სკეპტიკურად უპასუხა ქმარმა.

***

ქალმა მიირბინა პოლიციელთან:

— მიშველეთ, ჩემი გაუპატიურება უნდათ.

— ვის?

— ვიღაც მანიაკს!

— ბრმაა?!.

***

— ყოველთვის, როცა იღიმებით, სურვილი მიჩნდება, შინ მიგიპატიჟოთ.

— ასეთი მექალთანე ხართ?

— როგორ გეკადრებათ, სტომატოლოგი გახლავართ.

***

სვანი თავში ლურსმანს იჭედებს.

— რას შვრები, კაცო?! — ეკითხება გაკვირვებული მეზობელი.

— პარიკმახერმა ცუდად გამკრიჭა და სამაგიერო უნდა გადავუხადო — საპარს მანქანას გავუფუჭებ!

***

მიხო ექიმი ეჩხუბება თავის ექთანს:

— კარგი, რა, მარო ძალო, რამდენჯერ გითხარი, მაგ შენ კულინარიულ რეცეპტებს ჩემს ბლანკებზე ნუ წერ-მეთქი. ეგე, გუშინაც ჩემს პაციენტს აფთიაქში წამლის მაგივრად ისევ შენი დედაატირებული ჩიხირთმა მოუმზადეს.

***

ზოოპარკში პატარა ბიჭმა ფარშავანგი დაინახა და დედას უთხრა:

— შეხედე, დედიკო, ქათამი აყვავებულა!



***

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

— რა განსხვავებაა ჩვეულებრივ ელექტროდენსა და ელვას შორის?

— ელვა უფასოდ ანათებს.

***

— დღეს ხუთი ბუზი მოვკალი — ორი მამალი და სამი დედალი.

— როგორ განასხვავე?

— სამი სარკეზე იჯდა, ორი — ლუდის ბოთლზე.

## გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ვახტანგ გორგასალი (დაჩიმ თბილისის მშენებლობა დაასრულა).
2. არსად. ენგელსის ნეშტი, მისივე ანდერძის თანახმად, დაწვეს და ფერფლი ზარბაზნით გაისროლეს.
3. კონკისტადორი კორტესი.
4. ლუდოვიკო XIV-ს.
5. ფრიდრიხ დიდის, ბისმარკის, ჰინდენბურგისა და ჰიტლერის.
6. ასე ერქვა ძველად ცისკრის ვარსკვლავს.
7. მათ სჯეროდათ, რომ მოკლულ დათვს იმ ქვეყნიდან დაბრუნება და მკვლელისთვის სამაგიეროს გადახდა შეეძლო.
8. დედაბრიშვილი.
9. ჩინგიზ ყაენი.
10. ეს მას ახირებულობით არ მოსვლია, უბრალოდ, ეშინოდა, რომ მიწებს ჩამოართმევდნენ და ვეტერან მეომრებს დაურიგებდნენ. სასაფლაოსთვის გამოყოფილი მიწა კი, კონფისკაციას არ ექვემდებარებოდა.
11. ცელის ერთი მოსმით მოთიბული ბალახი.
12. ეს ქალაქი სტალინის სახელს ატარებდა და მის დაცემას, მოწინააღმდეგის მებრძოლი სულის გატეხა უნდა მოჰყოლოდა. რეალურ გამარჯვებას ფიურერმა სიმბოლური ტრიუმფი არჩია.
13. მსახიობი შავკანიანი ქალების მოტრფიალე გახლავთ.
14. სილამაზეს.
15. სანქტ-პეტერბურგი.



***

პოლიციაში ქალბატონი რეკავს:

— ამწუთას ჩემთან შემოიჭრნენ ჭიჭიკია, ბიჭიკია, ანზორია და გაუპატიურებას მიპირებენ. სასწრაფოდ მოდით და ანზორია მომაშორეთ თავიდან.



რეპეტიცია




დასაწყისი იხ. „გზა“, №3

## ზაზა ვაჩნაძე

— არა, არა, ვერაფრით ვერ მოიცალა ჩემთვის ამ ღმერთმა... — წამოიწყო თუ არა რაიონის გამგებლის „პირველმა“ მეორე ნახევარმა ნორა ქადაგიძემ საუზმისას, ქმარი, ენვერ ჭუბაბრია, იმწუთასვე სკამიდან წამოხტა და პირში ეცა:

— აბა, ეს რაა, მაშ?! რა ჰქვია ამას, მაშ?! არ ჰქვია ამას ხიზილალა? ამას არ ჰქვია ანანასი? ან ამას არ ჰქვია ზუთხი? „გავმაზოთ“, რაზეც გინდა, რომ ოთხმოცდაათ პროცენტს ბოლო ათი წელი, ქელეხში თუ უნახავს ან ერთი, ან მეორე, ან მესამე!..

— კი, კი, მართალია. მაგრამ ცხვირში რომ უნდა ამომდინდეს ეს ყველაფერი, გენაცვალე, ცხვირში?! იმას ვჩივი მე! — მიაჩერდა პირში პასუხის მოლოდინში ნორა ენვერს.

— აბა, შენ, ბაბაც გინდა და ჩიჩიაც, ხომ, ამ წარღვნაში?! იცხოვრე, ხომ, ორი წელი, ტრაპიზონის ხონთქრის ცოლივით... ახლა კეთილი ინებე, გენაცვალე, და გოზინაყის ნაცვლად...

— ჰო, რა, რა? — დაინტერესდა ცოლი. ენვერი კი მაგრად ჩაფიქრდა.

— ჭამე რძე და ყველი, ბატონო, არ გეტყვი, რაც მოსდევს მაგას...

— რძე და ყველი, არა? რძე და ყველი, ხომ?! — ძალიან მაგრად გამწარდა რატომღაც, რძესა და ყველზე ნორა...

— აბა, „ბალანდას“ მთხოვ, ქალო? — მთლად გაგიჟდა ამაზე ენვერი. — ...პატრონს შენსას!..

— შენს პატრონს, თუ კაია!.. როგორ გინდა, გაძლო ამ დებილი კაცების ხელში?! — აქეთ-იქით იყურებოდა ნორა. გამზიარებელს ეძებდა, მაგრამ ვის ნახავდა? შვილები, კარგა ხანია, დაბინავებული ჰყავდა უცხოეთში, მამა — საფლავში და დედა კი, ვერაფრით წამოიყვანა სოფლიდან.

— შენ ნუ ღელავ... — ჩაესმა უეცრად ყურში თავისი დებილი ქმრის ხმა. — ადამიანია, ალბათ, ეს კაციც, ეს გამომძიებელი... ისეთი პირუტყვი ხომ არ იქნება, რომ არ შევიდეს ჩვენს მდგომარეობაში?! ან ხომ უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ჩვენია ის ხეტყე... მანქანა უპატრონოა, მძღოლი — აორთქლებული და ჩემკენ გამოიშვერს მაინცდამაინც თითს?

— ის თუ არ გამოიშვერს, შენი მტრები გამოიშვერენ, მტრები! — ხმას აუწია ნორამ. — „მრეწველები“, ლეიბორისტები, „ტრადიციონალისტები“ და ათასი ოხერი და მამაძაღლი!.. მტრის მეტი რა გახვევია გარშემო, ტარაკნებივით?!. ერთი სული აქვთ, მიწა მოგაყარონ მუჭით! არც მე ვიტყოდი ამაზე უარს, რაც ახლა შენ გამიკეთე!.. რა იყო, ახლა, ორი „კაპიკით“ ნაკლები გეშოვათ და იმ ძელქვას არ მისდგომოდით!.. კოპიტი და მუხა მოგეჭრათ, რომ გაღორდით და გამუცელდით...

— მუხის ფულით გაისეირნებდი, მერე?! პარიზი და მეხიკო რომ ამოიდე ტრაკქვეშ!.. არ მათქმევინო, ახლა, არ მათქმევინო, იცოდე, ყველაფერი...

— მე ვნახავ იმ კაცს!.. — წამოსცდა უეცრად ნორას.

— აპ-აპ-აპ!.. არ დამღუპო! არ ჩამაკეტვინო შენი თავი ცხრაკლიტულში, არც გაივლო მეორედ!!! — საშინლად აღელდა ენვერი. — ჩვენ თვითონ მოვუვლით მაგ კაცს.

ამ დროს, მაგიდაზე დადებული, ენვერის მობილური ახმიანდა.

— ა, რეკავენ უკვე... არ გავიგო შენი ხმა! — ტუჩზე თითი მიიდო და ტელეფონი აიღო ენვერმა.

— ჰო, ელიზბარ, გისმენ!

— ენვერ, მოდის... — გაისმა ელიზბარის ხმა ყურმილში.

— კაი, გენაცვალე. ჩემზე იყოს!..

— აბა, კარგად! — გაისმა ყურმილში და გაითიშა.

— მოდის? ვინ მოდის, გამომძიებელი? — აღელდა ნორა. — როგორ უნდა დავხვდე, რანაირად, რომ არ ვიცი!..

— არა, არა! აქ არავინ მოდის. რა უნდა ჩემს სახლში გამომძიებელს? თუ დასჭირდათ, იქით დამიბარებენ... სხვა რამეზე იყო ლაპარაკი და სხვა ნუ დამჩხავი ყვავივით! — გაბრაზდა ენვერი.

ლაპარაკი მართლაც, სხვა რამეზე იყო: ელიზბარი იმ კაცის მოსყიდვაზე ლაპარაკობდა, ვისაც ხეტყის მოჭრა და გაყიდვა საკუთარ თავზე უნდა აეღო. ეს გეგმა კარგა ხანია, მოფიქრებული ჰქონდათ მომავალ ეჭვმიტანილებს. ის ასეთ, განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა ამუშავებულიყო. თანხაც თავიდანვე გადადებული ჰქონდათ და ის საცოდავიც — შერჩეული, ვისაც ფულის გამო, თავი უნდა გაეწირა. რამდენად გაამართლებდა, — ეს სხვა საკითხი იყო. თუმცა, გამგებელმა ენვერ ჭუბაბრიამ თავი დააჯერა, რომ კოჭი ალჩუზე დაჯდა. ის კი, თუ იმ მხარეს რა ხდებოდა, საითაც აკრძალული ხეტყე მიდიოდა, რატომღაც, ფეხზე დაიკიდა. მთავარი, ჯგუფური დანაშაულის თავიდან აცილებააო, — ფიქრობდა...

სვეტა — გაჭირვების ტალკვესი — ასეთ მომენტებში, უცნობ მამაკაცთან მომავალი „თავდავიწყებისთვის“ განსაკუთრებით გულმოდგინედ ემზადებოდა. ის ჯერაც სასტუმროს ადმინისტრატორად იყო გაფორმებული, თუმცა, არალეგალურად, არანაკლებ ხელფასს იღებდა, ვიდრე ქალაქის პროკურორი და ალბათ, გამგებელიც... მისი გარეგნობა აღგიწერეთ, სამუშაოსაც მიხვდით, ალბათ... მოკლედ, როცა ის ლერი კაპანაძეს შემთხვევით, ქალაქის საკრებულოს ვიწრო და ბნელ დერეფანში შეეჯახა, გამაოგნებელ, თავბრუდამხვევ სურნელებას აფრქვევდა...

— ვაი, ბოდიში, ვერ შეგამჩნიეთ... — ჩაილაპარაკა ქალმა და თითქოს მამაკაცთან არამცთუ ოდესმე წოლილიყო, არამედ ნამდვილად, პირველად ხედავდა, ისე უმანკოდ და მიმნდობად გაუღიმა ქალაქიდან ჩამოსულ გამომძიებელს, რომ მას ასეთი ანგელოზის დანახვაზე, კინაღამ გული წაუვიდა და ქალს რომ ხელი არ მიეშველებინა, შესაძლოა, მის მკლავებშიც აღმოჩენილიყო... ცხადია, აქ ცოტა გადავაჭარბე, მაგრამ რა დასამალია და, ასეთი ქალი, ღია მკერდით, თეთრად ამოფეთქილი ძუძუებით, ნებისმიერ მამაკაცს მოხიბლავდა და რაღა ჩვენი ლერი კაპანაძე იქნებოდა გამონაკლისი?!

— მაპატიეთ! — ამ ერთ სიტყვაში ლერიმ ყველაფერი ჩადო, რაც კი შეეძლო: რომ მაგრად დაევასა, რომ თავისუფალია, რომ ქვეყნის დასალიერამდე გაჰყვებოდა და რომ ჯენტლმენიც იყო, აქაურებისგან განსხვავებით...

ქალმა ნაზად დაუკრა თავი, თლილი და მოვლილი თითები რატომღაც, ძუძუს



თავიდან ჯერ თეძოსკენ წაიღო, მერე კი იქიდან მუხლამდე ლამაზად ჩააცურა და, უმშვენიერესი უკანალიანად, დერეფნის სიღრმეში გაუჩინარდა... ამ ძალზე ეფექტური ნომრის გაგრძელება საღამოსთვის იყო დაგეგმილი, ხოლო ქალის ტანის უაღრესად ნატიფი და სექსუალური კონტურები იმ წუთიდან, სამუდამოდ ჩაიბეჭდა მრისხანე და მიუკერძოებელი გამომძიებლის ქვედა ორგანოების მგრძნობიარე უჯრედებში...

წინააღმდეგობას, რომელსაც გამომძიებელი ლერი კაპანაძე პირველსავე ეჭვმიტანილთან ანუ „კრაზის“ არაოფიციალურ მეპატრონესთან წააწყდა, რა თქმა უნდა, ელოდა. მაგრამ თუ „კრაზი“ იაპონელების იქნებოდა და გამოძიებას ასეთი რთული გაგრძელება ექნებოდა, ამას როგორ წარმოიდგენდა?!. როგორც საკრებულოში გაარკვია, რაიონში არა მარტო ლეგალური, არამედ ულიცენზიო სახერხი საამქროები თუ ინდმეწარმეებიც არსებობდნენ და, რა და რა სახის მეწარმეობას ეწეოდნენ, ეშმაკმა უწყოდა. ვინ პანტაზე და მაჟალოზე მუშაობდა, ვინ — ტყის თხილსა და წიფლის ნაყოფზე და ვინ კიდევ — მგელსა და დათვს დასდევდა, ვინ იცის...

— ნივდება, თუ რამე დარჩა კიდევ გასანიავებელი! — მიაწოდა გამომძიებელს ადგილობრივი ოპოზიციის ერთ-ერთმა რიგითმა წარმომადგენელმა უტყუარი ინფორმაცია და გამოძიების სწორად წარმართვაში დახმარება აღუთქვა. არადა, იქაურ უმაღლესი რანგის ჩინოვნიკთა ნებართვის გარეშე, ნაკრძალში ძელქვის მოჭრა კი არა, ხვლიკიც რომ ვერ გაფხლაკუნდებოდა, ლერი კაპანაძემ ისედაც ძალზე კარგად იცოდა... ხვლიკზე ვლაპარაკობთ და ძელქვით დატვირთული „კრაზი“ ხომ, მათი ნებართვის გარეშე, არამცთუ ქალაქიდან გასულიყო, სამ-ოთხ მეტრსაც ვერ გაივლიდაო, — ფიქრობდა ლერი... მოკლედ, ჩაიწყო ჯიბეებში ხელები და იმ ჟინჟლიან დღეს, ნაკრძალი მოინახულა.

„გაჩეხილი“ ის სიტყვა არ არის, არც „გაკაფული“, — ტყე მიწასთან იყო გასწორებული... მოჭრილი და ძირდამწვარი ხეები ყველგან, ყველგან... მიდი და გაიგე, როდისაა გაკაფული... გითხრათ ახლა — გული დაეწვაო, — არ იქნება მართალი. კონკრეტულ დავალებას ასრულებდა ლერი კაპანაძე და სენტიმენტებისთვის არ სცხელოდა. თუმცა, ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ მის კვალს ჩუმად მიჰყვებოდა და გულდაგულ სდარაჯობდა, მსუბუქი ავტომანქანის უკანა სავარძელზე თბილად მოკალათებული, საკრებულოს დერეფანში მოფარფატე ანგელოზი, რომელთან უნებურად შეჯახებამ მისი ეროტიკული ნერვების დაბოლოებებზე ასე დადებითად იმოქმედა...

და ისინი მეორედ შეეფეთნენ ერთმანეთს. თან, ეს ისეთ უადგილო ადგილას მოხდა, როგორიც რაიონული ბიბლიოთეკაა (სიმართლე თუ გინდათ, ამ ოცი წლის წინ რომ დამეწერა ეს ყველაფერი, ალბათ სასტუმროს რესტორნის შესასვლელში



შევაფეთებდი ამ ორ გმირს ერთმანეთთან, ახლა კი...). შემთხვევით, ვიწრო კარში შეიჭყლიტნენ ერთდროულად და გარდა იმ თავბრუდამხვევი სურნელებისა, რომელსაც ქალის ზედატანი, ყელი და თმაც აფრქვევდა, ალბათ, ქვედა — მუხლისთავის ზედა რბილმა ხორცმაც ისე იმოქმედა ჩვენი გამომძიებლის ბიოლოგიურ ველზე, რომ მაშინვე აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა:

— არა, ჩემს იქით, გზა არა გაქვთ! — და უძირო, ულამაზეს თვალებში ლამის ფსკერამდე ჩახედა.

— ოჰ, მაპატიეთ, ისევ თქვენ?! — უნებურად მკერდზე მოიკიდა ხელი ქალმა და „შემთხვევით“, პატარა ვარდისფერი ღილი გაეხსნა, რამაც კიდევ უფრო დიდებულად წარმოაჩინა მისი თეთრად მოლივლივე მკერდის მშვენიერება.

არა, ეს ნამდვილი სიგიჟე იყო. სისხლი ტვინში აასკდა გამომძიებელს და რომ არა პროფესიონალური თავდაჭერილობა, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ყოველივე?!.

— ვინ ბრძანდებით, რატომ ვერ გცნობთ? — კარს გასცდნენ თუ არა, კეკლუცად იკითხა ქალმა და ქერა თმის ხუჭუჭა კულული ლამაზ, მომცრო ყურის აწითლებულ ნიჟარაზე გადაიდო. ბიბილოზე თეთრად ელვარებდა პატარა, მოოქრულ ბუდეში ჩასმული მარგალიტი...

— ჩამოსული ვარ, ორიოდე დღით... — ამოილუღლუღა ლერიმ და საკუთარი ხმის ტემბრმა გააკვირვა.

— ვისთან, თუ საიდუმლო არაა? — წაათამაშა ქალმა და ძუძუთა შუა, ძეწკვზე დაკიდულ მედალიონს დაუწყო წვალება.

— კონკრეტულად არავისთან, საქმეზე ვარ ჩამოსული, — თქვა ლერიმ და დააყოლა: — მეორედ ვეჯახებით ერთმანეთს, შემთხვევით...

— ვინ იცის — იქნებ, შემთხვევით სულაც არა?.. ამ ბიბლიოთეკაში იცნობთ ვინმეს? — შეეკითხა ქალი და თავისი ლამაზი თვალები მიანათა, თან თეთრი, მწყობრად ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა.

„აუ, ღიმილი აქვს!.. „მონა ლიზა“ მიმიქარავს!“ — გაიფიქრა გამომძიებელმა და გაუბედა:

— არა, არავის. ამ ქალაქში თქვენს მეტს, არავის... უბრალოდ, დროის მოკვლას ვაპირებდი...

— გინდათ, დაგეხმარებით დროის მოკვლაში? უკეთესვ ვარიანტს შემოგთავაზებთ... — უთხრა ქალმა და გვერდულად, ლამაზად გაუღიმა.

— ჩემს საშველად ჩამოფრენილხართ ციდან!.. — მთლად გაუტია გამომძიებელმა.

— ჰოდა, ძალიან კარგი. მაშინ, წავედით! — ქალმა სწრაფად მოჰკიდა ხელი დაბნეულ მამაკაცს და გარეთ გამოიყვანა. — ნუ გაგიკვირდებათ, ამ ქალაქში არც ისე ხშირად ხვდება ქალი ნამდვილ მამაკაცს...

„ანგელოზი“ ძალზე სწრაფი ტემპით ილებდა რეალურ, მიწიერ სახეს, ეს, ხელის თითების მოჭერაშიც იგრძნობოდა...

სულ მალე, ორივენი რესტორნის, ასე, ექვსკაციან მაგიდასთან ისხდნენ და ერთმანეთს ახლოს ეცნობოდნენ.

— მართალი გითხრა, ვერაფერი გავუგე აქაურ კაცებს... — გულს უხსნიდა ქალი ლერის.

თბილისში ასეთი რამ ათას წელში არ გადახდებოდა, თბილისი შორს იყო, ოჯახიანად, და ლერი, მიუხედავად ოდნავი აწითლებისა და სიმორცხვისა, თანდათან ფორმაში შედიოდა და თამამდებოდა. მით უმეტეს, ქალი სულ არ ერიდებოდა და თვალებშიც სიყვარულით და თითქოს, სინანულითაც კი უმზერდა, — ყოველ შემთხვევაში, ლერის ასე ეჩვენებოდა. ვისკის (რომელშიც კაპანაძე საერთოდ ვერ ერკვეოდა, მაგრამ ოფიციანტს დაუჯერა და კარგიც გავაკეთეო, ფიქრობდა) თავისი გაეტანა და ლერიმ, — ჯერ თქვენნაირი ქალი არ შემხვედრიაო, — ქალის მტევანს სალოკი და შუათითი ფრთხილად შეახო. ქალს ისე ესიამოვნა, ლერი ამას ვერც წარმოიდგენდა. მოეჩვენა, რომ ოდნავ თვალიც კი ჩაუკრა და თვითონ მოიქცია მისი ხელი ლამაზ თითებში... ქალებში უკეთესად გარკვეული კაცი, რა თქმა უნდა, იმწამსვე შეტევაზე გადავიდოდა, ლერიმ კი, მაინც დაახანა, ვერ დაიჯერა ასეთი სწრაფი გამარჯვება. სამაგიეროდ, ქალმა, რომელიც მამაკაცის ამოცნობაში იშვიათად იჭრებოდა და მაგრად ფრთხილობდა, — მოწინააღმდეგე სქესის წარმომადგენლის ასეთი ინერტულობის გამო, — ვაიმე, ხომ არ შემეშალაო? — გაიფიქრა... ამ დროს ლერი, როგორც ასეთ შემთხვევებში, მისნაირ კაცთა უმრავლესობა, სკამის ზურგზე გადაწვა და თვითკმაყოფილმა, სიგარეტი გააბოლა. ქალმა — ერთი წუთით გავალო, — და გავიდა. ლერი დამშვიდდა. ვისკი ტკბილად მოძრაობდა მის ძარღვებში და სასიამოვნოდ თენთავდა. ახლაღა გაახსენდა, რომ ქალის სახელი არ იცოდა და ძალიან გაუკვირდა. თუმცა, არც იმან იცის ჩემიო, — გაიფიქრა. არადა, ქალმა მარტო ლერის სახელი კი არა, ლამის, ბიოგრაფიაც იცოდა...

ქალი გარედან საოცრად აგზნებული შემოვარდა:

— იცით, რა ხდება დარბაზში? ჩვენები გრიალებენ!.. წამოდით, რა, შევუერთდეთ, მაგარ ვიღაცებს გაგაცნობთ! ეს იყოს, არ ავალაგებინოთ... — ანიშნა მან სუფრაზე და პასუხს აღარც დალოდებია — მოჰკიდა ხელი, კუპედან გამოიყვანა და დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში, გაშლილი სუფრისკენ წაიყვანა.

სუფრას ათამდე კაცი და ქალი მისჯდომოდა. ალბათ, შუა ქეიფში იქნებოდნენ, რადგან კაცებს პერანგები მოეღეღათ და ჯდომის მანერაზეც ეტყობოდათ, რომ ბოთლზე მეტი მაინც ჰქონდათ მიღებული. ქალები სიგარეტს აფუილებდნენ და ლოყებიც უკვე წითლად უღუოდათ.



— ოჰ, მობრძანდით, მობრძანდით! — დიდი სიხარულით მიიღეს სუფრის წევრებმა შემოსწრებულები.

— სტუმარი ღვთისაა! — გამოაცხადა, ალბათ თამადამ, რადგან ყველანი დასხდნენ, ის კი მაინც ფეხზე იდგა. — სვეტა, გენაცვალე, გაგვაცანი შენი კავალერი, — მიმართა მან ლერის პარტნიორს.

— ბატონი ინკოგნიტო! — თქვა სვეტამ და რატომღაც, გადაიკისკისა. ლერი ფეხზე წამოდგა.

— ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ! — ანიშნა ლერის თამადამ, მაგრამ ლერი არ დაჯდა.

— ლერი კაპანაძე, — გააცნო მან თავი სუფრის წევრებს და მზერა სვეტაზე შეაჩერა...

— პროფესია? — შეეკითხა თამადა.

— ინჟინერი ვარ, — იცრუა ლერიმ.

— გადარჩენილხართ, — თქვა თამადამ, — თავის რჩენას ახერხებთ, ალბათ. მარტო დახლი და ამწე მუშაობს დღეს ყველგან, ასე არაა? ძალიან კარგი, მეტს არაფერს გკითხავთ. ეს ერთი პატარა ყანწი დაგვილიეთ, წამოგვეწიეთ ცოტა და გავაგრძელოთ მერე ჩვენი გრიალი, თანდათან...

ლერი ამ ყანწს ვერსად გაექცეოდა. კი გადახედა ცალი თვალით სვეტას, რომელიც მას აღარ აქცევდა ყურადღებას და დაილოცა — რაც თქვენ წარმოთქვით ჩემამდეო... — და გამოცალა. სუსტი ღვინო იყო, თხელი, ქარხნული წესით დამზადებული. ლერი ცოტა ერკვეოდა ღვინოებში... სუფრაზე წყვილებად ისხდნენ, ოთხი კაცი და ოთხი ქალი.

— „ციცქაა“, სუფთა, თავს არატკივებს, — მიაწოდა ცნობა თამადამ.

როგორც ჩანს, მათ შემოსწრებამდე სუფრის წევრები რაღაცაზე დაობდნენ:

— ...ბედოვლათები ვართ ქართველები და იმიტომ, — ამბობდა მის პირდაპირ მჯდარი, ფართოყვრიმალიანი მამაკაცი, რომელსაც მხარზე მშვენიერი „დამა“ ჩამოყრდნობოდა და სიგარეტის კვამლს გამომწვევად, პირდაპირ სახეში აფრქვევდა. — დანგრევას ერთი წუთი სჭირდება, აშენებას — საუკუნეები... არა ვართ ალბათ, საცოცხლებელი... ევროპაში თურქები საშინლად არ უყვართ. მალე ჩვენც შევძულდებით. სახელის გატეხას, თავის გატეხა სჯობიაო, ტყუილად ხომ არაა ნათქვამი...

— რამდენი საუკუნეა უკვე, რაც ეს ქალაქი არსებობს! წყალი რომ წყალია, წყალი არა აქვს ქალაქს! — ჩაერია მის მარჯვნივ მჯდომი, მაღალი, ყელმოღერებული კაცი.

— ხე აღარ დატოვეს ტყეში და ბუჩქი და როგორ გვქნება წყალი, რანაირად?!

— ძელქვას რომ კაცი მოჭრის ნაკრძალში, საუკუნეზე მეტი რომ სჭირდება, რომ ცოტა ტანი აიყაროს, არ უნდა მოაჭრა მკლავი ძირში?! — დაუდასტურა მაღალმა.

— პირდაპირ დაადეს ჩვენს რაიონს ხელი, ტელევიზორში... — ჩაერია თამადა.

— ნუკრი გობეჩიასი ყოფილა, თურმე, ასე ამბობენ და მე არ ვიცი, არ მიყურებია, როგორ ჭრიდა, ამ ცოდვას ვერ დავიდებ... — თქვა „ყვრიმალამ“.

ლერი კაპანაძე რომ ნამდვილად წამოეგო ამ ანკესს, სუფრის წევრებმა იოლად „იყიდეს“, რადგან მაშინვე თავი გადასწია და სვეტას რაღაც წასჩურჩულა.

სვეტამ სათითაოდ გააცნო თანამეინახენი: ეს — გიმნაზიის დირექტორია, ნოშრევან ლაკობია, ეს — მსახიობი ამირან გომართელი, ეს კი — საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლიაო, — ანიშნა მაღალზე...

— ქალები? — დაინტერესდა ლერი.

სვეტამ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა.

— ჰო, არ გაწყობს?.. — ჰკითხა მან ეშმაკურად და მაგიდის ქვეშ მის თითებს თითები ჩააწნა. მერე კი აიღო და მისი ხელი ბარძაყზე გადაიტარა... ქალი თუმცა აშკარად მიანიშნებდა თავის ნამდვილ პროფესიაზე, ლერი ჯერაც ჰაეროვან ქალად აღიქვამდა და ნეტარებით ელოდა მომავალ საათებს, რომლებიც სასიამოვნო განცდას ჰპირდებოდა... ნუკრი გობეჩიას კი, ცუდი დღე ელოდა...

სუფრა ყაყანებდა. ამ ყაყანს მუსიკოსების, ბოლომდე აწეული გამაძლიერებლების ხმაც იწვევდა, რადგან მოქეიფენი მუსიკის ხმის გადაფარვას ცდილობდნენ...

მალე კოცნა-პროშნა, კაცი-ქალი — ყველაფერი ერთმანეთში აირია. სვეტამ ხელი მოჰკიდა ლერის და ისევ კუპეში შეათრია. მართალია, ორივენი გვარიანი მთვრალები იყვნენ, მაინც გაშმაგებით დაუწყეს ერთმანეთს კოცნა. სვეტამ კაცს ლიფის ღილები გაახსნევინა, თეთრი, მსხვილი ძუძუები შადრევანივით ამოაფრქვია და ვნებისგან გახელებული კაცი მის კერტებს დააკვდა...

— კაი, კაი, აქ არ ღირს... — ხელი გააშვებინა და „ბლუზკის“ ღილები შეიკრა სვეტამ. — ვინმე არ შემოვიდეს... წავიდეთ! — ჩასჩურჩულა და ყურზე უკბინა.

— სად? — ლამის იყვირა გამომძიებელმა.

— ეგ მე ვიცი... — ხელი ჩასჭიდა სვეტამ და რესტორნიდან გაიტაცა.

ქუჩის გრილმა, ნესტიანმა ნიავმა ორივენი სწრაფად გამოაფხიზლა და დააცხრო. თუმცა გრძნობდნენ, რომ წინ გრძელი ეროტიკული ღამე ელოდათ და სწრაფად მიიწევდნენ იმ ადგილისკენ, სადაც სექსუალურ მორევში უნდა ჩაძირულიყვნენ.

ეს ადგილი, ფართოაივნიანი, ლამაზი, ორსართულიანი სახლი აღმოჩნდა.

— პატრონები რუსეთში არიან, აქაურობა მე ჩამაბარეს, — უთხრა სვეტამ და სინათლე აანთო. „ბლუზკა“ შემოიძრო და მოისროლა. ცარიელ, წითელფოჩებიან ლიფში დარჩა. დარბაზში სერვანდი და ლამაზი, ჩიხოლგამოკერებული სამეული იდგა. სვეტამ სერვანდის თაროდან ერთი ბოთლი „ხვანჭკარა“ და ღვინის ჭიქები გადმოიღო. დაჯდა და ბოთლი და „ხრახნი“ ლერის მიაწოდა. გარედან ჭრიჭინების ხმა შემოდიოდა.

ხელში „ხვანჭკარით“ სავსე სასმისი ეჭირა, წინ ულამაზესი, ნახევრად შიშველი ქალი ეჯდა და ლერისთვის მეტი იდილია, ამ ჩვენს გაპარტახებულ ქვეყანაში, ვფიქრობ, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, ასე არაა?.. სვეტამ მაგნიტოფონის ღილაკს ჩაჰკრა თითი. ოთახში „ტანგოს“ ნელი, ტკბილი და ვნებიანი მელოდია გადმოიღვარა. ქალი წამოდგა, კაციც... ერთმანეთს ხელები გაუწოდეს და მიეწებნენ. ორი ნაბიჯი კი გადადგეს და მაშინვე იატაკზე, რბილ ხალიჩაზე გაგორდნენ. „ტანგოს“ ნელი რიტმი, ორივესთვის მისაღები აღმოჩნდა. ქალის თეძოები, ტოტზე შემორჩენილი ობოლი ფოთოლივით ათრთოლდა და კაცი და ქალი უმაღლესი ნეტარების მწვერვალზე აიტაცა, საიდანაც კაცი ერთ წამში მიწაზე ენარცხება, ხოლო ქალი ძირს ნელ-ნელა მიბობღავს... ვიოლინოს ჯადოსნური ბგერები კი, ჯერ ისევ „ცეკვას განაგრძობდნენ“...

მეორე დღეს ლერი კაპანაძე თბილისში დაბრუნდა. მისია შესრულებული ჰქონდა. ახლა მხოლოდ მყიდველის ვინაობა იყო დასადგენი. ვისაც კი თითო თეთრი ერგო, ყველას სახელს იმ ვიღაც ნუკრი გობეჩიას ბოლომდე ამოვაშაქვრინებო, — ფიქრობდა გამომძიებელი.

პატრულის ყველა მორიგე დაიკითხა, ვინც კი იმ ღამეს მუშაობდა ან რაიმე შეხება ჰქონდა იმ ავარიასთან, რომელმაც ამდენი სიცოცხლე შეიწირა. ბოლოს, მცხეთის საპატრულოს თანამშრომლებიდან ერთ-ერთმა, ძაღლიანი ქალი გაიხსენა. ძაღლის სახელიც — ზიზი... ქალის სახელი კი ვერაფრით აღიდგინა. პროკურორმა ორდერი გამოწერა.

ქარელის გზაზე ლეგალურად მომუშავე, არალეგალური ბორდელი იმ წუთიდანვე გაჩნდა, როგორც კი კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანას მეხივით დაეცა თავზე. სწორედ იქ იცხრობდნენ ქართველ ქალებთან, ორი ათასი წლის მანძილზე უიმედოდ ნაოცნებარ ჟინს თურქის გაზინზლული, უტი-





ფარი, მატყუარა კაცები...

მოკლედ, პოლიციელები ქარელის ბორდელს ლამის, მთელი ასეულით ისე მოულოდნელად დაეცნენ, რომ არამცთუ შიშველ-ტიტველი, მიჟიმულ-მოჟიმული ქალები, არამედ თაგვი რომ თაგვია, ისიც ვერსად გაასწრებდა... და ატყდა ერთი დგანდგარი, ვინ სად გარბოდა და ვინ ვის ნიფხავს იცვამდა, ვერავინ მიხვდებოდა... ჰო, მაგრად ევასებათ ჩვენს... კინაღამ წამომცდა... პოლიციელებს ასეთ მომენტებში სპექტაკლების დადგმა. საინტერესოც არის, არა?.. მოკლედ, მათ დიდი სისწრაფით ჩამოურბინეს ყველა უბრალო თუ „ლუქს-კაიუტას“ და ასე — დედიშობილა, კაცი თუ ქალი — ყველანი გარეთ, მაღალ გალავანშემოვლებულ ეზოში გამოყარეს. იდგნენ ეს ტანტარა თურქი კაცები და ჩვენი ქალები და სარცხვინებლებზე იფარავდნენ ხელს ან სამოსს — მოკლედ, იმას, რისი აღებაც მოასწრეს. ნორმალურ ენაზე, ვინ იცის, ამ ყოველივეს იქნებ სადიზმიც ერქვას, — აი, გორის რაიონის (ზოგჯერ ახლომდებარე რაიონები, კორუფციასთან ბრძოლის მიზნით, ერთმანეთს ცვლიან, თუმცა, მგელი შეგჭამს თუ მგლისფერი ტურა, რა მნიშვნელობა აქვს?!) პოლიციის უფროსისთვის, თემურ ლელიასთვის კი, ეს მორიგი, საინტერესო სპექტაკლი იყო. ის პირში სიგარაგაჩრილი, შიშველი ბოზანდარების წინ დინჯად სცემდა ბოლთას და თავისი გენიალურად დადგმული წარმოდგენის ყურებით ტკბებოდა. აი, თანაშემწეს სიგარიანი ხელით ანიშნა და იმანაც ლამაზი, პროპორციული ტანის მქონე გოგო რიგიდან წინ გამოაგდო.

— რა გქვია? — შეეკითხა პოლიციელი.

— ნინი, — უპასუხა გოგონამ.

— ესე იგი, ნინო... — დაასკვნა პოლიციელმა. — გვარი?

— დიაკვნიშვილი.

— არა!.. — პირი დააღო პოლიციელმა. — შვილო, თუ ნინო გქვია და გვარად დიაკვნიშვილი ხარ, რა გინდა ამ გადამთიელებთან, ვის უწვები, იცი?

— ჯერ ერთი, სახელი და გვარი მე თვითონ არ ამირჩევია და მეორე — შენც რომ ჩემს ადგილას ყოფილიყავი, შენც იმავეს გააკეთებდი. მიშოვე სამუშაო და ვინც ამათ გაეკაროს!.. — მშვიდად უპასუხა ნინიმ.

პოლიციელი გაჩუმდა. სიგარიანი ხელიც კი გაუშეშდა: ქალის ლოგიკამ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა. ასეთ ქალზე არც მე ვიტყოდი უარსო, — გაიფიქრა, თვალები მკერდიდან ქვემოთ ჩააყოლა და თანაშემწეს ანიშნა, ეს ლამაზად მოტლიკინე ბავშვი უკანვე, რიგში დაებრუნებინა.

მიხვდით, ალბათ, რა განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობენ ადგილებზე ნებისმიერი მსგავსი უწყების ხელმძღვანელები. მაშ, რა გასაკვირია, რომ მათმა შეფმა, „მთლა ზემოთ“ ვინცაა შესკუპებული, საქართველოს ნებისმიერ ტრასაზე „მარიაჟულ“ პონტში, მეოცე საუკუნის მილიარდერის პოზაში, შავი სათვალითა და ჰავანური სიგარით ხელში, ჯიპის წინა თუ უკანა სავარძელზე გადათხლეშილმა, გვერდით ჩაგიაროს?!. არაფერი ამ „უძაღლო“ ქვეყანაში არ უნდა გაგიკვირდეს. ყველაც „მარიაჟობს“ — ძალოვანი ჩინოვნიკებიც და „სალდაფონების“ „შეფებიც“...

თუმცა, მოდით, ისევ ქარელს დავუბრუნდეთ. მოკლედ, როცა, „მარიაჟი“, პოლიციის უფროსი შიშველი ტყვეების წინ ბოლთას სცემდა და ფიქრობდა — ალბათ, ჩემი ქარელელი კოლეგა ამ ბორდელიდან ურიგო ფულს არ უნდა შოულობდესო, — „მამაშას“ ოთახში მაგარი ვაჭრობა მიდიოდა... მოკლედ, თურქებიც მაგრად გაატყავეს და „მამაშასაც“ — ვაჟა ბაბუხადიას კაი გვარიანი „კუში“ აახიეს. პარალელურად, ძაღლიან ქალზეც ჰკითხეს, ძაღლის სახელიც მოახსენეს, ზიზი რომ ჰქვია და თან გააფრთხილეს — ამა და ამ დღეს, ნამდვილად იყო აქ და ჟიმაობდა, ასე რომ, სიმართლე უნდა თქვაო. იმანაც — კი, ბატონო, მაიაზე მეკითხებით, ალბათ, ქვრივიშვილზეო... იმ ღამეს კლიენტის ჯიბიდან საფულე ამოიღო და გაქრა; მე რაც ვიცი, სულ ესაა და სად ცხოვრობს, აბა, მე საიდანო?.. მოკლედ, ლერი კაპანაძეს მაია ქვრივიშვილისთვის უნდა მიეგნო.

სამისამართო ბიუროში გამომძიებელს რა მისამართიც მისცეს, ფიროსმანზე, — ის სახლი დანგრეული აღმოჩნდა. მეზობლებს მაია კი ახსოვდათ, კაი ბიჭი ჰყავდა, მერე გაუნარკომანდა და მას შემდეგ აერია ცხოვრებაც და გზა-კვალიც; ერთი ხანობა, აქვე სადღაც ქირაობდა და მერე სად გადავიდა, არ ვიცითო. შვილის სახელიც უთხრეს, სოსოს ეძახდა; გადმოდგებოდა აივანზე და მთელი დღე, „სოსო-სოსო“ გვესმოდაო... ლერი შვილის გვარით დაინტერესდა. ქმარი არასოდეს ჰყოლია, შვილიც მის გვარზე იყოო...

ნარკოლოგიურში მართლაც, აღმოჩნდა აღრიცხვაზე ვინმე სოსო ქვრივიშვილი. მისამართიც უთხრეს და ლერიმაც, სოსო ქვრივიშვილს, წინამძღვრიშვილზე, ერთ-ერთი იტალიური სახლის ნახევარსარდაფში დილის ათისთვის მიაკითხა.

— ვინ არი, ტო, ვინ ტოროლაა?! მიდი, რა, ნახე, გიჟია ეს ჩემალალა?! — წაჰკრა ხელი და გვერდით მწოლიარე ძმაკაცი გამოაღვიძა სოსომ.

ვიღაც მაგრად აკაკუნებდა კარზე. მამუკამ, როგორც იქნა, წელი აითრია და კარი გააღო. გამომძიებელს კოკნარის სუნი ეცა.

— გისმენთ! — თქვა მამუკამ და გარედან შემოსული ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

— შეიძლება? — იკითხა გამომძიებელმა.

— შეიძლებაო? — მიუბრუნდა მამუკა სოსოს.

სოსო წამოჯდა. თავი უსკდებოდა, საფეთქლები უხურდა, ისე მჩატედ გრძნობდა თავს, სამი გრამი თუ ვიქნებიო, გაიფიქრა.

— და ვინა ვარო, რო?

— ვინა ხარო? — „უთარგმნა“ მამუკამ ლერის.

— გამომძიებელი ლერი კაპანაძე, — ლერიმ თვალებზე ააფარა წიგნაკი.

— გამომძიებელიო! წიგნაკიცა აქვს, — უთხრა სოსოს მამუკამ.

— ჰოო, თუ წიგნაკი აქვს, შემოუშვი, — ნება დართო სოსომ.

— შემობრძანდით! — ხელით შეიპატიჟა მამუკამ გამომძიებელი.

ლერი შევიდა. აყრილი, დაულაგებელი ოთახი მოათვალიერა. სოსო ლოგინში წამოჯდა და ხელები წინ გაიშვირა. ალბათ ეგონა, ვენებს გამისინჯავსო.

— სოსოს ვეძებ ქვრივიშვილს, — ისევ ფეხზე იდგა გამომძიებელი.

— მე ვარ, — თქვა სოსომ და მკლავები დაუშვა.

— კოკნარს ვადუღებთ, ძმებო? — საკუთარი ყნოსვის სისწორე შეამოწმა ლერიმ.

— ჰოო, კოკნარზე გადავედით. თუ დალევ, დავადგამ... — ჩაიქირქილა სოსომ.

მამუკა ისევ კართან იდგა, უნდოდა ალბათ, რომ ჩქარა გასულიყო გამომძიებელი.

— გმადლობთ, — გაეცინა ლერის, — სხვა საქმეზე ვარ მოსული... — მიიხედმოიხედა და სკამი რომ ვერსად შენიშნა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

— აბა?.. — იკითხა სოსომ და ლერის მიაშტერდა.

— მაია ქვრივიშვილი დედაა შენი?

— ცუდი არაფერი მითხრა, გული წამივა, დედას ვფიცავარ!.. — ხელები ასწია სოსომ.

— არა, ნახვა მინდა და არ ვიცი, როგორ ვიპოვო, — თქვა გამომძიებელმა.

— ჰოო. მერე? — ისევ მიაშტერდა სოსო.

— არ იცი, სად ცხოვრობს?

— ეგ რო ვიცოდე, კოკნარზე ვიჯდებოდი? — ხელები გაშალა სოსომ.

— არც ტელეფონი იცი ან რამე? — ჩაეძია გამომძიებელი.

— ვა, ტელეფონი და მისამართი რას გაუყვია, რო?! — გაუკვირდა სოსოს. — რა დააშავა? დააშავა რამე?

— იმაზე დიდი რაღა უნდა დაეშავებინა, ბიჭო, შენ რომ გაგაჩინა, შე ახვარო! — ნერვებმა უმტყუნა გამომძიებელს და წამოდგა.

— ჰოო?.. შენ იცი, მე რა ნიჭიერი ვიყავი?! „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად ვიცოდი!.. რას იზამ, ძმაო, დრონი მეფობენო... — დაამთავრა სოსომ.

ლერი კაპანაძემ ხელი ჩაიქნია და გავიდა. მამუკამ კარი მიკეტა.

— რა დავაშავეთ, ტო?! რა კონუსური თავი ჰქონდა, არ შეხედე, ტო?! — და ისევ ძილს მისცა თავი სოსომ.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***



# უნაყოფო ქალი –

## ასეთი დიაგნოზით შეძრული 20 წლის სიუზენი დღეს 3 შვილის დედა და სახელგანთქმული მსახიობია

*ერთ-ერთი დაბადების დღის წინ, ჰოლივუდის ვარსკვლავმა საკუთარი თავისთვის უჩვეულო საჩუქრის მიძღვნა მოისურვა და გადაწყვიტა, „მუცლის" ცეკვა შეესწავლა. სიუზენ სარანდონმა მშობლიური ნიუ-იორკის თითქმის ყველა ცეკვის შემსწავლელ სტუდიაში დარეკა და მეგობართან ერთად, ერთ-ერთ მათგანში ჩაეწერა. ქალბატონებმა შესაფერისი კოსტიუმებიც შეიძინეს და საქმესაც შეუდგნენ. „იმდენი ვივარჯიშე, რომ ზურგი დამეჭიმა. მეოთხე მეცადინეობის შემდეგ, იძულებული გავხდი, თავი დამენებებინა... მაგრამ ამ ოცნებაზე უარს ვერ ვიტყვი! ვიმკურნალებ და აფრიკულ ცეკვებზე ან ჰიპჰოპზე გადავერთვები. ეს უფრო ადვილი იქნება", — ამბობს მსახიობი, რომელიც თუ რაიმე მიზეზის გამო ცეკვის შესწავლას ვერ შეძლებს, საკუთარ სტუმრებს იმით მაინც გაოცებს, რომ რამდენიმე საათით „ბოდიარტის" სალონს ესტუმრება (ნამდვილი, სამუდამო სვირინგის გაკეთებას მსახიობი ათი წლის შემდეგ აპირებს). მკითხველს ძალზე გააოცებს იმის გაგება, რომ ეს ამბავი შარშან მოხდა. სწორედ მაშინ, როდესაც სიუზენი დაბადებიდან 60 წლის იუბილეს აღსანიშნავად ემზადებოდა...*

**— თქვენ რომ გიყურებთ, ბუნებრივი კითხვა მიჩნდება — როგორ ახერხებთ, რომ ასე შესანიშნავად გამოიყურებოდეთ?**

— როდესაც ამის შესახებ მეკითხებიან, მუდამ ერთსა და იმავეს ვპასუხობ: სიგარეტის მოწევას თავი დაანებეთ! გამაახალგაზრდავებელ მალამოებსა და სხვა პროცედურებში შესაძლოა, უამრავი ფული დახარჯოთ, მაგრამ თუ ამ მავნე ჩვევაზე უარს არ იტყვით, შედეგს მაინც ვერ მიაღწევთ! და კიდევ — არასდროს ვირუჯები. მზეზე საათობით არ ვიხრუკები. ადამიანებს, დედამიწისგან განსხვავებით, ოზონის დამცავი ფენა არ გაგვაჩნია... უმთავრესი კი, რაც ახალგაზრდობას მინარჩუნებს, ისაა, რომ ჩემი შვილები მუდამ ჩემ გვერდით არიან. ისინი მოდურ მუსიკას მასმენინებენ, ბევრს ვსაუბრობთ კინოზე, თანამედროვე ლიტერატურაზე. მოკლედ, ვცდილობ, მათ არ ჩამოვრჩე!

**— ზოგიერთი თქვენი კოლეგა არ მალავს, რომ პლასტიკურ ქირურგიას მიმართავს... ამის შესახებ რას ფიქრობთ?**

— არასდროს მიცდია ჩემი გარეგნობა პლასტიკური ქირურგიის დახმარებით უფრო მიმზიდველი გამეხდა, რადგან ვშიშობ, სახის ნაკვთები იმდენად შემეცვლება, რომ პროფესიას დავკარგავ! მაგრამ თუ რომელიმე ქალბატონი საკუთარ ასაკთან შებრძოლებას გაბედავს, ამას მე მხოლოდ მივესალმები. სხვათა შორის, დღეს ქალებს, ამ მხრივ, მამაკაცებიც არ ჩამოგვრჩებიან...

**— 3 შვილის გაჩენას თქვენი სამსახიობო კარიერისთვის ხელი ხომ არ შეუშლია?**

— საქმე ისაა, რომ არასდროს მიფიქრია იმაზე, თუ რამდენად ბრწყინვალე იქნებოდა ჩემი კარიერა. პირიქით, ბევრი მირჩევდა, შვილები არ გამეჩინა, რათა უამრავი სახარბიელო როლი არ დამეკარგა, მაგრამ მათ ყურს არ ვუგდებდი. ვფიქრობ, ჩვენს ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება. ბედისწერა ბევრად უცნაურია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია! როდესაც ახალგაზრდა გოგონა ვიყავი, სიყვარულით გათხოვებაზე, შვილების გაჩენასა და მათ მოვლაზე ვოცნებობდი. მაგრამ 20 წლის ასაკში უდიდესი კრიზისი გადავიტანე: ექიმებმა მითხრეს, რომ შვილი არასდროს მეყოლებოდა... ეს ყველა ქალისთვის საშინელი ტრაგედიაა. მტანჯველი ფიქრებისგან თავდასაღწევად, ჩემმა ქმარმა, მსახიობმა კრის სარანდონმა კასტინგზე წასვლა შემომთავაზა. ასე მივიღე პირველი როლი მაშინ, როცა არავითარი სამსახიობო განათლება არ მქონდა. სხვაგვარად მსახიობის პროფესიას არასდროს აირჩევდი. და აი, დღეს ინტერვიუს გაძლევთ, სამი შვილიც მყავს... ვფიქრობ, ისინი მე არ ამირჩევია, პირიქით — მათ თავად ამირჩიეს.

*სიუზენისა და კრის სარანდონის ქორწინება 11 წელი გაგრძელდა. რა აკავშირებდათ ერთმანეთთან ჰოლივუდის მსახიობსა და კათოლიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სიუზენ ებიგაილ ტომალინს? გრძნობების გარდა, მათ პოლიტიკაზეც მსგავსი შეხედულებები ჰქონდათ. მიტინგებზე ერთად დადიოდნენ და ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტს გამოთქვამდნენ. სიუზენის მორწმუნე მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, წყვილმა ეკლესიაში ჯვარიც კი დაიწერა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ როდესაც ცოლ-ქმარი მეგობრებთან სტუმრად მიდიოდა, სიუზენი ხედავდა, რომ პატარა ბავშვების დანახვაზე, კრისს ირგვლივ ყველაფერი ავიწყდებოდა, მათთან თავდავიწყებით თამაშობდა, ბავშვებთან ერთად დარბოდა... სიუზენს გული ეწურებოდა, თავს იდანაშაულებდა, რომ ქმარს მამობის სიხარული წაართვა. როდესაც სიუზენის ყურამდე მიაღწია ჭორმა, თითქოს კრისმა მეგობარი გოგონა გაიჩინა, რომელიც მისგან ბავშვს ელოდა, მათი ურთიერთობა დასრულდა...*

*კრისი წავიდა და ცოლს მხოლოდ გვარი დაუტოვა, რომელიც სიუზენმა საყოველთაოდ ცნობილი გახადა. მსახიობი შეუჩერებლივ მუშაობდა, მას უამრავი შეთავაზება ჰქონდა. მსახიობს საკუთარ*



მეუღლესთან და შვილებთან ერთად ფილმის პრემიერაზე. ნიუ-იორკი, 2005 წ.

ჯანმთელობაზე ზრუნვის მატერიალური შესაძლებლობა მიეცა. ქალიშვილი ევა სიუზენმა იმ დროს გააჩინა, როდესაც 40 წელს მიუკაკუნა. გოგონას მამა, იტალიელი რეჟისორი და მწერალი, ფრანკო ამურია. სიუზენი და ფრანკო ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული ადამიანები იყვნენ. ამიტომ მათი ქორწინება არ შედგა.

მალე ბედისწერამ ვარსკვლავი ეპიზოდური როლების შემსრულებელ მსახიობს, მასზე 12 წლით უმცროს ტიმ რობინსს შეახვედრა. მათი შეხვედრის შემდეგ 18 ბედნიერი წელი გავიდა. ცოლ-ქმარს მხოლოდ სამოქალაქო ქორწინება აკავშირებს, რადგან სიუზენის პირველი, ეკლესიური ქორწინება კვლავაც ძალაშია. მათ ორი შვილი ჰყავთ: 16 წლის ჯეკი და 14 წლის მაილზი. სიუზენ სარანდონმა სანუკვარი „ოსკარი“ მხოლოდ მეხუთე მცდელობის შემდგომ მოიპოვა, როდესაც ქმრის — უკვე ცნობილი რეჟისორის სურათში „მკვდარი მოდის“ ითამაშა.

**— თქვენი კოლეგებიდან ძალზე ცოტა ვინმე თუ დაიკვეხნის, რომ მყარი ოჯახი შექმნა. გაგვიმხილეთ თქვენი ოჯახური ბედნიერების საიდუმლო...**

— ამის შესახებ საუბარი არ მსურს, რადგან მეშინია, თვალი არ მეცეს. თანაც მიძნელდება, ჩვენი ცხოვრება განვაზოგადო. უბრალოდ, დადგა მომენტი, როდესაც მივხვდი, რომ სხვა მამაკაცი არ მჭირდებოდა. ოჯახში მთავარი — ურთიერთნდობაა! როდესაც აღარ ნერვიულობ, რომ ქმარი შენ გვერდით არ არის; როდესაც ხედავ, რომ შენი ქმარი ვინმეს ეხვევა, მაგრამ არ ეჭვიანობ; როდესაც იმაზე არ ფიქრობ, რომ შესაძლოა, ქმარმა გიღალატოს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი ურთიერთობის დანგრევა შეუძლებელია!

**— შვილებსაც ასევე ენდობით?**

— არა! ეს სულ სხვა საქმეა. შვილებთან დაკავშირებით, ზუსტად უნდა ვიცოდე, თუ სად და ვის გარემოცვაში ატარებენ თავისუფალ დროს. ისინი ჯერ მეტისმეტად პატარები არიან იმისათვის, რომ ცდუნებას გაუძლონ.

*ევა დედის კვალს გაჰყვა. კინოში რამდენიმე როლი ითამაშა, მაგრამ იმედებს მხოლოდ კინემატოგრაფზე არ ამყარებს, რადგან 4 უცხო ენას ფლობს და პარალელურად, თარჯიმნის სპეციალობას ეუფლება. ჯეკი (ეს სახელი სიუზენმა შვილს მისი მეგობრისა და ფილმში „ისტვიკელი კუდიანები“ პარტნიორის — ჯეკ ნიკოლსონის პატივსაცემად დაარქვა და ეს ამბავი ტიმისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს) და მაილზი სკოლაში სწავლობენ. როდესაც სიუზენმა და ტიმმა ერაყის ომის წინააღმდეგ საქვეყნოდ გაილაშქრეს და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის პოლიტიკა საჯაროდ გააკრიტიკეს, მათ ოჯახს საზოგადოებრივი გაკიცხვის ტალღამ გადაუარა. სხვადასხვა სატელევიზიო ტოქშოუს სტუმრები სარანდონსა და მის ოჯახს უშვერი სიტყვებით ამკობდნენ. ერთმა ყვითელმა გაზეთმა კი დაწერა, რომ ჯეკს სასკოლო სპექტაკლში უნიჭობის გამო არ მისცეს როლი. სიუზენმა შვილის დასაცავად ყველაფერი იღონა. მისმა ადვოკატებმა გაზეთის რედაქციას ბოდიშის მოხდა აიძულეს. მსახიობმა და მისმა კოლეგებმა ისიც კი შეძლეს, რომ ერთი, განსაკუთრებით აღვირახსნილი ტელეშოუ ეთერიდან მოხსნეს: სიუზენმა სპონსორები დაარწმუნა იმაში, რომ ამ გადაცემაში რეკლამა არ უნდა განეთავსებინათ.*


ქალიშვილთან, ევა სარანდონთან ერთად ფილმში — „დები ბერგერები“

**— საზოგადოებრივ აქტიურობას ესოდენ დიდ მნიშვნელობას რატომ ანიჭებთ?**

— ბევრი ფიქრობს, რომ ეს ჩემი ჰობია, სინამდვილეში კი მე ასე ვცხოვრობ, ეს უბრალოდ ჩემი სამყაროა. როდესაც მანჰეტენის ქუჩებში დავდივარ და ვხედავ, რომ ვიღაც მუყაოს ყუთში დასაძინებლად ემზადება, მისთვის გულგრილად გვერდით ჩავლა არ შემიძლია. თავს ვალდებულად მივიჩნევ, რომ ამ ადამიანს დავეხმარო. ყოველთვის ასეთი ვიყავი, მაგრამ ახლა ჩემი პროფესიაც დიდ როლს თამაშობს. როგორ შეიძლება, ეკრანზე ავადმყოფი ბავშვის დედა განასახიერო და ნამდვილი თანაგრძნობის განცდა არ შეგეძლოს? ჩემი პროფესიის წყალობით, უამრავ ადამიანს ვხვდები და შეუძლებელია, მათი ბედი არ მაღელვებდეს. როდესაც ამ ადამიანებს ჩემი თანადგომა სჭირდებათ, არჩევანის უფლება არ მაქვს — ვალდებული ვარ, მათ დავეხმარო!



მსახიობ ჯულიანა მურთან ერთად, ქალთა უფლებების დასაცავად გამართულ აღლუმზე. ვაშინგტონი, 2004 წ.

**— რა შეიცვალა ჰოლივუდში მას შემდეგ, რაც კინოში მოხვედით?**

— დღეს კინოში ბანკირები მბრძანებლობენ, რომლებსაც მათთვის კომერციულად მიმზიდველი მსახიობების სია აქვთ შედგენილი. მათ გავლენას მხოლოდ ერთეულებმა დააღწიეს თავი — ისეთებმა როგორებიც არიან: რობერტ რედფორდი, ჯორჯ კლუნი და სტივენ სპილბერგი. ისინი პრინციპებს არ ღალატობენ და დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ.

**— დღეს უპირატესობას ჰოლივუდის მსხვილ პროექტებს ანიჭებთ თუ მოკრძალებულ, დამოუკიდებელ ფილმებს ამჯობინებთ?**

— ჰოლივუდის მსხვილ პროექტებში ჩემთვის ადგილი თითქმის აღარ დარჩა. დღეს ეკრანზე „მაგარი ბიჭები“ ბატონობენ, რომლებიც ირგვლივ ყველასა და ყველაფერს ანადგურებენ. გეგონებათ, რომ გარშემო მხოლოდ მტრები ახვევიათ, სისხლისმღვრელი ომი ბობოქრობს და ჩვენს ცხოვრებაში სხვა პრობლემა აღარ არსებობს. ამიტომ, როდესაც „სიყვარული და სიგარეტის“ მსგავს მელოდრამაში როლს მთავაზობენ, შანსს ხელიდან არ ვუშვებ. რეჟისორმა და მსახიობმა ჯორჯ ტურტუროშ ამ ფილმის იდეა დიდხანს ატარა; სურათის გადასაღებად საჭირო თანხას წლების მანძილზე აგროვებდა. ფილმში შესანიშნავი მსახიობები — ჯეიმს განდოლფინი, კეიტ უინსლეტი, კრის უოკერი მიიწვია. ამასთან, სიყვარულის, ეჭვიანობის, ვნების და ღალატის შესახებ შექმნილ ტრაგიკომედიურ სურათში ჩვენ ყველანი ავმღერდით. მართალია, საშინლად ვმღერი, მაგრამ ეკრანზე ყველაფერი შესანიშნავად გამოიყურება. ასეთია მისი მაგია!

■

## შოუბიზნესში მომუშავე უმდიდრესი ქალბატონები

ჟურნალმა — Forbes შოუბიზნესში მომუშავე ქალბატონებს შორის ყველაზე მდიდარ ადამიანთა ოცეული დაასახელა. სიის სათავეში ცნობილი ამერიკელი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი დასახელდა, რომლის პირადი ქონება 1,5 მლრდ დოლარადაა შეფასებული. მეოცე ადგილი 45 მლნ დოლარით, ცნობილმა კინოვარსკვლავმა რენე ზელვეგერმა დაიკა-



ვა. რეიტინგის ავტორებმა სიაში განზრახ არ შეიყვანეს ის ქალბატონები, რომელთა ქონება გასულ საუკუნეში შეიქმნა. მაგალითად: ელიზაბეტ ტეილორი, ბარბრა სტრეიზანდი და სხვა. ასე რომ, მედიავარსკვლავთა ჰიტაღლუმში მხოლოდ აქტიურად მომუშავე ვარსკვლავებმა მიიღეს მონაწილეობა.

ერთადერთი მწერალი ქალი, რომელიც Forbes-ის რეიტინგში შევიდა, „ჰარი პოტერის“ ავტორი, ინგლისელი ჯოან როულინგი აღმოჩნდა, რომლის ქონება 1 მლრდ დოლარს უახლოვდება. მესამე ადგილი ტელეწამყვანმა და მედიაკომპანია Living Omnimedia-ს მფლობელმა მარტა სტიუარტმა დაიკავა (638 მლნ დოლარი). მე-4-დან მე-7 ადგილამდე მომღერლებს: მადონას, სელინ დიონს, მერაია ქერისა და ჯენეტ ჯექსონს ერგოთ. ყველაზე მდიდარმა მსახიობმა, ჯულია რობერტსმა, მერვე ადგილი დაისაკუთრა. მისმა კოლეგებმა — ჯენიფერ ენისტონმა, სანდრა ბალოკმა, კამერონ დიასმა და ნიკოლ კიდმანმა შესაბამისად, მე-10, მე-14, მე-15 და მე-18 ადგილები დაიკავეს. ჟურნალ Forbes-ის რეიტინგის პირველი ათეული კი ასე გამოიყურება:

1) ოპრა იუნფრი;
2) ჯოან როულინგი;
3) მარტა სტიუარტი;
4) მადონა;
6) სელინ დიონი;
6) მერაია ქერი;
7) ჯენეტ ჯექსონი;
8) ჯულია რობერტსი;
9) ჯენიფერ ლოპესი;
10) ჯენიფერ ენისტონი. ■

## თინა კანდელაკი საკუთარი ქორწინების გადასარჩენად იღვწის



თინა კანდელაკმა ნიცაში მომხდარ ავტოკატასტროფასთან დაკავშირებული ყველა უსიამოვნო მოგონება გასულ წელიწადში დატოვა და საახალწლო არდადეგები მეუღლესთან და შვილებთან ერთად გაატარა. იანვრის პირველ რიცხვებში ოჯახმა არაბთა გაერთიანებულ საამიროებს მიაშურა. თინას მოსკოვში ერთი თავისუფალი წუთიც კი არ აქვს, ამიტომ დასვენების 2 კვირა მან მხოლოდ და მხოლოდ ოჯახს მიუძღვნა. ამ გადაწყვეტილებას შესაძლოა, კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი მიზეზიც ჰქონდა: მას ნიცაში მოგზაურობის გამო, ქმრის, ანდრეი კონდრახინის წინაშე დანაშაულის გამოსყიდვა და მობოდიშება სურდა!

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ როგორი სკანდალი დატრიალდა ახალგაზრდა ოჯახში ავტოკატასტროფის შემდგომ. მაგრამ როგორც ჩანს, ახალმა წელმა ცოლ-ქმარი შეარიგა და მათ ერთად დასვენება გადაწყვიტეს. მრავალ კურორტს შორის, თინამ და ანდრეიმ დუბაი შეარჩიეს. ოჯახი სასტუმრო Hilton Jumeirah-ში დაბინავდა, რადგან სხვა სასტუმროებთან შედარებით, Hilton-ში რუსი ტურისტები იშვიათად ჩერდებიან. ტელევარსკვლავს ხალხის ყურადღების მიქცევა არ სურდა და ეს მოახერხა კიდეც. გოგონაში, რომელიც დუბაის პლაჟზე გრძელსახელოიანი ჯინსის ქურთუკში გამოწყობილი ირუჯებოდა, ცნობილ ტელეწამყვანს ვერავინ შეიცნობდა. თინა მზის აბაზანებისადმი სრულ გულგრილობას ამჟღავნებდა და როგორც უკვე მოგახსენეთ, პლაჟზეც კი გრძელსახელოიანი ქურთუკით გადიოდა, რომლის ქვეშ თეთრი დოლბანდით გადახვეული დამწვარი ხელები მაინც მოჩანდა.

„ეს დოლბანდი კი არა, ზაფხულის თეთრი ხელთათმანებია, რაც გნებავთ, ის იფიქრეთ და ილაპარაკეთ, მაგრამ ჩემეული ვერსია კვლავაც ძალაში რჩება: მე წავიქეცი და ხელები დავიზიანე!“ — არწმუნებს ჟურნალისტებს თინა კანდელაკი. ■

## საიენტოლოგთა მომავალი ღვთაება



როგორც ცნობილია, კინოვარსკვლავი ტომ კრუზი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, საიენტოლოგიური რელიგიის თავგადაკლული მიმდევარია. ამ რელიგიის ლიდერთა აზრით, ტომ კრუზს შეძლება საიენტოლოგთა „ქრისტე“ ვუწოდოთ. მათ მსახიობს აუწყეს, რომ ის „რჩეულია“ და მისი ვალია, საიენტოლოგია მთელ მსოფლიოში იქადაგოს. საიენტოლოგიური ეკლესიის მეთაური და ტომ კრუზის უახლოესი მეგობარი — დევიდ მისკევიჯი ფიქრობს, რომ მოვა დრო, როდესაც ტომ კრუზს ისევე გაალმერთებენ, როგორც დღეს ქრისტეს ვეთაყვანებით. „იესოს მსგავსად, ტომსაც მისი აზრებისა და შეხედულებების გამო აკრიტიკებენ, მაგრამ მომავალი თაობები მის სიმართლეს აღიარებენ. საიენტოლოგთათვის იგი ქრისტეს ბადალი ფიგურაა“, — ამბობს დევიდ მისკევიჯი. ■

## კირა ნაიტლი საკუთარ სიგამხდრეს სასამართლოს გზით დაიცავს

ბრიტანელმა კინოვარსკვლავმა კირა ნაიტლიმ გაზეთს — The Daily Mail სასამართლოში უჩივლა, რადგან გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში, „კარიბის ზღვის მეკობრეების“ ვარსკვლავის ფოტო, ანორექსიით დაღუპული 19 წლის გოგონას ფოტოსურათთან ერთადაა დაბეჭდილი. სტატიაში ნათქვამია, რომ პოპულარული კინოვარსკვლავთა მეტისმეტი სიგამხდრე ახალგაზრდა გოგონებზე მავნე ზემოქმედებას ახდენს, რადგან ისინიც ცდილობენ, ვარსკვლავთა მსგავსად, მოხდენილი ფიგურით მოიწონონ თავი. კირა ნაიტლის იურისტები აცხადებენ, რომ მათ კლიენტს ანორექსია ან კვების დარღვევასთან დაკავშირებული სხვა დაავადებები არ აღენიშნება. მსახიობს სურს, სასამართლოს გზით სტატიაში გამოთქმული აზრის უარყოფას მიაღწიოს, რომლის თანახმად, 19 წლის სოფი მაზურეკის სიკვდილს, კირა ნაიტლის სახელსაც უკავშირებენ, რადგან მან გოგონას ცუდი მაგალითი უჩვენა.

The Daily Mail-ის 2007 წლის იანვარის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში ანორექსიით დაღუპული გოგონას დედის როზალინდ პონომარენკო-ჯონსის სიტყვებია მოყვანილი, რომელმაც ჟურნალისტს მოუთხრო, თუ რა მავნე ზეგავლენას ახდენენ მოზარდებზე ცნობილი ადამიანები, მათ შორის კირა ნაიტლიც. მსახიობის წარმომადგენელმა სასამართლოზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ კირა ნაიტლი „გულწრფელად თანაუგრძნობს დაღუპული გოგონას ოჯახს“. ■

მოამზადა ნატო მანჯავიძე

# მოცეკვავეც, ექსტრემალიც, სამოქალაქო მშვიდობის დამმყარებელიც...

## ანუ უბრალოდ, „არისტოკრატთა სუპერფორვარდი"

ალექსი რეხვიაშვილი

ლონდონის „ჩელსიმ" ვერაფრით შეძლო პრემიერლიგის ლიდერ, „მანჩესტერ იუნაიტედის" დაწევა. ამჟამად „არისტოკრატები" „მანჩესტერს" 6 ქულით ჩამორჩებიან, თუმცა, რა თქმა უნდა, ინგლისის ჩემპიონის ტიტულის ზედიზედ მესამედ მოსაპოვებლად ძალისხმევას არ დაიშურებენ. გარდა ამისა, „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგაშიც შეეცდება წარმატების მიღწევას. გუნდის ყველაზე ეფექტურ იარაღად კი, კვლავ თავდამსხმელი, დიდიე დროგბა რჩება.

არსებობს სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც, თავდამსხმელმა საკუთარი პოტენციალი უკვე 20 წლის ასაკში უნდა გამოავლინოს. მიუხედავად ამისა, დიდიე დროგბა 25 წლის ასაკამდე პრაქტიკულად ყველასათვის შეუმჩნეველი ფეხბურთელი იყო — ისეთი, როგორიც საფრანგეთში მრავლად თამაშობს. მერე უეცრად, მან საფეხბურთო კარიერაში თავბრუდამხვევი ნახტომი გააკეთა.

დღეს დროგბა აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოთამაშე, ინგლისის პრემიერლიგის ვარსკვლავი და რომან აბრამოვიჩის „საფეხბურთო კოლექციის" დიდი ბრილიანტია. საფრანგეთში დღემდე ნანობენ, რომ ხუთი რესპუბლიკის პასპორტის მქონე დიდიე, კოტ-დ'ივუარის ნაკრებში თამაშობს. სულ რაღაც ოთხიოდე წლის წინ ხომ ამ სახელის მქონე, გამხდარ შავკანიან ფეხბურთელს მხოლოდ ფრანგული ფეხბურთის ექსპერტები იცნობდნენ.

ლონდონის „ჩელსის" მომავალი ვარსკვლავი ქვეყანას 1978 წლის 11 მარტს სპილოს ძვლის სანაპიროს (ასე ერქვა მაშინ კოტ-დ'ივუარს) დედაქალაქ აბიჯანში მოევლინა. დიდიეს მშობლები ბანკში მუშაობდნენ, რაც კოტ-დ'ივუარში (და ალბათ, არა მარტო იქ) პრესტიჟულ საქმიანობად ითვლება. ტიტოს გარდა (ასე ეძახდნენ მოფერებით დიდიე დროგბას ახლობლები), ოჯახში კიდევ 5 ბავშვი იზრდებოდა. არავინ იცის, ამჟამად რა საქმით იქნებოდა დაკავებული დიდიე, რომ არა ბიძამისი, მიშელ გობა.

ის საფრანგეთში საცხოვრებლად ახალგაზრდობაში გადავიდა, სადაც პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა. გობა საშუალო დონის მოთამაშე იყო, თუმცა მას ყველა, ე. წ. მაღალი საზოგადოების წარმომადგენლად იცნობდა. ბიძია მიშელი ბევრს მოუთხრობდა პატარა ტიტოს ფეხბურთელის კარიერასა და მეტროპოლიაში ცხოვრების მიმზიდველობაზე. ამან თავისი შედეგი გამოიღო. 5 წლის ასაკში ბიძასთან ერთად დიდიე ბრეტანში გაემგზავრა, სადაც გობა „ბრესტის" ღირსებას იცავდა.

ამბობენ, რომ გობას მერკანტილური ინტერესები ამოძრავებდა: ბავშვის მეურვეობა მას სახელმწიფო გადასახადებს შეუმცირებდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ვარსკვლავი არასოდეს ყოფილა, თანაც ერთ ადგილზე დიდხანს არასოდეს ჩერდებოდა და კლუბიდან კლუბში გადადიოდა. ამგვარად, ტიტოსაც თან დაატარებდა. ბიჭუნას მოვალეობას კი, დილაობით ბიძის გამოღვიძება შეადგენდა, რათა ამ უკანასკნელს ვარჯიშზე არ დაეგვიანებოდა. საჩუქრად დიდიე სხვადასხვა გუნდის მაისურს იღებდა — გობას ძალიან უყვარდა მატჩების შემდეგ, მოწინააღმდეგე გუნდების ფეხბურთელებთან ფორმის გაცვლა. ბიძის გავლენით, დიდიემ საფეხბურთო სკოლაში დაიწყო სიარული, იგი მარჯვენა მცველის პოზიციაზე გაამწესეს. როდესაც თავისი ამპლუის შესახებ დროგბას მიშელისთვის უცნობებია, ბიძას უთქვამს: „რა მცველი, ბიჭო? ვინაა მცველი? — რაღაც მეორეხარისხოვანი მსახიობი. თუ ფული და დიდება გინდა, თავდამსხმელი უნდა იყო, თანაც — ცენტრალური თავდამსხმელი. გოლების გატანა ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე ამაში სხვებისთვის ხელის შეშლა". მიშელი მხოლოდ სიტყვიერი პროტესტით არ შემოფარგლულა: ის სკოლაში მივიდა და მის მესვეურებს თავისი მოთხოვნა წაუყენა. მას შემდეგ დროგბა ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშობს.

მაგრამ მალე დიდიეს საფეხბურთო მზადებაში სამწლიანი შესვენება დადგა. აბიჯანში მორიგი დაბრუნების შემდეგ, ის მშობლებმა საფრანგეთში აღარ გაუშვეს. რვიდან თერთმეტ წლამდე ტიტო ფეხბურთის თამაშს ავტოსადგომზე, თანატოლებთან ერთად ეუფლებოდა. გარდა ამისა, მას კიდევ ერთი გასართობიც ჰქონდა, თანაც საკმაოდ ექსტრემალური — ტბის გადაცურვა, რომელშიც ნიანგები ბინადრობდნენ. მალე მომავალ ფეხბურთელს კიდევ ერთი გასართობი გაუჩნდა — ცეკვა. დიდიე მშობლიური ქალაქის მტვრიან ქუჩებში დაულალავად ცეკვავდა და პირველად ფულიც ამ საქმიანობით გამოიმუშავა. ფეხბურთისადმი ინტერესი მას თანდათან უქრებოდა, მაგრამ მალე კოტ-დ'ივუარში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. ბანკი, რომელშიც მისი მშობლები მუშაობდნენ, გაუქმდა.

ოჯახი საფრანგეთში გადავიდა. ტიტოს მშობლებმა ფოსტალიონად და დამლაგებლად დაიწყეს მუშაობა. თავად დიდიემ ფეხბურთის თამაში გააგრძელა. ის თავს არ ზოგავდა და ყოველთვის აცხადებდა — მარკო ვან ბასტენის მსგავსი ფორვარდობა მსურსო. სერბი მწვრთნელი, სრეტენკო რეპჩიჩიც ყოველმხრივ ეხმარებოდა მონდომებულ, მაგრამ ცოტა არ იყოს სწორხაზოვან მოზარდს, რომელსაც პირდაპირ ვერეუბნებოდა, რომ მისგან ვან ბასტენი არ დადგებოდა. მწვრთნელმა დიდიეს ჯერ ადგილობრივ „ლევანიონში" გაუწია რეკომენდაცია.

„ძალიან მეწყინა, მიწაზე რომ დამანარცხეს. ამიხსნეს, რომ ჩემი ადგილი მხოლოდ დაბალი დივიზიონის კლუბებში იყო. იმ მომენტში ყველაფრის მიტოვება მსურდა", — იხსენებს ტიტო იმ დღეს, როდესაც „ლევანიონში" გასასინჯად მივიდა. მიუხედავად ამისა, 17 წლის ფორვარდმა ნებისყოფა გამოიჩინა, ფეხბურთი არ მიუტოვებია და ფოსტალიონობა არ დაუწყია, თუმცა ჟურნალ-გაზეთების დატარებაში მამას ხშირად ეხმარებოდა. „ლევანიონის" მწვრთნელი, ჟან ლონკარიც, რომელიც სრეტენკო რეპჩიჩის მეგობარი იყო, ჯიუტად განაგრძობდა ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის შესაფერისი კლუბის ძებნას. მოგვიანებით, დროგბა „გენგამშიც" დაიწუნეს, სამაგიეროდ, „ლე მანში" მიიღეს.

რა თქმა უნდა, იმხანად „ლე მანი" ფრანგული გრანდების რიგს არ მიეკუთვნებოდა — D-2-ში ასპარეზობდა, თუმცა იმავე სამოყვარულო „ლევანიონთან" შედარებით, საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა. მაგრამ დროგბას საქმე ამ გუნდშიც ვერ აეწყო. „ბევრჯერ მიფიქრია ყველაფრის მიტოვება, მაგრამ ვერაფრით ვურიგდებოდი იმ აზრს, რომ „ხელმოცარული ფეხბურთელი" უნდა ვყოფილიყავი. ჩემს დროს ველოდი და ბედნიერი ბილეთი მაინც შემხვდა", — იხსენებს „ჩელსის" ბომბარდირი, რომლის შეძენაც „გენგამმა" მოისურვა. კლუბის ხელმძღვანელობამ „ლე მანის" მესვეურებს შავკანიანი თავდამსხმელის სანაცვლოდ 150 ათასი ევრო გადაუხადა.

დროგბამ უმალვე მოიპოვა ადგილი ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, მისი ადაპტაცია ერთობ რთულად მიმდინარეობდა: სადებიუტო სეზონში ფეხბურთელმა მხოლოდ 3 გოლის გატანა მოახერხა. „მთავარი მწვრთნელი, ლიაკომბი არავითარ ულტიმატუმს არ მიყენებდა. პირიქით, ის ყოველმხრივ მამხნევებდა, მეუბნებოდა, რომ ჩემს შედეგიან



თამაშს შემდგომი სეზონიდან ელოდა. მას დავუჯერე“, — ამბობს დიდიე, რომლისთვისაც შემდგომი სეზონი სათადარიგოთა სკამზე დაიწყო, რადგან „გენგამის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ლიაკომბი ბერტრან მარშანმა შეცვალა.

დროგბას კარიერაში ერთ-ერთ გარდამტეხ მომენტად 2002 წლის 2 აგვისტოს გამართული მატჩი იქცა, რომელშიც „გენგამი“ საფრანგეთის იმჟამინდელ ჩემპიონს, „ლიონს“ მასპინძლობდა. 70-ე წუთისთვის სტუმრები დამაჯერებლად იგებდნენ (3:1). მასპინძლებს პრაქტიკულად, შეხვედრის გადარჩენის შანსი არ გააჩნდათ. სწორედ მაშინ, მარშანმა თავის გამოჩენის შანსი კოტ-დ'ივუარელს მისცა. დიდიეს მოედანზე შესვლამ არსებითად შეცვალა „გენგამის“ თამაში. აფრიკელმა ჯერ თანაგუნდელს გაატანინა გოლი, ორთაბრძოლის ბოლო წუთზე კი, თავადაც გაიტანა. „მაპატიე, დიდიე, პირველი წუთებიდანვე რომ არ გათამაშე“, — უთქვამს მაშინ მწვრთნელს ფორვარდისათვის. მას შემდეგ, დროგბა „გენგამის“ ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა.

2002-2003 წლების სეზონში მან 17 გოლი გაიტანა და საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. გარდა ამისა, ის საფრანგეთის ნაკრებშიც მიიწვიეს, რაზეც დიდიემ უარით უპასუხა. ფორვარდმა, რომელსაც საფრანგეთის და-კოტ დ'ივუარის პასპორტები ჰქონდა, არჩევანი აფრიკული ქვეყნის სასარგებლოდ გააკეთა.

„გენგამში“ დროგბა და ფლორიან მალუდა ლიდერებად ითვლებოდნენ. ამიტომ, ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ისინი ამ გუნდში დიდხანს აღარ დარჩებოდნენ. მართლაც, მალუდა „ლიონში“ აღმოჩნდა, ხოლო დიდიე „მარსელმა“ იყიდა. ამგვარად კოტ-დ'ივუარელი ფორვარდი მოხვდა გუნდში, რომელსაც ბავშვობიდან ქომაგობდა. ამ ტრანსფერში „გენგამს“ 3 მილიონი ევრო ერგო.

„მარსელის“ მაისურით ჩატარებულ თავის პირველ და როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ბოლო სეზონში, დიდიემ შედეგიანი, შთამბეჭდავი თამაში უჩვენა და ჩემპიონატის ერთ-ერთ გმირად იქცა.

„მარსელი“ არასახარბიელოდ ასპარეზობდა ჩემპიონთა ლიგაში, გუნდმა ვერც საფრანგეთის ჩემპიონატში მიაღწია წარმატებას, სამაგიეროდ, უეფას თასის გათამაშებაში, ფინალამდე მივიდა. იმ სეზონში ტიტომ 26 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ მასზე ნამდვილი ნადირობა დაიწყო. ფეხბურთელის შეძენის სურვილს „მილანი,“ „რეალი“ და რა თქმა უნდა, „ჩელსი“ გამოთქვამდნენ. „მარსელის“ მესვეურებს აფრიკელ ფორვარდთან განშორება არ სურდათ, მაგრამ აბა, ვინ გაუძლებდა ცდუნებას — რომან აბრამოვიჩმა ხომ მის სანაცვლოდ, ფრანგებს 30 მილიონი ევრო შესთავაზა. თანაც ყველას ახსოვდა, რომ დიდიე სულ რაღაც 3 მილიონად იყო ნაყიდი.

ასე აღმოჩნდა დიდიე დროგბა ლონდონის „ჩელსიში“. პირველსავე სეზონში აფრიკელმა 15 გოლი გაიტანა. 50 წლის შემდეგ პირველად, „ჩელსი“ ინგლისის ჩემპიონი გახდა, ხოლო ტიტოს სახით „სტემფორდ ბრიჯზე“ ახალი კერპი გამოჩნდა.

ოპონენტები კოტ-დ'ივუარელს ხშირად, სიმულირებასა და არასპორტული ხერხებით თამაშში სდებენ ბრალს. „მსგავსს არაფერს ვაკეთებ, ყოველთვის სამართლიანად ვასპარეზობ. ის, ვინც სიმულაციასა და არასპორტულ საქციელში მადანაშაულებს, ვერც კი წარმოიდგენს, თუ რისი ატანა მიხდება თამაშისას“, — აცხადებს დროგბა, რომლისთვისაც ინგლისში გატარებული მეორე სეზონიც წარმატებული აღმოჩნდა. „ჩელსი“ კვლავ ჩემპიონი გახდა, ხოლო დროგბამ თავის 12 გოლს, 11 შედეგიანი გადაცემაც მიუმატა. ეს პრემიერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელი მაინც აცხადებდა, რომ საფრანგეთში დაბრუნება სურდა: „ჩელსიში“ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ყოველდღე ვიხსენებ მარსელში გატარებულ დღეებს. რა შესანიშნავი იყო იქ ყველაფერი! „მარსელში“ ძალიან ცოტა ხანი დავყავი, სულ ერთი წელიწადი. ამიტომაც იქაური ქომაგების მიმართ ვალში ვარ დარჩენილი. ოდესმე დავბრუნდები“.

საფრანგეთში დაბრუნების სურვილი დროგბას მიმდინარე სეზონის წინ კიდევ უფრო გაუძლიერდა, მას შემდეგ, რაც ლონდონურმა კლუბმა ანდრეი შევჩენკო შეიძინა: „ჩვენ ერთმანეთისაგან განსხვავებული თავდამსხმელები ვართ და არც კი ვიცი, ურთიერთშეთამაშებას როგორ მოვახერხებთ. ანდრეი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენი დუეტი მაინც ვერ წარმომიდგენია“. სეზონის დასაწყისში ტიტოს მიერ გამოთქმული მოსაზრება იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ორი წლის განმავლობაში ლონდონელები ერთი ფორვარდით თამაშობდნენ, რომელიც ყველაზე ხშირად, თავად იყო. უკრაინელი თავდამსხმელის შეძენის შემდეგ, ჟოზე მოურინიოს ორი ფორვარდით შეტევა სურდა, მაგრამ როგორც ცნობილია, შევამ ნისლიან ალბიონზე ჯერაც ვერ შეძლო საკუთარი პოტენციალის გამოვლენა. სავარაუდოდ, ის მიმდინარე სეზონის ბოლოს „ჩელსის“ დატოვებს. დროგბა კი ამჟამად, 14 გოლით, პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირია. „ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, — დასძენს იგი, — ჩვენ ჩემპიონთა ლიგისა და პრემიერ-ლიგის მოგებას შევძლებთ. შევჩენკოც ათამაშდება. აი ნახავთ.“

დიდიეს ცოლი და სამი შვილი ჰყავს — ორი ბიჭი და გოგო. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, იტალიურ პრესაში ფორვარდის სახელთან დაკავშირებით სკანდალი აგორდა. კერძოდ, გავრცელდა ინფორმაცია, კრისტიან ვიერის ყოფილმა გელფრენდმა, იტალიელმა ფოტომოდელმა, ელიზაბეტ კანალისმა დროგბა რეჟისორ გაბრიელ მუჩინის გამო მიატოვა. „არც ვიცი, ვინ არის ელიზაბეტ კანალისი და მით უმეტეს, მასთან არავითარი კავშირი არ მქონია. დიდი ხანია, რაც დაქორწინებული ვარ და ჩემი მეუღლე მიყვარს. ჩვენ სამი შესანიშნავი შვილი გვყავს — ისააკი, კევინი და ინესი. კიდევ რა სჭირდება ადამიანს ბედნიერებისათვის?“ — აცხადებს დროგბა.



როგორც ირკვევა, დიდიეს ცოლი, ლალა კარგად ერკვევა ფეხბურთში. ხუმრობა ხომ არ არის, მამამისი, მოჰამედ დიაკიტე მალის ფეხბურთის ისტორიაში უძლიერეს მოთამაშედ ითვლება. იგი მოედანზე გასული საუკუნის 70-იან წლებში ბრწყინავდა. ლალა კი ბავშვობიდან დადიოდა სტადიონზე და ფეხბურთელ ქმარზე ოცნებობდა. როდესაც გათხოვდა, ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი დიდიე „ლე მანში“ ასპარეზობდა. „ლალა ჩემი ყველაზე სანდო მეგობარია. როდესაც საქმე კარგად არ მიმდიოდა და პროფესიის შეცვლასაც კი ვაპირებდი, დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმაში მან შემიშალა ხელი. ამჟამად ის ყოველთვის მხარში მიდგას, „ჩელსისა“ და კოტ-დ'ივუარის ნაკრების მატჩებზე დადის. როდესაც ლალა ტრიბუნაზეა, თამაში ყოველთვის მიადვილდება“, — აცხადებს დიდიე, რომლის მეუღლეც არა მარტო ფეხბურთის ერთგული ქომაგი, არამედ კარგი მხატვარიცაა. მისი ნახატები მალიში, სენეგალში, კოტ-დ'ივუარში გამოუფენიათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დროგბას საფრანგეთის პასპორტიც აქვს, მაგრამ ის არასოდეს ივიწყებს თავის სამშობლოს. კოტ-დ'ივუარის ნაკრების ბოლოდროინდელ წარმატებას სწორედ დიდიე დროგბას უკავშირებენ. უფრო მეტიც, სპილოს ძვლის სანაპიროზე მიმდინარე გაუთავებელი სამოქალაქო დაპირისპირება 2006 წლის მუნდიალის დაწყებისას შეჩერდა. ეროვნული გუნდის მოთამაშეებმა ტურნირის დაწყებამდე თავიანთი ქვეყნის მოქალაქეებს ულტიმატუმი წაუყენეს: თუ ისინი ომს არ შეწყვეტდნენ, ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატს ბოიკოტს გამოუცხადებდა. „ჩვენს ნაკრებში სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების წარმომადგენლები თამაშობენ, — განაცხადეს მაშინ წამყვანმა ფეხბურთელებმა: დიდიე დროგბამ, ბონავანტურ კალუმ, ჟან ჟაკ ტიზიემ, დიდიე ზოკორამ, — ჩვენ ვმეგობრობთ და ერთმანეთს არ ვესვრით, ერთი მიზნით ვართ გაერთიანებულნი. ჩვენი საზოგადოების მოდელს წარმოვადგენთ. რა უშლის კოტ-დ'ივუარის მოსახლეობას ხელს იმაში, რომ ყველა წყენა და უთანხმოება დაივიწყოს? არაფერი. ასე რომ, მაგალითი ჩვენგან აიღონ“. მას შემდეგ, ქვეყანაში აქტიური საომარი მოქმედებები შეწყდა.

# ლიტერატურა, რომელიც ბელადს უყვარდა...

*იგი მეამბოხე იყო, ესე იგი, დესპოტი.*

*ბორის პასტერნაკი*

**ამ ათიოდე წლის წინ, ისტორიკოსებმა გორის მიძინების ტაძრის ჩანაწერების წიგნში აღმოაჩინეს ცნობა, რომელიც მოწმობს, რომ იოსებ ჯუღაშვილი დაიბადა 1878 წლის 6 დეკემბერს და მონათლეს მართლმადიდებლური წესით. რა მიზეზებმა აიძულა სტალინი, რომ დაბადების თარიღი 1879 წლის 21 დეკემბრით შეცვალა, დღემდე არ არის დადგენილი. სხვათა შორის, ეს ერთადერთი შავი ლაქა როდია მის ბიოგრაფიაში. როგორც ყველა საკულტო ფიგურის, სტალინის ირგვლივაც მრავალი მითი იქმნებოდა.**



რუსი „დემოკრატები“ მას უსწავლელ სემინარისტად მიიჩნევენ, რომელსაც ფსიქოლოგიური გადახრები ჰქონდა, ანტისემიტად და (ტროცკის კვალდაკვალ) „ყველაზე გამოჩენილ უფერულ ადამიანად“ ნათლავენ. რუსი „პატრიოტები“ ბელადს ისეთ პატივს მიაგებენ, როგორსაც მშობელ მამას და ისეთი დიდი ადამიანების გვერდით აყენებენ, როგორებიც იყვნენ წმინდა აბაკუმი, წმინდა სერაფიმ საროველი, კარამზინი, პუშკინი და, ცოტა სასაცილოც კია, მაგრამ — დოსტოევსკისაც კი უთანაბრებენ...

„დემოკრატიული“ მითი ბიწიერია და უზნეო, ვინაიდან ისტორიას ამახინჯებს და თითქოს იმის დამამტკიცებლადაა გავრცელებული — სტალინი ჭკვიანი და განათლებული რომ ყოფილიყო, გულაგი არ იარსებებდაო. არანაკლებ და ამჟამად შესაძლოა, უფრო საშიშიც კია „პატრიოტული“ მითი, ვინაიდან რუსეთში ამ უხეში და სასტიკი პოლიტიკოსის აჩრდილს უხმობენ.

სტალინის ცხოვრების გაცნობისას, ნათელი ხდება, რომ მხატვრული შემოქმედების საკითხებში ის გაცილებით უკეთ ერკვეოდა, ვიდრე საბჭოთა ეპოქის ნებისმიერი სხვა მმართველი. ამ შემთხვევაში, მას სულაც არ სჭირდებოდა რეფერენტების კარნახი. სულ სხვა საქმეა, თუ რა დასკვნები გამოჰქონდა ხოლმე.



სოსო წიგნიერ ბავშვად იზრდებოდა. პირველი წიგნი 6 წლისამ წაიკითხა და, რაც არ უნდა საოცარი იყოს, ეს წიგნი „ბიბლია“ გახლდათ. გორის სასწავლებელში თითქმის ყველა გაკვეთილი ქართულ ენაზე ტარდებოდა, მაგრამ შემდეგ, თბილისიდან მიიღეს განკარგულება, დაუყოვნებლივ რუსულზე გადასულიყვნენ, ამის გამო, იოსებმა ისე კარგად შეისწავლა რუსული, როგორც მშობლიური ენა იცოდა.

ამასთანავე, სასწავლებელში ლიბერალური სული სუფევდა და პატარა სოსო, კალანდაძის კერძო ბიბლიოთეკის მუდმივი და ერთგული მკითხველი გახდა. ის მგრძნობიარე, სენტიმენტალური ბავშვი გახლდათ, ფაქიზად აღიქვამდა პოეტურ სიტყვას. სწორედ იმ პერიოდში შეიყვარა მან ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები. აკაკის ლექსზე შექმნილი „სულიკო“ მისი საყვარელი სიმღერა გახდა: „საყვარლის საფლავს ვეძებდი...“ — თითქოს წინასწარ ხედავდა თავისი მომავალი ცოლების მომავალ საფლავებს...

ცნობილია, რომ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მასზე ქართველი გლეხების ჩაგვრის ამსახველ მოთხრობებს მოუხდენია — ეგნატე ნინოშვილის „გოგია უიშვილს“ და ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელს“. მისი იდეალი კი, შამილთან მომსახურე რომანტიკული ყაჩაღი, კობა გახდა. რობერტ ტეკერის აზრით, რომანმა „სოსოს არა მხოლოდ შურისმაძიებლის როლში გამოყვანილი იდეალიზებული გმირის ხატება დაანახვა, არამედ იმაშიც დაარწმუნა, რომ აღსრულებული აქტი — შურისძიების ტრიუმფი — ღირსეული საქმეა, რომელსაც შეიძლება მთელი ცხოვრება მიუძღვნა“, ასეა თუ ისე, ლიტერატურამ მას მრავალი რამ ასწავლა...

თბილისის სასულიერო სემინარია გორის სასწავლებლისგან ისე განსხვავდებოდა, როგორც ყაზარმა — ბოისკაუტების ბანაკისგან. იქ სასტიკად იყო აკრძალული ქართული ლიტერატურა და ქართული გაზეთები, ხოლო სპექტაკლზე დასწრებას მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევდნენ. ცხოვრების მკაცრი რეგლამენტირება, თვალთვალისა და დასმენის რეჟიმი, სწავლების დოგმატური სისტემა იოსებ ჯუღაშვილს მაშინ მაინცდამაინც არ მოსწონდა.

სოსო უკვე აღარ ისწრაფოდა პირველი მოწაფეობისაკენ, ის მხოლოდ სამოქალაქო ისტორიასა და ლოგიკაში იყო წარჩინებული... კითხვა სემინარისტებს მხოლოდ მალულად, ზედამხედველებისგან დაფარულად შეეძლოთ, რაც ამ საქმეს განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებდა. აი, ინსპექტორის 1896 წლის ჩანაწერი ყოფაქცევის ჟურნალში: „აღმოჩნდა, რომ ჯუღაშვილს „იაფი ბიბლიოთეკის“ სააბონენტო ფურცელი აქვს... დღეს მე მას ვიქტორ ჰიუგოს თხზულება „ზღვით დამაშვრალნი“ ჩამოვართვი... ადრე ამავე ავტორის წიგნის — „93 წელი“ — კითხვისთვის გავაფრთხილე, რომ ხანგრძლივი დროით ჩავსვამდი კარცერში“. აკრძალული წიგნების კითხვისთვის სოსო კარცერში არაერთხელ ჩაუსვამთ. ასე შეიცნობოდა ლიტერატურის მაღალი ფასი და შესაძლოა, ასე უკავშირდებოდა მის ცნობიერებაში ერთმანეთს მხატვრული ნაწარმოები და მისთვის მიღებული სასჯელი.

სემინარიაში ყოფნის პირველსავე წლიდან სოსო ლიტერატურულ წრეში შევიდა. ამ წრის წევრები მსოფლიო, რუსული, ქართული ლიტერატურის ნიმუშებს აანალიზებდნენ, თვალს ადევნებდნენ გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე მიმდინარე დისკუსიას. ისინი ცხარედ განიხილავდნენ ენათმეცნიერ ნიკო მარის იდეებს, ქართული ენის წარმოშობის შესახებ. ასე რომ, სიცოცხლის ბოლო წლებში სტალინს დაუფიქრებლად როდი მოუკიდია ხელი ენათმეცნიერებისათვის — მაშინ დაემთხვა ერთმანეთს ცხოვრების რთული ხალიჩის ფერები...

1885 წლის 14 ივნისს გაზეთი „ივერია“, რომელსაც ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა, პირველ გვერდზე აქვეყნებს ლექსს „დილა“, „ი. ჯ-შვილის“ ხელმოწერით. წლის ბოლომდე ამ გაზეთში ყმაწვილი პოეტის კიდევ 4 ლექსი გამოქვეყნდა — „სოსელოსა“ და „ი. ჯ-შვილის“ ხელმოწერებით.

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა“...

ის რომ დიდი პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული, მისი ლექსების მერმინდელი ბედითაც დასტურდება. მაგალითად, „დილა“ 1912 წელს თავის „დედა ენაში“ შეიტანა იაკობ გოგებაშვილმა. პოეტი-რომანტიკოსის, დრამატურგისა და მთარგმნელის — რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსი პოეტის საიუბილეო კრებულში შეიტანეს 1899 წელს — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა გამოჩენილი პოეტების ლექსებთან ერთად. მელიტონ კელენჯერიძე 1898 წელს გამოცემულ თავის წიგნში — „სიტყვიერების თეორია სამაგალითო ლიტერატურული ნიმუშების განხილვით“ — შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებთან ერთად განიხილავს სოსოს ორ ლექსსაც!

სემინარიისათვის დადგენილი 6 წლის ნაცვლად, სოსომ იქ 5 წელი ისწავლა და მეხუთე კლასიდან მეექვსეში რომ გადადიოდა, „გამოცდებზე გამოუცხადებლობისათვის“ გარიცხეს... თავისუფლების შეზღუდვისადმი დიდი ზიზღის გარდა, იოსებ ჯუღაშვილს სემინარიიდან საფუძვლიანი ნაკითხობა და მარქსისტული იდეების ცოდნაც გამოჰყვა. მან რუსული კულტურა ისე მიიღო, როგორც მშობლიური. მისი საყვარელი მწერლები იყვნენ გოგოლი და ჩეხოვი, განსაკუთრებით — ჩეხოვი.

მეფის რუსეთის ციხეები და გადასახლებები, საბჭოურ კატორღასთან შედარებით, პირდაპირ ფუფუნება იყო და რევოლუციონერები ჩვეულებრივ, რალაც განსაკუთრებული სიხარულითა და სიამაყით იხსენიებდნენ თავიანთ „ციხის უნივერსიტეტებს“. როცა გადასახლებულები თავიანთ ლექსებს კითხულობდნენ, კობა კრიტიკოსის როლში გამოდიოდა და უხსნიდა მათ: „როცა ლიტერატორი მხოლოდ თავისი ინტუიციის, მხატვრული ინტუიციის იმედადაა, როცა საკუთარ თავზე არ მუშაობს, რაც არ უნდა ყღერადი და ლამაზი იყოს მისი პროდუქცია, იგი ხალხის ცნობიერებაში მაინც არაფერს დატოვებს, დავიწყებას მიეცემა, ხოლო თვითონ ავტორს თავიდან მოიშორებენ“. იოსები ამხანაგებს უამბობდა იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდნენ თავიანთ ნაწარმოებებზე პუშკინი და ტოლსტოი. 20-იან წლებში სტალინი ბრედ ჰარტმა გაიტაცა და მისი თხზულებების კითხვას ურჩევდა.

სტალინი ამაყობდა კითხვის საკუთარი ნორმით — ის დღეში 500 გვერდს კითხულობდა.

აი, ერთი ღირსშესანიშნავი სცენა: ახალი, 1923 წლის პირველი დღეა... ლიტერატურული სალონი კრემლში, კამენევების ოჯახში. სტუმართა შორის არიან: სტალინი, კუიბიშევი, ძერჟინსკი, სოკოლნიკოვი, აგრეთვე ლიტერატორები — დემიან ბედნი, ვორონსკი და კოგანი. ვერესაევი თავისი რომანის — „ჩიხში“ — თავებს კითხულობს; შესვენებებისას უკრავს სახელგანთქმული ტრიო — შორი (ფორტეპიანო), ერლიხი (ვიოლონჩელი) და კრეინი (ვიოლინო). წიგნს ეპიგრაფად აქვს დანტეს სიტყვები — „ამ საზიზღარ ბრბოში ანგელოზებიც ურევია“...

კითხვის შემდეგ, როგორც ვერესაევი იგონებს, „გააფთრებით დაესხნენ“ თავს. კამენევი ჩიოდა, რომ „ბელეტრისტები არ ასახავენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე მომხდარ გმირობებს და ამას ამჯობინებენ, თითქოსდა „ჩეკას“ მიერ ჩადენილი მხეცობების გადმოცემას“. ასევე იყვნენ განწყობილნი პროფესორი კოგანი და დემიან ბედნი. სტალინი კი, ნაწარმოებისადმი კეთილად განეწყო და თქვა, რომ „ამგვარი რომანის გამოცემა სახელმწიფო გამომცემლობისათვის, რა თქმა უნდა, უხერხულია, მაგრამ ზოგადად თუ ვიტყვით, იგი უნდა გამოიცეს“. სტალინს ძერჟინსკიმ დაუჭირა მხარი: „რაც შეეხება საყვედურს იმის შესახებ, რომ იგი თითქოს ცილს სწამებს „ჩეკას“, — მაშინ, ამხანაგებო, გულახდილად ვთქვათ — ამისთანა რამეები არ მომხდარა?..“

1922 წელს სტალინი, უკვე ცეკას გენერალური მდივანი, ისაი ლეჟნევის საქმეში ჩაერია, ჟურნალ „ნოვაია როსიასთან“ დაკავშირებით. „რუსული მესიანისტური იმპერიალიზმი (ოკეანიდან ოკეანემდე), რუსული მესიანობა (სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის), რუსული ბოლშევიზმი (მთელი მსოფლიოს მასშტაბით) — ყველაფერი ეს ერთი და იმავე განზომილების სიდიდეებია“, — წერდა ლეჟნევი ჟურნალის პირველ ნომერში (1922). სწორედ ეს შეხედულებები არ მოეწონა ზინოვიევს პეტროგრადში, მაგრამ მოსკოვში პოლიტბიურომ დაიცვა ლენინის მეთაურობით და სტალინის დიდი მხარდაჭერით. ლეჟნევის ჟურნალში იბეჭდებოდნენ: ანდრეი ბელი და მაქსიმილიან ვოლოშინი, ალექსანდრ გრინი და ვალენტინ კატაევი, მანდელშტამი, პასტერნაკი, პრიშვინი, ტიხონოვი და ალექსეი ტოლსტოი... ამ ჟურნალში იბეჭდებოდა 1923 წელს მიხაილ ბულგაკოვის „ჩანაწერები მანჟეტზე“. 1926 წელს ამავე ჟურნალში დაიწყო ბულგაკოვის „თეთრი გვარდიის“ გამოქვეყნება. როგორც ჩანს, ამ სამეულის — ლეჟნევის, ბულგაკოვისა და სტალინის შეხედულებები რაღაც მომენტში, ერთმანეთს ემთხვეოდა... ■





# მამა ალექსი შუშანია

***შორენა მერკვილაძე***

საქართველოში ალბათ იშვიათად ნახავთ ადამიანს, რომელსაც არ სმენია წმინდა ალექსი შუშანიას სახელი. მაგრამ ბევრმა ჩვენგანმა თითქმის არაფერი იცის მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

წმინდა ალექსი შუშანიას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 31 იანვარს იხსენიებს. ეს არის დღე, როდესაც ღირსმა მამამ მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს და ზეციური ეკლესიის მკვიდრთ შეუერთდა.

ალექსი შუშანია დაიბადა 1852 წლის 23 სექტემბერს, სენაკის მაზრის სოფელ ნოქალაქევში. ბავშვობიდანვე საოცარი ნიჭიერებით გამოირჩეოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ყრმობისას მძიმე სნეულება შეეყარა და სკოლაში სიარული ვერ შეძლო. 16 წლის ასაკში მამა გარდაეცვალა, მან სიკვდილის წინ თავისთან იხმო ალექსი და ანდერძად დაუბარა, ეზრუნა ოჯახზე.

მალე ალექსი იერუსალიმში გაემგზავრა, იქაური სიწმინდეების მოსალოცად. შემდეგ კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც მისი დიდვაჭარი ბიძა — ისლამ შუშანია იმყოფებოდა. ის საკმაოდ განსწავლული, იმავდროულად, ღვთისმოსავი ადამიანიც გახლდათ. ჭაბუკი ალექსი ერთხანს ბიძასთან დარჩა, იმდენად დააინტერესა ბიძის საქმიანობამ, რომ გადაწყვიტა, თვითონაც მის კვალს გაჰყოლოდა, მაგრამ უფალმა სხვაგვარად ინება. როგორც მოგვიანებით თავად წმინდა მამა იხსენებდა: „ერთ დღეს, როცა ჩვეულებრივ, ბიძის ოთახში შევედი, რაღაც ძალამ ელვასავით იელვა ჩემს თავზე და მთელი ჩემი არსება არაჩვეულებრივმა მოვლენამ შეიპყრო... ვგრძნობდი ჩემთვის მოულოდნელ, გაუგებარ და გამოუთქმელ ძალას, რომელიც ალისებრ ანთებული მოძრაობდა სიტკბოებით ჩემს შინაგანში. უცებ გავიგონე სიტყვები მეორე პირის, უხილავის ჩემ წინ მდგომარისა, რომელიც მეუბნებოდა: „აწ შენ ქრისტეს მოწაფე უნდა გახდე, ბერად შედგეო“. ალექსის სულში დიდი შინაგანი ბრძოლა დაიწყო — უჭირდა არჩევანის გაკეთება საერო და სასულიერო ცხოვრებას შორის, თანაც, მას ხომ მამის ანდერძის თანახმად, ოჯახზე — დედასა და და-ძმაზე უნდა ეზრუნა, მაგრამ უფა-



მოამზადა მაია მაისურაძემ

ლი დაეხმარა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში: ალექსიმ ღვთისთვის წმინდა და მაღალსულიერი ცხოვრება აირჩია.

ჭაბუკი საოცრად გამოიცვალა; უმეტეს დროს ლოცვასა და სალმრთო წიგნების კითხვას უთმობდა. მარხვითაც, მკაცრად მარხულობდა... როდესაც ბიძამისმა ძმისწულის ასეთი ყოფა იხილა, თვითონაც მიატოვა კონსტანტინოპოლი და მასთან ერთად, საქართველოში დაბრუნდა.



ალექსის ბერად შედგომის გადაწყვეტილებამ დები და ძმა ძალზე დაამწუხრა, დედამ კი მადლობა შესწირა უფალს ესოდენ დიდი წყალობის მოწევნისთვის, დალოცა და აკურთხა შვილი. მაგრამ უფლისმიერი მინიშნებით, მასზე ადრე ღვთის გზას მისი ერთ-ერთი და დაადგა — იგი ახალდაარსებულ თეკლათის მონასტერში წავიდა და მონაზვნად აღიკვეცა.

ნაალდგომევს, თეკლათის მონასტერში ალექსიც მივიდა... იმ დღიდან დაიწყო მისი ასკეტური ცხოვრება — 3 წლის მანძილზე სასთუმალს არ მიჰკარებია, დღე-ღამეში მხოლოდ რამდენიმე საათს იძინებდა — ჩამომჯდარი ან კედელზე მიყრდნობილი. საზრდელად, ძველ, გაქვავებულ მჭადს და მწირ მცენარეულ საკვებს იხმევდა. ლოცვასა და მკაცრ მარხვასთან ერთად, ფიზიკურადაც მძიმედ შრომობდა — ზურგით ეზიდებოდა მონასტრის სენაკების ასაშენებლად საჭირო მასალას, ხშირად თოვლსა და უამინდობაში აჰქონდა ზურგით ფქვილი. სხვა მხრივაც ეხმარებოდა თეკლათის მონასტერში მოღვაწე დებს. ამასთანვე, საოცარი მქადაგებელიც იყო.

მისი მოღვაწეობისა და ქადაგებების გავლენით, მალე დედამისი ელენე და დაძმაც მონაზვნურ გზას დაადგნენ.

1886 წლიდან ალექსი შუშანია გელათის მონასტერში დაემკვიდრა, ხოლო ცოტა ხანში, ხობის მონასტერში გადაიყვანეს — იქვე დაასხეს ხელი მღვდელმონაზვნად, 1888 წელს. მალე მძიმე სნეულება შეეყარა, ამიტომ კვლავ სენაკის თეკლათის მონასტერს მიაშურა, სადაც მისი მონაზვნად აღკვეცილი დედა და დები მკვიდრობდნენ.

1891 წელს მამა ალექსიმ მენჯში, მთავარანგელოზთა გორაზე მდებარე მონასტრის აღდგენა დაიწყო. სამუშაოს დასრულების შემდეგ, ბერმონაზვნები შემოიკრიბა და თვითონაც ამავე მონასტერში შეუდგა მოღვაწეობას. ჯანმრთელობა იმდენად გაუუმჯობესდა, რომ წირვა-ლოცვის შესრულება შეძლო. მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, მაინც მკაცრ, ასკეტურ სამონაზვნო ცხოვრებას ეწეოდა. ამან, რამდენიმე წლის შემდეგ, ფიზიკურად საბოლოოდ მოტეხა და დააუძლურა. ალექსიმ მოწაფეებიც დაითხოვა და თავისთან საკუთარი მონაზონი ბიძაშვილები — დები, აკაფსო და ფასტო იხმო, რომლებიც სიკვდილამდე ეხმარებოდნენ წმინდა მამას.

როდესაც ალექსი შუშანია მენჯის მთავარანგელოზთა გორაზე მდებარე დანგრეული ეკლესიის ადგილზე მონასტრის დაარსებაზე ზრუნვას შეუდგა, განიზრახა მდიდარი ხალხისთვის არ მიემართა შეწირულობისთვის, არამედ პირველი კელიების ასაგები თანხა საკუთარი შრომით მოეპოვებინა. მოგეხსენებათ, სენაკი სარკინიგზო კვანძი იყო. იმ პერიოდში წყალგაყვანილობის სისტემა ცუდად მუშაობდა. რკინიგზის სადგურში ერთადერთი ონკანი ფუნქციონირებდა, ამიტომ მატარებლის გაჩერებისას, მას უამრავი ადამიანი აწყდებოდა და დიდი რიგი დგებოდა. მამა ალექსიმ გადაწყვიტა, სადგურთან ახლომდებარე წყაროდან წყალი ეზიდა და ხურდა ფულის სანაცვლოდ ჩამოეტარებინა ვაგონებში. მართლაც, დილიდან საღამომდე, ჩაიდნითა და ჭიქით ხელში დადიოდა. მამა ალექსის ხელით მიწოდებული ჩვეულებრივი წყალი ყველას მინერალური წყლის მსგავსად გემრიელი ეჩვენებოდა და მსურველების რიცხვმა იმატა.

მამა ალექსიმ ამ გზით გარკვეული თანხა მოაგროვა და მონასტრის აშენებას შეუდგა. არც ამის შემდეგ მიუმართავს ვინმესთვის დახმარების თხოვნით, თუმცა ხალხი თვითონ, საკუთარი სურვილით შეეწეოდა წმინდა მამას ამ ღვთივსათნო საქმის აღსრულებაში. მართლაც, მოახერხა მონასტრის აშენება, რომელიც მთავარანგელოზთა სახელზე იკურთხა.

მამა ალექსი შუშანიას თავის სენაკში ჰქონდა ადამიანის სიმაღლის ხის ჯვარი, რომელსაც ლოცვის დროს ზურგზე იდებდა. წმინდა მამა ბრძანებდა — ჯვრის ასეთი სახით პყრობა, გოლგოთისკენ მიმავალ ქრისტეს მაგონებსო.

წმინდა ალექსი შუშანია საოცარი გულმოწყალებით გამოირჩეოდა. ღვთისმოსავი ადამიანების მიერ შეწირული თანხიდან, ერთ ნაწილს ყოველთვის გადადებდა გასაჭირში მყოფი ადამიანების შესაწევნად. ის ხშირად დადიოდა სოფლებში, თუკი მძიმე სნეულებაში მყოფ მარტოხელა ავადმყოფს ან სხვაგვარ გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს წააწყდებოდა, უპატრონებდა, შეძლებისდაგვარად, მატერიალურადაც ეხმარებოდა და ანუგეშებდა. ერთხელ ნეტარმა მამამ ერთ ფაცხაში ჭილოფზე მიგდებული ახალგაზრდა კაცი ნახა. შევიდა, დაელაპარაკა და ასეთ ვითარებაში ჩავარდნის მიზეზი ჰკითხა. როდესაც შეიტყო, რომ ის ცოლმა მიატოვა, თან ყველაფერი წაიღო, რაც კი რამ ებადა და თავის მოკვლას ლამობდა, ანუგეშა, იობის მოთმინება უქადაგა და უთხრა — ოღონდ, ღმერთს ნუ გმობ, თავის მოკვლაზე ნუ ფიქრობ და ყველანაირად დაგეხმარებიო. მართლაც, პირველ რიგში, ის საგნები მიუტანა, რომლებიც ყველაზე მეტად სჭირდებოდა. საჭმელ-სასმელიც დაუტოვა, ანუგეშა და აღუთქვა — ხშირად გინახულებო; სიტყვას არც გადასულა, სისტემატურად აკითხავდა სნეულს, გაზაფხულზე კი ნოქალაქევის აბანოში მიიყვანა. საკუთარი ზურგით შეჰყავდა წყალში. სნეულმა მართლაც მოიხედა და ფეხზეც წამოდგა. ასე იხსნა იგი წმინდა მამამ ავადმყოფობისგანაც და, რაც მთავარია, სულის წარწყმედისგანაც.

მისი გარდაცვალების შემდეგ, იმით შეშინებულებმა, რომ ღვთისმოძულე ხელისუფლების ბრძანებით, ხშირად ხდებოდა მონასტრების დარბევა-აწიოკება, მენჯის მთავარანგელოზთა სავანეში მარტოდ მოღვაწე დებმა, ფასტომ და აკაფსომ წმინდა ალექსის ნეშტი თეკლათის დედათა მონასტერში დაკრძალეს. ეს მოხდა 1923 წელს, 1960 წლის 8 იანვარს კი, ბათუმშემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ეფრემის ლოცვა-კურთხევით, მამა ალექსი შუშანიას უხრწნელი გვამი კვლავ მენჯის მთავარანგელოზთა მონასტერში გადაასვენეს და მონასტრის მთავარი — აღმოსავლეთ კედლის მახლობლად დაკრძალეს.

1998 წლის 5 მაისს მთავარანგელოზთა სავანეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია ეწვია. მან სურვილი გამოთქვა, რომ ალექსი ბერის წმინდა საფლავზე ეკლესია აშენებულიყო. მართლაც, დაიწყო მცირე ზომის ეკლესიის მშენებლობა, რომელიც 2001 წელს დასრულდა.

■



გოჩა მანველიძე

# თეთრი სიკვდილი

**დასაწყისი იხ. „გზა“, №34-44**

ნიკა ხვდებოდა, რომ რომანი სამმართველოში არ შეხვდებოდა მესხს, მაგრამ იმან კი გააოცა და გაალიზიანა კიდეც, რომ პაემანი მცხეთის ერთ-ერთ რესტორანში დაუთქვა. საქმე ძალზე სერიოზული იყო საიმისოდ, რომ მასზე რესტორანში ელაპარაკათ. მაგრამ ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება რომანმა მიიღო. თანაც, შეხვედრის ადგილი თავად მესხმა შეარჩია და ნიკას სხვა არაფერი რჩებოდა — ის უსიტყვოდ მიუჯდა საჭეს და თავის „ბეემვეს“ მცხეთისკენ აალებინა გეზი.

მესხი რესტორნის ავტოსადგომთან დახვდა სტუმრებს. ჯერ რომანს მიესალმა, შინაურულად გადაკოცნა, შემდეგ, ნიკას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ჰა, როგორ ხარ, ძველო?

— რა მიშავს, — მხრები აიჩეჩა ნიკამ.

— რაღაც უხასიათოთ მეჩვენები, — განაგრძო მერაბმა.

— არა, ისეთი არაფერი, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ნიკამ.

— აქაურობა არ მოსწონს, — საუბარში ჩაერთო რომანი.

— რატომ? — გაუკვირდა მერაბს. — არ გიყვარს რესტორნები?

— მიყვარს, მაგრამ ახლა საქეიფოდ არ გვცალია...

— კარგი, რა, ნიკა! არ მოგბეზრდა სამმართველოს კაბინეტები და დაბღვერილი თანამშრომლები?!. თქვენ ისეთი საქმე გაქვთ ჩემთან, რომ აქაც მოვახერხებთ ლაპარაკს. სანამ მოვრჩებით, შემოგვაღამდება და სხვა საქმესაც მივხედავთ... შენი არ ვიცი, მე კი ისე ვარ დაკავებული, რომ რომანთან შეხვედრასაც ველარ ვახერხებ. ასე, სამსახური თუ შეგვახსენებს ერთმანეთს. შენ კი გინდა, კაბინეტში დავამთავროთ ლაპარაკი და მაშინვე დავშორდეთ ერთმანეთს?!

— კარგი. რაც იყო, იყო. აქ მოსული, უკან ხომ არ გავბრუნდები, — ხელი ჩაიქნია ნიკამ.

— ჰოდა, ასე არ ჯობია?!. — გაიცინა მერაბმა, შემდეგ, ნიკას მხარზე მოხვია ხელი და რესტორნისკენ წაიყვანა.

რამდენიმე წუთში მერაბი და მისი სტუმრები რესტორნის დარბაზის განაპირას, მყუდრო კუპეში გაწყობილ სუფრასთან ისხდნენ. ოფიციანტმა ქალმა მაგიდაზე საფერფლეები დადო და მერაბს მიაპყრო მზერა.

— ჯერჯერობით არაფერი გვინდა. ცოტა ხანში შემოიხედე, — უპასუხა მერაბმა და თავის სტუმრებს მიუბრუნდა: — მიდით ახლა, პატიჟი არ დამაწყებინოთ. ყველანი სამსახურიდან, დაღლილები მოვდივართ და მშივრები ვართ...

რომანი მაშინვე გამოცოცხლდა. თეფშზე საწებელა დაისხა, ცალ ხელში პურის ნაჭერი მოიმარჯვა, მეორეში — ქათმის ბარკალი და მადიანად შეუდგა ჭამას.

— კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ კიდევ ბევრი რამის სწავლა მოგიწევს, — უკმაყოფილო სახით ჩაილაპარაკა მერაბმა, როდესაც ნიკამ მხოლოდ „ბორჯომი“ მოსვა...

— რას გულისხმობ? — ჰკითხა ნიკამ.

— რას უნდა ვგულისხმობდე, ბიჭო?!. — გაეცინა მერაბს. — სუფრასთან ვართ, ამდენი ხანი არ შევხვედრივართ ერთმანეთს, ლუკმა გატეხე, საქმე კი არსად გაგვექცევა...

— არ გეწყინოს, მერაბ. მართლაც, არა ვარ ქეიფის ხასიათზე, — უპასუხა ნიკამ.

— კარგი. იქნებ, ასე მაინც გამოგაცოცხლო, თორემ, უკვე ვგრძნობ, რომ მე და რომანსაც არ შეგვარგებ ამ პურმარილს, — ამ სიტყვებთან ერთად, მერაბმა თეფში გვერდზე გადადო, რომანს მიაჩერდა და ჰკითხა: — რით დაგაინტერესათ ჭელიძემ?

— იცი, რომელ საქმეზე ვმუშაობთ? — ჰკითხა რომანმა.

— ვიცი.

— მურტალი საქმეა, ბუნდოვანი... აქამდე ვერც ერთი ფაქტი ვერ დავუკავშირეთ ერთმანეთს. ახლა კი, საქმეში ეს ჭელიძეც გამოეჩხირა, — უპასუხა რომანმა.

— მე დაახლოებით მაინც ვიცნობ მაგ საქმეს და ვერ ვხვდები, საიდან გახვედით ჭელიძეზე? — თქვა მერაბმა.

— ნიკამ შემთხვევის ადგილზე, მობილურის დეპოზიტის გასააქტიურებელი ბარათი იპოვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ბარათით შეავსეს გორგაძის მობილურის ანგარიში, მაგრამ ამ დროს ის უკვე მკვდარი იყო...

— ჰოდა, თქვენც თავისთავად გაგიჩნდათ კითხვა: რამე ხომ არ აკავშირებს იმ მობილურთან ჭელიძეს? — განაგრძო მერაბმა.

— მგონი, ლოგიკური კითხვაა... — ჩაილაპაეაკა რომანმა.

— სავსებით, — დაეთანხმა მერაბი, — ყველა გამომძიებელი ასე მოიქცეოდა.

— მაინც, რა კაცია ის ჭელიძე? — საუბარში ჩაერთო ნიკა.

— იმედი უნდა გაგიცრუოთ, ბიჭებო. ჭელიძე არაა ის კაცი, რომელსაც თქვენ ეძებთ.

— საიდან ასკვნი? — ჰკითხა რომანმა.

— ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჭელიძეს უბრალოდ, არ შეეძლო იმ ბარათით ანგარიშის შევსება, მით უმეტეს — თავდასხმაში მონაწილეობა. ის იმ დროისთვის უკვე აყვანილი იყო, — უპასუხა მერაბმა.

— ვიცი, მაგრამ მას მობილურის ვინმესთვის მიცემა შეეძლო, — შენიშნა ნიკამ.

— არ შეეძლო, — თავი გააქნია მერაბმა.

— რატომ? — გაუკვირდა ნიკას. — მას შეეძლო, მობილური გორგაძის მკვლელობის შემდეგ მიეთვისებინა და ვინმესთვის მიეცა...

— მხოლოდ თეორიულად, რეალურად კი... — მერაბმა პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო: — იმ დღეს მე ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც შემთხვევის ადგილზე მივიდა. მე თვითონ დავათვალიერე ყველაფერი. გორგაძის ყველა ნივთი ადგილზე აღმოჩნდა. მას ფულიც ჰქონდა ჯიბეში. მაგრამ ეს არ არის მთავარი. გვამს ჯიბეში სუბუტექსის მოზრდილი შეკვრა აღმოვუჩინეთ. უფრო ზუსტად — 24 „კაკალი“... როგორ გგონია, რა უფრო დააინტერესებდა ჭელიძეს — მობილური თუ სუბუტექსი, რომლის გაყიდვითაც, ის შვიდი ასეთი აპარატის ყიდვას შეძლებდა?.. თან გაითვალისწინე, რომ ჩვენ „ბარიგაზე“ ვლაპარაკობთ!..

— რა კაცია ჭელიძე? — პაუზის შემდეგ ჰკითხა ნიკამ.

— ხომ გითხარი, „ბარიგაა“, — უპასუხა მერაბმა.

— დღეს ყველა ნაბიჭვარმა წამლის გაყიდვას მოჰკიდა ხელი. ისეთი ხალხი „ბარიგობს“, რომ.... — აღარ დაამთავრა ნიკამ.

— ჭელიძეც ზუსტად ეგეთი ნაბიჭვარია. ერთი მხრივ, მეცოდება კიდეც. შეიძლება, გორგაძის სიახლოვემაც იმოქმედა მასზე. სად ჭელიძე და სად გორგაძე?! გორგაძე ჩამოყალიბებული მორფინისტი და ახვარი იყო, ის კი — ჩვეულებრივი არიფი, რომელიც გორგაძემ შეაბა და „ბარიგობა“ დააწყებინა.

— მაგ არიფმა კურდღელივით გააგორა გორგაძე... — შენიშნა ნიკამ.

— ახალი კაცი ხარ ამ საქმეში, ნიკა, ბევრი რამის სწავლა მოგიწევს. ახლა კი, ერთი რამ დაიმახსოვრე: ყველაზე მურტალი მკვლელი — არიფია. ეგენი ძალიან ადვილად ღვრიან სისხლს. „შპანაა“, რომელსაც ერთი ღერი სიგარეტის ან „დიშოვი“ მობილურისთვის შეუძლია კაცის მოკვლა. გორგაძე ასეთ საქმეს ხელს არ მოაწერდა. იმან კარგად იცოდა სიცოცხლის ფასი და კიდევ ის, რომ მკვლელობის მუხლით „სროკზე“ წასულს, შავები პასუხს მოსთხოვდნენ. ჭელიძემ კი, ერთი პატარა პარტია სუბუტექსისთვის გაიმეტა. შიშის გამო გაიმეტა. ხომ აზრზე ხარ, რა „ბაზარი“ გაიმართებოდა მაგათ შორის?!. გორგაძე არ იკადრებდა „გადაგდებას“. იმ გოიმს კი, ვიღაცამ აახია წამალი! ამ დროს, გორგაძეს ჰუმანიტარული ფირმა არ ჰქონდა და მაგრად ეკიდა ჭელიძის მოკაიფე კურსელები. აქ ნაღდ მაყუთზეა ლაპარაკი. ვისაც კაიფი უნდა, მაყუთიც უნდა გადაიხადოს. ჭელიძემ კი, მთელ პარტიაში „გადააგდო“

— სად შეხვდით ერთმანეთს? — ჰკითხა ნიკამ.

— ლოტკინის ბოლოში. მე მაყუთზე ავედი, მესხმა კი მაგრად მირტყა: ეს ვინ მომიყვანე, შე დამპალოო?!. ჯერ არ მცალია შენთვის... შევხედავ, როგორ წავა საქმე და თუ მივხვდი, რომ მერხევა, ჩემებურად მოგიგვარებ „ბაზარსო“!..

— რას გულისხმობდა „ბაზარის“ მოგვარებაში?

— რას უნდა გულისხმობდეს?.. — მხრები აიჩეჩა ბიბილურმა. — „სროკს“ გამიჩალიჩებს ან საერთოდ, დამბრიდავს!.. მაგარი დამპალია, ნაღდი ახვარი. ვერც ვხვდები, რა პრეტენზია აქვს ჩემთან. უბრალოდ, საქმე მივეცი: ერთ ახვარს წამლის აღება უნდა და დანარჩენი შენ იცი-მეთქი!.. იმან წამალი მომცა და მითხრა — მიჰყიდე და ავიყვანო... ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც დამავალა. იმ ტიპს წამალი მივყიდე. მერე მაგის ხალხი გამოჩნდა. ის ბიჭი „ააგდეს“ და სამმართველოში წაიყვანეს. იქ რა მოხდა, აზრზე არა ვარ. ვინ იყო ის ტიპი ან რაში „გაეთხარა“ მესხი?.. მარტო ის ვიცი, რომ მაგრად მაქვს დარხეული და დამალვითაც ველარ დავემალები. სადაც არ უნდა წავიდე, მაინც მომძებნის და მაგრად „გამტისკავს“!..

— როდემდე აპირებ მის „შნირად“ ყოფნას?.. — ჰკითხა ნიკამ.

— მე „შნირი“ არ ვარ! — იწყინა ბიბილურმა.

— არა, ბიჭო, გენერალისიმუსი ხარ, — ჩაიცინა ნიკამ. — რაც გინდა, ის უწოდე თავს... გინდა — აგენტი, გინდა — „ნასედკა“. მე მხოლოდ ერთი რამე მაინტერესებს — მომცემ თუ არა ჩვენებას?

— რა გარანტიას მაძლევ?

— რას ელი? — კითხვით უპასუხა ნიკამ.

— სიცოცხლე მინდა!.. იცი, რას ნიშნავს, წლობით შეშინებული რომ დადიხარ?!

— მხოლოდ ერთ პირობას მოგცემ: მესხი ვერაფერს დაგიშავებს! — უპასუხა ნიკამ.

— მაბამ... — უნდობლობით სავსე მზერა მიაპყრო ბიბილურმა. — ყველა ერთი მოდგმისა ხართ. მესხს „ნასედკა“ სჭირდებოდა. ადრე თუ გვიან, მაინც თავიდან მომიშორებდა. შენ რაღაც ვერ გაიყავი იმ ნაბიჭვართან და ჩემი ხელით გინდა ანგარიშის გასწორება. ხვალ კი, შენც აღარ დაგჭირდები და ისევ მესხს მიუგდებ ჩემს თავს საჯიჯგნად!..

— შენ ერთ რამეში ვერ ერკვევი! — ცივად დაიწყო ნიკამ. — მე შენთან რამის სათხოვნელად კი არ მოვსულვარ... ჩვენებას თუ არ მომცემ, „ბარიგობის“ მუხლით წახვალ „სროკზე“!..

— „ბარიგობის“?! — შეშინებული მზერა ესროლა ბიბილურმა.

— „ბარიგობის“, — დაუდასტურა ნიკამ. — შენ არ მიჰყიდე წერეთელს სუბუტექსი?..

— ის წამალი მესხმა მომცა და...

— მაგრად მკიდია, რა მოგცა და რა დაგავალა მესხმა. იმ კაცს მესხი თვალითაც არ უნახავს, წამალი შენგან იყიდა და „სროკზეც“ შენ წახვალ. მერე პროკურორსა და მოსამართლეს უმტკიცე: მესხის დავალებით „ვბარიგობდიო“!..

— შენ გგონია, რომ მართლა ასე მეშინია მესხის?!. თავი მომაბეზრა. აქ არის!.. — ბიბილურმა ყელში გამოისვა ხელი, — არ დავინდობ, გავწირავ! მაგრამ შენი საქმის გაკეთება არ მინდა!..

— მოკლედ... მე არ გევაჭრები. ან ისე



იქნება, ან — ასე! მომცემ ჩვენებას თუ არა?

— მოგცემ! — ბრაზით მიახალა ბიბილურმა.

— კარგი... მაშინ, ჭელიძის საქმით დავიწყოთ. მე მაინტერესებს, როდის და რა ვითარებაში შემოგთავაზა მესხმა, მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, — თქვა ანამ და წერისთვის მოემზადა.

...ბიბილურმა დაახლოებით ნახევარი საათი მოანდომა, ჭელიძესთან და გოგა წერეთელთან დაკავშირებული ამბის მოყოლას. ბოლოს ანამ ბიბილურს ხელი მოაწერინა ჩვენებაზე, დოკუმენტი ჩანთაში შეინახა და ნიკას ანიშნა — მე მოვრჩი და ახლა შენ განაგრძეო.

— ახლა, ჩვენს პირველ შეხვედრას დავუბრუნდეთ, — თქვა ნიკამ.

— რა გაინტერესებს? — დაიძაბა ბიბილური.

— რა გაკავშირებს ზარანდიას „სასტავთან“?

— არაფერი... — ხმა ჩაუვარდა ბიბილურს.

— ილაპარაკე!.. — ნიკა ადგილიდან წამოვარდა და ინფორმატორს საყელოში სწვდა.

— ხელი გამიშვი!.. — გაიბრძოლა ბიბილურმა.

— ილაპარაკე-მეთქი! გაიგე, რომ ჩემ იქით გზა აღარ გაქვს!.. — და მაგრად შეაჯანჯღარა.

პასუხად ბიბილურმა ძლიერად უბიძგა, ხელიდან დაუსხლტა, დერეფანში გავარდა და ბინის კარი გაიჯახუნა...

დავითი მოღრუბლული შეეგება მის სამუშაო კაბინეტში შესულ ნიკასა და ანას. მისთვის უკვე ცნობილი იყო წერეთლის აყვანასთან დაკავშირებული დეტალები. სწორედ ამაზე ესაუბრებოდნენ სულ ცოტა ხნის წინ, მის კაბინეტში მყოფი მირიანი და მერაბ მესხი.

— დასხედით... — დავითმა სკამებზე მიანიშნა ნიკასა და ანას. მერე, მირიანსა და მერაბს მიუბრუნდა და თქვა: — თქვენ თავისუფალი ხართ...

— ერთი წუთით, — აჩქარდა ანა, — ჩვენი საუბარი სწორედ აქ მყოფ თქვენს თანამშრომლებს უკავშირდება...

— მე? — მირიანმა უკმაყოფილო მზერა ესროლა ადვოკატს.

— უშუალოდ თქვენ — არა. მაგრამ თქვენთვის უინტერესო არ უნდა იყოს ჩვენება, რომელიც ბატონ მესხს უკავშირდება.

— წერეთლის საქმეს თუ გულისხმობთ, შემიძლია გითხრათ, რომ ინციდენტი უკვე ამოწურულია. ის უკვე გაათავისუფლეს და მისთვის ბრალის წაყენებაც არ იგეგმება, — ჩაურთო დავითმა.

— ეს ასეც იქნებოდა, მაგრამ წერეთლის გათავისუფლება მხოლოდ საქმის ნახევარია, — განაგრძო ანამ, — მე მინდა, გაგაცნოთ ბატონ მესხის როლი ამ საქმეში და ამასთან ერთად, მოვითხოვო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

— ვის წინააღმდეგ? — იკითხა დავითმა პაუზის შემდეგ.

— ბატონი მესხის წინააღმდეგ, — მშვიდად უპასუხა ანამ.

— რის საფუძველზე?! — იფეთქა მესხმა. — საერთოდ, რა პრეტენზია გაქვთ ჩემთან? წერეთელი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ავიყვანეთ. არსებობდა მოსაზრება, რომ მას გარკვეული რაოდენობის ნარკოტიკი ჰქონდა. როგორც შემდგომ გაირკვა, ინფორმაცია მცდარი იყო. წერეთელი გათავისუფლდა

და მას ბოდიშიც კი მოუხადეს. სხვა რა გინდათ?!

— ეს ყველაფერი როდია... — თავი გააქნია ანამ.

— სხვას რას ელოდით?! — გაიკვირვა მირიანმა.

— პირველ რიგში, იმ აგენტის დასახელებას, რომელმაც იფორმაცია მოგაწოდათ.

— ეს ოპერატიული ინფორმაციაა. მე არა ვარ ვალდებული, დაგისახელოთ ჩემი აგენტი! — ბრაზით ისროლა მესხმა.

— მით უმეტეს — პირთან, რომელსაც არაფერი აკავშირებს ამ საქმესთან, — დაამატა დავითმა და ამასთან ერთად, უკმაყოფილო მზერა მიაპყრო ნიკას.

პასუხად ნიკამ მამას, ადვოკატის ორდერი გაუწოდა.

— ეს რა არის? — მოიღრუბლა დავითი.

— მე ოფიციალური ხელშეკრულება დავდე ზარანდიასთან და ახლა აქ მისი უფლებების დამცველის რანგში ვიმყოფები, — უპასუხა ნიკამ.

— რა შუაშია ზარანდია?! — მხრები აიჩეჩა დავითმა.

— ამ საქმესთან დაკავშირებით, რამდენიმე კითხვა უნდა დავუსვა მერაბს.

— ეგ მე არ მაინტერესებს. ჩვენ აქ მხოლოდ წერეთლის საკითხის განსახილველად შევიკრიბეთ, — ცივად მოსხიპა დავითმა.

— საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც თქვენ გგონიათ, — ჩაურთო ანამ.

— რას გულისხმობთ? — გახედა დავითმა.

— ბატონო მერაბ, რა გაკავშირებთ ვინმე დიმიტრი ბიბილურთან? — მესხს მიუბრუნდა ანა.

— ბიბილური, ბიბილური... — მერაბი ჩაფიქრდა. — არა, ვერ ვიხსენებ. ასეთ პიროვნებას საერთოდ არ ვიცნობ.

— უცნაურია. ეს პიროვნება მთავარ მოწმედ ფიგურირებს ჭელიძის საქმეში, — შენიშნა ანამ.

— ჰო... გამახსენდა... — დაეთანხმა მესხი. — მაგრამ რა შუაშია იგი?.. ჭელიძის საქმე უკვე დახურულია. ბატონმა დავითმა კი ბრძანა, რომ ჩვენ წერეთლის საკითხს განვიხილავთ.

— ესე იგი, თქვენ არაფერი გაკავშირებთ ბიბილურთან და მხოლოდ ჭელიძის საქმის ძიებისას შეხვდით მას, — განაგრძო ანამ.

— დიახ, — თავი დაუქნია მესხმა.

— მაშინ, ეს ვიდეოჩანაწერი ვნახოთ, — თქვა ანამ და ამასთან ერთად, დავითს ვიდეოკასეტა გადასცა.

ბარამიძემ დაბნეული მზერა ესროლა მირიანსა და მესხს. მათ თავის გაქნევით ანიშნეს — წარმოდგენა არ გვაქვს, რა ჩანაწერზეა ლაპარაკიო...

— თუ თქვენ არ გაინტერესებთ, ჩანაწერს ქალაქის პროკურორს გადავცემ... — მშვიდად დაამატა ანამ.

— კეთილი... — დავითმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება და კასეტა ვიდეომაგნიტოფონში ჩადო.

ამ ჩანაწერზე გოგა და მისი ორი მეგობარი საგანგებოდ მუშაობდნენ. ფირი გადაღებული იყო გოგას ავტომანქანაში ჩამონტაჟებული ფარული კამერითაც და შორი მანძილიდანაც. მანქანაში გაკეთებულ ჩანაწერზე აღბეჭდილი იყო გოგასა და ბიბილურის დიალოგი, რომელიც ნარკოტიკის შეძენას ეხებოდა. მოგვიანებით კი, ეკრანზე სუბუტექსის გადაცემის სცენა აღმოჩნდა. ამ კადრების ხილვისას, დავითმა კმაყოფილი მზერა ესროლა ანას და თქვა:



— გამოდის, რომ მესხს არაფერი გაუზვიადებია და ნარკოტიკის გაყიდვას მართლაც, ჰქონდა ადგილი.

— ამას მოგვიანებით დავუბრუნდებით. ახლა კი გთხოვთ, ამ პიროვნებას მიაქციოთ ყურადღება, — უპასუხა ანამ, — ეს ბიბილურია.

— დავუშვათ, მაგრამ ეს რას ცვლის? — გაუკვირდა დავითს.

— მაშინ, ეს კადრებიც იხილეთ, — ჩაილაპარაკა ანამ და ვიდეომაგნიტოფონის დისტანციური მართვის პულტს წაეტანა.

მომდევნო კადრებმა თავზარი დასცა დავითს. მასზე აღბეჭდილი იყო ბიბილურისა და მესხის შეხვედრა. ჩანაწერზე მეორე დღეს შემდგარი შეხვედრა იყო აღბეჭდილი. სწორედ ამ შეხვედრაზე გადასცა მესხმა სუბუტექსი ინფორმატორს.

— გთხოვთ, ამ კადრებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ, — ანამ თავად გააჩერა ფირი. — ბატონი მესხი ბიბილურს სუბუტექსის შეკვრას გადასცემს!..

— რა სისულელეა?! ჩანაწერზე მსგავსი არაფერია! — გაღიზიანდა დავითი. — მე მხოლოდ ის დავინახე, რომ მესხმა მეორე პიროვნებას რაღაც შეკვრა გადასცა. ვინ დაადასტურებს, რომ ეს სუბუტექსი ან სხვა ნარკოტიკია?

— მე მოწმე მყავს, — მშვიდად მიუგო ანამ.

— მოწმე?! — დაიბნა დავითი. — ვინ?

— დიმიტრი ბიბილური!..

— კმარა!.. — ბრაზით წამოიყვირა მესხმა. — ბიბილური არასოდეს მოგცემდა ასეთ ჩვენებას.

— ესე იგი, თქვენ იცნობთ ამ პიროვნებას! — გამომცდელი მზერა ესროლა ანამ.

— მერედა, რა ამით?! — შეუბღვირა მერაბმა.

— იცნობთ თუ არა? — კითხვა გაიმეორა ანამ.

— ვიცნობ.

— და ის სწორედ ის აგენტია, რომელმაც წერეთლის თაობაზე მოგაწოდათ ინფორმაცია... — განაგრძო ანამ.

— ჰო. ეს ინფორმაცია ბიბილურმა მომაწოდა. მაგრამ რა ამით?! სად გაქრა სუბუტექსი?.. ჩვენ ხომ ვერ ამოვიღეთ ნარკოტიკი!..

— ამან მართლა შეცვალა თქვენი გეგმები? — გაეღიმა ანას.

— მე ასეთი გეგმა არ მქონია. მქონდა ეჭვი, რომელიც არ დადასტურდა და მეტი არაფერი, — ამ სიტყვებთან ერთად, მესხმა დავითს გახედა და დაამატა: — ბატონო დავით, მე თავი მომაბეზრა ამ ქალბატონის გაუაზრებელმა ლაპარაკმა. ნება მომეცით, წავიდე.

— თქვენთვის მოულოდნელი იქნება ამის მოსმენა, მაგრამ სუბუტექსი არსად გამქრალა... — დაასწრო დავითის პასუხის გაცემა ანამ.

— რა თქვით? — მოიღრუბლა მირიანი.

— არ გამქრალა. მესხმა ბიბილურს წერეთლისთვის გადასაცემად გადასცა სუბუტექსი. მან შეასრულა დავალება. დანარჩენზე პასუხს კი, ეს ჩანაწერი გაგცემთ, — ამ სიტყვებთან ერთად, ანამ კვლავ ჩართო ვიდეო.

ჩანაწერი სუპერმარკეტში იყო გადაღებული: გოგამ სწრაფი ნაბიჯით მიაშურა დახლს; ამ დროს, მის გვერდით ახალგაზრდა მამაკაცი გამოჩნდა; ისინი წამით შეჩერდნენ და ამ დროს, გოგამ მამაკაცს სიგარეტის კოლოფი გადასცა.

— ამ კოლოფში ინახებოდა სუბუტექსი, რომლის ამოღებასაც გეგმავდა ბატონი მესხი, — განაგრძო ანამ, — ალბათ გაინტერესებთ, მაინც, სად გაქრა სუბუტექსი?..

დავითმა დუმილით უპასუხა.

— ამოღებული პრეპარატი ამჟამად, ნარკოლოგიურ ექსპერტიზაზეა გაგზავნილი. ეს კი, ბიბილურის ჩვენების ზუსტი ასლია, — დაასრულა ანამ და დავითს დოკუმენტის ქსეროასლი მიაწოდა.

დავითმა სწრაფად წაიკითხა ტექსტი და ნერვიულად მოისრისა საფეთქლები.

— ხედავთ თუ არა ამ დოკუმენტებში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველს? — ოფიციალური ტონით იკითხა ანამ.

— ამ მასალებს პროკურატურა მტკიცებულებად არასოდეს აღიარებს, — ყრუდ ჩაილაპარაკა დავითმა.

— ვიცი... არაერთხელ მქონია საქმე ამ უწყებასთან... — მშვიდად შენიშნა ანამ. — მაგრამ ეს მასალები სავსებით საკმარისია რამდენიმე მაღალჩინოსნის თანამდებობიდან სხვა მიზეზით დასათხოვნად!.. ახლა წარმოიდგინეთ, რა მოჰყვება მასალების ტელევიზიით ჩვენებას...

დავითი დიდხანს დუმდა. შემდეგ, თავი ასწია და მირიანსა და მესხს კაბინეტიდან გასვლა უბრძანა.

— ბატონო დავით... — გაუბედავად წამოიწყო მირიანმა, მაგრამ ველარ დაასრულა.

— დაგვტოვეთ! — მაგიდაზე მუშტი დაჰკრა დავითმა.

მირიანი და მესხი მაშინვე წამოდგნენ და კაბინეტიდან გავიდნენ.

— რა გინდათ ჩემგან? — მიუბრუნდა დავითი ანასა და ნიკას.

— მე უკვე ვთქვი, — უპასუხა ანამ, — აღძარით სისხლის სამართლის საქმე. მესხი თქვენს კაბინეტში კი არა, საპატიმროში უნდა იჯდეს!

— ოჰო!.. იქნებ ისიც მითხრათ, თუ რამდენი წლით ისტუმრებთ მესხს ციხეში?.. — ბრაზით შენიშნა დავითმა.

— ამას სასამართლო გადაწყვეტს.

— სასამართლო!.. მესხის დამსახურებას არ ითვალისწინებთ?! ძალიან მარტივად წყვეტთ საკითხს და წარმოდგენაც არა გაქვთ, თუ რამდენი არაკაცი მოაშორა მესხმა საზოგადოებას, რამდენი მკვლელი და ყაჩაღი გაისტუმრა ციხეში და კიდევ რამდენს გაისტუმრებს!.. სხვათა შორის, თქვენს მასალებში... უფრო სწორად, თქვენს ვაიმასალებში ვერაფერს ვხედავ საგანგაშოს. რით გინდათ, გამაკვირვოთ? ბიბილურისა და მესხის ურთიერთობით?.. ჩემი თანამშრომლები ადრეც სარგებლობდნენ ინფორმატორების სამსახურით და მომავალშიც ასე იქნება! იმას დაამტკიცებთ, რომ მესხმა სუბუტექსი მისცა ბიბილურს?.. ვერც მაგით გამაკვირვებთ: ოპერატიული ინფორმაციის რეალიზებისას, ნარკოტიკის გამოყენებისთვის მესხს საყვედურსაც არ გამოუცხადებენ!.. როგორ უნდა მოქცეულიყო, თქვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში?.. მას ინფორმაცია ჰქონდა, ნარკოტიკის შემკვეთზე... ასე რომ, მე ვამართლებ მის გადაწყვეტილებას.

— ბიბილურის ჩვენების შესახებ რას იტყვით? — შეაწყვეტინა ანამ.

— ვინაა ბიბილური?.. გახრწნილი ნარკომანი, გაუწონასწორებელი პიროვნება, რომლის ჩვენებას არც ერთი პროკურორი და მოსამართლე არ გაიზიარებს.

— ჭელიძის შემთხვევაში, მოსამართლემ როგორღაც გაიზიარა იმავე პიროვნების ჩვენება... — ცივად შენიშნა ანამ.

— ჩვენ მესხზე ვლაპარაკობთ, — ასევე ცივად დაუბრუნა დავითმა, — და რომ იცოდეთ, ამ შემთხვევაში, თქვენ უფრო ცუდად გაქვთ საქმე, ვიდრე მერაბს!

— რატომ? — გაუკვირდა ანას.

— პირადად თქვენზე ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ თქვენი ავანტიურისტი კოლეგის, წერეთლის პასუხისმგებლობის საკითხს აუცილებლად დავაყენებ.

— რისთვის უნდა აგოს პასუხი?

— თავხედობისთვის, რომლითაც სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობაში ჩაერია!.. რა გგონიათ, ქალბატონო, თქვენს სპექტაკლებში მონაწილეობის დრო გვაქვს ჩვენ?!. შოუბიზნესით გაერთეთ, შეგიძლიათ, სხვა ვინმესთან შეიქციოთ თავი, ჩვენ კი, თავი დაგვანებეთ! თან იცოდეთ: თუ თქვენით ვერ გამოიტანთ სათანადო დასკვნას, ამას ჩვენ გაიძულებთ!..

— ვინ მაიძულებს? თქვენ?

— მთელი უწყება! — ცივად მოსხიპა დავითმა.

— კეთილი. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია... სხვათა შორის, სხვა პასუხს არც ველოდი თქვენგან... მაგრამ მაინც გთხოვთ — მუნდირის ღირსებას ნუ გადააყოლებთ თქვენი უწყების ავტორიტეტს. — ამ სიტყვებთან ერთად, ანა წამოდგა და კარს მიაშურა. მას ნიკაც მიჰყვა. მაგრამ კართან მიახლოებისას, შედგა. ანას გადაულაპარაკა: რამდენიმე წუთით დავრჩები, მამაჩემისთვის რაღაც მაქვს სათქმელიო, — და ისევ მაგიდას მიუბრუნდა.

— კმაყოფილი ხარ? — ჰკითხა დავითმა, როგორც კი ანამ კარი გაიხურა.

— არა, — გულწრფელად უპასუხა ნიკამ, — უფრო მეტს ველოდი შენგან.

— მაინც რას ელოდი?

— შენც ხომ ხვდები, რომ მესხმა გადაამლაშა.

— მე კი ვფიქრობ, რომ შენმა მეგობარმა ქალმა გადაამლაშა!.. თანაც, ამის მიზეზსაც ვხვდები: ამით მიხდის სამაგიეროს, იმ საღამოსთვის!..

— მამა, ანა ადვოკატია და არა შურისმაძიებელი. ის ჭელიძეებს იცავს — ძმებს, რომლებიც მესხმა უსამართლოდ დაამწყვდია ციხეში.

— ნიკა, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. შენ შეგიძლია, იცხოვრო, ვისთანაც გსურს. საკმაოდ მოზრდილი ხარ საამისოდ. შეგიძლია, გააკეთო, რაც მოგწონს. საამისო განათლებაც გაქვს. მაგრამ არასოდეს ჩაერიო ჩემს სამსახურებრივ საქმიანობაში. ამის უფლებას არასოდეს მოგცემ!..

— მე არ ვერევი შენს საქმიანობაში.

— მაშ, რისთვის დარჩი?

— ერთი თხოვნა მაქვს შენთან: ეს ჩანაწერი ნახე და შემდეგ მიიღე გადაწყვეტილება. ოღონდ, ერთი პირობით: ამის შესახებ არავინ არ უნდა იცოდეს, — ამ სიტყვებთან ერთად, ნიკამ ქურთუკის შიგა ჯიბიდან მინიატიურული ვიდეოკასეტა ამოიღო და მამას მიაწოდა.

დავითმა დაძაბული მზერა ესროლა.

— ნახე ეს ჩანაწერი და შემდეგ გადაწყვიტე, იმსახურებს თუ არა მესხი შენს სიახლოვეს ყოფნას... — ჩაილაპარაკა ნიკამ და მაშინვე გავიდა კაბინეტიდან.

ნიკას წასვლის შემდეგ, კაბინეტში მირიანი და მესხი დაბრუნდნენ.

— რა გიყო ახლა შენ? — მოღუშული შეეგება მერაბს ბარამიძე.

— შეცდომისგან არავინაა დაზღვეული... — ჩავარდნილი ხმით ჩაილაპარაკა მესხმა.

— ამას შეცდომად ვერ ჩაგითვლი. როგორ „აგაგდო“ ამ გომბიომ?!

— ნაბიჭვარმა ბიბილურმა შემიყვანა შეცდომაში, — კბილები გააღრჭიალა მესხმა.

— ბიბილურმა შეგიყვანა შეცდომაში?.. შენ შეგაცდინა იმ ნაბიჭვარმა „ნასედკამ“?!. — ხმას აუწია დავითმა.

— დავით... — გაუბედავად ჩაურთო მირიანმა. — გარეთ გავა ხმა...

— ხმა უკვე გასულია! — შეუღრინა დავითმა, — თუ იმის იმედი გაქვს, რომ ის გომბიო ჩემს სიტყვას დასჯერდება და გაჩუმდება?!.

— არ გაჩუმდება, — დაეთანხმა მირიანი.

— ჰოდა, თქვენ თვითონ მითხარით, რა მოვიმოქმედო!.. ხომ ხვდებით, რომ ეს ამბავი პირადად მე და სამმართველოს არ შეეხება. პროკურატურა თუ მომადგა, თავს მოვიშტერებ, ვიტყვი: ხედავთ, რა უქნია იმ ახვარ მესხს-მეთქი! — და ისე აგაცმევინებთ სამსახურიდან, როგორც ბევრი რეგვენისთვის ამიცმევინებია. მაგრამ არ მინდა ამის გაკეთება. არ მინდა და ამიტომაც გეკითხებით: რა ვქნა? როგორ გამოგიყვანოთ ამ დამპალი საქმიდან?

— ერთი რამე მოვიფიქრე... — გაუბედავად დაიწყო მესხმა. — ბიბილური სასწრაფოდ უნდა მოვძებნო.

— მერე — მოძებნე! — ბრაზით მიუგდო დავითმა. — რაღას ჩამომისხედით კაბინეტში?!

— უკვე ეძებენ, — დაამშვიდა მირიანმა და მესხს ანიშნა — წავიდეთო.

დავითს მხოლოდ ხელქვეითების წასვლის შემდეგ გაახსენდა ნიკას მიერ დატოვებული კასეტა. ვიდეომაგნიტოფონი ჩართო...

ჩანაწერი ორიოდე წუთი გრძელდებოდა. შემდეგ კი...

— თქვენი დედაც!.. — დავითმა გინებით შეაქცია ეკრანს ზურგი, მობილური ტელეფონი მოიმარჯვა, მესხის ნომერი აკრიბა და როგორც კი ყურმილში მისი ხმა გაისმა, უყვირა: — სადმე წასვლა არ გაბედო, იდიოტო! ყველაფერს დაანებე თავი და ახლავე ამოდი ჩემთან!!!

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# დავით ზურაბიშვილის მავნე ჩვევა და პრივილეგიები...



**„არ ვარ მდიდარი კაცი! როგორ დავაჯერო ეს ხალხი, რომ არ ვარ მდიდარი?!“ — ამბობს პარლამენტის კარში მდგარი დავით ზურაბიშვილი და მათხოვარს ფულს აძლევს...**

*ნათია ქარუმიძე*

— საზოგადოებას უფლება აქვს, იცოდეს, როგორ ცხოვრობს ესა თუ ის პოლიტიკოსი. ის კი არ უნდა ითქვას, თუ რატომ აქვს კარგი სახლი, არამედ საიდან აქვს? როდესაც ჩინოვნიკი ყოველ საღამოს ბარში ზის და ბოლო მოდელის მანქანებით დადის, ცხადია, ჩნდება კითხვა — საიდან?

— **თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა როგორია?**

— ძირითადად, მე ვარჩენ ოჯახს. ჩვენ არ მივიჩნევით ღარიბ ოჯახად, ცხადია, პარლამენტარის ოჯახია. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მდიდარი ვარ. მაღალი ხელფასი მაქვს. მრცხვენია კიდეც ამის გამო და მეგობრებში ვერ ვამბობ, რამდენი მაქვს (საერთოდ, არ ვარ მომხრე, რომ ამბობენ — რატომ აქვთ პარლამენტარებს მაღალი ხელფასიო?! პირიქით — უნდა ვბრაზობდეთ იმაზე, თუ რატომ აქვთ სხვებს დაბალი ხელფასი). ჩემი ხელფასი ოჯახს ძლივს ჰყოფნის. ბავშვების სწავლის გადასახადში იმდენი ფული მიდის, ჩემს ჯიბეში მთელი თვის განმავლობაში სულ ასი ლარი შეიძლება მოხვდეს. ჩვენნაირი ოჯახი საქართველოში დაახლოებით 10-15%-ია. 5%-ია ისეთი, რომელიც ძალიან კარგად ცხოვრობს — მთავრობის წარმომადგენლები და თითო-ოროლა ბიზნესმენი. 80% გაჭირვებაში ცხოვრობს.

— **თქვენი შვილები სად სწავლობენ?**

— საკმაოდ ძვირად ღირებულ სკოლაში დადიან. მართალია, წარჩინებულად სწავლობენ, სტიპენდია აქვთ და რაც ღირს, იმის ნახევარს ვიხდით, მაგრამ მაინც ხელფასის ნახევარი იქ მიდის. თუმცა, ეს ისეთი ინვესტიციაა, რომ თუ საშუალება გაქვს, ფული არ უნდა დაგენანოს. ბავშვები სწავლობენ „ამერიკულ აკადემიაში“. ეს ტიპური ამერიკული სკოლაა და მისი დიპლომით ევროპისა და ამერიკის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში შეგიძლია შესვლა. ამ სკოლაში მოხვედრა არ არის ადვილი. საკმაოდ რთული მისაღები გამოცდებია. ჩემს შვილებს ხანდახან კი ვეჩხუბები, მაგრამ მათი სწავლით კმაყოფილი ვარ.

— **თქვენი მეუღლე სად მუშაობს?**

— ჩემი მეუღლე გერმანისტია, პედაგოგი. საკმაოდ კვალიფიციური მასწავლებელია. ერთი პერიოდი, განათლების რეფორმის განხრით მუშაობდა.

— **თქვენმა ოპონენტებმა, თქვენი დისკრედიტაცია მშენებარე სახლით სცადეს. როგორ სახლს აშენებთ?**

— განსაკუთრებული არაფერია. 130 კვადრატული მეტრის მიწის ფართობია. შენდება ორსართულიანი სახლი. ჩვენ ვფიქრობდით, ეს სახლი გაგვექირავებინა უცხოელზე ან შეძლებულ ქართველზე. მინდოდა, ამ ქირით მშენებლობისთვის ნასესხები თანხა გამესტუმრებინა.

— **იმედი გიცრუვდებათ — მშენებლობას ვერ აგრძელებთ, ვალს როგორ გადაიხდით?**

— თუ მოვახერხე კარკასის აშენება, გავყიდი, მანამდე კი, სასამართლოს მივმართავ — საკუთრების ხელყოფის და სამართლებრივი შეზღუდვის ბრალდებით. სტრასბურგში ვიჩივლებ და ერთ 5 წელიწადში ზარალს ამინაზღაურებენ. ვალის გასასტუმრებლად 7 წელი მაქვს.

— **რა პრივილეგიები აქვს პარლამენტარს?**

— გარდა იმისა, რომ ხელფასი მაღალია, პარლამენტარს ნამდვილად აქვს სხვა პრივილეგიებიც. ხალხი გცნობს და ადვილად ახერხებ ბიუროკრატიული პრობლემების გადაჭრას, საზღვარგარეთ ადვილად მიდიხარ.

— **უცხოეთში როგორ ერთობით?**

— ყველაზე კარგი გართობა, ქუჩაში განმარტოებით ხეტიალია. უცხო ქალაქში, სადაც ვერავინ გცნობს, სადაც გინდა, იქ შეხვალ, რასაც გინდა, იმას გააკეთებ.

— **საქართველოში ხალხი განუხებთ?**

— როდესაც ხალხი გცნობს და ყურადღებას გაცქევს, ცოტა არ იყოს, იზღუდები. მე ხალხი ცუდად არ მხვდება.

— **ოჯახში თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— ჩემი შვილები დიდები არიან. 16 წლის არის უფროსი და 15 წლის ხდება უმცროსი. მათ თავიანთ მეგობრებთან ურჩევნიათ ყოფნა. მე და ჩემი მეუღლე თავისუფალ დროს, ხან მეგობრებთან მივდივართ, ხან ისინი მოდიან ჩვენთან, ხან კაფეში ვსხდებით.

— **მავნე ჩვევები თუ გაქვთ?**

— ჩემი მავნე ჩვევა სიგარეტია: ძალიან ბევრს ვეწევი. ვცადე, თავის დანებება, მაგრამ არ გამომივიდა.

— **რისი გეშინიათ ცხოვრებაში?**

— მშიშარა არ ვარ. არც წყლის მეშინია და არც ცეცხლის...

— **ვიცი, რომ თქვენ ძალიან გიყვართ კომპიუტერი!**

— კომპიუტერი ძალიან მიყვარს, ძალიან ხელსაყრელია ინფორმაციის მისაღებად.

— **კომპიუტერული თამაშები?..**

— რამდენადაც ცხოვრებაში აგრესიული არ ვარ, კომპენსირებას კომპიუტერულ თამაშებში ვახდენ. ძალიან მომწონს ისეთი თამაშები, სადაც ბევრი სროლაა.

— **ყველაზე დიდხანს რამდენი ხანი მჯდარხართ კომპიუტერთან?**

— დღე არ არის, რომ 2-3 საათი არ ვიჯდე კომპიუტერთან. მანიაკი არა ვარ, რომელსაც მთელი დღეების განმავლობაში შეუძლიათ თამაში. ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით. გახსოვთ ალბათ, უშიშროების თანამშრომლები რომ შევიდნენ „რუსთავი 2“-ში. იმ დღეს, კობა დავითაშვილი იყო ჩვენთან, თავისუფლების ინსტიტუტის ოფისში. კომპიუტერზე თამაშობდა — თვითმფრინავებით და ტანკებით იპყრობდა ქვეყნებს. ვეუბნებით — ასეთი ამბავია, „რუსთავი 2“-თან ხალხი შეიკრიბა და მივდივართ, შენც წამოდი-თქო. მაცალე რა, მოსკოვი უნდა დავბომბოო, — გვიპასუხა. ძალიან დიდი ხანი დამჭირდა, რომ კომპიუტერისთვის მომეწყვიტა. იქ რომ მივედით, პირდაპირ ხალხში შეიჭრა. როგორც ჩანს, საბრძოლო სულისკვეთება იმ თამაშიდან მოჰყვებოდა... მე ცოტა ხნის შემდეგ წამოვედი, ტელევიზორში ვხედავ — კობა დავითაშვილი ხალხს მიუძღვის კანცელარიისკენ. გამეცინა, რომ გამახსენდა, საიდან დაიწყო და კომპიუტერს ძალით რომ მოვწყვიტე.

— **აზარტული თუ ხართ და კაზინოში თუ დადიხართ?**

— კაზინოში არასდროს ვყოფილვარ. ვიცი — რომ ვითამაშო, წავაგებ. ნარდიც მითამაშია, დომინოც, კარტიც, მაგრამ — ახლობლებთან. ბევრჯერ მომიგია. თუმცა, როგორც კი (თუნდაც სიმბოლურად) ფულზე დავიწყებ თამაშს, უეჭველად ვაგებ. ტოტალიზატორშიც კი, ერთი ლარიც არ დამიდვია. ვიცი, წავაგებ და რა აზრი აქვს?! ლატარიაც არასოდეს მითამაშია.

— **თუ ხართ კაცი, რომელსაც ძალიან უყვარს ლიტერატურა?**

— ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც მხატვრული თარგმანისა და კულტურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში დავიწყე მუშაობა. იმ დროისთვის უკვე დაწერილი მქონდა რამდენიმე ნარკვევი. ეს პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. ათი წელი ლიტერატურულ სამყაროში ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იქ გავიცანი ჩემი მეუღლე. ეროვნულმა მოძრაობამ ფეხი სწორედ იქ აიდგა. ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლის შემდეგ, „კაგებემ“ იქ ისეთი ინტრიგები დახლართა, რომ კოლექტივი დაიშალა. მე და ჩემმა მეგობარმა გამომცემლობა დავაარსეთ. ეს იყო ჩემი უკანასკნელი მცდელობა კომერციულ სფეროში. მერე, ჟურნალისტიკაში ვსაქმიანობდი. ამ პერიოდში დავწერე ზღაპარიც. როცა ეს ქვეყანა დალაგდება, საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობას მივყოფ ხელს. ■

**„თინეიჯერობა ასოცირდება თავქარიან ცხოვრებასთან, როცა ფეხებზე გკიდია ბევრი რამ. ამ ასაკში გიჩნდება იმის პრეტენზია, რომ რაღაცას წარმოადგენ და ამის გამო, მშობლებთან ჩხუბი, კამათი ხშირად მოგდის. მიხარია, რომ ჯერ კიდევ მოზარდი ვარ“, — ამბობს „ჯეობარელი“ სოფია, რომელიც ძალზე თავისუფალი, უკომპლექსო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.**



# ვისზე იეჭვიანა ირაკლი მარხულიამ და რა ურთიერთობა აქვს თავქარიან სოფიას რეპერ კვალთან

ლიკა ქაჯაია

**— მშობლებთან ხშირად ჩხუბობ?**

— როცა გამიჩნდა პროტესტის გრძნობა, ვერ ვხვდებოდი, რატომ უნდა აეკრძალათ ჩემთვის თუნდაც, რაღაცის ჩაცმა და ხშირად ვკამათობდით. მაგრამ ახლა იციან, რომ რაიმეს აკრძალვას აზრი არა აქვს და თავი დამანებეს.

**— ადრე რას გიკრძალავდნენ?**

— არასდროს მქონია ისეთი შემთხვევა, რომ კატეგორიული უარი ეთქვათ რაიმეზე. სკოლის ასაკში არ მქონდა ისეთი მოთხოვნილებები, რომლებიც ასაკრძალავი იქნებოდა. არაფერი მაინტერესებდა, ვვარჯიშობდი, ვსწავლობდი. მოკლედ, რაღაცნაირი, „ჩაკეტილი“ ბავშვი ვიყავი.

**— აბა, ახლა რამ გადაგრია?**

— იცი, რა არის?.. როცა სკოლაში სწავლობ, სულ ერთ უბანში „დვიჟენიობ“, გგონია, რომ იმის იქით არაფერი ხდება. მაგრამ როცა უნივერსიტეტში ჩავაბარე, ბევრ რამეზე ამეხილა თვალი, სხვადასხვანაირი აზროვნების ადამიანები გავიცანი და ა.შ.

**— იმის თქმა გინდა, რომ „სასტავი“ და გარემო ადამიანზე დიდ გავლენას ახდენს?**

— რა თქმა უნდა. გააჩნია, ვისთან მეგობრობ, სად იზრდები... თინეიჯერმა უნდა იცოდეს, რას ითხოვს ამ ცხოვრებისგან. მე პატარაობიდანვე ძალიან ამბიციური ვიყავი, ყოველთვის ვიცოდი, რა და როდის მინდოდა. მყავს ბევრი მეგობარი, რომელთაც არანაირი პროტესტის გრძნობა არა აქვთ, სხვების ჭკუაზე დადიან და ვერ „აჯაზებენ“. ბევრი ასეთი მეგობარი „ჯეობარმა“ დამაკარგვინა.

**— „ჯეობარი“ რა შუაშია?**

— იმ შუაშია, რომ მეგობრებმა ნახეს, როგორ ჩავუჯექი ირაკლი მარხულიას კალთაში, მათმა მშოლებმა გაიგეს, რომ სიგარეტს ვეწეოდი და ა.შ. საერთოდ, ვიცოდი, რომ ოდესღაც ასეთი რამ მოხდებოდა, მაგრამ „ჯეობარმა“ მოვლენები დააჩქარა... მოკლე შარვლით ეზოში რომ ჩავდიოდი, დაქალის დედა მეუბნებოდა: სახლში წადი, გამოიცვალე და ჩემს შვილს შენთან ერთად მერე გამოვუშვებო... ჭიპი რომ გავიხვრიტე, ჩემი დაქალები საერთოდ გაგიჟდნენ, ეს ამბავი ისე შეიცხადეს, თითქოს მათ გაეხვრიტათ და თავიანთ მშობლებს ჩემს ამბავს საგულდაგულოდ უმალავდნენ — მერე შენთან სიარულს აგვიკრძალავენო. პრინციპში, მადლიერი ვარ ამ პროექტის, რადგან მან მეგობრების ნამდვილი სახე დამანახვა.

**— როგორ ფიქრობ, მათაც ხომ არ უნდოდათ ჭიპის გახვრეტა?**

— შეიძლება, სურვილი მართლაც, ჰქონდათ, მაგრამ ხომ გითხარი, არ გააჩნიათ პროტესტის გრძნობა, კომპლექსიანები არიან... მყავდა დაქალი, რომელიც მართლა ძალიან ლამაზი გოგო იყო. ვუთხარი: რომელიმე სამოდელო სააგენტოში წადი-მეთქი. უარს მეუბნებოდა, მაგრამ მერე, ლამის ყურებით მივათრიე ერთ-ერთ სააგენტომდე. რეგისტრაცია გაიარა, მიიღეს, მაგრამ შემდეგ, მოდელობაზე უარი თქვა, იქ აღარ მივიდა *(იცინის).*

**— იქნებ, მშობლებმა არ მისცეს ამის უფლება?**

— მშობლები რა შუაშია?!. მეც არ მაცილებდნენ ყველგან ტაშ-ფანდურით, მაგრამ ჩემი ყოველთვის გამქონდა. თუ გინდა, ამ ცხოვრებაში რაიმეს მიაღწიო, თავის გატანა უნდა შეგეძლოს.

**— ე.ი. შენ ფიქრობ, რომ დამოუკიდებელი ადამიანი ხარ?**

— დამოუკიდებელი მანამ ვერ ვიქნები, სანამ არ მექნება სამსახური და ჩემი შემოსავლის წყარო.

**— რითი განსხვავდებიან შენი მეგობრები შენგან?**

— არაფრით. ჩემსავით დადიან, სწავლობენ, არ მუშაობენ, მაგრამ როცა ერთად ვიკრიბებით, აღიარებენ: შენ რომ არ გვყოლოდი, რა გვეშველებოდაო?! მათ შავთეთრ სამყაროში ცისარტყელასავით შევიჭერი...

**— შენ თქვი, „ჯეობარის“ გამო მეგობრები დავკარგეო. ისინი მას შემდეგ საერთოდ აღარ შემოგხმიანებიან?**

— როგორ არა?! ჩემს ლიტერატურულ საღამოზე გამომეცხადდნენ. მათ ვუსაყვედურე: „ჯეობარში“ რომ ვიყავი და ლამის მოვკვდი, რადგან არანაირი კავშირი გარე სამყაროსთან არ მქონდა, თქვენ ეს ფეხებზე გკიდათ, ახლა რატომ მოხვედით ჩემთან-მეთქი?.. თან, ხომ აზრზე ხარ, იმასაც ამბობენ: სოფია აღარ გვეკონტაქტებაო. თურმე, თავში ამვარდნია პოპულარობა *(იცინის).*

**— რა ლიტერატურულ საღამოს გულისხმობდი?**

— ვწერ ლექსებს, მოთხრობებს, რომელთა ნაწილიც ლიტერატურულ საიტზე მაქვს მოთავსებული და დეკემბერში ბიბლიოთეკაში გამართულ საღამოზე, აუდიტორიას ჩემი შემოქმედება გავაცანი. ასე ცხოვრებაში არმ მინერვიულია.

**— შენს პოეზიას მოწონება ხვდა?**

— როგორ არა, გადაირია, გაგიჟდა ხალხი და თმაც დაიპუტეს... არა, სერიოზიულად, მართლა მოეწონათ...

**— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?**

— სკოლა ისე დავამთავრე, რომ დირექტორის კაბინეტიდან ვერ გამოვდიოდი.

**— ეს რას ნიშნავს?**

— დღე ისე არ გავიდოდა, რომ რომელიმე მასწავლებელს მასთან არ შევევყვანე.

**— ასეთს რას აშავებდი?**

— ჩხუბი სულ იმაზე იყო — სოფია, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი რატომ გაცვია?! ჭიპს ნუ აჩენ, „ბრეტელებიან“ და ასეთ ამოჭრილ მაისურებს რატომ იცვამ?! — და ა.შ. ამის გამო, სახლში წასვლა და ტანისამოსის გამოცვლა დღეში 3-ჯერ მაინც მიწევდა ან დირექტორის კაბინეტში ვიჯექი... ბოლოს, როცა ატესტატს მაძლევდნენ, მეკაიფებოდნენ: რად გინდა, მაინც ვერსად ჩააბარებო. კურიოზი ის იყო, რომ მეგობრების მშობლები, რომლებიც ცხვირაწეულები ლაპარაკობდნენ — ჩვენი შვილები ტვინიკოსები არიან, სოფია კი არ მეცადინეობდა და მაგისგან არაფერი გამოვაო, — იმედგაცრუებულები დარჩნენ: ყველა, ფასიან სექტორზე ჩაირიცხა, მხოლოდ მე მოვხვდი უფასოზე.

**— ეგ როგორ, ჩააწყვე?**

— არა, რა უნდა ჩამეწყო?! უბრალოდ, სკოლაში გაკვეთილებს არ ვყვებოდი, თორემ, რასაც ჩემი კლასელები მე-11 კლასში სწავლობდნენ, ის მეხუთეში მქონდა წაკითხუ-

ლი და თავს აღარ ვიკლავდი მათი გამეორებით, მასწავლებლისთვის თავის მოწონება კი არ მსურდა.

**— გამოდის, რომ არ გაინტერესებდა, რა ნიშანს დაგიწერდნენ.**

— რა თქმა უნდა. მთავარი ის იყო, რომ თავში რაღაც მქონოდა... მუსიკალური შვიდწლედი დავამთავრე, კარგ მოსწავლედ მიმიჩნევდნენ, მაგრამ გამოცდებზე არ მივედი იმიტომ, რომ დიპლომის აღება არაფერში მჭირდებოდა...

**— შენ მითხარი, სკოლაში „ტოპით“ და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით დავდიოდიო. ამას მშობლები არ გიკრძალავდნენ?**

— დედაჩემი ახლაც გიჟდება იმაზე, „ჩაჩებით“ რომ დავდივარ და ყვირის: ყველაფერს დაგიწვავ, დაგიჭრიო! — მაგრამ მერე, რა გამოუვიდა?..

**— ასეთი „ფეხებზე მკიდია“ ქალი, უკვე დაღვინებულ მეგობრებს როგორ უგებდი ან ისინი როგორ გიგებდნენ?**

— ამას დედაჩემიც მეკითხებოდა: იმ ბავშვებთან რა საერთო გაქვსო? რა ვიცი, ისინი ჩემი კლასელები იყვნენ, მათთან ერთად ყავას ვსვამდი და ვჭორაობდი ათას რაღაცაზე... სულ 6 დაქალი მყავდა და მათგან, ბიჭისთვის ნაკოცნი მხოლოდ მე მქონდა და ხომ იცი, ბებია რომ შემოისვამს ირგვლივ შვილიშვილებს და რაღაცებს უყვება, ისეთ პონტში ვიჩითებოდი *(იცინის)*.

**— როგორ ფიქრობ, ამის გამო მათ შენი შურდათ?**

— არ ვიცი, მაგრამ იმას კი ამბობდნენ: როდის დავამთავრებთ სკოლას, რომ მერე ჩვენც გავიცნოთ ვინმე და ვაკოცოთო, — მაგრამ უკვე მეორე კურსზე არიან და ჯერ არავისთვის უკოცნიათ...

**— შენ ვის აკოცე პირველად?**

— *(იცინის)* არ მესმის იმ გოგონების, რომლებიც ამბობენ — ჯერ უნდა შეგვიყვარდეს და მერე ვაკოცებთო... ის ბიჭი 3 დღის გაცნობილი მყავდა, მომწონდა და ვაკოცე.

**— როგორ ფიქრობ, როცა გოგოს შენს ასაკში (სოფია 18 წლისაა) ბიჭისთვის ნაკოცნი არა აქვს...**

— ...ეს მარაზმია. არ გეგონოს, რომ ვინმეს დავცინი, მაგრამ ასე ვფიქრობ და რა ვქნა?!. როცა ასაკი გემატება, მეტი კომპლექსი გიჩნდება და კოცნას მერე საერთოდ ვეღარ გაბედავ. ამას ჩემი მეგობრების მაგალითიდან გეუბნები. საშინელებაა ჩვენი მენტალიტეტიც. ვინმეს რომ ჰკითხო: ვინ არის შენთვის მისაბაძი პიროვნებაო? — დავით აღმაშენებელს ან ვახტანგ გორგასალს დაგისახელებს...

**— შენ ვის დაასახელებდი?**

— ვინმე, თანამედროვე ადამიანს.

**— და დღეს ასეთად ვინ მიგაჩნია?**

— არავინ და ამიტომაც მკიდია ყველა...

**— სკოლიდან „შატალოზე“ არ მიდიოდი?**

— ძალიან უცნაური კლასელები მყავდა — გოგოები სკოლას ვაცდენდით, ბიჭები კი რჩებოდნენ და გაკვეთილს გულმოდგინედ უსმენდნენ.

**— ვა, მართლა?!**

— ჰო, მგონი, კლასის დამრიგებლის ერიდებოდათ, რომელიც იმავდროულად, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეც იყო. საერთოდ, იმდენად კარგი ბავშვები ვიყავით, რომ 4 დამრიგებელი „გავუშვით“ და ბოლოს, ამ ქალმაც ვერ აგვიტანა.

**— შენი კლასელი ბიჭები იქნებ, იმიტომ არ მოგწონდა, რომ ისინი გაკვეთილს არ აცდენდნენ?**

— რა ვიცი, შეიძლება, ამიტომაც. მომწონს, როცა ბიჭი განათლებულია, მაგრამ არა „ზუბრიაჩკა“, „დედიკოს ბიჭი“. მიყვარს ჩემნაირი გადარეულები, რომლებზეც უცხო ვერ იფიქრებს, რომ მას ერთი წიგნი მაინც აქვს წაკითხული.

**— ეი. შენნაირი თავქარიანები მოგწონს?**

— ჰო. შუა ზამთარში თბილისის ზღვაში ბანაობა რომ გადავწყვიტოთ, პირველად წყალში ის უნდა ჩახტეს... საერთოდ, ამ ასაკში დრო ყველაფრისთვის უნდა გრჩებოდეს, უნდა ისწავლო და თან, გაერთო კიდეც.

**— „შატალოზე“ სად მიდიოდით?**

— ერთხელ ზამთარში, თბილისის ზღვაზე ავედით. იქ თოვლში წამოვწექი და მუზაც მოვიდა, ლექსი დავწერე... ვიმალებოდით „პადვალში“, ვძვრებოდით სკოლის სახურავზე და ვინ იცის, რაღას არ ვაკეთებდით.

**— სიგარეტის მოწევა როდის დაიწყე?**

— 2 წელია. შეყვარებული ჯარში გავუშვი და ვინერვიულე *(იცინის)*... ისე, მაგარი სულელი ვარ.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ მოწევა დავიწყე. სასაცილო იცი, რა არის? ხომ ამბობენ: ვნერვიულობ და იმიტომ ვეწევიო, მე კი, პირიქით მემართება — ის ბიჭი რომ გავაცილე, იმ დღეს ვერ მოვწიე და გოგოები მეკაიფებოდნენ: იმდენად განიცდის, სიგარეტსაც ვეღარ ექაჩება, ხოლო როცა მის ხსენებაზე მოწევა დავიწყე, მაშინ მივხვდი, რომ ისიც დავიწყებას მიეცა.

**— ჯარისკაცს რატომ დაშორდი?**

— რა ვიცი, გადამიბრუნდა ტვინი და — „პაკა“-მეთქი, — დავემშვიდობე. ახლა ცოლად იცი, ვინ მოჰყავს?.. ჩემი ძველი შეყვარებულის დეიდაშვილი. ეს ამბავი მაშინ გავიგე, როცა „ჯეობარიდან“ გამოვედი და ავყვირდი: რა კარგია, ქორწილში ორივე მხრიდან დამპატიჟებენ-მეთქი.

**— იმ ბიჭს მოულოდნელად „პაკა“ რომ უთხარი, არაფერი ესროლა?**

— რა უნდა ესროლა? ქართველ ჯარისკაცებს იარაღი აქვთ?.. რა ვიცი, როცა ვურეკავდი, ხან ჭამდა, ხან — სვამდა, ბოლოს რომ ვნახე, წონაში 10 კილო ჰქონდა მომატებული, მე კი, ღიპიანი ტიპები არ მომწონს. თან, ვისაც თვალი დავადგი, ყველამ ცოლი მოიყვანა...

**— ირაკლი მარხულიამ რითი მოგხიბლა?**

— ირაკლის თვალები რაღაც პონტში, მომეწონა, მაგრამ როცა მითხრა: ჩიპოლინო მწვანილი იყოო, — ვიფიქრე: აქ საქმე ცუდადაა-მეთქი, — და მისი თვალებიც „გაუფერულდა“.

**— მაშინ, რატომ ეუბნებოდი, რომ მოგწონდა?**

— ვკაიფობდი. ჰო, ერთხელ „ჯეობარში“ მეგობარმა მომაკითხა, რაც ძალიან გამიხარდა. ჩავეხუტე, „ჩავეზასე“ და ეს რომ ირაკლი მარხულიამ დაინახა, რაღაცნაირად გამომხედა და მითხრა: შეყვარებული თუ გყავს, ჩემგან რაღა გინდაო *(იცინის)?!*

**— შენი პროგნოზით, ირაკლი ცოლს მალე მოიყვანს?**

— ალბათ, კი... ირაკლი ჩემს ხუმრობებს ვერ იგებდა, სულ ტყუილად ვცდილობდი მის აყოლიებას.

**— „ჯეობარელებიდან“ ახლა ვისთან მეგობრობ?**

— ვანოსთან, ზიკასთან და მელოსთან. ისინი ძალიან მაგრები არიან.

**— „ჯეობარში“ ასაკით ყველაზე პატარა იყავი...**

— ჰოდა, მიხარია, რომ ყველაზე არაორდინარული, არასტანდარტული ვჩანდი. მაგრად ვლადაობ იმაზე, რომ ხალხს ვითომ ჩემი საქციელი არ მოსწონდა და მაინც მიყურებდნენ.

**— როგორც ვიცი, ძალიან გიყვარს რეპი...**

— მართალია და ძალიან მიყვარს ქართველი რეპერი — ძვალი. მიყვარს ასევე სნუპ დოგი... მომწონს კაბუ (როგორც მსახიობი) და ჭკუა მეკეტება ფრედი მერკურიზე.

**— ძვალს იცნობ?**

— ჰო და ძალიან მაგარი ტიპია. მაგრამ სამწუხაროდ, მისი მეგობარი უფრო ხშირად მირეკავს, ვიდრე თვითონ ის.

**— ლექს-სენი არ მოგწონს?**

— აუ, ეგ ტიპი მაგრად არ მევასება. საერთოდ, რეპი არის ოპოზიციონერული მუსიკა, ლექს-სენი კი პატრიოტებზე მღერის და მას რეპმომღერლად ამიტომაც არ მივიჩნევ.

**— შენი აზრით, რა სტილში მღერის?**



ამ ასაკში დრო ყველაფრისთვის უნდა გრჩებოდეს, უნდა ისწავლო და თან, გაერთო კიდეც

— რა ვიცი, მგონი, ახალ მიმდინარეობას — ლექს-სენის პოეზიას აყალიბებს.

— **როგორც ვიცი, ბეჭზე სვირინგი გაქვს.**

— მართალია და ჭიპზე პირსინგიც მაქვს. ახლა მე და ჩემი ძმა ვეჩალიჩებით მამას, რომ წარბის გახვრეტის უფლება მოგვცეს (თუ ჩემსას მივაღწიე, შეიძლება, მალე სახეზე ადგილი არ დამრჩეს, ყველგან საყურეს გავიკეთებ: ცხვირზე, ტუჩზე, ლოყაზე და ა.შ. მოკლედ, გაფრენილი მაქვს, არა?).

— **და გაიჩითება გიჟი და-ძმა...**

— აბა, რა! ადრე მე და ჩემი ძმა ქუჩაში ნაწნავებით რომ დავდიოდით, ხალხი პირდაღებული გვიყურებდა. ერთხელ, ღამით, გაჩერებაზე ვიდექით, ვიღაცამ მანქანა გაგვიჩერა და შემოგვთავაზა: მოდით, სახლამდე მიგიყვანთო. — „ბაზარი“ არ არის-მეთქი, — და ჩავჯექით. იმ ტიპმა ჩალიჩი დაგვიწყო, მაგრამ როცა გაიგო, რომ ჩემი ძმა გოგო არ იყო, საცოდავი, ლამის გადაირია, ძლივს მოვასულიერეთ.

— **ბეჭზე ამოსვირინგებული თვალი რისი სიმბოლოა?**

— მაქვს მესამე თვალი ანუ ყველა მხრიდან და ყველაფერს ვხედავ... ისე, მართლა მაგარი ინტუიცია მაქვს, რაც ზოგჯერ მაშინებს კიდეც. 2-3 დღის წინ, ჩემს ძმას მობილური ტელეფონი გაუფუჭდა და თავისი „კარტა“ ჩემს მობილურში ჩადო. ცოტა ხანში ხილვა დამეწყო — თითქოს ადამიანი, რომლის ზარსაც ძალიან დიდხანს ველოდი, მირეკავდა. ძმას ვუყვირე: ჩქარა, ჩემი „კარტა“ ჩადე-მეთქი! — და მართლაც, იმ ტიპმა მაშინვე დამირეკა...

— **სოფია, სულ რამდენი შეყვარებული გყავდა?**

— შეყვარებული 2-ჯერ ვიყავი. მათ ბოლომდე ვერ გამიგეს და მეც ჯერჯერობით ვერ ვიპოვე ჩემნაირი გიჟი.

— **ახლა შენი გული თავისუფალია?**

— არა, ერთი ტიპი მომწონს, მაგრამ...

— **რა, მაგრამ?**

— დავურეკე და ვუთხარი, რომ მომწონს, მან კი მიპასუხა: მე არ მიყვარხარო. კარგი, „ბაზარი“ არ არის-მეთქი, — და გავუთიშე.

— **ეი. ახლა ცუდ დღეში ხარ?**

— არა, რატომ უნდა ვიყო ცუდად?! მას პრინციპში, კარგად არ ვიცნობდი, უბრალოდ, მომწონდა.

— **დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?**

— საშინელება ხდება: ყველა ტყუპივით დადის, ძალიან ერთნაირები არიან. მაგრამ წიგნებს რომ არ კითხულობენ, ამაზე სერიოზულად მეშლება ნერვები. მათ ვურჩევ, იკითხონ ბევრი, იყვნენ თავისუფლები, არავის მიჰბაძონ და „მასოვკად“ არ იქცნენ. მუდამ დაუჭირონ ცხოვრებას და მიზანსწრაფულები გახდნენ. ყველას წარმატებას ვუსურვებ!

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎ 822 006 005
822 006 099
SMS 1474
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც



# გამოხმაურება



**პატარა,** *18 წლის:*

„ნინო, დავიჯერო დახეული ჯინსი, კედები ან რაღაც თინეიჯერული სამოსი არასდროს ჩაგიცვამს? თვალები ისე გიბრწყინავს სურათებში, მგონია, რომ მაგარი ეშმაკუნა ხარ, სერიოზული ქალის იმიჯს ამოფარებული. მაინც გკოცნი და გეხვევი. „გზა“ მაგრად გლიჯავს, ვკოცნი მთელ რედაქციას“.

**ნინო ჩხეიძე:**

— **კედები მაქვს, მაგრამ სამწუხაროდ, არ მიხდება და ამიტომაც ვერ ვიცვამ. ეშმაკუნა და სერიოზული ქალის იმიჯს ამოფარებული კი ნამდვილად არ ვარ.**

**ანა,** *17 წლის:*

„ამ ინტერვიუმდე ნინოს ნამდვილად არ ვიცნობდი, არც მისი სიმღერები მომისმენია ოდესმე, მაგრამ ძალიან მომეწონა მისი აზროვნება. მეც ძალიან ადრე დავსერიოზულდი და ძალიან მეჩქარება „ქალობა“, სულ არ ვგავარ დღევანდელ თავქარიან თინეიჯერებს. ხანდახან, ძალიან მინდა, რაღაცები არ მადარდებდეს და მსუბუქად შევხედო მოვლენებს, მაგრამ არ გამომდის. ეს ძალიან ცუდია, არა? ნინო, შენი აზრი ძალიან მაინტერესებს“.

— **შეეცადე, დილით კარგი განწყობილებით გაიღვიძო და ყველაფერი კარგად იქნება. წარმატებებს გისურვებ!**

**გვანცა,** *15 წლის:*

„გამარჯობათ. მირჩიეთ რამე, რადგან ეს მართლაც ძალიან მჭირდება. ჩემი დაქალის დაბადების დღეზე გავიცანი მისი ძმის ძმაკაცი — გიო, მას მანამდე არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ძველი ბიჭი იყო, ამიტომაც თავიდანვე არ მესიამოვნა მისგან გადამეტებული ყურადღება. მალე, რაღაც მოვიმიზეზე და სახლში წამოვედი. საღამოს დამიმესიჯა და იმ დღის მერე, არ მასვენებს, მეუბნება — შემხვდიო. ძალიან მომაბეზრა თავი, მაგრამ ძმაკაცებს არ ვეუბნები, რადგან ვიცი, ერიდებიან გიოსთან კონფლიქტს და არ მინდა, ისინი უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო. ის კი, არა და არ ჩერდება, მაგრამ რა ვქნა, არ მომწონს და თავს ხომ არ დავაძალებ მის შეყვარებას? გარეგნულად ძალიან მაგარი ბიჭია, გოგოები მასზე გიჟდებიან, მაგრამ... მარტო გარეგნობა ხომ არაფერს ნიშნავს? საერთოდ არ სწავლობს და მთელ დღეებს ქუჩაში ატარებს. მე კი მინდა, კარგი განათლება მივიღო და არ მსურს, ამაში ხელი ვინმემ შემიშალოს. მირჩიეთ, რა ვქნა?“

— **თუ ის ბიჭი მართლა არ გიყვარს, მაშინ არ დაელაპარაკო და როცა მიხვდება, რომ თავს ვერ შეგაყვარებს, შეგეშვება, რადგან არც ერთ ადამიანს არ უნდა გვერდით ისეთი ადამიანი ჰყავდეს, რომელსაც არ უყვარს. მგონი, ის ვერაფერს დაგაძალებს.**

**ჭრიჭინა,** *17 წლის:*

„ნინო, არ მეგონა ასეთი ახალგაზრდა და ლამაზი თუ იყავი. შენს სიმღერებს რადიოს მეშვეობით ვუსმენ და ძალიან კარგი მომღერალი ხარ. გისურვებ უფლის წყალობას“.

— **ძალიან დიდი მადლობა.**

**ხატია (კახელი),** *18 წლის:*

„ნინო, ხალხურ სიმღერებს მეც კარგად ვმღერი, მომწონს და უკვე მიყვარს კიდეც შენი არჩეული სიმღერების სტილი. მინდა, გაგიცნო და ვიმეგობრო შენთან“.

— **დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან.**

**თათია,** *17 წლის:*

„ვაიმეეე... ლიკა, ეს ვინ გაჩითე „პონტებში“... ნინო, შენი სიმღერების გამო, უნახავად შემიყვარდი. ჟურნალში შენი სურათი ვნახე და ახლა უფრო ვაფანატებ შენზე. გაიხარე“.

— **გაიხარე, ძალიან დიდი მადლობა.**

**იმერელი,** *17 წლის:*

„პრივეტ“, ლიკა. ძალიან მიყვარს „გზა“ და „თინეიჯერული პონტები“, მაგრამ გული მწყდება, როკერებს რომ არ სწყალობ. თუმცა, არა უშავს, შენ მაინც აგიტანთ. ნინოსთან მაქვს შემდეგი კითხვა: ვინ არის მისი მეუღლე და რას საქმიანობს ის? და კიდევ, რატომ ჰგონია, რომ ჩვენს ასაკში გათხოვება ან ცოლის მოყვანა არ შეიძლება, რომ თინეიჯერული ოჯახი აუცილებლად დაინგრევა? დედა 17-ის, მამა კი — 18 წლის იყო, როცა დაოჯახდნენ, მაგრამ ერთმანეთი დღესაც ძალიან უყვართ“.

— **ჩემი მეუღლე ბიზნესმენი გიორგი კორახაშვილია. რაც შეეხება მეორე კითხვას, მე არ მითქვამს, რომ ასეთი რამ გამორიცხულია, უბრალოდ, ხშირ შემთხვევაში, თინეიჯერულ ასაკში შექმნილი ოჯახები ინგრევა. შენს ოჯახს კი, ბედნიერებას ვუსურვებ.**

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

# იმედგაცრუება



## „გზავნილები“ „შემომეკითხა“ და საწოლის ქვეშიდან დაწერილი მესიჯი ანუ „გ“-მ შეჭამა გლობუსი

„იმედგაცრუებაოოოო??? მარი, ეგ არ უნდა გეთქვა. ახლა ყველა იმას მოგწერს — მესიჯებს რომ არ მიბეჭდავ, იმან გამიცრუა იმედიო“... ასე იწინასწარმეტყველა ერთმა მკითხველმა და მართალიც იყო. არ უნდა მომეფიქრებინა ეს თემა, მაგრამ მეგონა, დამინდობდა მკითხველი... მაგრამ მოცემულ თემაზე მოსული მესიჯების უმეტესობა ისეთი სახალისო გახლავთ, რომ თქვენც ჩემსავით გამხიარულდებით. აქვე მინდა, იმ მკითხველებს დიდი მადლობა გადავუხადო, ვინც ჩემ მიმართ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავს და მთხოვს, ეს მესიჯი დავუბეჭდო. ალბათ ხვდებით, ყველა ასეთი „ესემესი“ რომ გამოვაქვეყნო, ეს უკვე „გზავნილები“ კი არა, მარის „სახოტბო-სატრფიალო“ გამოვა. ამიტომ, გული ნუ დაგწყდებათ, თუ მათ ჩემთვის შევინახავ და ხანდახან, როცა ცუდ განწყობილებაზე ვიქნები, თვალს გადავავლებ, რომ გუნება გამომიკეთდეს. ახლა კი თემაზე მოსულ მესიჯებს მივხედოთ.

### „ყვავი“, „სამუშაოი“ და „ავაფეთქეი“...

„ჩემს სამსახურს დაცვა ჰყავს. იქ ერთი ახოვანი, ლამაზი, სახეზე „შრამიანი“, „დაცემა“ ტიპი მუშაობს. არ ვიცნობდი და ამიტომ, შორიდან ვუთვალთვალებდი. ის ყოველ მესამე დღეს მუშაობდა და დიდი ამბით ველოდი ხოლმე მის ცვლას. მოსვენება დამიკარგა ამ ახალგაზრდამ, მაგრამ არ მქონდა მასთან გამოლაპარაკების მიზეზი და რა მექნა? ერთ საღამოს სამსახურში გვიანობამდე შემოვრჩი. წესით, იმ დღეს არ უნდა ემუშავა. თითქმის ყველა გაიკრიფა შენობიდან და დაცვის თანამშრომელმა ჩემს ოთახში შუქი რომ შენიშნა, გადაწყვიტა, შეემოწმებინა, რა ხდებოდა. მე ჩემთვის, თავჩარგული ვმუშაობდი, როცა ვილაცამ ოთახის კარი შემოაღო. მის დანახვაზე თვალები ამიცრიმცრიმდა. მკითხა: აქ რატომ ხარო? ვუპასუხე — სამუშაო მაქვს-მეთქი. შემოვიდა და სკამზე ჩამოჯდა. წერას თავი დავანებე და ყავა შევთავაზე. გამომელაპარაკა:

— შენა, აქა დიდი ხანია, მუშაობ?

— კი, უკვე 4 წელია.

— სამუშაოი ბევრი გაქ?

— არა, არც ისე, უკვე ვამთავრებ... სახეზე „შრამი“ რატომ გაქვს?

— ესააა? აფხაზეთში ვიბრძოდი, ჰოდა, ისე ავაფეთქეი ბომბი, ისე ავაფეთქეი, რომა, მეც მომხვდა.

— უი, კიდევ კარგი, გადარჩი.

— ჯიგარო, შენ მაგაზე არ ინერვიანო, კატასავითა ვარ, 9 სული მაქ. ეს ყვავაი რა ცხელი გაგიკეთებია! რა, უნდა დამწვა?

მოკლედ, ბევრს აღარ გავაგრძელებ და ამის შემდეგ, ეს ბიჭი სულ „ამოვიღეი“ გულიდანა და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ცდილობდა გამომლაპარაკებოდა, მე არ ვუჩერდებოდი და ისევ მხოლოდ გამარჯობას ვჯერდებოდი. ეს დიდი იმედგაცრუება იყო. შესაძლოა, არ ვარ მართალი და იმის გამო, რომ ადამიანი რომელიღაც დიალექტზე საუბრობს, არ უნდა დაიწუნო, მაგრამ აბა, გულს ხომ ვერ უბრძანებ?.. კარგად. ყველას გისურვებთ, რომ იმედგაცრუება არასოდეს გეწვნიოთ“.

*გამიგონია, ფული ხელის ჭუჭყიაო, მაგრამ ალბათ ყველა დამეთანხმებით, რომ ეს ჭუჭყი მეტად „კეთილშობილია“. ისიც გამიგონია, რომ „ლიმონი“ მილიონს ნიშნავს, მაგრამ ამას წინათ ტელევიზიით კორუმპირებული და გამომძალველი გამომძიებლისა და ადვოკატის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი რომ მოვისმინე (რაც უკვე ჩვეულებრივი ამბავია), ასეთი არაფერი გამიგონია: ერთი ინდაური, ორი ინდაური, სამი ინდაური... ასე ითვლიდნენ ფულს, მაგრამ ვერაფრით მივხვდი, ეს „ინდაური“ ფულის როგორი ერთეულია... ნეტავ, ასს ნიშნავს, ათასს თუ კიდევ უფრო მეტს? მოკლედ, გასათხოვარი გოგონების საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ თუ კაცს ხუთი-ექვსი „კეთილშობილი“ „ინდაური“ მაინც არა აქვს, ისე ცოლად არ უნდა გაჰყვეთ...*

### საწყალი ნატა

„ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, ჩემს დაქალს ეხება. ნატას შეყვარებული ჰყავდა და მასთან სექსიც ჰქონდა, მაგრამ ის ბიჭი არ უყვარდა, ბიჭს კი მასზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. ერთი წლის განმავლობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბიჭი ცოლობას სთხოვდა, ნატა არ თანხმდებოდა, რადგან ღარიბი ოჯახიდან იყო, მაგრამ ბოლოს, მაინც დაითანხმა და გაიპარნენ, ერთ სოფელში ჩავიდნენ. ოჯახში, სადაც ისინი მივიდნენ, ერთი ბიჭი სტუმრობდა, რომელიც ნატას ძალიან მოეწონა. არც ის ტიპი დარჩა გულგრილი, ქალს ოქრო-ვერცხლს შეჰპირდა (იმასაც მეტი არაფერი აინტერესებდა) და ნატამაც გადაწყვიტა, მასთან ერთად გაპარულიყო. იმ ბიჭმა ჩემი დაქალი მეზობელ სოფელში წაიყვანა. თან, გზაში ეუბნებოდა: იქ ჩემი ახლობლები ცხოვრობენო. მივიდნენ ძალიან პატარა, მოცუცქნულ ქოხში, სადაც გაირკვა, რომ ის ქოხი ახლობლების კი არა, ნატას ახალგამომცხვარი ქმრის იყო. აი, ასეთი იმედგაცრუება ჰქონდა ნატას. „პაკააა“. ჰო, კინაღამ დამავიწყდა: ნატა ორ თვეში იმასაც გასცილდა. მისი პირველი საქმრო კი ახლა ძალიან მდიდარია“.

### ვერსაჩე

„შუახნის კაცი ვარ. 50-ს კარგა ხანია, გადავაბიჯე, მაგრამ გული მაინც ახალგაზრდულად მერჩის. ერთი ახალგაზრდა ძმაკაცი მყავს, ჯერ სულ რაღაც 35 წლის გახლავთ. ლამაზი ბიჭია, მაღალი, მოხდენილი და ქალები ეცემიან მასზე. ისიც დგას და ტრაბახობს, მთელი ქალაქის ქალები მიცნობენო... მეც კი ვიცი, რომ კარგი ტიპია, მაგრამ სულ ვეკაიფები ამის გამო და იმის გამოც, რომ რამდენჯერმე, როცა ძირს დაიხარა, საცვლის „რეზინა“ გამოუჩნდა, ზედ კი

„ვერსაჩე“ ეწერა. ეს „ჩავიხვიე“ და ყველას ვეუბნებოდი: ასეთი არაფერი მინახავს, ბადრის და ჩემს მეზობელ გოგოს ერთნაირი „ტრუსიკები“ აცვიათ-მეთქი... ჰოდა, ერთხელ მე და ჩემი მეგობარი ბაზრობაზე წავედით. გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ მეკაიფა მასზე. მივედით იმ დახლთან, სადაც მამაკაცის წინდები, საცვლები და სხვა წვრილმანები იყიდება და გამყიდველ ქალს (კარგი ქალი კი იყო, დალოცვილი) ვეუბნები: ისეთი „ტრუსიკი“ მინდა, ჩემს მეზობელ გოგოს და ბადრის რომ აცვიათ-მეთქი. ის ქალი მომიბრუნდა და მითხრა: არ ვიცი, შენს მეზობელ გოგოს როგორი „ტრუსიკი“ აცვია, მაგრამ ბადრის აი, ასეთი აცვია და თუ გინდა, იყიდე, თუ არა და, გაიარეო... ლამის გადავირიე. ჩემი მეგობარი კი სიცილისგან ცუდად გახდა და სულს ძლივს იბრუნებდა... ვითომ, ვეკაიფებოდი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა... არადა, მართლა კარგი ტიპია, მაგრამ ეს „ვერსაჩე“ რატომ აწერია, მაინც ვერ ვხვდები... შოთა“.

## „საწოლსქვეშეთი“

„მარი, ახლა თითქმის საწოლის ქვეშიდან გწერ. ამ სიტუაციაში შემთხვევით აღმოვჩნდი. ახლა, რა ხდება: სტუმრად მივედი ახლობელთან. იქ დამხვდა ჩემი დაქალი, რომელიც იმავე ოთახშია და საწოლზე წევს. სწორედ, მის ბოიფრენდს ცოლშვილიან კაცს ელოდნენ, რომ საქმე გაერჩიათ მისთვის. ჩემი დაქალი ფეხმძიმედაა მისგან და ბოიფრენდიც ბავშვის დაბადების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ახლა გაბუტულები არიან... მე საწოლის ქვეშ ვზივარ და ჩემი ყურით ვისმენ, რას ამბობს ეს კაცი. ამაზე დიდი იმედგაცრუება გაგიგია? რატომ აღარ არსებობენ სრულფასოვანი კაცები? სად წავიდნენ? რატომ ვრჩებით ქალები ყოველ ნაბიჯზე იმედგაცრუებულები? აი, კარზე ზარია. ვიღაც უდროო დროს მოვიდა... აბა, გემშვიდობებით, „საწოლსქვეშეთიდან“. იმედგაცრუებული გოგო“.



## ქურდი თუ იურისტი?

„ერთი ბიჭი მიყვარდა 12 წლიდან, მაგრამ რადგან ის სვანეთში ცხოვრობდა, ვერ ვეკონტაქტებოდი. მთელი 3 წელი ასე, შორიდან მიყვარდა. ერთ დღეს კი შემთხვევით შევხვდი ქუჩაში. ვისაუბრეთ. მითხრა: ქურდობას ვაპირებ და შენ ჩემთან ერთად ცხოვრება გაგიჭირდება, სულ შიშში იქნებიო. მოკლედ, იმედი გამიცრუვდა. არადა, მის გამო სვანურიც კი ვისწავლე... 15 წლისამ სწავლას თავი დავანებე და სკოლიდან გამოვედი. გარშემო სულ კრიმინალები შემოვიკრიბე. პოლიციას ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენია. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს დამიბარეს და არჩევანის წინაშე დამაყენეს — ან ვინმეს დაგვაჭერინებ, ან შენ ჩაგსვამთო. ოღონდ თავი დაენებებინათ და მათ პირობას დავთანხმდი, ძალიან ვიყავი შეშინებული. ისეთი ბიჭი „ჩამაგდებინეს“, რომელსაც წესიერად არც კი ვიცნობდი. ვიცი, ახლა ბევრი გამკიცხავს, მაგრამ ჩემს ადგილზე ნეტავ, სხვები როგორ მოიქცეოდნენ? ამ ამბის შემდეგ, პატიმრებით დავინტერესდი და სულ ციხე მელანდებოდა. ვინც ჩავსვი, იმ ბიჭმა მთხოვა, რომ მის სანახავად მივსულიყავი. გავბედე, მივედი, ბევრი ვილაპარაკეთ და იმანაც გამიგო, მაპატია. მითხრა: ოღონდ შენ არაფერი დაგიშავონ და მე აქ ვიჯდებიო... ქურდული სამყაროთი დავინტერესდი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა, რადგან გოგო ვარ და ქურდი ვერასოდეს გავხდები. ავდექი და იურიდიულზე ჩავაბარე. მინდა, პატიმრის ცოლი მერქვას. ჩემი ქმარი კი ალბათ, სწორედ ის პატიმარი გახდება, ვინც მე დავაჭერინე. როგორც თვითონ მითხრა, ვუყვარვარ. მეც მიყვარხარ. შენი ბაჭია“.

## 3 „კრუგი“

„სულ ახალი ამბავია. ჩემს დამრიგებელს მამამთილი გარდაეცვალა. ჩვენც მეტი რა გვინდოდა? დავირაზმეთ კლასელები და დიდი „ვენოკით“ მივადექით მიცვალებულის სახლს. ჩემი მასწავლებელი კუბოს თავთან იყო გამოჭიმული. რომ დაგვინახა, გაიჯგიმა, გაუხარდა ჩვენი დანახვა, მაგრამ მოვჭერით თავი: ჯერ იყო და ჩემი კლასელი ლამის მკვდარს ზედ გადაემხო, მერე, „ვენოკი“ ფეხების ნაცვლად, მიცვალებულს თავთან დავუდეთ და მესამე „კრუგზე“ რომ წავედით, მასწავლებელმა გარეთ გამოგვყარა. აი, ასე გავუცრუეთ იმედი დამრიგებელს“.

## ცუდი შვილიშვილი

„ერთხელ, ახალციხეში დიდი თოვლი მოვიდა. მე მაშინ 12 წლის ვიყავი. ბებიამ მითხრა — თუ სახურავს გადმოთოვლავ, 10 ლარს მოგცემო. ძალიან გამიხარდა. მთელი დღე მოვუნდი, მაგრამ მაინც გადმოვთოვლე. ვალმოხდილი მივედი ბებოსთან და დანაპირები გასამრჯელო მოვთხოვე. მითხრა: ახლა არ მაქვს და პენსიას რომ ავიღებ, მერე მოგცემო. იცით, როგორ გავბრაზდი? ავდექი და მთელი თოვლი უკანვე ავყარე. ბებოს კი ვუთხარი: როცა პენსიას მიიღებ, მაშინ გადმოვთოვლავ-მეთქი. აი, ასე გამიცრუა ბებომ იმედი. ჯეჯე“.

*ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.*

„იმედგაცრუება ძალიან ცუდი რამაა. მე შეყვარებულმა გამიცრუა იმედი — წავიდა და მიმატოვა. ისე ვინერვიულე, რომ თავის მოკვლა მინდოდა. რიჰანა“.

„იმედგაცრუება ბევრჯერ გამოვცადე. სიყვარულში, მეგობრებში და კიდევ, რაში აღარ. ძირს, ასეთი ადამიანები! ჭინკა“.

„ეჰ, მარი, მესიჯებს რომ არ მიბეჭდავ, მაშინ განვიცდი იმედგაცრუებას. ჯერ 18 წლის ვარ და უკვე იმდენი პრობლემა მქონდა... ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ცოტა ხნის წინ გავთხოვდი, მაგრამ სხვა მიყვარს. ვიცი, ცოდვაა, მაგრამ... „ტანჯულა“.

„მეგონა, აფხაზეთში დავბრუნდებოდი, მაგრამ ოქრუაშვილის გადაყენების შემდეგ იმედი გამიცრუვდა. დევნილი სულიკო. ფოთი“.

„15 წლის გავთხოვდი და მეგონა, რომ მსოფლიოში ყველაზე მაგარ ბიჭს გავყევი ცოლად. ახლა 17 წლის ვარ და უკვე, ვშორდებით (გული მტკივა იმის გამო, რომ ჩემს პატარას მამა ძალიან უყვარს). მე სხვა, ჩემი ბავშვობის მეგობარი შემიყვარდა. ისე, ჩემი ქმარი უარესის ღირსია. პატარა დედიკო“.

„დედაჩემი ვერ იტანდა ჩემს შეყვარებულს, დათოს. როგორც იქნა, აზრი შევაცვლევინე, ახლა კი დათო ამერიკაში მიდის. დათ, არ წახვიდე, რა! აი, ასეთია იმედგაცრუება. დუშელი“.

„მთელი ჩემი ცხოვრება იმედგაცრუებაა: ქმარი მყავდა, რომელსაც შვილი არასოდეს უნახავს; ახლა ერთ ლამაზთვალებას ვხვდები, მაგრამ ბედი არ გინდა? მას არ ვუყვარვარ. მე კი მინდა, საქვეყნოდ ვუთხრა, რომ ჩემი ღიპუცა მიყვარს. იმედგაცრუებული“.

„იმედგაცრუება იცით, რა იყო? მარი, პირველად მოგწერე მესიჯი და ხუთშაბათს კანკალით ველოდი. შენ კი არ დამიბეჭდე. მარჯა“.

„კოდით — 877 ერთადერთი ნომერი

მიწერია ტელეფონში. ამ ნომერზე თვეში მინიმუმ 45 და მაქსიმუმ — 68 მესიჯს ვგზავნი. თითოეულს წინ უძღვის დიდი თხოვნა, რომ დამიბეჭდო. მარი, ამ ყველაფრის შემდეგ ვარ თუ არა ღირსი, რომ ინტერვიუზე მიმიწვიო? მეგრელი კანიბალკა".

„მარი, „გზავნილები" უკვე „შემომეკითხა" და ახლა, რა გავაკეთო? ისე, მომშივდა და გლობუსის დარჩენილი ნახევრის ჭამას დავიწყებ. სანამ შემიჭამია, დატკბით მისი ცქერით. თათა".

„ამაზე მეტი იმედგაცრუება რა გინდა? მესიჯი არ დამიბეჭდე. მე კი თვალები მეტკინა, ჩემი მესიჯის ძებნით. მორჩა, აღარ დაგიმესიჯებ. ამუნია".

„ოცთეთრიან" ავტობუსში ვზივარ, „გზავნილებს" ვკითხულობ და თან, გიმესიჯებ. იმედგაცრუება ოთხწლიანი სიყვარულის დაკარგვით განვიცადე. ბუ".

„მარი, შენს რუბრიკაზე მაბოდებს. ნება მომეცით, მეც შემოვიჭრა თქვენს „სასტავში". იმედი ჩემმა „ექსლოვემ" გამიცრუა. თურმე, ისეთი სულაც არ ყოფილა, მე რომ მეგონა. დავასწარი და პირველმა „დავადე". ის კი დღესაც ვერ ძლებს უჩემოდ. ბუსი".

„ამქვეყნად ყველაზე აუტანელი, იმედგაცრუების ტკივილი ყოფილა. ახლა სწორედ ეს ტკივილი მახრჩობს და ვერაფერი მოვიფიქრე ისეთი, რომ მე დავახრჩო. თათა".

„მარი, ჩემი პირველი მესიჯის სიტყვები რომ სათაურად ვნახე, ძალიან გამიხარდა. არც კი ვიცი, მაშინ რატომ მოგწერე. დღეს ჟურნალი რომ ვნახე, ისევ მომინდა დამესიჯება. ძალიან დიდი ხანი ვიყავი ჩემი ქმრის ფანი და ერთ დღეში ჩამომენგრა ზეცა თავზე. ნეტავ, მე ვარ ცუდი თუ ის, ვინც გული გამიტეხა?"

„მე ბებიაჩემს გავუცრუე იმედი. ავად იყო და რომ მითხრა, წამალი დამალევინეო, ასპირინი მივუტანე. რა თქმა უნდა, წყალში არ გამიხსნია. ჯერ შეიცხადა, ამხელა აბი როგორ გადავყლაპოო. ბევრი ხვეწნის შემდეგ, როგორც იქნა, გადაყლაპა და წყალი მიაყოლა. რამდენიმე წამის შემდეგ, მთელი სახლი ფეხზე დადგა ბებიაჩემის კივილის გამო. საწყალს ძალიან შეეშინდა, როცა წამალმა მუცელში დაიწყო შუშხუნი. „ინდივიდი".

„ეეეჰ, გავუცრუე მამაჩემს იმედები. კაცი ამაყობდა, ჭკვიანი შვილი მყავსო, მე კი, როცა მნიშვნელოვან შეხვედრაზე აგვიანდებოდა და მთხოვა: ჩემი შავი შარვალი მომიტანეო, თავისი შარვლის ნაცვლად, დედაჩემის მივუტანე, რომელშიც ძლივს ჩაეკვეხა. ერთი კი თქვა, როგორ გავსუქებულვაროო და წავიდა. შინ დაბრუნებულს დედამ მწარედ დასცინა: ამხელა კაცი ვერ უნდა ხვდებოდე, რას იცვამო? ჰოოდა, ამის შემდეგ, საწყალი მამა დახმარებას აღარ მთხოვს".

„ეჰ, გუდაურში მინდოდა წასვლა, მაგრამ ვინ მიშვებს? ჯერ პატარა ხარო... არადა, არც ისე პატარა ვარ. დავრჩი ასე, იმედგაცრუებული. „ტუში".

„საუკეთესო გამოსავალი იმისა, რომ იმედი არ გაგიცრუვდეს, ის არის, რომ საერთოდ არ გქონდეს იმედი. იგი ოცნებას ძალიან ჰგავს, მაგრამ როცა ციდან მიწაზე დაენარცხები, უფრო გტკივა. ჩემი იმედგაცრუება ის იყო, რომ ქართულის სწავლაზე ტვინს ვანთხევდი, მაგრამ ბოლოს, მასწავლებელმა მაინც „შვიდიანი" დამიწერა. ვოცნებობდი, რომ სადმე დავხვედროდი და კაცურად მეცემა".

„ძალიან მიცრუებენ იმედს ჩემი ძაღლი სოსო და ფისო — ლილიკო. ერთმანეთს თვალის დასანახავად ვერ იტანენ. მე კი ორივე მიყვარს... დღეს იმედი გამოცდაზეც გამიცრუვდა. 85 ქულის მეტი ვერ გაიმეტა ჩემმა ძუნწმა ლექტორმა. ასევე, იმედი ძალიან მაგრად გამიცრუვდება, „ყაზარმაში" თუ არ მიმიღებენ".

„გამარჯობა, მარორიტა. იცი, მართლაც კარგი აზრია შენი ფანკლუბის შექმნა. ყველანი რაღაცას გწერთ — სიყვარულზე, უიღბლობაზე, პრობლემებზე, შენ შესახებ კი არაფერი ვიცით. შეგვპირდი, რომ ახლო მომავალში, შენზე უფრო მეტს გავიგებთ".

„მარი, მომეწონა ინტერვიუ, მაგრამ მე 22 წლის ვარ. მეგობრები მეუბნებიან, რატომ დაიბერე თავიო... ისე, როგორც ყოველთვის, ძალზე არაფოტოგენური ვარ. იმედგაცრუება ჩემი „პროფილია"... ინტერვიუში რომ ვამბობდი, გოგო მიყვარს-მეთქი, იმ გოგოს ნინო ჰქვია, „შრამიანი" ანგელოზის" ნიკით გწერდათ ხოლმე. მინდა, ყველამ გაიგოს, რომ ნინო მიყვარს! „მონასტრის ბიჭი".

„მარორიტა, გლობუსის ჩაკბეჩაზე თემა პირველად მე შემოვაგდე „გზავნილებში" და ნამდვილი ფურორი მოახდინა. თურმე, ის გლობუსი მის გვერდით მდგარ ასო „გ"-ს შეუჭამია. „მერწყული".

„იმედგაცრუება ეს ისაა, რასაც ყველა ნარკომანის ცოლი, დედა თუ შეყვარებული განიცდის. იქნებ, ეს თემა შემოგვთავაზო? „წამლის" გამო მიტოვებული გოგო, იაკო".

„იმედგაცრუებული ჩემი დაიკოა. საყვარელი მამაკაცი სვიტერის ყიდვას შეჰპირდა. ჩემმა დაიკომ შეახსენა პირობა, მაგრამ კარგი პასუხი მიიღო: ალბათ, მთვრალი ვიყავიო... სვიტერი კი შერჩა, მაგრამ ვალით ნაყიდი... ეჰ, რას გაუგებ ამ ცხოვრებას?"

„ვისაც ვუყვარდი, ხელი ვკარი და დავცინოდი. ახლა კი ვინც მიყვარს, ის მკრავს ხელს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქმარია. მგონი, ღმერთი მაღლიდან მიყურებს და დამცინის. „ჭიამაია".

„აუ, „მონასტრის ბიჭო", შენი თეთრი შურით მშურს. ნეტავ, შენს ადგილზე ვიყო... გარიჟრაჟა".

„ვზივარ და წიგნებს ვაკლავ თავს. ნამდვილი იმედგაცრუება მაშინ იქნება, თუ ეროვნულ გამოცდებს ვერ ჩავაბარებ. იქნებ, მომავალში კარგი „მეჩაქუჩე" გამოვიდე... კიკი-რიკი".

„იმედგაცრუება არ არის? სულ სხვადასხვა ნომრიდან ვამესიჯებ და ჯერ ჩემი მესიჯი არ დაგიბეჭდავს... იმედი ამ ზამთარმაც გაგვიცრუა და თოვლი არ გვაჩუქა".

„ჩვენს სკოლაში ერთი მაგარი ბიჭი გადმოვიდა და თავი შემაყვარა. მომავლის გეგმებიც დამაწყობინა, მაგრამ ფაფუუ! ისევ სხვა სკოლაში გადავიდა. პატარა პრინცესა".

„ეჰ... რამდენჯერაც მესიჯი გამოვაგზავნე, იმდენჯერ არ დაიბეჭდა. მარი, შენ გამო კომპლექსი გამიჩნდა. ასე მგონია, ვერავინ მამჩნევს და ჩემი არავის ესმის. იტა".

„მინდოდა, იმ კაცის ცოლი გავმხდარიყავი, ვინც გულით მიყვარდა, მაგრამ ჩვენ შორის სხვა ჩადგა და ისიც დაიკარგა. მე მისთვის მხოლოდ სიყვარულის მიცემა შემეძლო, მან კი, სიმდიდრე არჩია. „პუპსიკა".

„ძმის ძმაკაცი შემიყვარდა, მაგრამ, რა ჩემი ბრალია? ქვეშ-ქვეშ რომ მიყურებდა, კარგი იყო? ახლა რომ მიმატოვა და შორს წავიდა, კარგია? მაინც მიყვარხარ, „ვეშაპო".

„სულ მინდა, რომ მოგწეროთ, ყველა თემაზე მაქვს მოსაყოლი, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრები წაიკითხავენ და მიცნობენ. რა სახელით არ მოგწერეთ მესიჯი, მაგრამ დედაჩემი მაინც მიხვდა, რომ მე ვიყავი. მოდი, ქუთაისში არ გამოუშვათ „გზა", მაგრამ მე როგორღა წავიკითხო? ეჰ, ჯანდაბას, ოღონდ დამიბეჭდეთ და არ ვჩივი, გაიგონ ჩემებმა. „კამა".

„მარი, „გზავნილებს" გაფიცებ, ეს მესიჯი დამიბეჭდე. ერთი გოგო მიყვარს. ჰოდა, ერთხელ ჩემმა სიცოცხლემ მითხრა, რომ თურმე, თავისი ძმაკაცი ჰყვარებია. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა. შემდეგ მითხრა, რომ თურმე, ისევ მე ვუყვარვარ. ამ საყვარელ გოგოს „გზავნილების" ყველა მკითხველი იცნობს. მუმუ".

„ჩემი ყველაზე დიდი იმედგაცრუება მამაჩემია. ჭკუას მოუხმე, უკვე 43 წლის ხარ. ვიცი, რომ ამ მესიჯს წაიკითხავ და მიხვდები, რომ არ ვხუმრობ და მობეზრდა შენი საქციელი. მარიშკა".

„მთელი ცხოვრება პარაშუტით გადმოხტომაზე და მოტოციკლით „გონკაობაზე" ვოცნებობ. ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, ბიჭი რომ ვიყო. ალბათ, სისხლი ყივის. ჩემი წინაპრებიდან ზოგი ქურდი იყო, ზოგი — აბრაგი. მე რა ვქნა, გავტერორისტდე? მამა მანქანის ტარების უფლებას არ მაძლევს და მოტოციკლს მიყიდის? ეჰ... მაგარი იმედგაცრუებული ვარ, ბიჭად მაინც დავბადებულიყავი. ნარჩიტა".

„ჩემს მესიჯებს რომ არ ბეჭდავთ, იმედს იმით მიცრუებთ. არც სიყვარულში გამიმართლა. ახლა გადავწყვიტე, არავითარი უცხო ბიჭი და სიყვარული, რადგან ისიც საკმარისია, რომ მარი ხშირად მიცრუებს იმედს. პუკი".

„იმედი ჩემმა ქმარმა გამიცრუა. მატყუებდა, მესიჯების წერა არ ვიციო, მაგრამ გუშინ, მის მობილურში ისეთი სასიყვრულო მესიჯები წავიკითხე, რომ თვალებს არ ვუჯერებდი. მერე რაც მოხდებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ? ისე-

თი ამბავი ავტეხე, სად დამალულიყო, არ იცოდა და სახლიდან გაიქცა. დღეს დაბრუნდა დარცხვენილი და სულ კუდში დამდევს, რომ ვაპატიო. მოკლედ, კაცების ნდობა არ შეიძლება, რა!“

„რამდენიმე თვის განმავლობაში ერთ გოგოსთან დილის 5 საათამდე მესიჯებით მიმოწერა მქონდა. ლაღი საუბრები ყველა თემაზე, თბილი ურთიერთობა, „გენაცვალეეე“.... „შემოგევლეეეე“... და უცებ, „მშვიდობით, ბედნიერად“... რა დავარქვა, არ ვიცი — იმედგაცრუება, ბედისგან გაცურება თუ „რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის“? ალბათ, მაინც ეს უკანასკნელი“.

„მარი, დაუშვი გამონაკლისი და დამიბეჭდე მესიჯი. იმედგაცრუებას მიჩვეული ვარ, მაგრამ შენ მთლად გადამრიე. ახლა „მონასტრის ბიჭის“ ინტერვიუ წავიკითხე. ნუთუ, არ შეიძლება, რომ ჩემი სულ პაწაწინა მესიჯი გამოაქვეყნო? ერთხელაც დავიღლები უაზროდ გზავნით და... ლიკანა“.

„იმედგაცრუება ჩემმა მეზობლებმა რომ ნახეს, ისეთი უნდა. კაფეში ცხელი შოკოლადი შეუკვეთეს და მიმტანმა წყალში გახსნილი კაკაო მიუტანა“.

„16 წელი ვიცხოვრე ქმართან. ახლა კი გამომიცხადა, ერთმანეთს ვერ ვეწყობით და კარგად იყავიო. გამწარებული ვარ. რომ ჰკითხო, საყვარელი არ ჰყავს... რა ვქნა, არ ვიცი, რადგან მიყვარს“.

„ჩემს დეგენერატ კლასელს მასწავლებელმა თავზე „პოლის“ ჯოხი გადაამტვრია და მაინც არ ეტკინა. იცით, რამხელა თავი აქვს? პატარა ბ.ა.ლ.ი“.

„იმედგაცრუებული მაშინ ვარ, როცა „გზაში“ ჩემი მესიჯი არ იბეჭდება. ამიტომაც ავიღე 2 კვირით „შვებულება“. ახლა დავბრუნდი და იმედია, გამომიქვეყნებ. „სტიქიას“ ფანებო, ის ცოლიანი არ არის. „ოპოზიციას“ კი მინდა, მივუსამძიმრო და ვუთხრა — ალბათ, ძალიან გინდა, რომ ჯაბას ცოლი იყო. „სტიქიას“ ცოლის სტატუსი მოირგე? არადა, როგორ არ მოგიხდა! პრინცესა“.

„ეს იმედგაცრუება ისე „მომეწება“, რომ შევეჩვიე კიდეც. „გზავნილები“ ბევრი იმედგაცრუებულის „თავშესაფარია“. გიჟი გოგო“.

„თუ გამოცდები ვერ ჩავაბარე, იმედი მოკვდება... მის ცუნცულა“.

„ჩემმა ხევსურმა დედამთილმა 3 ჯანღონით სავსე შვილი დამარხა და წარმოიდგინე, სრულ ჭკუაზეა. ახლა ერთი პატარა ბაჭიას იმედად არის. მე კი ქალაქი მივატოვე და სოფელში გადავბარგდი. ახლა სოფლის სკოლაში დავიწყე მუშაობა, ხალათიც ვიყიდე და კალოშებიც. ჩემს დედამთილ-მამამთილს კი მინდა ვუთხრა, რომ ორივე ძალიან მიყვარს და არასოდეს მივატოვებ მათ. „ცხოვრებისგან დაჩაგრული“.



„იმედგაცრუებაა, აბა, რა არის, ჯაფარიძე ხალხს თავს აყვარებს და მერე, იმედს უცრუებს. არა, მათ შორის არ ვარ და ვაიიიიი... არ მოვხვდე, თორემ საქართველო დაკარგავს უნიჭო მხატვარს, გიჟ პოეტს, გადარეულ მისტიკოსს და სულით სვანს. მარი, დამიბეჭდე, თორემ თავს ჩამოვიხრჩობ და მითხარი, ერთი „საცოდავი“ მესიჯი გიღირს ამად? ჰოდა, ველი „გზის“ მეხუთე ნომერს“.

„იმედგაცრუება ჩემი ქორწინება იყო. ვცხოვრობ ადამიანთან, რომელიც ვერაფრით შევიყვარე“.

„თურმე, ჩემო მარი, ეს ქვეყანა ჩალით ყოფილა დახურული. აბა, ჩემნაირი ლამაზი და ჭკვიანი გოგო როგორ არ უნდა მიეღოთ ბანკში, მოლარე-ოპერატორად? ეჰ... მაგრად გამიცრუვდა იმედი, როცა არ დამირეკეს. სალი“.

„შარშან აბიტურიენტი ვიყავი და ყველა დარწმუნებული იყო, რომ ვერ ჩავაბარებდი, მაგრამ მათ იმედი გავუცრუე და სტუდენტი გავხდი. თანაც, „გრანტიანი“. ხომ ჩავაბარეეეეეეე????“

„იმედი ამ რამდენიმე კვირის წინ გამიცრუა ადამიანმა, რომელიც ჯერ ჩემი ძმაკაცი იყო, მერე, სიყვარული ამიხსნა და ბოლოს, გაუპატიურებას ძლივს გადავრჩი. ეს საშინელება იყო“.

„მეგონა, ფიზიკაში ცოტა რამეს მაინც ვისწავლიდი, მაგრამ თავში არაფერი შედის. ერთ ფორმულას ვისწავლი, მეორე მავიწყდება... არადა, გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი“.

„ჩემი იმედგაცრუება ის არის, რომ მეგონა, მალე არ დამთავრდებოდა ეს სერიალი — „ფარული ვნება“. ის კი სულ რაღაც 299 სერია იყო. ეეეჰ... „დიფსი“.

*ახლა ცოტა მივიწყებული ქვერუბრიკა გავიხსენოთ.*

## მკითხველის ჰედლაინები

„მე მედიცინის მუშაკი ვარ და უროლოგიურ განყოფილებაში ვმუშაობ. მიუხედავად იმისა, რომ გასათხოვარი ვიყავი და მამაკაცთან არანაირი ურთიერთობა არ მქონდა, უამრავი უცხო მამაკაცის, სხვადასხვა ზომისა და ფორმის „ის“ მინახავს და ხელიც შემიხია, როცა კათეტერს ვდგამდი ხოლმე. გავთხოვდი და... იმედი გამიცრუვდა. იმ ანეგდოტის არ იყოს, დილით ლამის ხმამაღლა ვთქვი: — ეზოც რა პატარა გქონიათ-მეთქი... ნეტავ, რა უნდა ვქნა?“

„იმედი გამიცრუვდა, როცა სოფლიდან დაგვირეკეს, რომ თურმე, ჩემი დედამთილი ძალზე ცუდად გამხდარა. სასწრაფოდ ჩამოდით, კვდებაო. მაშინვე გავიქეცით და რომ მივედით, ქალი ჩიტივით იყო, ჯანმრთელი და საღ-სალამათი. ეჰ, არადა, რა იმედი მქონდა“...

„ეჰ... იმედი მაქვს გაცრუებული, აბა, რა ჯანდაბაა? ქალი პაემნისთვის ვემზადებოდი და გრიპი არ „მეცა“? ფუ, რა საშინელი სენია! ახლა „09“-ში ვრეკავ, გრიპის მისამართი უნდა გავიგო და „დავუპადიეზდო“. გეშინოდეს, გრიპო, „გერხევა“! ლუნო“.

*როგორც „გზავნილების“ ავტორი, ჩემს თავს უფლებას მივცემ, ის მესიჯები ამოვარჩიო, რომელიც ძალიან მომეწონება. ეს ჰედლაინების საპირწონე ქვერუბრიკა იქნება. ამჯერად, 2 მესიჯს გთავაზობთ.*

„ვქმნი გაერთიანებას — „გაუღიმე იმედგაცრუებას“. უიღბლოებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! დავცინოთ იმედგაცრუებას და იქით გავუცრუოთ იმედი. აბა, როგორია?“

„მე 15 წლის ლიზი ვარ. იმედს ჩემი თუთიყუში მიცრუებს, რადგან ლაპარაკს ვერ სწავლობს. ბევრს ველაპარაკები, მაგრამ ჯერ თავისი სახელიც არ უთქვამს. გთხოვ, კოკო, ხმა ამოიღე, უკვე დიდი ბიჭი ხარ“.

*„გზავნილებს“ აქ ვამთავრებთ. მომდევნო კვირის თემად კი გთავაზობთ — „ზოგი ჭირი მარგებელია“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელ მისამართზე: marorita77@yahoo.com მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

■

## Spyker-ის ახალი ექსკლუზივი



ჰოლანდიური კომპანია Spyker, რომელიც სპორტულ ავტომობილებს უშვებს, ახალი მოდელის შექმნაზე მუშაობს, რომელიც მარკის ფლაგმანად უნდა იქცეს. ახალ მანქანას 2007 წლის მარტში, ჟენევის ავტოშოუზე წარმოადგენენ. ის ყველაზე შეძლებული კლიენტებისათვის იქნება განკუთვნილი. როგორც მოსალოდნელია, სიახლის დიზაინი სამიდან ერთ-ერთ ცნობილ იტალიურ სტუდიაში შეიქმნება: Pininfarina-ში, Bertone-ში ან Italdesign-ში. მანქანა 500 ცხ.ძ. სიმძლავრის და 6.0 ლ მოცულობის მქონე, Audi-ს W12 ტიპის ძრავათი იქნება აღჭურვილი, რომელიც უკვე იყო გამოყენებული Spyker C12-ზე. ავტომობილის დინამიკურ მახასიათებლებზე ჯერ არაფერია ცნობილი.

გარდა ამისა, Spyker-მა გაავრცელა ინფორმაცია სერიული D12-ის შესახებ, რომელიც ჟენევის შარშანდელ ავტოშოუზე იყო წარმოდგენილი. ამ მანქანის მასა 1850 კგ-ა, 100კმ/სთ სიჩქარეს ის 5 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სისწრაფე 300კმ/სთ-ია. კომპანიამ უკვე 100-დე შეკვეთა მიიღო. სავარაუდოდ, მისი მთავარი ბაზარი აშშ იქნება. ■




## Dodge-ის კომპაქტური როდსტერი





Dodge-ის ახალი კომპაქტური როდსტერი, Mazda MX-5-სა და Pontiac Soltice-ს გაუწევს კონკურენციას. ბრიტანული გამოცემის, Autocar-ის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ამ მანქანის პროტოტიპი უკვე აგებულია — იგი კომპანიის სპეციალისტებისა და პარტნიორების ვიწრო წრის სამსჯავროზე გამოიტანეს, მარტში კი, მისი პრეზენტაცია ჟენევის ავტოსალონზე შედგება. მხილველთა თქმით, პროფილში იგი პრაქტიკულად, Mazda MX-5-ის ზუსტი ასლია, თუმცა მის დიზაინში ჯერ კიდევ 2002 წელს გამოსული კონცეპტ-კარის — Razor-ის ელემენტებიც შეინიშნება. სპეციალისტების ვარაუდით, გამორიცხული არ არის, რომ სიახლე სერიულ წარმოებაში ჩაუშვან — Dodge-ის ხელმძღვანელობამ არაერთხელ გამოთქვა კომპაქტური სპორტული ავტომობილების ბაზარზე შესვლის სურვილი. კომპანიის თავკაცის, ტომ ლა სორდას თქმით, ეს სეგმენტი ჯერჯერობით შეზღუდულია, რის გამოც, ამგვარი მანქანების წარმოება შესაძლოა ეკონომიკური თვალსაზრისით, მიზანშეუწონელი იყოს. ■

## სუპერავტო Lamborghini Murcielago LP640




Hamann-მა იტალიური სუპერავტოს — Lamborghini Murcielago LP640-ის დასრულებული ვერსიის ანონსირება მოახდინა. ამჟამად მისი ძრავა Ferrari Enzo-ს აგრეგატსაც სჯაბნის: გერმანელმა ინჟინრებმა 6,5-ლიტრიანი V12-ის სიმძლავრე 640-იდან 690 ცხ.ძ-მდე გაზარდეს. ამის შედეგად, მანქანა 100კმ/სთ სიჩქარეს 3,2 წმ-ში ავითარებს. ეს საბაზო მოდელზე 0,2 წამით უფრო სწრაფია. ავტომობილის მაქსიმალურ სიჩქარეზე ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ Hamann-ის ავტომობილი მსოფლიოში ყველაზე სწრაფი Lamborghini როდია. შარშანდელ შემოდგომაზე, ამერიკულმა ატელიემ — Heffner Performance-მ Lamborghini Gallardo-სთვის ისეთი აგრეგატი შექმნა, რომ მანქანა 96 კმ/სთ სიჩქარეს 3,1 წმ-ში ავითარებს, ხოლო 240 კმ/სთ-ს — 15,5 წმ-ში. შედარებისათვის დავძენთ, რომ იგივე Ferrari Enzo 100 კმ/სთ-ს „მხოლოდ“ 3,6 წმ-ში ავითარებს. ■



# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

## (1 – 7 თებერვალი)

**ვერძი 21.03-20.04**
ამ კვირას შეიძლება, ახალ თანამდებობაზე დაგნიშნონ. საერთოდ, ეს ხელსაყრელი პერიოდი იქნება ყოველგვარი სიახლისა და შემოქმედებითი წამოწყებისთვის. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

**კურო 21.04-20.05**
ამ პერიოდში სარფიანად წარიმართება კომერციული მოლაპარაკებები და ყველა ის საქმე, რომელიც პარტნიორულ ურთიერთობებზეა დამყარებული. თუმცა, ცდუნებას ნუ აჰყვებით, ნუ დაუპირისპირდებით საზოგადოებას, რადგან ეს ცუდად იმოქმედებს თქვენს წარმატებებზე.

**ტყუპი 21.05-21.06**
ხელსაყრელი დროა ახლო ნათესავებსა და მეზობლებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად, მაგრამ ნუ მოახვევთ მათ თქვენს აზრებს. აგრეთვე, თავი შეიკავეთ დაპირებებისაგან, რომელთა შესრულებაც წარმოუდგენელ ძალისხმევას საჭიროებს.

**კიბო 22.06-22.07**
შეიცვლება თქვენი ქცევა, ჩვევები, ჩაცმულობა და სამსახურებრივი საქმეებისადმი მიდგომა. ეს პერიოდი წარმატებული იქნება ბიზნესის წამოსაწყებად, მაგრამ გაითვალისწინეთ, მძიმე ფიზიკური დატვირთვა თქვენთვის მავნებელია.

**ლომი 23.07-23.08**
რაც არ უნდა მოიმოქმედოთ, ყველაფერი წარმატებას მოგიტანთ. ეს გახლავთ დრო, როდესაც თქვენ სრულყოფილად უნდა გამოავლინოთ თქვენი მონაცემები და ნიჭი. თუმცა, ზედმეტ ქედმაღლობას თუ გამოიჩენთ, შეიძლება, სამუშაო ადგილი დაკარგოთ.

**ქალწული 24.08-23.09**
ფულის შოვნას დიდი ძალისხმევის ხარჯზე შეძლებთ. თუ ამ დღეებში რაიმე სასარგებლოსა და არატრადიციულს მოიმოქმედებთ, ამით საზოგადოების მოწონებას დაიმსახურებთ და ავტორიტეტსაც განიმტკიცებთ.

**სასწორი 24.09-23.10**
სანამ რაიმე მნიშვნელოვან საბუთებს მოაწერდეთ ხელს, კარგად შეისწავლეთ იგი, რათა თავი აარიდოთ გამოუსწორებელ შეცდომებს. შაბათ-კვირა აქტიურ გართობას დაუთმეთ.

**მორიელი 24.10-22.11**
შრომისუნარიანობის, სითამამისა და ხელმძღვანელობის ნიჭის წყალობით, თქვენ არაერთი პროექტის განხორციელებას შეძლებთ. ამას ხელს შეუწყობს თქვენი უშუალობა და მეგობრებთან თანამშრომლობის უნარიც. მოერიდეთ ფულის უაზროდ ხარჯვას.

**მშვილდოსანი 23.11-21.12**
თქვენი ოპტიმისტური განწყობილებითა და გულუხვობით სახელს გაითქვამთ. მოცემული პერიოდი ძალზე ხელსაყრელი იქნება საჯარო გამოსვლებისთვის და თანამოაზრეებთან აქტიური თანამშრომლობისათვის. უქმე დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

**თხის რქა 22.12-20.01**
ამ კვირას თქვენი ნერვიულობა შეიძლება, სხვადასხვა უთანხმოების მიზეზად იქცეს. ამავე დროს, მოვლენათა განვითარება ხელს შეუწყობს თქვენს პროფესიულ წინსვლას, რაშიც ზოგიერთი ავტორიტეტული პირიც დაგეხმარებათ.

**მერწყული 21.01-19.02**
განახლებისკენ სწრაფვა დაეტყობა როგორც თქვენს ბინას, ასევე გარეგნობას. მეგობრებს გააკვირვებს თქვენში მომხდარი ცვლილებები და ისინი უფრო მეტად დაგაფასებენ.

**თევზები 20.02-20.03**
გარშემო მყოფთ სასიამოვნო და მიმზიდველ ადამიანად მოევლინებით, რადგან ყველასთვის მოულოდნელად, შეიძლება მიაღწიოთ საუცხოო წარმატებას. ჰარმონია დაისადგურებს თქვენს პირად ცხოვრებაშიც.

იყიდება
თებერვლის
ნომერი




თქვენ ხომ გემოვნებიანი
მკითხველი ბრძანდებით...

# ხუჭუჭი, აფოფრილი, გადაპარსული და ბრიოლინიანი თავები...

## როგორი ქოჩრები აქვთ პოპულარულ ქართველ მამაკაცებს?

**XXI საუკუნემ თანამედროვე მამაკაცებს თმის საოცარი ვარცხნილობა შესთავაზა. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევიან პოპულარული ქართველები, რომლებსაც ტელეეკრანის საშუალებით ხშირად უწევთ საზოგადოების წინაშე საკუთარი თავის წარმოჩენა. რამდენიმე მათგანის ვარცხნილობის შესახებ აზრის გამოთქმა ქალების სტილ-ისტს, მიშა გასიტაშვილს ვთხოვე. მან თავისებური შეფასებები გაუკეთა მათ ქოჩრებს. აქვე ვიტყვი, მიშა ის ხელოსანია, რომელთანაც მთელი თუ არა, ნახევარი თბილისი მაინც დადის. მას განსაკუთრებით ხშირად, ელიტური ქალბატონები სტუმრობენ.**





— **რას იტყვი „ფარული კამერის“ პერსონაჟის, კვერნას (იმავე ნიკა გრიგოლიას) ქოჩორზე?**

— ნიკას საოცარი ვარცხნილობა აქვს, თუმცა ვფიქრობ, რომ ის მის გადაცემას (არასერიოზულსა და იუმორისტულს) ძალიან უხდება.

— **ზესტაფონელს თუ ჰგავს? ის ხომ წარმოშობით იქიდანაა.**

— ზესტაფონელს ნაკლებად, უფრო, გიჟს ჰგავს, მაგრამ რა ქნას, შოუს მონაწილეა და რაღაცით უნდა გამოირჩეოდეს. ის სიცილს სწორედ თავისი პანკური, წითელი თმით იწვევს.

— **ხომ არ იცი, სად აკეთებენ ასეთ ვარცხნილობებს?**

— ჩვენს სალონში ასეთ „პრიჩოებს“ ნამდვილად არ აყენებენ. მგონი, ნიკა საკუთარ ვარცხნილობაზე თვითონვე ზრუნავს, რადგან ეჭვი მეპარება, მასზე რომელიმე სტილისტი მუშაობდეს.

— **მაინც, რას დაარქმევ მის ვარცხნილობას?**

— „გიჟი მოდის“ (*იცინის*)!

— **რას იტყვი მიშა ანდღულაძის აფუშფუშებულ თმაზე?**

— მიშა თანამედროვე „ბონიემია“, თუმცა, ზანგი არ არის. მას ასეთი ვარცხნილობა ნაღდად უხდება.



— **ვითომ?**

— კი, ძველ კადრებს რომ უჩვენებენ, სადაც მიშას მოკლედ შეკრეჭილი თმა „ამშვენებს“, რაღაც სხვანაირია, არ მომწონს. მის ნანულის ძალიან უხდება აფუშფუშებული, ხუჭუჭი თმა.

— **ნანულის ვარცხნილობაში ცვლილებას ვერ შეიტან?**

— კი. თუ ჩემთან მოვა, ნამდვილ ნანულად ვაქცევ.

— **ჩვენში ზეპოპულარული დუტა სხირტლაძის ხუჭუჭ თმაზე რას ბრძანებდი?**

— ჩვეულებრივი ვარცხნილობაა და თან უხდება, თან, კომფორტულია (მისთვის). მგონი, დუტას ხვეული თმა მისი იმიჯის შემადგენელ ნაწილად იქცა.

— **მის ქოჩორს რას დაარქმევ?**

— „ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა, პატარა!..“

— **ჩვენში თავგადაპარსული ტიპები უკვე კარგა ხანია, მომრავლდნენ. მაგალითად, დათო გომართელი, აჩიკო მეფარიძე, მამუკა ღლონტი, ნიკა ქავთარაძე...**

— მათი თავგადაპარსულობის ერთა-დერთი მიზეზი ის არის, რომ ისინი მელოტები არიან, თმა სცვივათ და „ნახევარი“ თმით ვერ ივლიან. ამიტომაც გადაიპარსეს.

— **რა ჰქვია მათ „ქოჩორს“?**

— „ფანტომასი“ (*ილიმება*), მეტი არაფერი.

— **მაგალითად, ახალბედა წამყვანს და ყოფილ „ჯეობარელს“, კოტიკო თოლორაიას არც თმა სცვივა და არც მისი სიხუჭუჭე ტანჯავს, მაგრამ ოფოფივით აქვს აფოფრილი.**

— მას თმის პრობლემა არა აქვს. უბრალოდ, რაღაცნაირად მოდას აჰყვა და თავისებურად „ივარცხნის“. თან უხდება, პატარაა, შესაბამისად, კლოუნივით იცვამს კიდეც შოუმენის იერის გასამყარებლად.



— **ჩვენი მინისტრებიდან მხოლოდ ენერგეტიკის მინისტრი, ნიკა გილაური აქცევს საკუთარ ვარცხნილობას განსაკუთრებულ ყურადღებას. ის თმას ყოველდღე ბრიოლინით იყენებს.**

— ძალიანაც კარგი. ეგ არის ყველაზე თანამედროვე მინისტრი. მას ყოველდღიურად არ ენანება დრო იმისთვის, რომ სარკეში ჩაიხედოს, შესაბამის ფორმაში მოიყვანოს თავისი თმა. ეტყობა, მისთვის უკვე ერთგვარი სტილია ბრიოლინით გახამებული ქოჩორი.

— **მიშა, არიან ისეთი პოპულარული სახეები, რომლებსაც მუდმივად ბენდენა უკეთიათ...**

— კი, მაგალითად, მუსიკოსი დათო ევგენიძე. მას ბენდენა მართლაც უხდება. თან, უკვე მიჩვეულია და მოსწონს ამ აქსესუარის აქტიური გამოყენება. ის მუსიკოსია და შესაბამისად, თავისებური ხედვაც აქვს.

— **ბოლო დროს, უცნობი (გია გაჩეჩილაძე) თავიდან ქუდს არ იშორებს.**

— ერთხელ ვნახე უქუდოდ და არ მომეწონა, რადგან ამ აქსესუარის გარეშე, უფრო ასაკოვანი ადამიანის იერი აქვს, ვიდრე სინამდვილეშია. მას სწორად აქვს შერჩეული ქუდებიც და იცის, რა უხდება... უცნობი დღეს უქუდოდ ველარ წარმომიდგენია. თმის ცვენის პრობლემამ მას იმიჯი ასე შეაცვლევინა.

— **არიან თანამედროვე მამაკაცები, რომლებიც გრძელი თმით დადიან...**

— მაგალითად, ჯაბა კილაძე. მას მოზრდილი თმა აქვს (მსახიობია და ალბათ, ეს ზოგჯერ როლისთვისაც სჭირდება) და ეტყობა, ეს დისკომფორტს სულაც არ უქმნის... ■

# „რუსთაველში“ დიდი კრივი გაჩაღდა

გასულ კვირას, კინოთეატრ „რუსთაველში“ ფილმის — „როკი 6“ პრემიერა ორიგინალური სანახაობით გაიხსნა. ფოიეში საგანგებოდ გამართულ რინგზე ერთმანეთს გიორგი კანდელაკის კრივის ასოციაციის ორი პროფესიონალი — ლევან შონია და ვეფხია ჭილაია შეხვდნენ. სერიოზული ორთაბრძოლა გაჩაღდა. გარშემო უამრავი გულშემატკივარი იყო, რომლებიც შეძახილებით ამხნევებდნენ მოკრივეებს. რა თქმა უნდა, თავად გიორგიც ღელავდა. ორთაბრძოლის ორგანიზატორებმა შოუს წაყვანა გივი სიხარულიძეს მიანდვეს. ასპარეზობის შემდეგ გამარჯვებული გამოვლინდა, რომელსაც კინოთეატრ „რუსთაველისგან“ სამთვიანი აბონემენტი და ფულადი პრემია გადაეცა, დამარცხებული მოკრივე კი, ორთვიან აბონემენტს და შედარებით მცირე ფულად ჯილდოს დასჯერდა. ორთაბრძოლაში გამოვლენილი ფავორიტი, კერძოდ, ვეფხია ჭილაია, რომელმაც თავი არ დაზოგა, გიორგი კანდელაკმა გერმანიაში ჩემპიონატზე წასვლით დაასაჩუქრა.

აი, ასეთი სანახაობა უძღოდა „როკი 6“-ის დასკვნითი სერიის პრემიერას, რომლის რეჟისორი სილვესტერ სტალონე გახლავთ, ის ფილმში მთავარ როლსაც ასრულებს და ამასთან, მისი პროდიუსერიც არის. ფილმის ბიუჯეტი 50 მილიონ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება „როკი 6“-ის შინაარსს, ის ასეთია: როკის უკვე დანებებული აქვს თავი კრივისთვის, მაგრამ გამოცდის მიზნით, უკანასკნელი ბრძოლა დაინიშნება. ის მსოფლიო ჩემპიონს (მძიმე წონით კატეგორიაში) რინგის არენაზე გამოიწვევს. ■

## ჯაბა დიასამიძემ მაყურებლის პროვოცირება შეძლო

*რამდენიმე დღის წინ, „ექსპოჯორჯიას“ საგამოფენო სივრცეში ახალბედა დიზაინერმა, ჯაბა დიასამიძემ მოდების ჩვენება მოაწყო. ეს მისთვის მეორე ჩვენება გახლდათ და შედეგით უკმაყოფილო არ დარჩენილა. ჯაბა უკვე მეოთხე წელია, რაც საფრანგეთში ცხოვრობს და სწავლობს — არქიტექტორის პროფესიას ეუფლება. მის პრაქტიკაში ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა ქვეყნის პირველ ლედის, სანდრა რულოვსს სამოსი შეურჩია. გასულ კვირას, ქალბატონი სანდრა ჯაბას ჩვენებაზე ესტუმრა... დიზაინერის ნამუშევრებით არაერთი ცნობილი ადამიანი დაინტერესდა, მათ შორის, ისეთებიც კი, რომლებიც ასეთ ღონისძიებებს იშვიათად სტუმრობენ. მაგალითად, ნანი ბრეგვაძე. ჯაბა დიასამიძე ჩვენში ცნობილი მუსიკოსის — ნიაზ დიასამიძის ძმაა. ამიტომ, ნიაზი და მისი ოჯახი მას იმ დღეს გვერდიდან არ მოსცილებია. დიზაინერის კოსტიუმები, რომელიც აბრეშუმისგან და შალისგან იყო შექმნილი, ძირითადად, ორ ფერში გახლდათ გადაწყვეტილი — თეთრი და შავი. მხოლოდ საფინალო კოსტიუმი აღმოჩნდა ფერადი (ვგულისხმობ, ჟოლოსფერ საღამოს კაბას). ჩვენებაში მონაწილეობას სააგენტო „ნატალის“ მოდელები იღებდნენ. მაყურებლის პროვოცირება დიზაინერმა იმით მოახდინა, რომ თითოეული მოდელი პოდიუმზე მამაკაცის ნიღბით გამოიყვანა, ნიღბის შიგნით კი, გოგონებს ჟოლოსფერი „მულიაჟი“ ჰქონდათ გაკეთებული.*

**ჯაბა:**

— „ყველა გოგოს ერთნაირი გამომეტყველება უნდა ჰქონოდა. ამ ნიღბით თითოეული მათგანი ირონიულიც კი ჩანდა.

— **და არა უსახური?**

— შეიძლება, უსახურებიც იყვნენ, მაგრამ ამავე დროს, სახიერება ნამდვილად არ აკლდათ, რადგან „კაცები“ იყვნენ... ჩემი სურვილია, ბევრი ვიმუშაო და ამ სფეროში ჩემი სათქმელი ვთქვა.



**ნატა სამადალაშვილი**

(სააგენტო „ნატალის“ ხელმძღვანელი):

— ჯაბა ახალგაზრდა, ნიჭიერი დიზაინერია. მას ყველაფერი წინ აქვს. ის ნამდვილად გრძნობს ქალის სილუეტს და ამიტომაც გამოსდის ყველაფერი ასე მშვენივრად. თამამად შეიძლება ითქვას, ჯაბა კლასიკური და დახვეწილი გემოვნების პატრონია. ეს მისი მეორე ჩვენება იყო და არცთუ ისე ურიგო. ■

## 2006 წლის სიმღერას ჟიური გამოავლენს

6 თებერვალს, ფილარმონიაში ფესტივალ „წლის სიმღერის“ მოსაწყობად ემზადებიან, რომელსაც კომპანია „ფორტუნა 97“ ჩაატარებს. შერჩეულია სულ 150 ქართული სიმღერა, რომელიც „ფორტუნა“, „ფორტუნა +“-ისა და „არ დაიდარდოს“ ეთერით ჟღერს. მათგან 20 საუკეთესოს ჟიური გამოავლენს, პირველი სამი ადგილის მფლობელებს კი, „ოქროს დისკი“ გადაეცემათ. შეგახსენებთ, წინა წლებში „ოქროს დისკის“ მფლობელები გაზდნენ: მაია ჯაბუა, ეკა მამალაძე, თემურ თათარაშვილი, მამუკა ჩარკვიანი, მერაბ სეფაშვილი. როგორც ყოველთვის, თითოეული სიმღერა უნდა შეფასდეს მუსიკის, ტექსტის და არანჟირების მიხედვით. ჟიურის წევრები გახლავან: ნუნუ გაბუნია, ჯანსუღ ჩარკვიანი, ჭაბუკა ამირანაშვილი, ნუცა ჯანელიძე, მაია დათუნაშვილი, მარიკა კვალიაშვილი. ეს ყველაფერი კი, როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ქართული ტრადიციული საესტრადო სიმღერის აღორძინებას ემსახურება. ■

*რუბრიკა მოამზადა ლალი ფაციამ*

# ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი: არავის ვურჩევ ცოლიან კაცთან სიარულს

**ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარჭვრეტის ნიჭი ბებიისგან მემკვიდრეობით გადაეცა. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. თუ რაიმე პრობლემა აქვთ, მაშინვე ნელისთან მიდიან მოსაგვარებლად, რჩევის საკითხავად. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობით, მან ბევრი ოჯახი გადაარჩინა მოსალოდნელ უსიამოვნებას. ის შელოცვებით ხსნის ჯადოს, თვალს, ხალხი მასთან საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდის.**

— **ქალბატონო ნელი, როგორ იგებთ, აქვს თუ არა ადამიანს ჯადო გაკეთებული?**

— ეს კარტშიც ამოდის და ყავაშიც... ამას წინათ, ჩემთან ერთი ახალგაზრდა ქალი მოვიდა, არაჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ ბედი ჰქონდა ჩაკეტილი.

— **რატომ?**

— ვერ თხოვდებოდა, რადგანაც ჯადო ჰქონდა გაკეთებული.

— **ვინ ჩაუკეტა ბედი?**

— მამამისის საყვარელმა.

— **რას ერჩოდა?**

— ამ ქალბატონის მშობლები ადრევე გაშორდნენ ერთმანეთს. დედამისი რუსი იყო და განქორწინების მერე, თავის ქვეყანაში დაბრუნდა, ბავშვი კი მამას დაუტოვა. გოგონას ბებია ზრდიდა.

— **მამამისი აღარ დაოჯახებულა?**

— ბავშვს დედინაცვალს არ დავაჩაგვრინებო — უთქვამს და ცოლი აღარ შეურთავს, საყვარლები კი ჰყოლია. ანდერძი სიცოცხლეშივე დაუწერია და თავისი ქონება ერთადერთი ქალიშვილისთვის დაუტოვებია. ეს ამბავი მისმა ბოლო საყვარელმა შეიტყო, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, ცოლად გაჰყოლოდა და მამაშვილს ჯადოებს უკეთებდა, წარამარა მოლებში დარბოდა. საყვარლის ქალიშვილს ბედი ჩაუკეტა, რათა არ გათხოვილიყო და ქონება მას დარჩენოდა. მამამისს კი, ვირის ტვინს აჭმევდა.

— **როგორ მიხვდნენ, ჯადო რომ ჰქონდათ გაკეთებული?**

— ანგელოზივით ქალი რომ ვერ გათხოვდა, დაქალს უთქვამს: ნელისთან წადი, ის გეტყვის მიზეზსო.

— **გიცნობდათ?**

— დიახ, მასაც ჰქონდა პრობლემები და ჩემთან დადიოდა... ვუმარჩიელე და ვუთხარი, რაშიც იყო საქმე.

— **შეძელით მამა-შვილის დახმარება?**

— დიახ! ვირის ტვინით გამოლენჩებული კაცი ჯადოს ზემოქმედების განეიტრალების მერე გონს მოეგო და საყვარელი სახლიდან გააგდო. მისი ქალიშვილი კი, 4-5 თვეში გათხოვდა, ჩაკეტილი ბედი გაეხსნა. ახლა უკვე ორსულადაა და მალე, დედა გახდება.

— **ამბობენ, კაცის გამოჭერა ჯადოებით ძალიან გახშირდაო, მართალია?**

— ზოგს მისამართი ეშლება და ჩემთან სხვისი ოჯახის დასანგრევად მოდის. მე ჯადოს ზემოქმედებას ვანეიტრალებ, მჩხიბავი არა ვარ, ასეთ ქალებს არ ვეხმარები. მაგიური ზემოქმედებით ისინი საყვარელ მამაკაცებს ანადგურებენ, ჯანმრთელობას ურყევენ. გამორიცხული არ არის, ჯადომ ადამიანი დააინვალიდოს, მაგალითად, დააბრმაოს ან დააყრუოს. ასე რომ, არავის ვურჩევ ცოლიან კაცთან სიარულს, სხვისი ოჯახის დანგრევა ძალიან დიდი ცოდვაა.

— **სხვათა შორის, კაცებიც მიდიან ჯადობაზებთან დახმარებისთვის...**

— ამ ბოლო წლებში მსგავსი შემთხვევები ნამდვილად გახშირდა. მამაკაცები კონკურენტებს გზიდან ჯადოებით იშორებენ და კარიერას მაგიური ზემოქმედების წყალობით იკეთებენ. გარდა ამისა, მჩხიბავების დახმარებით მდიდარ ქალებს აყვარებენ თავს და მათ ცოლად ირთავენ, რათა უზრუნველი ცხოვრება ჰქონდეთ.



P.S. *დარეკეთ და წინასწარ ჩაეწერეთ! ქალბატონი ნელის მისამართია: წერეთლის №12 (მეტროსადგურ „წერეთლის“ გვერდით), II სადარბაზო, II სართული, ბინა №4; საკონტაქტო ტელეფონებია: 35.29.72; 893.30.65.51; 899.20.37.64.*

R



M K




**ამჯერად, კვლავ 2 მესიჯზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: „სალამი, მარიკუნა. მინდა, მადლობა გადაგიხადო. შენმა რუბრიკამ სიყვარული მაპოვნინა. მინდა, ვიყვირო: დათუჩა, მიყვარხააარ! ნინი, ქუთაისი“. და კიდევ: „მარი, დიდი მადლობა, რომ ჩემი მესიჯი დაბეჭდე. გთხოვ, აღარავის მისცე ჩემი ნომერი. მგონი, შენი დახმარებით ვიპოვე ის ადამიანი, ვინც მჭირდება. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა. მწვანეთვალება“. დამეთანხმებით, რომ ძალიან კარგი შეგრძნებაა, როცა ასეთ მესიჯს კითხულობ. ნეტავ, ქორწილში არ დაგვპატიჟებენ?..**

**იმისთვის, რომ „მესიჯომანიაში“ თქვენი მესიჯი მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA, გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ, მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია), და კიდევ, ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოაგზავნოთ.**

1. ჩემს სულიერ დას, ესოს და შოთიკოს ვულოცავ ერთად ყოფნას და ვუსურვებ მარადიულ ბედნიერებას. მალე ჩამოდით, ახმეტიდან, რა! ლია.

2. მინდა, მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ ვაზიანში მცხოვრები ვანო, რომელიც 20 წლისაა და 3 ნოემბერს დაიბადა, მაგარი კაცია და ისევ მახსოვს. ლიკა.

3. ვარ 34 წლის, დაოჯახებული, მაქვს სამსახური. სამეგობროდ გავიცნობდი 35-45 წლის მანდილოსანს, რომელსაც აქვს შეხვედრის ადგილი. ვაბოდებ პუტკუნებზე. „ნიკ-706“.

4. გავიცნობ ლამაზ გოგოს. ვარ 23 წლის, სიმპათიური ბიჭი. იკუშა.

5. SMS-სამეგობროდ გავიცნობდი რუს-ქართველ მამაკაცს. ვარ 34 წლის. „რეალისტი“.

6. ვარ 20 წლის, 195 სმ სიმაღლის, შავგრემანი, თაფლისფერი თვალებით. ვეძებ ქალს, 30 წლამდე, ვინც უზრუნველყოფილი იქნება ყველაფრით. 8.93.90.75.31. დამირეკეთ. მარი, აბა, შენ იცი.

7. სიყვარული არის ფაცხა,/ იმ ფაცხაში დამრჩა რაცხა,/ დამეხმარეთ ვინცხამ რაცხა,/ სიყვარულმა დამამარცხა. ამ ლექსს ვუძღვნი თ.თ. ზურაბიანს. G.I.O.

8. მარი, გთხოვ, დამიბეჭდე მესიჯი. სიამოვნებით გავიცნობ თვრამეტ წლამდე ბიჭს. მსურველებმა დამიმესიჯეთ ნომერზე: 8.95.75.00.24. ნატა.

9. ეკა თაქთაქიშვილს ვეძებ, ხალხო! იქნებ, მაპოვნინოთ. ჩემი ნომერი რედაქციაში იქნება. სპარსი სოფო.

10. ბოხო ეხმაურება „მწარე მესიჯს“. ჯერ ერთი, „მაგთის“ აბონენტი ვარ, სიხარულო და არც ბალანსის შევსება მიჭირს; მეორეც — ცუდი ტიპის რა შემატყვე? აი, სოფელი კი...

11. ვაიმე, სენსაციააა!.. წინა „მესიჯომანიაში“ „პ-ა-პ-ა-21“ არ გამოჩენილა. რა ხდება, ბებო ხომ არ იშოვა? „პ-ა-პ-ა-21“, ძალიან, ძალიან მინდა შენი გაცნობა. შენ? „ბ-ე-ბ-ო“.

12. გამარჯობა, კესო! „რავა“ ხარ? მენატრები მაგრად და მაგრად მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ და ჩემო გიჟო გოგოვ! გკოცნი. ქობულეთიდან, ზაზუნა ზოიძე.

13. ამ უიმედო სიყვარულმა გული მატკინა,/ ეს უიმედო სიყვარული შენ გელოდება/ შენი თვალების უცხო მზერას მე ვერ ავიტან/ და მონატრებით ჩემი გული დაგელოდება.

14. გოგონებო და ქალბატონებო, გინდათ, უსაზღვრო სიამოვნებაში ჩაძირვა? დამეკონტაქტეთ.

15. გოგონებო, მაგრად აზროვნებთ! თუ ნამდვილ მეგობრებს ეძებთ, მის ვიზუალურ მხარეს (ან თქვენსას) რა მნიშვნელობა აქვს?! „აშა“

16. ვარ 32 წლის, ცოლშვილიანი. სამეგობროდ ვეძებ მანდილოსანს, რომელიც კარგ, მაღალანაზღაურებად სამუშაოს შემომთავაზებს.

17. იცი, რატომ მიყვარს ეს სიცოცხლე? — შენ რომ არსებობ და მე რომ გიპოვე! მიყვარხარ და მუდამ ერთად ვიქნებით. დიმას ანისაგან.

18. მარიამ, ეს მე ვარ, ტანჯულა. რამდენჯერაც გამოვგზავნე მესიჯი, ყოველთვის მიბეჭდავდი. იმედია, ახლაც ასე იქნება. მინდა, გავიცნო 35-39 წლის მამაკაცი.

19. მარი, გთხოვ, თეოს ტელეფონის ნომერი მომცე, რომელსაც 6 წელია, მოძღვარი ჰყავს. შალვა.

20. ვარ სიმპათიური და კარგი ადამიანი. გთხოვთ, გამომეხმაუროს 30-40 წლის, სიმპათიური და გაგებული პიროვნება. იქნებ, აქ მაინც გამიმართლოს.

21. ვეხმაურები ირაკლის. „ტირიფის ხევ“, თუ ერთგული მეგობარი გჭირდება, დამიმესიჯე და ერთად „ვიტიროთ“... სოფო.

22. ვარ 22 წლის, 180 სმ სიმაღლის, სიმპათიური ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობდი 35 წლამდე გოგონას. ჩემი ნომერი მარისთანაა. „გუჯა-22“.

23. „მონასტრის ბიჭო“, გეთანხმები, უკვე ვერ გაიგებ, ვის რა უნდა. ვის კაცი უნდა, ვის — ქალი... მე კი მინდა, კიდევ ცოტა ხნით ვიყო იქ, სადაც ღმერთთან ახლოს ვგრძნობ თავს. ლუსი.

24. მე შემიყვარდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ ვიცოდი, რა არის სიყვარული და მერქვა ბავშვი. დათუნას „პუპსიკასგან“.

25. თუ ამ ცხოვრებამ მახე დაგიგოთ/ და სიყვარულმა ველარ გაგიგოთ,/ თუ ამ ყველაფრით მაგრად გარეკეთ,/ თქვენნაირი ვარ, ჩემთან დარეკეთ. სალი-16.

26. გთხოვთ, მომცეთ „იდეას“ ნომერი ან მას მიაწვდინოთ ჩემი ხმა.

27. სერიოზული ურთიერთობებისთვის გავიცნობ 35 წლამდე, სიმპათიურ და მშვიდ მამაკაცს. მწვანეთვალება, მხიარული „კისა“. ჩემთან არ მოიწყენთ.

28. დედა, დიდი მადლობა დაბადების დღის მოლოცვისთვის. ღმერთმა დაგლოცოს და იმედი მაქვს, მალე გნახავ. სოფო ჯანაშია.

29. აუ, მარი, ცოტა კი დამაგვიანდა, მაგრამ გულით გთხოვ, 22 წლის „გიო-მილანას“ ნომერი მომწერე, რაღაც საერთო ვნახე მაგ ბიჭში.

30. ვარ 19 წლის, 187 სმ სიმაღლის, შავგვრემანი ბიჭი. დიდი სიამოვნებით გავიცნობდი ძალიან ლამაზ გოგოს. დამიმესიჯეთ 8.99.36.37.02.

31. მე ქობულეთელი ბიჭი ვარ და სიყვარულის ნიჭი მაქვს. გავიცნობდი ლამაზ გოგოს. იკა.

32. თენდება, გულს მიკლავს ღამე,/ იქნებ, მოხვიდე და მითხრა რამე,/ იქნებ, ამიხდეს სურვილი მალე,/ და ვიყოთ ერთად მე, თქვენ და ღამე. ეძღვნება ათენში მცხოვრებ ფიქრიას.

33. ზღვის პირას ოცნება მომტაცა თოლიამ,/ ზღვა ჩემს ოცნებას ჩუმად აჰყოლია,/ შენ მახსენდები და ასე მგონია,/ ეს მონატრება ზღვასავით შორია. ნინო კვესეიშვილო, გკოცნი.

34. მინდა, გავიცნო კარგი ბიჭი, შავგვრემანი და გამხდარი. დამირეკოს მსურველმა. მეიდნელი „ვუგარა ისპაგანლი“.

35. ვისაც გინდათ, გაიცნოთ კარგი მეგობარი ბიჭი, დარეკეთ! პატიმარი.

36. სამეგობროდ გავიცნობდი 19-20 წლის სიმპათიურ ქალიშვილს. დამიმესიჯეთ: 8.93.25.64.30.

37. სოფო ნავროზაშვილო, გამომყევი ცოლად, ნუ მაწვალებ. არ მაინტერესებს შენი წარსული, რადგან მართლა მაგრად მიყვარხარ და უშენოდ არ შემიძლია, სიცოცხლევ! გამომყევი, „ფლიიიზ“... ლევანი.

38. გაუმარჯოს, ყველას! როგორ ხართ, მეგობრებო? ხომ ხართ მაგრად? მალე დეიდა გავხდები და მაგრად მიხარია. ყველანი მიყვარხართ. თქვენი ეშმაკუნა სვანუკა. გკოცნით.

39. გამარჯობა, მარი. თბილისელი, ლამაზი გოგოს გაცნობა მინდა, ოღონდ, გამხდარი უნდა იყოს. ვარ 27/178/75... „მოწყენილი“.

40. მარი, გთხოვთ მომცეთ „მონასტრის ბიჭის“ ნომერი, მისი გაცნობა მინდა.

41. მარი, პირველად გწერ. დამეხმარე პირველი სიყვარულის, ვალერის მოძებნაში (ვაჩნაძიანიდან). ნეტავ, ახლა სად არის? ტელეფონის ნომერი მარისთანაა. „ვიკა“.

42. მარი, როგორ ხარ? მე „კომანდოში“ ვმსახურობ და ძალიან მინდა, „უიღბლო“ გავიცნო. „ხევსური“.

43. ვარ ძალიან უიღბლო. ვისაც გავიცნობ, ყველა ბიჭს გასართობად ვუნდივარ. დავიღალე! რაო, ბიჭებო, ლამაზი გოგონები მხოლოდ გასართობად გინდათ?

44. ვარ 31 წლის, უცოლო, დასაქმებული, მაღალი და როგორც ამბობენ, სიმპათიურიც. გავიცნობდი კარგ გოგოს. დამაინტერესა თეო-19-მა. თურმე, მწვანე თვალებიც მქონია. :-)

45. დაბადების დღის ბედნიერ ღამეს/ შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია/ დიდხანს სიცოცხლე ცოტაა შენთვის,/ დიდხანს სიცოცხლე დამილოცნია. ბესო, დაბადების დღეს გილოცავ.

46. ქობულეთელო თემო, „გენათალე“, „მპა სენა“, აქ პირველად ვამესიჯებ! თემო, სულ მენატრები. :(

47. თემოოოოოო! ქობულეთელო, „მიკალქალ“, სიცოცხლეეეევ! „კუკა“.

48. უი, ნიკი არასწორად მივუთითე — „კუკა“. უი, არა, „კაკუ“, „კაკუ“.

49. ზურა გორგაძე, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ! პატარა ლელა.

50. ვეხმაურები 30 წლის მამაკაცს, ვისაც ასეთი ნაცნობობის არ სჯერა. არც მე მჯერა და მოდი, ვცადოთ. „პუპსიკა-28“.

51. ვეხმაურები „მოუსვენარს“. საერთოდ, დღე-ღამეში სულ 4 ან 5 საათი მძინავს და ძალიან მიყვარს ღამის თევა... თუ დაგაინტერესებ, ტელეფონის ნომერი მომეცი. თათია.

52. ვინ არის ერთი „მაწონა“ ბიჭი,/ რომელიც დარბის მაწონზე ჭიქით? პარასკევს ზოია გიგზავნის რომიკოსთან. დიდუბეში მიდი. პაატა ლოტიშვილს. მანჩო.

53. შენ რომ იცოდე, როგორ მენატრები,/ ჩემთან ფეხშიშველი გამოიქცეოდი./ განა იმიტომ, რომ მოგენატრებოდი,/ არა, უბრალოდ შეგეცოდებოდი. ნიკუშას ნონა დეიდასგან. მიყვარხარ.

54. ვარ ცოლიანი ბიჭი. გავიცნობ სერიოზულ ქალს, სამეგობროდ. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. კოკა.

55. როცა შენ გიხსენებ, რაღაც მემართება,/ თითქოს ჩემი გული ნაზად იღიმება./ და თუ ახლა შორს ვართ, ამით რა შავდება?/ ჩვენ ხომ ერთმანეთი მაგრად გვენატრება! „ჯეი-ჯეი“.

56. ნეტავ, ვიყო სიგარეტი,/ შენს თითებში ცეცხლად ვენთო,/ შენს თითებში დავიწვა და/ შენს ტუჩებზე დავიფერფლო... ჯულია.

57. ჩემს შვილს, 6 წლის ანას უნდა, რომ თავისი სურათი თქვენი გაზეთის „ფოტოკურიოზებში“ ნახოს. ძალიან გვიყვარხართ. ეს შესაძლებელია?

58. ალბათ, სიმახინჯეს სულისას განიცდი,/ ამდენ ხალხს დასცინი? შენ ხომ გაგიჟდი?/ გირჩევ, რომ მოკეტო, რადგანაც არ იცი,/ აქ ვინ ამესიჯებს — კარგი თუ მახინჯი... „პექი“.

59. ვარ მაღალი, კარგი გარეგნობის, ქართველი მანდილოსანი, წყნარი ბუნების, იუმორით სავსე გოგო. მინდა, სამეგობროდ გავიცნო 30-40 წლის მამაკაცი. წარსულს მნიშვნელობა არა აქვს.

60. ვეხმაურები „ნუკი-15“-ს. მეც მინდა, სასიამოვნო გოგონას გაცნობა. ზვიო-17.

61. გამომეხმაურონ ის ქალები, ვინც სითბოსა და ალერსს არის მოკლებული. არ ინანებთ. ქუთაისი. „კაზანოვა“.

62. მარი, გამარჯობა. ჩემი ნომერი აღარავის მისცე, გთხოვ. ანი ვარ, „გზის“ ბოლო ნომერში იყო ჩემი განცხადება, 86-ე ნომრით. ბოდიშს გიხდი შეწუხებისთვის.

63. მინდა, უჩემოდ დარდით კვდებოდე,/ ჩემთან შეხვედრა გენატრებოდეს,/ ჩემი დანახვით ცუდად ხდებოდე,/ წამლად კი მარტო მე გერგებოდე,/ სხვასთან დარეკვით ჩემთან ხვდებოდე.

64. შენ ახლა ჩემგან ისე შორსა ხარ,/ ხმას ვერ მოგაწვდენ, თუნდაც, ვიყვირო,/ წმინდა ნიავმა თუკი გაკოცა,/ ეს მე ვიქნები, არ გაიკვირვო. თემოს. „კაკუ“.

65. შენ ჩემს სიმარტოვეს ფიქრად ემატები,/ მხოლოდ ღმერთმა იცის, როგორ მენატრები. თემოს. „კაკუ“.

66. „დოლარა,“ შენ ხომ არ „გძმარავს“ შემთხვევით? შენს თავს მიხედე, სანამ ლამაზი ხარ. გოგონი, სანანებლად არ გაგიხდეს საქმე, მიფრთხილდი! კესო.

67. იმედია, წაიკითხავთ, „მგზავნელებო“! იქნებ, ვინმემ მაჩუქოს „პუდელი“, ჩემი ოცნებაა, რომ მყავდეს. ვინ ამიხდენს სურვილს? „ჯიგარი გოგო“.

68. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 35 წლამდე ასაკის მამაკაცს. „მონატრება“. ბორჯომი.

69. ვეხმაურები კახა-37-ს. ჩემი ნომერი მარისთანაა. ელენე.

70. მე 13 წლის ოჯახი დამენგრა. ქმარმა სხვა შეიყვარა და ძალიან მარტოსული ვარ. მყავს შვილი. მინდა, „ესემესებით“ ვინმემ მანუგეშოს. იქნებ, რეალობაში დამაბრუნოს. „ნატვრა“.

71. ვეხმაურები 27 წლის გიგის, სამეგობროდ. ელინა.

72. ვარ 31 წლის. სამეგობროდ გავიცნობდი კახა-37-ს. მარი, გთხოვ, მიეცი ჩემი ნომერი. ველი მესიჯს. „ლომი-31“.

73. მოგესალმებით, „ბალის“ აბონენტებო! თქვენ მოხვდით „მაგთის“ გათამაშებაში და მოიგეთ — თოხი, ერთი წყვილი კალოში და ორკაციანი საგზური — ყანაში.

74. ვეხმიანები „ნანუკის“. მეც მაქვს სურვილი, რომ SMS-მეგობარი მყავდეს. მომწერე. გვანცა.

75. მივესალმები ბათუმელ ყვავილებს, სოფოს და წუნას. ბათუმელი მერაბი. მსურს თქვენი გაცნობა. დამიმესიჯეთ, მარწყვებო.

76. ვეხმაურები გვანცა-17-ს, ამ ცხოვრებაზე შეყვარებულ გოგოს. სიხარულო, იქნებ, მე ვიყო მკაცრი გარეგნობის და მხიარული პიროვნება? გაგიცნობ სიამოვნებით. ნუკრი-20.

77. ხომ შეიძლება, სხვა იცინოდეს,/ შენ კი არა და არ გაგეცინოს,/ ხომ შეიძლება, დაგღალოს დღემ და/ ბალიშზე მაინც არ დაგეძინოს./ ხომ შეიძლება, მომავალ დღეთა,/ გარდასულ დღეთა ბედზე იღელვო,/ სულ ერთი ჭიქა დალიო, მაგრამ/ დაჯდე და დარდი ამოიმღერო./ გძულდეს და მაინც გიყვარდეს ძლიერ,/ ეს ყველაფერი ხომ შეიძლება? გიჟი ქალი, კესო.

78. გაგვიმარჯოს სამედიცინო უნივერსიტეტის პირველკურსელების ყველაზე მაგარ „სასტავს“: უჩა, დათა და პავლე. უმაგრესი ძმაკაცები. პირველად ვამესიჯებ და მაგრად გთხოვთ, დამიბეჭდეთ.

79. მარიუშა, გთხოვ, გამაცანი „კროშკა“ და ორ ობოლს ერთი ნავსაყუდელი დაგვიმკვიდრე.

80. მარი, პირველად გწერ. გთხოვ, „მოუსვენარი“-ს ტელეფონის ნომერი მომწერო. ვაჩვენებ მაგას, როგორ უნდა ღამისთევა.

81. მარი, ყველაზე მაგარ გოგოს მიეცი ჩემი ნომერი. ვარ შავტუხა, უცოლო ბიჭი. ლევანი.

82. მარი, მომეცი ქვრივი ქალის ნომერი, რომელსაც 9 წლის შვილი ჰყავს. ძალიან გთხოვ.

83. ნუთუ, საქართველოში გამოილია სერიოზული გოგონები? მე ვერ ვპოულობ. ვარ 25 წლის. გია.

84. რა არის, მარი, მაინცდამაინც ჩემი SMS იყო ზედმეტი? დაქალი არ გაგთხოვებია?! ლია.

85. 22 წლის ანის ჩათრევას, ჩაყოლა სჯობია. მზად ვარ ვცადო, მით უმეტეს, რომ პატარა გამოცდილება მეც გამაჩნია. ბადრი.

86. „კნეინა“ თამარს: ღმერთმა დაგვიფაროს, ქალბატონო, გადაჯიშებისგან. მე მგონია, ცუდად ეძებთ. სცადეთ ბედი: 8.93.39.76.67.

87. მინდა, მოგვიანებით „კახელოს“ და ნინოს მივულოცო გაბედნიერება. ვუსურვო ბედნიერება და ყველაფერი საუკეთესო. ნინ 3-ში ქორწილში გესტუმრები და მაგრად დავთვრები.

88. გამარჯობა! მე ერთს გეტყვით, ხალხო, რომ სიყვარული სილამაზეში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ სიყვარულში უნდა ვეძებოთ სილამაზე. პატივისცემით, კახა.

89. ვარ 38/181/80. გოგონებო, ვისაც ერთფეროვანი ცხოვრება მოგწყინდათ და ჩემთან მეგობრობა გინდათ, გელოდებით. ნომერი მარისთანაა. „ვერძი-7“.

90. დიდი მადლობა „მონასტრის ბიჭს“. მან ცხოვრება სხვა თვალით დამანახვა. პავლიკ, ღმერთი გფარავდეს მუდამ. „დაჩაგრული გოგო“. იმედია, ამომიცნობ.

91. და ქვეყანაზე არავინ იცის,/ რომელი უფრო უბედურია,/ ის, ვისაც გულზე ადევს ლოდები,/ თუ ის, ვისაც ვარდები მიაქვს! დაღუპულ მეუღლეს, მანანასგან.

92. მინდა, გრძნობა, წრფელი გრძნობა,/ მინდა, გული, სავსე გული,/ მინდა, სიყვარული, დიდი სიყვარული. ქეთა-15.

93. გამარჯობა, მარი. მე გიორგი ვარ, თელავიდან, 20 წლის. სიამოვნებით გავიცნობდი 25 წლის მანდილოსანს, რომელიც დასაქმებულია. თუ მოინდომებს, ნომერი მიეცი.

94. მარი, ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე, რა! მინდა, ერთ უგულო ადამიანს ასე მაინც მივესალმო, რომელმაც 2 წლის დამტოვა და იმის შემდეგ არ მინახავს. ახლა უკვე 18 წლის ვარ. ნ.

95. როცა ვსაუბრობ, მაშინ ვიღლები,/ როდესაც გისმენ, იცი? ვმშვიდდები,/ როცა მიყურებ, მაშინ ვიბნევი,/ და როცა ვერ გხედავ, მგონი, ვგიჟდები. „ფ ი ს უ ნ ი ა“.

96. მარი, წინა ნომერში გამოქვეყნებული მესიჯის ავტორის, 32 წლის გელას ნომერი იქნებ, გამომიგზავნო? გამოხმაურება მინდა.

97. ვეხმიანები ერთ-ერთი წარმოების უფროსს, 25 წლის გოგონას. ვარ 25 წლის. მართლაც, ცხოვრება ძალიან ერთფეროვანია. ჩემი ნომერი მარისთან იქნება. არბი ბარაევი, იჩქერიიდან.

98. ვარ 25 წლის ბიჭი. 182 სმ სიმაღლის. მინდა, გავიცნო მშვიდი და ლამაზი გოგონა.

99. გამარჯობა, მარი. „გზავნილები“ მაგრად მომწონს. ახლა ხელში ახალი ნომერი მიჭირავს და ერთ-ერთმა მესიჯმა დამაინტერესა. „მესიჯომანიის“ დასაწყიში, პირველმა მესიჯმა.

100. ვარ შავგვრემანი, საშუალო სიმაღლის ბიჭი. გავიცნობდი 15-16 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგონას. ბაჩო-16.

101. წმიდათაწმიდა თუ რამეა ამ ქვეყანაზე,/ ეს არის გრძობა, სიყვარულის, მარად მზიური,/ მე სიყვარული ერთი ვიცი ამ ქვეყანაზე,/ ნაზი, ლამაზი, უკვდავი და მარადიული. რუსო.

102. მშენებლობაზე მიზიდული ქვები უწესრიგოდ დაყრილ გროვად ეჩვენება ადამიანს, მაგრამ ეს არ არის ქვების უწესიგო გროვა, თუ მშენებლობაზე არსებობს თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც მომავალ ტაძარს ხედავს. გიჟი ქალი, კესო.

103. მინდა, დიდი სიყვარულით მოვიკითხო ჩემი საყვარელი დედიკო, სონიკო, თამრო, მანანა, ეკა, სოფო. ყველანი მაგრად მიყვარხართ. მალე თქვენთან ვიქნები. თქვენი გიჟი ქალი, კესო.

104. მინდა, მთელმა პლანეტამ გაიგოს, რომ მარინკა ო. მიყვარს და ვერავინ წამართმევს. გია. ც.

105. ჩემი „ხამსა“ მამა ძალიან რომ მიყვარს, იცით? მა, გაკოცეეე! დე, მაგრად მენატრები. გიჟი ქალი, კესო.

106. 25-ის! შენ? რა მინდა? არც არაფერი... უბრალოდ, მგონი, გეძებდი. შენც მეძებდი? ვიცი, ვგრძნობდი. აი, მოვედი! თვალებში მიყურე! მომიახლოვდი! რა უნდა გეთქვა? „თამარ-ჰაიატი“.

107. მარი, როგორ ხარ? ვეხმაურები თომა-22-ს. ძალიან დამაინტერესა. რუსა.

108. მარი, ხატიას მიეცი ჩემი ნომერი. მაგრად მინდა მისი გაცნობა. „შავგვრემანი ბიჭი“.

109. გავიცნობ ფულიან, ქმრიან, რისკიან ქალს. ქმარი რომ საქმეზეა, მისი ლამაზი ცოლი კი სარკესთან ჭკნება. ფული მე არ მინდა, თვითონ ჰქონდეს. „ფორდი“.

110. ვეხმაურები 31 წლის მამაკაცს. მგონი, ვაკმაყოფილებ თქვენს მოთხოვნილებებს. სურვილი თუ გაგიჩნდებათ, გავიცნოთ ერთმანეთი. „მთიული ქალაი“.

111. მოგესალმებით. მე ვარ „მის ქეითი“. გავიცნობ 16-18 წლის ბიჭს, სამეგობროდ. დამიმესიჯეთ. 8.55.45.71.87.

112. ვაა, წიკლაურიც გაიჩითააა. მე მთიული ვარ, მაგრამ დედა მყავს წიკლაური. მართლა ჯიგარი ხალხი ხართ. გაიხარეთ, წიკლაურებო. ისე, აქ რა ხდება? მართლა ყველა ასეთი ლამაზები ხართ?

113. გამარჯობა. ვარ 168 სმ სიმაღლის, 20 წლის ბიჭი. გავიცნობ 18-20 წლის, ჭკვიან და ლამაზ გოგოს, დაოჯახების მიზნით. ვინც გამომეხმაურება, ჩემი ნომერი მიეცით.

114. ვეხმაურები „გზა“ №4-ში გამოქვეყნებული 135-ე მესიჯის ავტორს. ლამაზო და სექსუალურო, სიამოვნებით გაგიცნობ და მოგეფერები. ნომერი მარისთანაა. სერიოზული კაცი.

115. მე მსურს, რომ ჩემი მესიჯი მოხვდეს „გზაში“. მინდა, მოვიკითხო გოგო თელავში. „მის რეალ“, ძალიან მაგარი გოგო ხარ. „რეალი“ შენ შემაყვარე. ფეხბურთის დედოფალი ხარ! ქისს. იკუშა-23.

116. დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ათენში მყოფ ჩემს საყვარელ ნანა ნათლიას და იქ მყოფ ყველა ქართველს. ყველანი მაგრად მიყვარხართ. გიჟი ქალი, კესო.

117. ცხოვრების გამრავალფეროვნებაც შეიძლება. უბრალოდ, მონდომებაა მთავარი. 25 წლის, წარმოების უფროსო ქალბატონო, ვარ 28/178, თუ სურვილი გექნებათ, შევეხმიანოთ ერთმანეთს.

118. „პრივეტ“, სრულიად „გზის“ მოსახლეობავ! დიდი სიამოვნებით გავიცნობდი ნანუ-

კას, რომელიც SMS-მეგობარ გოგოს ეძებს. მარიკო.

119. „ნევროზ“, მართალი ხარ, რა! ვისაც არ ევასება „მესიჯომანია“, ნუ წაიკითხავს და „ვსიო“. ვინ ეხვეწება? „მავნესიტო“.

120. მარი, გილოცავ ნინოობას. გფარავდეს ღმერთი და მივულოცავ „გზის“ ყველა მკითხველს. „ფიფქია-17“, ჩემი ნომერი მარის გამოართვი. ირაკლი-20 ანუ „ტირიფის ხე“.

121. გამარჯობა, ერთგულო მკითხველებო! ვისაც მარტო SMS-ით მეგობრობა უნდა, დამიკავშირდეს. თქვენი იდუმალი მეგობარი ვიქნები. შოკო.

122. ვარ ახალგაზრდა, სიმპათიური ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ მანდილოსანს, 20 წლამდე. ალიკა.

123. მარი, გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე! მინდა, ავჭალელ ხვიჩა ბოსიკაშვილს გავაგებინო, რომ მარტო მისი ვარ! მის გარდა არავინ მინდა! დამიჯეროს, მიყვარს! გიჟი, ხო... ხო...

124. სიამოვნებით გავიცნობდი 25 წლის „ერთგულ“ გიორგის. რა თქმა უნდა, თუ სურვილი ექნება. მართლაც რომ კარგი გოგო ვარ. „ერთგული გოგო“.

125. გამარჯობა, მარი. პირველი სიყვარულის გჯერა? მე ვერ ვივიწყებ პირველ სიყვარულს. ვალერი, თუ აქ ხარ, დამირეკე. ვიკა. მარი, გთხოვ, დამიბეჭდე... დიდი მადლობა.

126. გაუთხოვარი, გურული საქალბატონე, 39 წლის, ოჯახის შექმნის მიზნით გაიცნობს 45 წლამდე ასაკის, დასაოჯახებელ მამაკაცს. „წუნია“.

127. ჰოოდა, ახლა რა უნდა ვთქვა! „ჯეოსელის“ ოფისს მინდა, მივმართო: რას მერჩოდით? ახალი წლის დღეებში SMS-ჩეთში დავძვრებოდი. თქვეს, უფასოაო და ერთხელაც გავხედე — 22 ლარიიი... გიო. ქუთაისი.

128. ვეხმაურები 30 წლის ახალგაზრდას. ვარ ზუსტად ისეთი, როგორიც მას სურს. ამ გზით გაცნობის მეც არ მწამს, მაგრამ რა იცი, იქნებ, ახდეს ოცნება. „ზღვისპირელი გოგო“.

129. 2 წლის განმავლობაში ვხვდებოდი 12 წლით უფროს მამაკაცს. ძალიან მიყვარდა, ის კი საშინლად მომექცა. გეგუთელო ბესო სირ-ძევ, არაკაცი ხარ, ცხოვრება დამინგრიე და მეჯავრები! ანი-21.

130. ლეჟავა თათული, სად დაიკარგე, საყვარელო? გადამრია კაცი ფიქრებმა, გავჭალარავდი დარდისგან. უზომოდ მენატრები, ჩემო სიცოცხლევ. დამირეკე, თორემ შევიშლები. ჟ.ბ.-რუს.

131. მანგლისის რაიონში, სოფელ თონეთში მცხოვრებ გურამს ვეძებ. მის მეუღლეს მარინა ჰქვია. იქნებ, დამეხმაროთ? მონატრებული მეგობარი.

132. იმ მონატრებას ვერ ვერევი,/ რომელიც მტანჯავს./ ის სიყვარული მენატრება,/ რომელიც არ ჩანს. „კლიტუშკა“.

133. გავიცნობ მაგარ გოგოს, სამეგობროდ. მეც მაგარი ბიჭი ვარ.

134. მე შენ მიყვარხარ, მე შენ მაოცებ,/ მოგეპარები და ჩუმად გაკოცებ./ ნიკუშ, მალე ჩამოდი რუსთავში. იცი, უშენოდ ძალიან მოვიცყინეთ. მპუააააააა. „მაესტრო“.

135. „ემინემი“ მიყვარს ძალიან და სულ მასზე ვფიქრობ. რეპის ფანებს გაუმარჯოს. „მუსუსკა“.

136. ჩემი ოცნება ხარ, აუხდენელი,/ მაგრამ მე მჯერა,/ რომ კვლავ შეგხვდები. „მუსუსკა“.

137. ქალს ნუ მიენდობი, ქალი ქარია,/ ქალი მარტია, ქალი წვიმაა,/ ქალი მზეა და ქალი მთვარეა,/ ციური ვარსკვლავია, ღრუბელი, ნისლია,/ ქალი აპრილია, პირველი აპრილია,/ ქალის ნათქვამში ბევრი ტყუილია,/ ქალი გიშერია, ძოწია, ალმასია,/ იგი მაცდურია, მაგრამ ლამაზია,/ ქალი ღვინოა, თავბრუდამხვევია,/ კაცის წყურვილია, გონების ამრევია,/ ქალი, რა არის? ბედის ირონია,/ ფანტასტიკურია, ეგზოტიკურია, ამოუცნობია, ნახატი, რითმია,/ ქალი ქმნილებაა, ქალი შედევრია,/ ერთადერთია, კაცის ღმერთია. ზაზა, მალე ჩამოდი, თავს ნუ მანატრებ. გიჟი ქალი, კესო.

138. გავიცნობ 20 წლამდე მანდილოსანს, სამეგობროდ. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს მის სიმდიდრეს. არც მე ვარ მდიდარი. უბრალოდ, ერთგული ვარ. ზურა.

139. ჰიპნოზისთვალებიანო,/ თქვენს კოცნას მაბრალიანო,/ 10-წლიან „სროკზე“ მგზავნიან,/ ციმბირსაც მპირდებიანო./ თუ ერთხელ დამიმესიჯებ,/ ამ სასჯელს მომიხსნიანო. თიკო.

140. ვარ 25 წლის, ცოლიანი ბიჭუნა. მიყვარს სექსუალური და უკომპლექსო გოგჩოები. თუ ვინმეს გიყვართ გუგუნი, დამიმესიჯეთ და „ვითუხთუხოთ“ დილამდე. მარი, გამოაქვეყნე, გთხოვ. დამირეკოს უკომპლექსო და ლამაზმა ქალმა. 25 წლის დათო.

141. მარი, იმ გოგოს ნომერი მინდა, რომელმაც განაცხადა, რომ 23-28 წლის ბიჭები გამომეხმაურონო. თუ გინდათ, ჩემი ნომერი მიეცით.

142. გამარჯობა, მარი. გთხოვ, მომცე 22 წლის ანის ნომერი. დათო-24.

143. გამარჯობა, მე დათო ვარ, 24 წლის, რომელსაც სიყვარულში არ გაუმართლა. მინდა, გავიცნო ისეთი გოგო, რომელიც ისევ განმაცდევინებს ამ გრძნობას. ვისაც დავაინტერესებ, ნომერი მარის გამოართვას.

144. გავიცნობ 25-30 წლის, სიმპათიური გარეგნობის, ჩამოყალიბებულ, სერიოზულ და გულწრფელ მამაკაცს. ვარ 23 წლის, 170/65, მიმზიდველი გარეგნობის, სერიოზული გოგო.

145. მარიკა ბოდაველს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, მონატრებულ შვილებთან ერთად. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები.

146. გამარჯობა, ყველას! ვარ სიმპათიური, დასაქმებული ბიჭი. მიზიდავს უფროსი ასაკის ქალები. გავიცნობ 30-40 წლის, მიმზიდველ ქალს. ნომერი მარის გამოართვით. გელით...

147. გამარჯობა, მარი. გთხოვ, დამიბეჭდე. გავიცნობდი 30-35 წლის მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. უნდა იყოს საშუალო სიმაღლის, ერუდირებული. ანა, 29 წლის.

148. ვარ 22 წლის გოგონა. გავიცნობდი ნამდვილ ქართველ მამაკაცს. ნატა.

149. გავიცნობდი 50 წლამდე მამაკაცს, ვინც ფინანსურად უზრუნველმყოფს. ვუერთგულებ, სიყვარულს და ალერსს არ მოვაკლებ. ვარ 20 წლის, ლამაზი. ვპირდები, რომ ვერ დამიწუნებს. მია.

150. ვარ სიმპათიური, კოხტა აღნაგობის, გაუთხოვარი გოგო. ვეძებ ცხოვრების თანამგზავრს, 38-48 წლამდე. იქნებ, „გზამ“ გაპოვნინოს ჩემი თავი? არ ინანებ.

151. გამარჯობა, მარი. ვარ 28 წლის, მქვია დათო. ვიმყოფები არცთუ ისე გადასარევ ადგილას — პატიმარი ვარ. თუ ვინმეს აქვს ჩემი გაცნობის სურვილი, ნომერი მიეცით.

152. ვარ დათო, 21 წლის. ვმსახურობ მე-3 ბრიგადაში, დაზვერვის ასეულში. მომეცით „შმოს“ ნომერი.

153. ვეძებ ლამაზ გოგოს, გასაცნობად. უმჯობესია, შავგვრემანი და „ხუჭუჭა“ იყოს. პირობას გაძლევთ, არ მოგაბეზრებთ თავს. დამიმესიჯეთ ამ ნომერზე: 8.93.33.32.53. ხოხმა.

154. გულმა გულს გაანდო გულის ტკივილი,/ გულმა გულს აუხსნა გაცნობის სურვილი,/ გულმა რომ იტირა სხვისი გულისთვის,/ გული გულს მიენდო, სიყვარულისთვის.

155. გავიცნობ ლამაზ გოგოს, რომელსაც ლესბოსელობა აღარ სურს და უკვე კაცზე ფიქრობს. „ფორდ-34“.

156. მარი, ვისაც ჩემი პერსონა დააინტერესებს, გთხოვ, მიეცი ჩემი ნომერი. გიო.-ს.

157. ვეხმაურები 31 წლის გოჩას, რომელიც ეძებს გოგოს, წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან. სიამოვნებით გაგიცნობდი, შენზე 13 წლით პატარა რომ არ ვიყო. სოფო.

158. ვარ 31 წლის, თბილისელი მამაკაცი. გამომეხმაუროს 26 წლამდე ასაკის, სერიოზული, არამწეველი გოგონა, წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან. გოჩა.

159. მარი, გთხოვ, დამიბეჭდე. ერთი რამ მინდა, გითხრა: ძალიან მიყვარხარ. ყველაზე კარგი რუბრიკები შენ გაქვს. გაიხარე, „კაკუ“.

160. იკუშ, შენ ჩვენი პატარა ბიჭი და დიდი იმედი ხარ. გვიყვარხარ... გვიყვარხარ... გვიყვარხარ... ცამდე გვიყვარხარ და გვენატრები. გკოცნით, ნინო და ნონა დეიდუკები.

161. ჩემო „ბარტყო“, მიყვარხარ და ვუფრთხილდები შენს დანატოვარს. მაგის არასდროს შეგეშინდეს. მიყვარხარ ძალიან. შენი ნანა. ვასიკო ბუზიაშვილს. ორთაჭალის ციხე.

162. მარი, მე იმ მწვანეთვალებიანი და წაბლისფერთმიანი მანდილოსნის ნომერი მინდა, რომელსაც სიყვარულში არ უმართლებს. მეც ასე ვარ და მინდა, გავიცნო.

163. გამარჯობა! პირველად ვამესიჯებ და თითქოს, არც მჯერა, რომ ასე შეიძლება ნამდვილი მეგობარი იპოვო. მიუხედავად დიდი ტკივილისა და იმედგაცრუებისა, მაინც გწერთ.

164. „კაი“ ბიჭი არ იკეთებს წამალს,/ ლექსებს არ წერს, არ იხვრიტავს ყურს,/ დაიხსომეთ, კაი ბიჭის სიტყვას,/ წონა აქვს და ყველგან ძვირად ფასობს./ თქვენს ლექსებს კი ვერ მოისმენს კაცი,/ არც ვარგა და არც კაპიკად ფასობს... ნუ დაჭამეთ, ხალხო, ერთმანეთი, ყველანი უნიჭოები ვართ, როდის მიხვდებით? როიდი (მარი, ჩემი ნომერი არავის მისცე).

165. გავიცნობ 45 წლამდე ასაკის მამაკაცს. უიღბლო „იასამანი“.

166. გაუმარჯოს ყველა აბიტურიენტს. „პეპი პეკინელო“, მეც შენს დღეში ვარ, დილიდან საღამომდე დავრბივარ წიგნებით ხელში. სიამოვნებით ვიმეგობრებ შენთან. სალი-ბალი.

167. ვარ 26 წლის, საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე ასაკის მანდილოსანს.

168. სიხარულები, ნატი და ნინი, მიყვარხართ მაგრად. ჩემი გიჟი ბავშვები ხართ. გაიხარეთ! ძალიან, ძალიან მიყვარხართ. თქვენი ჭკვიანი გოგო. ნონა, რუსთავი.

169. გაუმარჯოს ყველას! ვარ 17 წლის, ნორმალური ბიჭი. მინდა, გავიცნო ერთი ჩვეულებრივი გოგო.

170. გვანცა-17, ნომერი მარისთანაა. გიო.

171. გამარჯობა მარი, პირველად მოგწერე, შენც იმედი არ გამიცრუე და ჩემი გზავნილი სხვა დანარჩენთა შორის ვიხილე. სასიამოვნო შეგრძნებაა. გმადლობთ. კესა.

172. მარი, დამიბეჭდე, რა. ახალი წელი გავიდა,/ დადგა თოვლი და ყინვაო,/ ბებერი მიჯდა ბუხართან,/ ხელები გამეფიჩხაო. „პუპსიკა“.

173. არ მომეკრა შენთვის თვალი,/ სიზმრად მაინც ხომ გნახავდი,/ შენ თბილისელი ხარ ანგელოზი,/ თეთრ ღრუბლებში ნაქარგი. ეძღვნება კუსას. კუსა, ჯიგარი ხარ. „ჩიპჩაპი“.

174. იცი, ოცნებას ძალიან ჰგავხარ,/ შენ ერთადერთი იმედი მყავხარ,/ გაცნობის დღიდან გულში მიზიხარ,/ ეს საოცარი ნეტავ, ვისი ხარ? ეძღვნება მაიკოს, ედისგან. მიყვარხარ, მაიკო.

175. მაი, სიყვარულო, უზომოდ მიყვარხარ და უშენობა მიჭირს. მიყვარხარ და მეყვარები მთელი სიცოცხლე. დიდი სიყვარულით, ედი ანუ „ჩიპჩაპი“. ჩემი ცხოვრება ხარ.

176. მარი, ალბათ მართლა დაემსგავსა ეს რუბრიკა „პაემანს“. ჩემი აზრით, ჟურნალი საკითხავი უნდა იყოს და არა ხალხის გასაცნობი ადგილი. თუმცა, ყველა თავის ღირსს იპოვის.

177. ამქვეყნად მოსვლა, სხვა თუ არა, იმიტომ ღირდა, რომ ერთხელ მაინც მეთქვა სიტყვა — „მიყვარხარ“. კესარია.

178. ვინც ფიცი მისცეს და პირს გაექცეს,/ ტყვია მოხვდეს და გზაში დაეცეს. ერთ-

გულება ხომ მთავარია? მაგარ კაცს ვეძებ. ისეთს, ყველაფრის ფასი რომ იცის. მათ შორის, თავისი სიტყვისაც. ნ-38.

179. დიდი სიამოვნებით გავიცნობ რუსული, ქართული, ლიტვური, პოლონური და მექსიკური სისხლის მქონე ადამიანს. თუ ასეთი ადამიანი საქართველოში აღმოჩნდება, მოხარული ვიქნები.

180. სალამი, „სვანსკის". როგორ ხარ? სვანი გოგო გკითხულობს...

181. სვანი ყანაში ისეთ საფრთხობელას დადგამს, რომ ჩიტები წინა წლის მოსავალს მოიტანენ. 18 წლის ბიჭი.

182. „ნინო-მილან", მე და შენ ერთნაირი გემოვნება გვქონია. მეც „მილანს" გულშემატკივრობ და მეც ასევე ძველ როკს ვუსმენ. „პინკ-ფლოიდს", „რეინბოუს", „ქვინს", „ზეპელინებს". „სმაილი-17".

183. მინდა, გამომეხმაურონ გიული და ედიკა ხიმშიაშვილები. მე ისინი ძალიან მენატრებიან. გთხოვთ, დაბეჭდოთ ეს მესიჯი. წინასწარ გიხდით მადლობას. იური.

184. რომ წავიკითხე, გავშტერდი,/ თითქოს მე ცოლი მყოლია!/ „ოპოზიციას" ეგ აზრი,/ სიზმრიდან გამოჰყოლია. „სტიქია".

185. „ცეტი-15"-ო, გირჩევდი,/ აზრები რომ დაალაგო,/ თუ არა — „გზავნილებიდან"/ სჯობს ბარგი რომ ჩაალაგო! „სტიქია".

186. მარი, ერთი ლურჯთვალა ქუთაისელი მენატრება, ძალიან. იკუშ, იქნებ, ღმერთმა გადმოგვხედოს და მამაჩემი დამთანხმდეს, გამოშვებაზე? არასოდეს დაგივიწყებ. „ნამცეცა".

187. დავიჯერო, ქართველებს „ჯეობარელ" ტატასა და მსგავს ადამიანებზე კომპეტენტური ხალხი არ მოგვეძებნება, რომ ჩვენ, თინეიჯერებს რაიმე ღირებული გვირჩიონ?

188. ბესო, ჩემო „ყვინჩილა", გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. რა ვქნა, ძალიან მიყვარხარ და ვერასოდეს დაგივიწყებ. შენი სიყვარული, „ვარიკელა".

189. ვეხმაურები 154-ე მესიჯის ავტორს. მეც პატარა წარმოების უფროსი ვარ და ძალიან მომბეზრდა ერთფეროვნება. მოდი, ერთად გავაფერადოთ!

190. მარი, მესამედ გწერ. დამიბეჭდე, ღმერთი სამობითააო, ხომ გაგიგონია? ვალერი (ვაჩნაძიანელი) დამირეკე. ტელეფონის ნომერი მარისთანაა. „ვიკა".

191. ჩემი სიცოცხლის დიდო სურვილო,/ ნეტავ, შემეძლოს შენი ფერება,/ ახლა უამრავ კოცნას გიგზავნი,/ რომელიც მუდამ მოგეფერება./ მომიგონებდე, გთხოვ, კიდევ მაშინ,/ როცა საფლავში ღრმად მეძინება,/ ამ ჩემს ნორჩ გულზე, საბნის მაგივრად,/ მწვანე ბალახი აბიბინდება.

192. ვეხმაურები იმ ნანუკის, რომელსაც უნდა, რომ დაქალი ჰყავდეს. ჩემი ნომერი მარისთანაა და შემეხმიანე. ბუბუ.

193. თვით ანგელოზმა სამოთხეში მოიკლა თავი,/ შენს ლამაზ თვალებს უცაბედად რომ მოჰკრა თვალი./ რა ლამაზია, აყვავებული დიდი ვერხვები,/ ასე ძალიან რომ მენატრები, ნუთუ, ვერ ხვდები? ლუნა.

194. გეხმაურებით საბერძნეთიდან. სამეგობროდ გავიცნობ კარგ ბიჭს. ვარ 16 წლის. მოკითხვა მთელ საქართველოს. ლუნა.

195. თავგასიებული, ყურებპარტყუნა და ქათმისტვინა გიორგი ზ-ძე ჯერ ათენში გაიძურწა, მერე ბორდელში შეძვრა მინდვრის თაგვივით, ახლა კი ციხეებში დაძვრება. მაგას საშველი მაინც არ დაადგება. მთელი წელი ველოდე მის ჩამოსვლას, მერე ბორდელიდან ყურებით გამოვათრიე და ახლა, მის „სვაბოდას" ველოდო? ეჰ, სადაა სამართალი?

196. ნოდარ კვინიწაშვილს! პაპა, გილოცავთ დაბადების 74 წლისთავს. იხარე საყვარელ ოჯახთან ერთად. შენი შვილიშვილი, ნათია, ოჯახით.

197. არ ვიცი, ჩემი წარსული ვინ ნახა,/ ამის გაგებას რომ ითხოვ, ვინა ხარ?/ რაც თქვენ არ იცით, ჩემს გულში ვინახავ,/ ჩემზე უარესიც ბევრჯერ მინახავს. „ანარქია".

198. ვარ 40 წლის მამაკაცი. ჩემი მეუღლე უკვე 3 წელია, საზღვარგარეთაა წასული. ძალიან გამიჭირდა უქალოდ. სიამოვნებით ვიმეგობრებდი ჩემს დღეში მყოფ, 35 წლამდე ასაკის მანდილოსანთან, ინტიმურ გარემოში.

199. მე და ჩემნაირ გადმოხვეწილ 1000 ქართველ ემიგრანტს ძალიან გვენატრებით. დახმარებას უკვე აღარავისგან ველით. თუ არ დაბეჭდავთ, არა უშავს. თინი".

200. თუ ყველანი ასეთი კარგები ხართ, როგორადაც საკუთარ თავს ახასიათებთ, რეალურ ცხოვრებაში რატომ ვერავინ იპოვეთ, ვირტუალურ გაცნობაზე რომ ხართ გადასული? „მავნე".

201. ვეძებ ბათუმელ გოგოს, რომელსაც ესმა ჰქვია. თბილისიდან მიმავალ ავტობუსში გავიცანი, წლების წინ. ცრემლიანი თვალები ჰქონდა. მაშინ მხოლოდ სახელი მითხრა და ის, რომ კოლონიაში იყო ქმრის სანახავად. ვერ დავივიწყე მისი სევდიანი სახე. იქნებ, ამ ჟურნალს კითხულობს და ვთხოვ, გამომეხმაუროს. ტატო.

202. შენ ხარ ჩემი ანგელოზი,/ მე ვარ შენი ფრთები,/ ამიტომაც უჩემოდ, ვერსად გაფრინდები. „მონასტრის ბიჭო", ისე, შენთან მეგობრობაზე უარს არ ვიტყოდი. დორე სოფო.

203. „ბარდღუ", ერთი სული მაქვს, როდის დატოვებ წყალტუბო-მაიდანს და ჩამოხვალ ჩემთან. შენი ოცნების ქალი მოუთმენლად გელის.

204. მინდა, იმ ადამიანებს გამოვეხმაურო, ვისაც დედა საბერძნეთში ჰყავს და ძალიან ენატრება. დედაჩემიც იქ არის და უზომოდ მენატრება. ის ხომ ჩემი მესაიდუმლეა. მარეხი, ქალო, შენთან მინდა. ნუ გეშინიათ, მშობლებო, იმდენს ვიმუშავებთ, რომ ბერძნებს ჩამოგიყვანთ აქ, მოახლეებად. „ბოქლომა".

205. მართლები არიან „მეკობრე გოგო" და „მონასტრის ბიჭი". მართლაც საძაგელ „პაემანს" დაემსგავსა ეს რუბრიკა. ვინც მომხრეა, რომ „მესიჯომანია" გაუქმდეს და ეს გვერდები „გზავნილებს" დაემატოს, გამომეხმაუროს. ვიკი.

206. ჩემო სიხარულო შვილო, გიო. გილოცავ დაბადების დღეს. მენატრებით, შვილებო. გკოცნით და თქვენთან მინდა. მარიკა, ათენიდან.

207. საგარეჯოში, კახეთის ქუჩა №22-ში მცხოვრები დათოს ტელეფონის ნომერი მინდა. სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს. არის 34-35 წლის და ჰყავს ერთი ძმა. 1990 წლის მერე, რა შეიცვალა მის ცხოვრებაში, არ ვიცი. სახელს არ ვწერ, სიურპრიზია.

208. ნაფარეულელო ნუკრი ხუციშვილო, მაპატიე, მაგრამ მაგრად „მევასები". შენ არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ. გალმერთებ და მთელი გრძნობით მიყვარხარ. ნამდვილი ვაჟკაცი ხარ.

209. „ესემესი" მოვედი, ლამაზი და ჯიგრული,/ ჩქარა ამომიკითხე, ეკრანზე ვარ მიკრული,/ ერთ წუთს შემოვირბინე,/ დიდხანს არა მცალია,/ ჩემს გამომგზავნს უყვარხართ/ და ენატრებით ძალიან. ლატიშკა.

210. „პრივეტ", მარი, პირველად გწერ. გთხოვ მომწერო „რონალდოს" ნომერი. თეო-თეო.

211. ბედნიერ ადამიანებს ველარ ვიტან. არ გეგონოთ, რომ ბოღმიანი და ბოროტი ვარ. უბრალოდ, მე ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ და ალბათ არც ვიქნები. „კონკია".

212. მინდა ნინას ნომერი. მარი, მომეცი, რა!

213. უკვე დაგავიწყდი? აღარ გენატრები?/ მე კი შენზე ვფიქრობ და შენ მელანდები./ სიცოცხლის ბოლომდე სულ შენ მეყვარები,/ ოღონდ ის მითხარი, სულ არ გენატრები?/ იმედო ჩემო, იმედით ვცოცხლობ,/ უსიტყვო სიტყვით ვსაუბრობ ჩუმად და გიხმობ,/ ყველასთან ვცრუობ, რომ არ გეძებ, არ გელოდები,/ მაგრამ იცოდე, სიკვდილამდე შენ მეყვარები.

214. მარი, ჩემი მესიჯი რატომ არ დაბეჭდე? იმედია, ახლა დაბეჭდავ. ვისაც გსურთ კარგი მეგობრის შეძენა, დამიმესიჯეთ ნომერზე: 8.95.75.00.24. ნატა, წყალტუბო.

215. მარი, რა მინდა, იცი? რაც თქვენთან ლამაზი ლექსი დაიბეჭდება, ყველა ჩემი იყოს.

216. ირაკლი ლეკიაშვილს: თუ შენც გაკლივარ, თუ ისევ მხედავ სიზმარში და ამით ბედნიერი ხარ, მიპოვი. შენი ნ.

217. ვეხმაურები 30 წლის მამაკაცს, რომელიც ცხოვრების თანამგზავრს ეძებს და თან, არ სწამს ამ გზით გაცნობის. მიეცით ჩემი ნომერი, გთხოვთ.

218. გავიცნობდი 24-26 წლის კარგ თბილისელ გოგოს, ჩემი ტელეფონია: 8.55.57.94.80. ზურა.

219. პირველად გწერთ. არადა, სულ ვკითხულობ „გზას". ძალიან მომწონხართ ყველა. თავს დაჩაგრულად ვგრძნობ. ასე მგონია, მეგობრობის უფლება აღარ მაქვს. არადა, ძალიან მჭირდება. თაკო.

220. ვარ 28/190/90 ცისფერთვალება, ქერათმიანი, ყოფილი სპორტსმენი. ვიტანჯები სიმარტოვისგან. ველი სასიამოვნო მანდილოსანს. ნოდარი.

221. მარი, მე პირველად გიმესიჯებთ. იმედია, გამოაქვეყნებთ. ძალიან მინდა ლამაზი, ქართული, ტრადიციული ოჯახის შექმნა. გამომეხმაუროს მხოლოდ ის, ვისაც იგივე სურვილი აქვს.

222. მე მქვია გიგა. ვარ 186 სმ სიმაღლის, 26 წლის ბიჭი. თითქმის არაფერი მაკლია, ნამდვილი სიყვარულის გარდა. მომწყინდა მარტოობა. მზად ვარ, ჩემი ცხოვრება დავუკავშირო იმ ქალს, ვინც ამ ლამაზ გრძნობას მაჩუქებს. რა თქმა უნდა, ჩემი შესაფერისი უნდა იყოს. მძულს ტყუილი. თუ ვინმეს დავაინტერესებ, ნომერი მარის გამოართვით. უაზრო ურთიერთობისთვის არ მცალია.

223. მიყვარხარ, მაგრამ ჩუ, ჩუ, არ თქვა,/ გულში დამალე და არსად არ თქვა,/ მიყვარხარ ძლიერ, ჩურჩულით გეტყვი,/ ამ სიყვარულზე უარი არ თქვა. ეს ლექსი ეძღვნება ლურჯი 119 „მარშრუტკის" მძღოლს, ალიკას. ვაზისუბნელი გოგოსაგან. ია.

224. არაფერია იმაზე ცუდი, როცა ფიქრობ, რომ გოგო, რომელიც უზომოდ გიყვარს, სხვისი ცოლია, სხვასთან სძინავს და სხვა ეალერსება. ნათია, მიყვარხარ, მენატრები და ბედნიერებას გისურვებ.

225. ჩემი ქმარი ახლა საქართველოში არ არის, მაგრამ ყოველ წუთს რეკავს და ჩემს ამბებს კითხულობს. ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, მაგრამ მაგარ კაცს რომ დავინახავ, გული მიფართხალებს და უმეტეს შემთხვევაში, ცოტას წავიცუღლუტებ ხოლმე. აბა, რა ვქნა? ქალი ვარ, რობოტი კი არა. ეს რომ ჩემმა ქმარმა გაიგოს, ნამდვილად გაგიჟდება. პეპელა".

*სასურველი ნომრის გასაგებად უნდა დამირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 და მითხრათ იმ მესიჯის რიგითი ნომერი, რომლის ავტორის კოორდინატებიც გაინტერესებთ. ნახვამდის. გისურვებთ წარმატებებს.*

■

*მოამზადა მარი ჯაფარიძე*

# ოჯახური კერა თუ კარიერა?

**თუკი ამჟამად თქვენ არჩევანის წინაშე დგახართ და ვერ გადაგიწყვეტიათ, მუშაობა დაიწყოთ თუ დიასახლისობა არჩიოთ, ამ საკითხის გარკვევაში ეს ტესტი დაგეხმარებათ.**

**1. უცნობი ადამიანებისადმი როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

ა) სიმპათიით ხართ განწყობილი;

ბ) აბსოლუტურად გულგრილად ეკიდებით მათ;

გ) მტრული განწყობილება გაქვთ.

**2. თუკი სწორედ იმ დროს, როცა საქმიანი შეხვედრა გაქვთ დანიშნული, თქვენი შვილი ავად გახდება, თქვენ:**

ა) ბიულეტენზე გახვალთ და შეხვედრას გადადებთ;

ბ) ვინმეს შეუთანხმდებით, რომ საქმიანი შეხვედრის დროს ბავშვს მიგიხედოთ;

გ) ცოტა ხნით ბავშვს მარტო დატოვებთ.

**3. რა დანიშნულებას გამოუძებნით თქვენს ხელში მოხვედრილ საკმაოდ სოლიდურ თანხას?**

ა) შეიძენთ უამრავ ლამაზ ნივთს;

ბ) ბანკში ანგარიშს გახსნით და ამ თანხას იქ შეინახავთ;

გ) აქციებს შეიძენთ.

**4. როცა არჩევანის წინაშე დგახართ:**

ა) სულაც არ გიჭირთ რისკზე წასვლა;

ბ) რჩევას, როგორც წესი, ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ეკითხებით;

გ) საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიანდობთ.

**5. როგორი სამუშაო მოგეწონებოდათ:**

ა) ისეთი, რომელსაც დიდი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება;

ბ) ისეთი, სადაც მოულოდნელი შედეგების რიცხვი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი;

გ) ისეთი, შემოქმედებითი მიდგომა რომ სჭირდება და გადაწყვეტილების მიღებამდე, სიტუაციის კარგად აწონ-დაწონას რომ საჭიროებს.

**6. როცა გიყვირიან, თქვენ:**

ა) ყვირილითვე პასუხობთ;

ბ) ცდილობთ, თავი შეიკავოთ;

გ) ცდილობთ, თავაზიანობა შეინარჩუნოთ.

**7. ოჯახური პირობები რომ საშუალებას გაძლევდეთ:**

ა) არ იმუშავებდით და სახლს და ოჯახს მიხედავდით;

ბ) საზოგადოებრივ ასპარეზზე იმოღვაწევებდით;

გ) ამჯობინებდით, აქტიური საორგანიზაციო საქმიანობისთვის მოგეკიდათ ხელი.

**8. საინტერესო და შემოსავლიან საქმიანობას შორის არჩევანის გაკეთება რომ მოგიხდეთ, რას ამჯობინებდით:**

ა) საინტერესო საქმიანობას;

ბ) შემოსავლიან საქმეს;

გ) ინტერესის საგნად შემოსავლის ზრდას გაიხდიდით.

**9. როცა არ იცით, თუ როგორ უნდა მოიქცეთ:**

ა) სათანადო ლიტერატურას გაეცნობით და პასუხს ამ გზით იპოვით;

ბ) ოჯახის წევრებსა და ახლობლებს დაეკითხებით რჩევას;

გ) გუნება-განწყობილების მიხედვით იმოქმედებთ.

**10. როგორ ფიქრობთ, გამოუვალი მდგომარეობა:**

ა) არ არსებობს;

ბ) არ უნდა გაშინებდეთ;

გ) საკმაოდ ხშირად იქმნება, მაგრამ თუკი ძალისხმევას არ დაიშურებთ, პრაქტიკულად ნებისმიერი სიტუაციიდან იპოვით გამოსავალს.

## ტესტის შედეგები:

**თუ თქვენს პასუხებში ჭარბობს „ა“: თუ თქვენ თავი ოჯახსა და შვილების აღზრდას მიუძღვენით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არჩევანში არ შემცდარხართ. სწორედ ეს გახლავთ ცხოვრების სფერო, სადაც თავს ზედმიწევნით კომფორტულად გრძნობთ.**

**თუ თქვენს პასუხებში ჭარბობს „ბ“: საკუთარი თავის პოვნა საკმაოდ გიჭირთ, რადგან არჩევანის შეჩერება არც ერთ სამსახურზე არ შეგიძლიათ! თქვენი ხასიათის თავისებურებების გათვალისწინება იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ წარმატებას საორგანიზაციო საქმიანობაში მიაღწევთ.**

**თუ თქვენს პასუხებში ჭარბობს „გ“: სამეწარმეო საქმიანობა, საწარმოს ორგანიზება, მოლაპარაკებების წარმოება, საქმიანი პარტნიორების მოძიება — თქვენი სტიქიაა. ამ სფეროებში მაქსიმალურ წარმატებას მოიპოვებთ.**

## იაპონური სენსაცია
## სუდოკუ

**წინა ნომრის სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 8 | 3 | 9 | 6 | 4 | 2 | 7 |
| 6 | 3 | 7 | 2 | 8 | 4 | 5 | 9 | 1 |
| 4 | 9 | 2 | 5 | 1 | 7 | 3 | 6 | 8 |
| 1 | 2 | 4 | 6 | 5 | 8 | 9 | 7 | 3 |
| 3 | 5 | 6 | 9 | 7 | 2 | 8 | 1 | 4 |
| 7 | 8 | 9 | 4 | 3 | 1 | 6 | 5 | 2 |
| 2 | 7 | 5 | 8 | 4 | 9 | 1 | 3 | 6 |
| 8 | 6 | 3 | 1 | 2 | 5 | 7 | 4 | 9 |
| 9 | 4 | 1 | 7 | 6 | 3 | 2 | 8 | 5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 1 | 4 | 3 | 9 | 2 | 6 | 5 |
| 9 | 3 | 6 | 2 | 8 | 5 | 7 | 4 | 1 |
| 2 | 5 | 4 | 7 | 1 | 6 | 3 | 8 | 9 |
| 3 | 6 | 8 | 5 | 4 | 1 | 9 | 7 | 2 |
| 7 | 4 | 5 | 8 | 9 | 2 | 6 | 1 | 3 |
| 1 | 9 | 2 | 6 | 7 | 3 | 4 | 5 | 8 |
| 5 | 8 | 9 | 3 | 6 | 4 | 1 | 2 | 7 |
| 4 | 1 | 7 | 9 | 2 | 8 | 5 | 3 | 6 |
| 6 | 2 | 3 | 1 | 5 | 7 | 8 | 9 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | 5 | 4 | 8 | 1 | 9 | 7 | 3 |
| 1 | 7 | 4 | 9 | 6 | 3 | 2 | 5 | 8 |
| 8 | 9 | 3 | 2 | 7 | 5 | 1 | 6 | 4 |
| 9 | 8 | 2 | 7 | 5 | 6 | 3 | 4 | 1 |
| 5 | 4 | 6 | 1 | 3 | 9 | 8 | 2 | 7 |
| 7 | 3 | 1 | 8 | 2 | 4 | 6 | 9 | 5 |
| 4 | 2 | 8 | 3 | 9 | 7 | 5 | 1 | 6 |
| 3 | 5 | 7 | 6 | 1 | 2 | 4 | 8 | 9 |
| 6 | 1 | 9 | 5 | 4 | 8 | 7 | 3 | 2 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 6 | | | 5 | | 1 | |
| | | 1 | | | 6 | | 9 | 5 |
| | | 4 | | 9 | 1 | | 2 | |
| | | 3 | | 2 | | | | 9 |
| 5 | 6 | | 9 | | | | 3 | 8 |
| 7 | | | 1 | | 3 | 2 | | |
| | 3 | | 8 | 4 | | 5 | | |
| 2 | 1 | | 5 | | | 3 | | |
| | 8 | | 3 | | | 9 | 6 | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | 9 | | 3 | 2 | |
| 6 | | | 7 | | | | | 9 |
| 1 | | | 4 | | | 8 | | |
| | 2 | | 6 | | | | | 3 |
| | | 6 | | 1 | | 5 | | |
| 5 | | | 8 | | 2 | | 7 | |
| | | 9 | | | 4 | | | 8 |
| 2 | | | | | 9 | | | 1 |
| | 8 | 5 | | 6 | | | | 4 |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | 2 | | | |
| | 5 | | | | | | | 6 |
| 9 | | | | 7 | | 5 | | |
| | | 8 | | | | | | 2 |
| | 1 | | | 2 | | | 4 | |
| 3 | | | | | 1 | 6 | | |
| | | 7 | | 3 | | | | 9 |
| 6 | | | | | | | 8 | |
| | | | 4 | | | | 2 | |



1. ძვ. სლავური ენის ერთ-ერთი ანბანი
2. მეძაღლეობა
3. ხელოვნების ჟანრი
4. საგაზაფხულო ხორბლის ჯიში
5. პატარა, ცოტა
6. ძალიან იშვიათი რამ
7. მშვიდი, გაბმული საუბარი
8. ნადირობის ქალღმერთი რომ. მით.
9. ბელორუსიის დედაქალაქი
10. კვების გარკვეული რეჟიმი
11. დიპლომატიური წერილი
12. ნაკურთხი წყალი
13. ფრანგი კომპოზიტორი
14. სმენადობის პირობები შენობაში
15. მსგავსება საგნებს შორის
16. მიზანში კარგად მსროლელი
17. ამერიკელი მწყემსი
18. ციხესიმაგრის კედელი
19. ზეთისხილის ფოთლის ფერი
20. ტბორი
21. სასტუმროს მსახური ბიჭი
22. ჩრდილოამერიკული გარეული ხარი
23. რუსული ავტომობილი
24. ტროა
25. ოსური ცეკვა
26. ... მიცკევიჩი
27. „დათა თუთაშხიას“ ავტორი
28. ჭამის სურვილი
29. სამაგიდო თამაში
30. მიმართვა მამაკაცისადმი პოლონეთში
31. ჩანთოსანი დათვი
32. ქალაქი საფრანგეთში
33. ინგლისის ძველი სახელწოდება
34. კარგიო ამინდი
35. კათოლიკური ჯვარი
36. ქოქოსის კაკლის გული
37. საწვიმარი
38. მახრჩობელა გველი
39. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
40. ინგლისური არაყი
41. ერთგვარი მაგარი ღვინო
42. ამერიკის შტატი
43. ისრის წვერი
44. ბუნებრივი წყალსაცავი
45. აღვირახსნილი ღრეობა
46. ამერიკის შტატი
47. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ესკალატორი; 2. კოპოლა; 3. ბლერი; 4. ჭაჭა; 5. ქოცო; 6. რარიტეტი; 7. იმპერატორი; 8. ტალანი; 9. ზლოტი; 10. ოზონი; 11. ლიონი; 12. მანერა; 13. ჰავაი; 14. ენოტი; 15. ირისი; 16. პანორამა; 17. არბალეტი; 18. ლაყე; 19. ალბატროსი; 20. ლუპა; 21. ყანა; 22. თუ; 23. ფინია; 24. რე; 25. არვე; 26. ბოლივია; 27. ტაბლა; 28. პუფი; 29. ფანერა; 30. ტიტუსი; 31. ვერე; 32. ფლირტი; 33. კალია; 34. კაირო; 35. სელი; 36. სერენადა; 37. რეიდი; 38. ნიკე; 39. ტორი; 40. დომრა; 41. ფანდური; 42. ლაინერი; 43. ბარჟა; 44. სიქა; 45. ფერია; 46. იგორი.

**სურათზე**: ემილიო ესტევესი; თეა ლეონი.

# ამერიკის პრეზიდენტთა „საყვარელი" სიტყვები

ამერიკის ქალაქ სანქტ-პეტერბურგის (ფლორიდის შტატი) მკვიდრმა, კომპიუტერული კომპანიის 26 წლის მენეჯერმა ჩირაგ მეხტამ შეიმუშავა სპეციალური პროგრამა, რომლის მეშვეობითაც აშშ-ის პრეზიდენტთა გამოსვლების უდიდესი ნაწილის გაანალიზება შეძლო. პრეზიდენტთა გამოსვლების ანალიზმა ცხადყო, რომ სიტყვა „ომი" პრაქტიკულად ყველა გამოსვლაში ნახსენები. ეს სიტყვა მხოლოდ ჯორჯ ვაშინგტონის 1789 წლის საინაუგურაციო გამოსვლასა და ფრანკლინ რუზველტის მიერ 1935 წელს წარმოთქმულ იმ სიტყვაში არ აჟღერებულა, რომელიც სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს ეძღვნებოდა. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ლექსიკონში სიტყვა



„ტერორიზმი" პირველად, 2001 წლის 20 სექტემბერს წარმოთქმულ სიტყვაში გაჩნდა. ამ გამოსვლაში პრეზიდენტმა ტერორიზმს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. მას შემდგომ, ეს სიტყვა მის გამოსვლებში ყველაზე ხშირად გვხვდება. სავარაუდოა აგრეთვე, რომ მის მომავალ მოხსენებებში კიდევ დიდხანს შეგვხვდება ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: „ერაყი" და „აჯანყებულები". XIX საუკუნის დასაწყისამდე, „კონსტიტუცია" ამერიკის პრეზიდენტთა საყვარელი სიტყვა იყო, მაგრამ XX საუკუნეში ეს სიტყვა პრეზიდენტთა გამოსვლებში თანდათან გაქრა. როდესაც რეიგანის ეპოქა (1980-იანი წლები) ბილ კლინტონის მმართველობის წლებმა შეცვალა, საპრეზიდენტო ტრიბუნიდან ახალი შთამბეჭდავი სიტყვა — „ოჯახი" აჟღერდა, რომელმაც კლინტონის ლექსიკონში დიდი ადგილი დაიკავა. ■

# ბრიტანელმა მოგზაურმა ავსტრალიის კონტინენტი სკეიტბორდით გადასერა



ბრიტანელმა მოგზაურმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — მან მთელი ავსტრალიის კონტინენტი სკეიტბორდით გადასერა. დევიდ კორნტუეიტის 3600-მილიანი მოგზაურობა შარშან აგვისტოში, ავსტრალიის ქ. პერტში დაიწყო და გასულ კვირას, ქალაქ ბრისბეინში დასრულდა. 25 წლის ოქსფორდშირელმა დიზაინერმა სკეიტბორდით სრიალი 2 წლის წინ ისწავლა. უჩვეულო მოგზაურობის იდეა დევიდს ერთ მშვენიერ დილას გაუჩნდა, როდესაც გაიღვიძა და მიხვდა, რომ საკუთარი სამსახური ეჯავრებოდა. „ერთადერთი რამ, რაზეც მაშინ ვოცნებობდი, სამსახურიდან სახლში სკეიტით მისრიალება იყო. ერთხელ, შემთხვევით, ავსტრალიის გზამკვლევი — Lonely Planet მომხვდა თვალში. რუკის ერთ მხარეს პერტი იყო, მეორე მხარეს კი — ბრისბეინი. მაშინ ვიფიქრე, რომ ამის გაკეთებას შევძლებდი!" — განაცხადა ახალგაზრდა მოგზაურმა ჟურნალისტებთან საუბრისას. თავდაპირველად, კორნტუეიტმა საკუთარ თავს წინასწარი გამოცდა მოუწყო და სკეიტით ინგლისის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო მოიარა, რომელსაც ინგლისელები „დედამიწის დასალიერს" უწოდებენ. მოგზაურმა შოტლანდიის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ წერტილს მიაღწია. ამ 896-მილიან მოგზაურობას 1 თვე დასჭირდა. ავსტრალიაში მოგზაურობა გაცილებით რთული აღმოჩნდა. დევიდს გამუდმებით უხდებოდა გველებისგან თავის დაღწევა, ერთხელ კი, სირაქლემა ემუსაც კი გაეჯიბრა სიჩქარეში... მისი მოგზაურობის პერიოდში, ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოსულა, ამიტომ გულად მოგზაურს მზისგან დამცავი უამრავი კრემის გამოყენება დასჭირდა. მოგზაურობის ბოლო 6 კვირის განმავლობაში, დევიდი კოჟრებმა და ფეხის თითების ტკივილმა გააწამა. მან 13 წყვილი ფეხსაცმელი გაცვითა. მისი გარჯა ღირსეულად დაფასდა: როგორც ვარაუდობენ, მისი მოგზაურობა 50.000 გირვანქა სტერლინგს მოიტანს, რომელსაც დევიდი ქველმოქმედებას მოახმარს. მამაცი სკეიტბორდისტი სულ მალე წიგნის გამოშვებასაც აპირებს, რომლის სავარაუდო სათაური იქნება: „ყოველდღიურ სამუშაოს აღარასოდეს დავუბრუნდები!" ■

# ავსტრალიელ მყვინთავს ზვიგენი შემოელახა...

პროფესიონალმა მყვინთავმა, რომელიც ავსტრალიის სანაპიროსთან ოკეანეში მოლუსკებს აგროვებდა, თეთრი ზვიგენის (მეორენაირად, კაციჭამია ზვიგენსაც უწოდებენ) თავდასხმას თავი ძლივს დააღწია. მელბურნის გაზეთი Herald Sun იუწყება, რომ ეს ინციდენტი ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, 8 მეტრის სიღრმეზე მოხდა. თვითმხილველნი და თავად დაზარალებული, 41 წლის ერიკ ნერესი იუწყებიან, რომ მასთან ზვიგენის მიახლოებისას, მყვინთავმა ხელი ზვიგენს თვალში ჩაარტყა. მტაცებელმა მსხვერპლს თავი ანება და წყლის სიღრმეში გაუჩინარდა. ერიკ ნერესი ნავში მისმა 25 წლის ვაჟიშვილმა აიყვანა და მაშველები გამოიძახა, რადგან მყვინთავმა შეტაკების დროს, ტრავმები, კერძოდ — ცხვირის მოტეხილობა და მრავალი ნახევი ჭრილობა მიიღო. ადგილობრივი პოლიციელები ვარაუდობენ, რომ ნერესს სიცოცხლე სპეციალურმა, ტყვიის ფირფიტებით დამძიმებულმა ჟილეტმა შეუნარჩუნა, რომელსაც მყვინთავები წყალში სწრაფად ჩასაძირავად იყენებენ. ძლიერი სისხლდენა კი, სხეულზე მჭიდროდ მოტმასნილმა ჰიდროკოსტიუმმა შეაჩერა. ერთ-ერთი პოლიციელის ვარაუდით, ზვიგენი შეცდა და მყვინთავი სელაპი ეგონა, რომელიც იმ წყლებში მრავლადაა. როდესაც მტაცებელმა მსხვერპლისგან მტკივნეული დარტყმები მიიღო და საკუთარ შეცდომას მიხვდა, ადამიანს თავი დაანება და გაეცალა. თეთრი ზვიგენი დედამიწაზე ყველაზე დიდ მტაცებელ თევზად ითვლება. მისი სიგრძე ხშირად 6 მეტრსაც კი აღწევს. ზვიგენი, რომელიც ერიკ ნერესს თავს დაესხა, 3 მეტრის სიგრძის იყო. ■



ინტიმური ტელეფონი
822-006-008
822-006-088
822-006-108
(ზარი ფასიანია)
18 წლიდან



# ფოტოკურიოზები













NIKITA
wap.nikita.ge
www.888x.ge
ჯეოსელის და მაგთის აბონენტებისთვის!
MG
8888
LOV
8884
სიყვარულის ახსნა
თავბრუდამხვევი კოცნის საიდუმლოებები
KIS
8884
სასიყვარულო პროგნოზი
RX
8884
თქვენი რჩეულის ხასიათი
ZN
8884
8881
8886
8887
SMS საუბრები ნებისმიერ თემაზე
გულახდილი SMS საუბრები
MEA
8880
კოტე ყუბანეიშვილის სახალისო ლექსები
LEX
ნომერზე: 8884
რეალტონები
MP3 AMR MMF
8887
Goodbye My Lover
You are Beautiful
Jokero
Bomba Bomba
Hips Dont Lie
Nuestro Amor
Любовь красавица
Here We Go
Sail Away
Holly Dolly
Animals
Так устроен этот мир
Carnival De Paris
Sway
Бригада
James Blunt 911383
James Blunt 911294
Akcent 911164
Shakira 911037
Triplex 911390
უნიკალური შემოთავაზება!
939443
საათები
8882
თემები
8882
რეალური ანიმაცია
8881
940711
933499
942326
942362
942347
942338
ვიდეო კლიპები
8887
911373
911131
911404
Der Letzte Tag
Tokio Hotel
911288
Bebot
Black Eyed Peas
911267
Танцы
Reflex
911374
3GP ვიდეო
8887
911476
911460
911481
Desert Force